ირაკლი მანველიძე

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების გენეზისი და ევოლუცია

წიგნი II

თბილისი 2009

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანველიძე

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების
გენეზისი და ევოლუცია

ვენის სისტემა და მისი ტრანსფორმაცია

წიგნი II

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა თავისი არსებობის 500 წელს ითვლის. თუმცა, ჯერ კიდევ, უძველეს დროში ხალხი ცხოვრობდა უფრო შერეული ტიპის, ინტეგრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებში, როგორიცაა: ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები, ფეოდალური სამფლობელოები და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა საფუძველი დაუდო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას.

ვესტფალიის სისტემა გარდამავალი პერიოდი იყო შუა საუკუნეებისა (ფეოდალური) და ახალი ეპოქის (კაპიტალისტური) საერთაშორისო ურთიერთობებს შორის. იგი იყო სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ტლანქი სისტემაც, რომელშიც მოცემული იყო ძველი ეპოქის (მაგ., დინასტიური) და სისტემური საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი (მაგ., სახელმწიფო ინტერესის) პრინციპები.

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი სუბიექტი გახდა ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი სახელმწიფოეროვნული ინტერესებით. სწორედ ეს ინტერესები ხდებოდა მიზეზი მსოფლიო პოლიტიკაში წინააღმდეგობრივი კერების შექმნისა. ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება დაემთხვა კაპიტალიზმის განვითრებას, ხოლო ეკონომიკაში მერკანტელიზმის წარმოქმნამ კიდევ უფრო გააძლიერა დაპირისპირება ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

დიდი ფრანგული რევოლუციის და ნაპოლეონის ომების ეპოქამ დაასრულა მერყევი ვითარების შესაბამისად მოწყობილი ძალთა ბალანსი ევროპაში, რომელიც ერთჯერადი კოალიციის შექმნის პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა, ძირი კი გამოუთხარა „ძველ რეჟიმს" – ევროპული თანასწორობის ძველ სისტემას.

ვერც ლუი XIV და ვერც ნაპოლეონის საფრანგეთმა ვერ შეძლო მიეღწია სრული კონტინენტური დომინირების ან ხანგრძლივი დროით საკუთარი მფლობელობის უზრუნველყოფისათვის

ევროპაში. ხანგრძლივმა და სისხლისმღვრელმა ომებმა დაასუსტა ძველი კონტინენტი. სისტემაში ვითარების შესაბამისად გამოწვეული წინააღმდეგობების და კონფლიქტების პირობებში ევროპის წამყვანმა დიდმა სახელმწიფოებმა აშკარად გამოამჟღავნეს პოლიტიკური წონასწორობის მიღწევის მისწრაფება საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეციის, რუსეთის, პრუსიის, ბრიტანეთის, ავსტრიის და სხვათა ინტერესების განსაზღვრული ბალანსის საფუძველზე.

ევროპის არენაზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ტექტონიკურ გეოპოლიტიკურ ძვრებს განიცდიდა. ევროპის წამყვანი დიდი სახელმწიფოები საკუთარი დასუსტების მოწმენიც გახდნენ, რამაც კანონზომიერად ჩამოაყალიბა აზრი საერთო ევროპული თანასწორობის დამყარების აუცილებლობის შესახებ, რომელიც შეუძლებელი იყო თამაშის შემთხვევითობას დაფუძნებოდა.

ნაპოლეონის ომებს ჰქონდა კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მკაფიოდ ახასიათებდა XIX საუკუნეს. რევოლუციურმა საფრანგეთმა ისტორიის ავანსცენაზე გამოიყვანა ხალხის სუვერენიტეტის პოლიტიკური პრინციპი. იმავდროულად ცენტრალურ ევროპაში ომების შედეგად მოხდა საზღვრების რადიკალური გადაჯაჭვა, განხორციელდა გერმანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების თავისებური კონსოლიდაცია, რომელთა რიცხვი 300-დან 30-მდე შემცირდა.

აღნიშნული მოვლენების განვითარებას ასევე სტიმული მისცა იტალიასა და გერმანიაში ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობის, ხოლო შემდეგ ანალოგიური პროცესების დაწყებამ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ გაგებით XIX ასწლეული ხასიათდება ნაციონალიზმის ფენომენის გარდაქმნით პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტორად. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითად გამოდგება იტალიასა და გერმანიაში გაერთიანების პროცესი და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში. ნაციონალური სახელმწიფოები საბოლოოდ გახდა არ მხოლოდ ლიბერალური ევროპული ინტეგ-

რაციის პოლიტიკური იდეალი, არამედ ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სუბიექტიც.

პირველად, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში საერთაშორისო წესრიგისათვის დაიწყო სახელმწიფოთა მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება თვითმყოფადი, პოლიტიკური წონასწორობის ინსტიტუციონალისტური მექანიზმების შექმნისათვის, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფდა წამყვანი დიდი ევროპული სახელმწიფოების თანასწორობას და განამტკიცებდა კონკრეტული მომენტისათვის შექმნილ status qvos.

ევროპაში ძალთა განლაგება რადიკალურად შეიცვლა. საერთაშორისო ურთიერთობის სისტემამ კარდინალური ცვლილება განიცადა. ახალი ძლიერი სუბიექტების გამოჩენამ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოითხოვა. ძალთა ბალანსის სისტემა, რომელიც ევროპაში აქამდე სახელმწიფოთა კოალიციური გაერთიანების პრინციპს ემყარებოდა და ერთჯერად ხასიათს ატრებდა ახალ რეალობაში უკვე აღარ გამოდგებოდა. ევროპის კონტინენტზე რამდენიმე წამყვანი სახელმწიფოს არსებობა მოითხოვდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ახალ პრინციპების აგებას. სახელმწიფოთა სავაჭრო-კოლონიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა გარანტირებული მოკავშირეების არსებობას. ევროპაში დაიწყო ურთიერთსავალდებულო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამხედრო-პოლტიკური ბლოკების ჩამოყალიბება. ვენის სისტემამ, რომლიც XIX ს-ის 40 წლებიდან მოყოლებული კრიზისში იმყოფებოდა, ტრანსფორმაცია განიცადა. შედეგად, ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები ჩამოყალიბდა.

საერთოდ, ამ პრობლემის გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ვენის სისტემაში, რომელიც არსებობდა არსებითი ტრანსფორმაციის რეჟიმში პირველ მსოფლიო ომამდე. ვენის სისტემის ფორმირების საწყის ეტაპზე ევროპულმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს და მიიღეს მყარი მსოფლიო წესრიგის მსგავსი კონტროლი, რომელმაც ახალი ფურცელი გახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ნაწილი I

საერთაშორისო ურთიერთობების ვენის სისტემის ფორმირება

თავი I

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ

1.1. ვენის კონგრესი და ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესები

1.1.1. ვენის კონგრესი

ნაპოლეონის საფრანგეთის განადგურებამ ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ომის შემდგომი ევროპის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი იყო საერთო ევროპული კონგრესის მოწვევა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა პრობლემის განხილვა და ომის შემდგომი ვითარების მოწესრიგებისათვის კონსესური ვარიანტის შემუშავება. 1814 წლის გაზაფხულზე რუსეთმა პირველმა შესთავაზა ევროპას კონგრესის იდეის შესახებ, თუმცა, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს მისი მოწვევა გადაეტანათ იმავე წლის შემოდგომამდე.

საბოლოოდ, კონფერენცია გაიხსნა 1814 წლის 1 ოქტომბერს და გაგრძელდა 1815 წლის ივლისამდე.

ვენის კონგრესის მნიშვნელოვანი ამოცანები იყო მონარქიის რესტავრაცია, იმ ტერიტორიების გათავისუფლება, რომელიც ნაპოლეონმა დაიკავა, ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ასევე არ დაეშვათ ბონაპარტიზმის აღდგენა საფრანგეთში

და, რაც ყველაზე მთავარია გამარჯვებულ ქვეყნებს დაეკმაყოფილებინათ საკუთარი ინტერესები, პირველ რიგში ტერიტორიული და სხვა პრეტენზიები.

რუსეთმა, რომელმაც მნიშვნელოვანი დამარცხება აგემა ფრანგულ არმიას და გადამწყვეტი როლი ითამაშა ნაპოლეონის განადგურების საქმეში, გახდა ბევრად უფრო ძლიერი ევროპული სახელმწიფო. სხვა ევროპული ქვეყნები, როგორიც იყო ავსტრია, პრუსია და საფრანგეთი დამარცხებული და მნიშვნელოვნად დასუსტებულები იყვნენ. ავსტრიაში, პრუსიაში, ინგლისსა და საფრანგეთში არ სურდათ რუსეთის გავლენის გაძლიერება ევროპაში. ისინი ისწრაფვოდნენ სწორედ რუსეთის ხარჯზე გადეწყვიტათ საკუთარი პრობლემების ნაწილი.

ვენაში შეიკრიბა ევროპული ქვეყნების 216 წარმომადგენელი. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა იმპერატორი ალექსანდრე I, დიდი ბრიტანეთის დელეგაციას ჯერ კასლრი, შემდეგ ველინგტონი, ავსტრიისას ფარნც I, პრუსიისას გარდენბერგი. ვენაში, კონგრესის მუშაობაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში წამყვან როლს თამაშობდა ალექსანდე I და ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი. იმის მიუხედავად, რომ ტალეირანი დამარცხებულ საფრანგეთს წარმოადგენდა, მან მოახერხა რიგი საკითხები ქვეყნის ინტერესების შესაბამისად გადეწყვიტა. კონგრესის მონაწილეებს შორის ურთიერთუნდობლობამ და წინააღმდეგობამ, ტალეირანს საშუალება მისცა ფრანგულ დელეგაციას მონაწილეობა მიეღო როგორც გამარჯვებულ ქვეყნებთან თანაბარი უფლებების მქონე წარმომადგენელს. ალექსანდრე I ცდილობდა დაეცვა საფრანგეთის ინტერესები. მან წამოაყენა წინადადება საფრანგეთის საზღვრები შენარჩუნებულიყო 1792 წლის მდგომარეობით. ამგვარად, საფრანგეთი ინარჩუნებდა თავის ტერიტორიებს, ხოლო რუსეთი და პრუსია უნდა დარჩენილიყვნენ თავისი ინტერესების ფარგლებში. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც „ლეგიტიმიზმი” ანუ „ჩაურევლობა”.

საფრანგეთს აფრთხობდა არა მარტო რუსეთის გაძლიერება, არამედ პრუსიისაც. პრუსიის შესახებ ტალეირანმა საიდუმლო

მოლაპარაკება გამართა კასლრთან და მეტერნიხთან. ასევე მან შეძლო საფრანგეთის, ინგლისის და ავსტრიის ერთობლივი დარაზმვა რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა, როგორც რუსეთისათვის, ასევე პრუსიისათვის ცნობილი იყო ტალეირანის ზარხვები. ამიტომ კონგრესის ტერიტორიული საკითხების კომიისის სხდომაზე ისინი ტალეირანის მონაწილეობის წინააღმდეგი გამოვიდნენ, ინგლისი და ავსტრია კი პირიქით, მხარს უჭერდენენ მის მონაწილეობას. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ავსტრიას და ინგლისს არ სურდათ პრუსიის სამეფოს გადასცემოდა საქსონია, რაშიც მათ საფრანგეთიც უჭერდა მხარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენაში შეკრებილ გამარჯვებული მხარის წარმომადგენლებს კონკრეტული მიზნები ქონდათ. ისინი არც კი ფიქრობნენ უარი ეთქვათ საკუთარ მიზნებზე. მაგ., ალექსანდერე I, რომლის ჯარები ევროპის ცენტრში იმყოფებოდა, არ ფიქრობდა მონაპოვრის დათმობას. მას სურდა შეექმნა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ვარშავის საერცოგო. ხოლო იმისათვის, რომ ამ საქმეში პრუსიის მეფე ფრიდრიხ III მხარდაჭრა მოეპოვებინა, მას საქსონიას დაჰპირდა. თავის მხრივ, ავსტრიას სურდა ნაპოლეონის მიერ წართმეული ტერიტორიების დაბრუნება და ამავე დროს არ დაეშვა რუსეთის და პრუსიის მნიშვნელოვანი გაძლიერება. პრუსიას კი, სურდა მიეღო საქსონია, მაგრამ ასევე სურდა დაეტოვებინა პოლონური მიწები. ინგლისი დაინტერესებული იყო სტატუს ქვოს შენარჩუნებით ევროპაში, არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება ევროპაში და მიეღწია საფრანგეთში ნაპოლეონამდე არსებული რეჟიმის აღდეგნა. საფრანგეთი მართალია, არ იყო დაინტერესებული რაიმე ტერიტორიის მოპოვებით, მაგრამ, ამავე დროს არც მას სურდა რომელიმე ევროპული სახელმწიფოს გაძლიერება სხვა სახელმწიფოების ხარჯზე.

მწვავე დისკუსიის ფონზე კონგრესის მონაწილეები შეთანხმდნენ საერთო პირინციპებზე, რომელსაც დაეფუძნა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მოდელი. ეს პრინციპები იყო:

პირველი, აუცილებელი იყო საფრანგეთის გარშემო ისეთი ბარიერის შექმნა, რომელიც ვითარების გართულების შემთხვევაში მისი იზოლირების საშუალება იქნებოდა;

მეორე, აუცილებელი იყო ძალთა იმ ბალანსის შენარჩუნება, რომელიც შეიქმნა ნაპოლეონზე მოკავშირეების გამარჯვების შედეგად;

მესამე, გადაწყდა, რომ ანტიფრანგული კოალიციის მონაწილე ქვეყნები ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის მიიღებდნენ კომპენსაციას;

მეოთხე, საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლად აღიარებულ იქნა ლეგიტიმიზმის პრინციპი.

ამ საერთო პრინციპების ბაზაზე გადაწყდა კონკრეტული საკითხები ომის შემდგომი მოწესრიგების შესახებ.

9 ივლისს რუსეთის, ავსტრიის, ესპანეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიის, პრუსიის და შვეციის წარმომადგენლებმა ხელი მოეწერეს ვენის კონგრესის „დასკვნით აქტს", რომელიც შედგებოდა 121 მუხლისა და 17 დანართისაგან. მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა:

საფრანგეთს ჩამოერთვა ყველა დაპყრობილი ტერიტორია, და მისი საზღვრები დაუბრუნდა 1790 წლისათვის არსებულ მდგომარეობას. საფრანგეთში აღსდგა ბურბონების დინასტია და ქვეყანაში დროებით დარჩა მოკავშირეთა ჯარები.

ავსტრიას დაუბრუნდა ლომბარდია და მიიღო ვენეცია იტალიის მცირე საერცოგოებთან ერთად. პრუსიას შეუერთდა რეინის ოლქი, პომერანია და ჩრდილოეთ საქსონია, ასევე კუნძული რიუგენი, დაუბრუნდა პოზნანიც. ინგლისმა კიდევ უფრო გააფართოვა მისი კოლონიური სამფლობელო ტობაგოს, ტრინიდადას, ცეილონის, მალტის, გვინეას და კაპსკის კოლონიების ხარჯზე.

ჰოლანდია და ბელგია გაერთიანდა ნიდერლანდების სამეფოდ, რომელსაც ლუქსემბურგიც შეუერთდა. დანიას გადაეცა შლეზვინგი და ჰოლშტაინი. აღსდგა პაპის ოლქი, ნეაპოლის სამეფო და შვეიცარია, გამოცხადდა ნეიტრალურ ქვეყნად, რომ-

ელსაც გარანტია კონგრესის მონაწილეე სახელმწიფოებმა მისცეს.

აღსდგა სარდინის სამეფო და რამდენადმე გაფართოვდა კიდეც მისი სამფლობელო. მას გადაეცა სავოია და ნიცცა. სანქცირებულ იქნა ნორვეგიის და შვეციის უნია.

ვენის კონგრესის მუშაობაში საკმაოდ დიდი ადგილი დაიკვა ორი ტერიტორიული საკითხის განხილვამ – პოლონეთის და გერმანიის.

1.1.2. გერმანიის საკითხი

ამ პრობლემასთან დაკავშირებით კონგრესის მონაწილეებს შორის განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ არსებობდა. ყველა წამყვანი სახელმწიფო დაინტერესებული იყო გერმანიის დანაწევრების შენარჩუნებით. შეიქმნა ე.წ. „გერმანიის კავშირი". რომელშიც გაერთიანდა 38 დამოუკიდებელი სახელმწიფო. საერთო გერმანულ საკითხებს წყვეტდა გერმანიის სეიმი, რომელშიც შევიდნენ პრუსია და ავსტრია, მაგრამ წამყვანი სახელმწიფოს როლი მასში ავსტრიას ეკავა. მეტერნიხის აზრით, ეს კავშირი უნდა ყოფილიყო ზღუდე საფრანგეთის ექსპანსიონისტური მისწრაფების გზაზე. სეიმი განთავსდა ფრანქფურტ–მაინში, და მას ხელმძღვანელობდა ავსტრიის წარმომადგენელი. ხმები ისე იყო განაწილებული, რომ ყველაფერს ავსტრიელები წყვეტდნენ. ამრიგად, ცალსახად ნათელი იყო რომ კავშირის მიზანი იყო არა გერმანელი ხალხის კონსოლიდაცია, არამედ მისი დანაწევრების შენარჩუნება.

1.1.3. პოლონეთის საკითხი

1804-1815 წლებში მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური შეტაკებების პერიოდში და ომის შემდგომი მოწესრიგების პირობებში ევროპულ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებინათ პოლონეთის საკითხი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით

ყურადღებას იქცევდა პოლონეთის მიწების გეოგრაფიული მდებარეობა, მისი სტრატეგიული დანიშნულება და მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი, რომელიც პოლონეთს შეეძლო ეთამაშა ევროპულ პოლიტიკაში. სხვათაშორის, პოლონეთის საკითხი დადგა არა მარტო ნაპოლეონის ომების დროს, არამედ იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხი იყო ვენის კონგრესზე.

ინგლისი შეეცადა მიეღწია, რომ პოლონეთის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩენილიყო, რათა იგი გამოეყენებინა თავისი დიპლომატიური ინტრიგებისათვის რუსეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვენის კონგრესზე ძირითადი წინააღმდეგობა წამყვან სახელმწიფოებს შორის არსებითად მჟღავნდებოდა პოლონეთის საკითხის განხილვის დროს.

იმდენად, რამდენადაც საფრანგეთს ყველაზე მეტად პრუსიის გაძლიერება აშფოთებდა, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა მას, ტალეირანმა ალექსანდრეს მიანიშნა, რომ საფრანგეთი არ დაუჭერდა მხარს ინგლისის და ავსტრიის წინადადებას, რომლებიც გამოდიოდნენ რუსეთის საზღვრებში ვარშავის საერცოგოს შექმნიის წინააღმდეგ, თუკი რუსეთი თავის მხრივ მხარს არ დაუჭერდა საქსონიის პრუსიისათვის გადაცემას. თუმცა, ალექსანდრე I დარწმუნებული იყო, რომ პრუსია მიიღებდა საქსონიას, ხოლო რუსეთი ვარშავის საერცოგოს, რომლის შემადგენლობში ის ასევე მოიაზრებდა ბელოსტოკის და ტარნაპოლის ოლქების შეყვნას.

ერთი მხრივ, მწვავე დაპირისპირებამ საქსონიის საკითხზე საფრანგეთს, ინგლისსა და პრუსიას შორის, და მეორე მხრივ, რუსეთის მხარდაჭერის დაპირებამ პრუსიისადმი, ეს უკანასკნელი აიძულა წასულიყო ალექსანდრე I-თან შემხვედრ ნაბიჯზე პოლონეთის საკითხში. საპასუხოდ 1815 წლის 3 იანვარს ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ დადეს საიდუმლო კონვენცია, რომელიც მიმართული იყო რუსეთის და პრუსიის წინააღმდეგ, რომ არ დაეშვათ საქსონიის პრუსიისათვის გადაცემა.

ამრიგად, სამი ევროპული სახელმწიფო საკუთარ თავზე ღებულობდა ვალდებულებას არ დაეშვათ ევროპაში საზღვრების შეცვლა, აქ, საქმე სწორედ საქსონიას ეხებოდა. პრუსიის მიერ საქსონიის ძალისმიერი გზით შეერთების შემთხვევაში ავსტრია, საფრანგეთი და ინგლისი მის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებით გამოვიდოდნენ. მოვლენების ამგვარმა განვითრებამ რუსული მხარე რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. რუსეთის იმპერატორი საკუთარ მიზანს კი აღწევდა, მაგრამ მისი მოკავშირე – პრუსია აუტსაიდერის მდგომარეობაში რჩებოდა. რუსეთს სამი ქვეყნის წინააღმდეგ გამოსვლა ან მათთან ომის წარმოება არ სურდა. შესაბამისად რუსული დიპლომატიაც ოპერატიულად მუშაობდა. კერძოდ, ალექსანდრე ავსტრიას დათანხმდა ტერიტორიულ დათმობას (როცა უარი თქვა კრაკოვზე, ველიჩკაზე, ავსტრიას გადასცა ტერნოპოლის ოლქი). შედეგად 1815 წლის 3 მაისს რუსეთს, პრუსიას და ავსტრიას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ვარშავის საერცოგოს შექმნის შესახებ.

ამრიგად, მეტერნიხმა მოახერხა მოეპოვებინა საფრანგეთის მხარდაჭერა და არ დაუშვა პრუსიის, როგორც რუსეთის მოკავშირის გაძლიერება. ამ გზით მან შეძლო წინააღმდეგობა გაეწია, რომ პრუსიას არ გადასცემოდა საქსონია. თუმცა ინგლის, საფრანგეთს და ავსტრიას შორის ხემოწერილი საიდუმლო ხელშეკრულება მალევე გახმაურდა, რამაც გავლენა მოახდნა ვენის კონგრესის შემდეგ მუშაობაზე.

საბოლოდ, პოლონეთის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთმა კონგრესზე ამ პრობლემისადმი მტკიცე პოზიცია დაიკავა, რაშიც მას საშულება მისცა მისმა სამხედრო ძალამ და იმ გადამწყვეტმა როლმა, რომელიც შესრულა ნაპოლეონის საფრანგეთის დამარცხებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგმა შეძლო იმ წინააღმდეგობების მის სასარგებლოდ გამოყენებამ, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებობდა, და რა თქმა უნდა, აქვე ხაზგასასმელია პოლონელი შლიახტების მხარდაჭე-

რის გამოყენებაც, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ალექსანდრე I გეგმას. გარიგების შედეგად პრუსიამ მიიღო ვარშავის საერცოგოს პოზანის და ბიგდაცის დეპარტამენტები, ავსტრიამ კი ველიჩის რაიონი. კრაკოვი მიმდებრე ტერიტორიით გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად ავსტრიის, რუსეთის და პრუსიის პროტექტორობის ქვეშ. დანარჩენი ტერიტორია შეუერთდა რუსეთს, რაც მთლიანობაში შეადგენდა პოლონეთის სამეფოს. 1815 წელს ალექსანდრემ პოლონეთს კონსტიტუცია დაუმტკიცა. ასევე რუსეთის შემადგენლობაში აღიარებულ იქნა მის მიერ ადრე შეერთებული ბესარბია და ფინეთი.

1.1.4. ვენის კონგრესის ეკონომიკური და დიპლომატიური საკითხები

ვენის კონგრესის გენერალური აქტი შეიცავდა მუხლებს, რომელიც ეხებოდა ევროპის ქვეყნების ურთიერთობების საკითხებსაც.

ტერიტორიული პრობლემების გარდა, ვენის კონგრესზე განხილულ იქნა რიგი დიპლომატიური და ეკონომიკური საკითხები. მაგალითად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1815 წლის 8 თებერვლიდან მონათავაჭრობის აკრძალვის შესახებ. ხელი მოეწერა კონვენციას თავისუფალი ნაოსნობის შესახებ ევროპის მდინარეებში, მიღწეულ იქნა შეთანხმება უცხოელი მოქალაქეების საკუთრების უფლების პატივისცემის შესახებ 1815 წლის 19 მარტს ხელი მოეწერა „დიპლომატიური წარმომადგენლობების რანგის შესახებ დებულებას". სხვათა შორის, იგი მოქმედებს დღემდე. მან დაასრულა დავა დიპლომატიურ კონფესიურობასთან დაკავშირებით. დებულების მიხედვით დადგინდა შემდეგი დიპლომატიური რანგები: ა) ელჩის და პაპის ლეგატი/ნუნცი. ბ) წარგზავნილი/მოციქული (1818 წლიდან ასევე შემოვიდა მინისტრ-რეზიდენტის რანგი. 3) რწმუნებული/ნდობით აღჭურვილი პირი. ყველა ეს სიახლე, ანუ როგორც მას უწოდებენ „ვენის რეგლ-

ამენტი” გახდა საერთაშორისო სამართლის ნორმები და საკმაოდ დიდხანს დამკვიდრდა დიპლომატიურ პრაქტიკაში.

1.1.5. ოსმალეთის საკითხი

კონგრესზე რუსეთი შეეცადა დაესვა საკითხი ოსმალეთის იმპერიასთან დამოკიდებულების შესახებ. მუჰამედ II არ დაუშვეს არც კონგრესზე და არც წმინდა კავშირში. გარდა რუსეთის, რა თქმა უნდა მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. 1815 წლის თებერვალში ალექსანდრე I-მა გამოსცა ნოტა ბალკანეთში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. რუსეთის იმპერატორი სთავაზობდა განეხილათ ბალკანეთის საკითხი კონგრესზე ვენაში, ასევე საკითხი ოსმალეთის იმპერიის მხეცური დამოკიდებულების შესახებ მისი მართლმადიდებელი ქვეშევრდომების მიმართ და ევროპულ სახელმწიფოებს შესთავაზა მოეპოვებინათ უფლება ჩარეულიყვნენ ოსმალეთის საქმეებში. რუსული დიპლომატია თვლიდა, რომ მოცემული ცირკულარი გაამყარებდა რუსეთის პოზიციებს ბალკანეთში, თუმცა დანარჩენმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ამ საკითხის განხილვაზე.

ამრიგად, ვენის კონგრესმა მიღებული გადაწვეტილებებთ ძირითადად განამტკიცა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში. კერძოდ, ევროპაში ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ. ვენის კონგრესის მონაწილეები მიიჩნევდნენ, რომ მათ მოახერხეს ევროპის ქვეყნებში ძველი წესრიგის აღდგენა და ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ახალ გამოწვევებთან მიმართებაში.

1.1.6. წმინდა კავშირის შექმნა

კონგრესზე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა წმინდა კავშირის შექმნის საკითხმა. ამ გაერთიანებით იქნებოდა მონარქი-

ული სახელმწიფოების ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა ევროპას რევოლუციური ძვრებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისაგან.

1815 წლის 26 სექტემბერს, პარიზში, ალექსანდრე I, ფრანც I და ვილჰემ III შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „წმინდა კავშირის შექმნის" შესახებ.

თავდაპირველად წმინდა კავშირი წარმოადგენდა ხელშეკრულებას რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას შორის ურთიერთდახმარების შესახებ. შემდეგ ამ გაერთაიანებაში სხვა ევროპული სახელმწიფოებიც შევიდნენ. მას არ შეურთდა მხოლოდ თურქეთი და დიდი ბრიტანეთი, რადგან ეს უკანასკენლი დაკავშირებული იყო კონსტიტუციურ ვალდებულებებთან. ამის მიუხედვად, ინგლისმა დაუდასტურა თავისი თანხმობა ალექსანდრე I წმინდა კავშირის პრინციპებისადმი.

წმინდა კავშირს, მის შექმნის ინიციატორების აზრით, უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი. ერთი მხრივ, იგი ევროპას დაიცავდა რევოლუციური და სხვა სახის რეყვებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, იგი იქნებოდა პოლიტიკური გარანტი, რომელიც გაერთიანებდა ყველა მის მონაწილეს არსებული წესრიგის და საზღვრების დაცვისათვის.

1815 წლის ნოემბერში წმინდა კავშირს შეუერთდა საფრანგეთის მეფე ლუი XVIII. შემდეგში მასში შევიდა ყველა ევროპულ სახელმწიფო. რაც შეეხება ინგლისს იგი უშუალოდ არ შესულა მის შემადგენლობაში, მაგრამ მონაწილეობდა მის მუშაბაში.

ვენაში შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობების ახალ მოდელს ჰქონდა როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ვენის სისტემა საკმაოდ სტაბილური და მყარი აღმოჩნდა. მისი წყალობით ევროპაში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოხერხდა დიდი ომების თავიდან აცილება. იმის მიუხედავად, რომ დრო და დრო წარმოიქმნებოდა სამხედრო კონფლიქტები, ვენის კონგრესზე შემუშავებეული მექანიზმების წყალობით საკამოდ სწრაფად

და დიდი დანაკარგების გარეშე ხდებოდა საკითხების მოგვარება.

მეორეს მხრივ, ვენის სისტემამ ნაკლებად გაითვალისწინა საფრანგეთის რევოლუციის იდეური გავლენა ევროპულ ცივილიზაციაზე. ლეგიტიმიზმის პრინციპი, ნაციონალური თვითშეგნების ზრდასთან ერთად, სულ უფრო და უფრო წინააღმდეგობაში მოდიოდა ლიბერალურ იდეებთან.

თავი II

საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში ვენის სისტემის პერიოდში

2.1. წინააღმდეგობები წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის

წმინდა კავშირის შექმნამ ვერ გადაწყვიტა ის წინააღმდეგობები, რომელიც არსებობდა ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის. ამ პერიოდში დაპირისპირების შემდეგი კერები გამოიკვეთა ევროპის კონტინენტზე.

პირველი, ავტრია-რუსეთის წინააღმდეგობა. ვენა საკამოდ შეშინებული იყო როგორც რევოლუციური მოძრაობებისგან, ასევე რუსეთის გავლენის ზრდით. ეს უკანასკნელი ავსტრიისათვის დიდ საფრთხესაც წარმოადგენდა. ვენას, ასევე აფრთხობდა, შესაძლო, რუსულ-ფრანგული კავშირი. მით უფრო, რომ, როცა საფრანგეთის მეფე გახდა კარლ X, ხოლო რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I, მათი დაახლოება კიდევ უფრო რეალური გახდა. თავის მხრივ, რუსეთსაც აშინებდა რევოლუციური მოძრაობა (დეკაბრისტების აჯანყება, პოლონეთის აჯანყება) და წმინდა კავშირის სხვა მონაწილე ქვეყნების გაძლიერება (მათ შორის ავსტრიის). ეს უკანასკნელის მხრიდან უნდობლობას ისიც აძლიერებდა, რომ ვენიდან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გაუთვალისწინებელი გადაწყვეტილებები;

მეორე, პრუსია-რუსეთის უნდობლობა. პრუსიის პოზიცია არ იყო სტაბილური. იქაც შიშობდნენ რევოლუციის საფრთხის და საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესაძლებლობის გამო. ამიტომაც, პრუსია ცდილობს ავსტრიასთან დახლოებას და რუსეთთან დაშორებას.

მესამე, წმინდა კავშირის ყველა წევრს კი თავის მხრივ ეშინოდა რუსეთის. ვინაიდან თვლიდნენ, რომ მას შეეძლო გაევრცე-

ლებინა თავისი ჰეგემონობა მთელს ევროპულ კონტინეტზე. ამ-
რიგად, წინააღმდეგობებმა თავი იჩინა წმინდა კავშირის არსებო-
ბის პირველსავე წლებში, რამაც იგი დააშორა მის თავდაპირვ-
ელ მიზანს ე.ი. რისთვისაც იგი შეიქმნა. შემდგომში განვითრე-
ბულმა მოვლენებმა, მართლაც, სერიოზულად გამოსცადა საერ-
თაშორისო ურთიერთობების ვენის სისტემის სიმტკიცე.

2.2. წმინდა კავშირი და ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები

2.2.1. წმინდა კავშირის პირველი კონგრესი

წმნიდა კავშირის არსებობის მანძლზე გაიმართა ოთხი კონ-
გრესი, სადაც მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები
განიხილებოდა.

1818 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ახენში მიმდინარეობდა
წმინდა კავშირის პირველი კონგრესი. მასში მონაწილეობდა რუ-
სეთის, ავსტრიის, პრუსიის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის
წარმომადგენლები. საფრანგეთმა ამ სხდომაზე მიაღწია გადაწ-
ყვეტილების მიღებას თავისი ტერიტორიიდან მოკავშირეთა ჯა-
რების გაყვანის შესახებ (რომელიც უნდა მომხადრიყო 1818
წლის 18 ნოემბრამდე) და მოახერხა სამ გამარჯვებულ სახელმ-
წიფოსთან შეერთება ანუ საფრანგეთი გახდა ამ ორგანიზაციის
სრულუფლებიანი წევრი. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის წმინ-
და კავშირში გაწევრიანებას ორგანიზაციის წევრი სახელმწი-
ფოები დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ. ჯერ კიდევ სექტემბერში
საფრანგეთმა თხოვნით მიმართა რუსეთს, ავსტრიას, პრუსიას
და დიდ ბრიტანეთს, რომ ოთხთა კავშირი გადაქცეულიყო ხუთ-
თა ორგანიზაციად. რუსეთმა ამ წინადადებაზე თანხმობა განაც-
ხადა. დანარჩენი ქვეყნები მერყეობდნენ გადაწყვეტილების მიღე-
ბაზე დ პასუხს აჭიანურებდნენ. ინგლისს არ სურდა საფრანგეთ-
რუსეთის დაახლოება. ხოლო ავსტრია და პრუსია საფრანგეთის

ამ ნაბიჯში გარკვეულ საშიშროებას ხედავდნენ. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1818 წლის 1 ნოემბერს ავსტრიის, პრუსიის, რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის შინაარსი სიტყვასიტყვით იმეორებდა 1814 წელს ამ სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს. ოთხმა სახელმწიფომ, კიდევ ერთხელ, დაადსტურა მათი კავშირი და აიღეს ვალდებულება აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო კოალიციის შექმნის შესახებ საფრანგეთში წესრიგის მხარდაჭერისათვის, თუკი იქ რაიმე ცვლილება მოხდებოდა. ხოლო ასეთი შეთანხმების მიღწევის შემდეგ წმინდა კავშირის წვერმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ.

ახენში ხელმოწერილ დეკლარაციაში წმნიდა კავშირის მონაწილეებმა საზეიმოდ დაადასტურეს მათი ერთობლივი მოქმედება და ერთიანობა მშვიდობის მხარდაჭერისათვის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ანუ ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს თავიანთი მზადყოფნა მიღებული გადაწყვეტილების დაცვის და განხორციელების შესახებ, რომელიც არსებული წესრიგის შენარჩუნებას ეხებოდა, ე.ი. არ დაუშვებდნენ რაიმე სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებას ევროპაში და ცალკეულ სახელმწიფოებში. ამ კონგრესზე ინგლისის დელეგაციის მცდელობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს შიდა საქმეებში უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ უკანასკნელის თხოვნის საფუძველზე და ისიც მოლაპარაკებებში მათი წარმომადგენლების მონაწილეებთან ერთად. სხვათაშორის, ინგლისის ეს ინიციატივა განპირობებული იყო ესპანეთის კოლონიებში მიმდინარე აჯანყებების გამო. ინგლისს არ სურდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ესპანეთის საქმეებში ჩარეულიყვენენ კოლონიების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესზე მწვავე დავა გამოიწვია ესპანეთისათვის ერთობლივი დახმარების გაწევის საკითხმა, რო-

მელიც აჯანყებულ კოლონიებს ებრძოდა. საფრანგეთი და ავსტრია მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ ესპანეთის მეფისათვის, მაგრამ ამ კუთხით ბევრი რამ ინგლისის პოზიციაზე იყო დამოკიდებული.

დიდმა ბრიტანეთმა, მიუხედვადა იმისა, რომ ხელი არ მოაწერა პროტოკოლს და ყოველთვის იყო კავშირის მხარეს, საბოლოდ ჩათვალა, რომ უნდა ემოქმედა მისი ინტერესების შესაბმისად. ეროვნული ბურჟუაზია მოითხოვდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. პრინც-რენეგატის გიორგის მმართველი წრეები ლორდ კესტლორის სახით მხარს უჭერდენ ეროვნული ბურუაზიის პოზიციას. ინგლისი არ იყო დაინტერესებული ესპანეთის კოლონიური იმპერიის შენარჩუნებით. ე.ი. თვითონ ცდილობდა შეეღწია ლათინურ ამერიკაში ავსტრიის და საფრანგეთის გაძლიერების საფრთხის გამო. საბოლოოდ, ინგლისმა მოახერხა დაებლოკა გადწყვეტილების მიღება ესპანეთისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. რადგანაც კონგრესს მიაღებინა ზემოთქმული გადაწყვეტილება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწტვეტილებას კავშირის მეორე კონგრესი შემდეგ გააუქმებს.

2.2.2. წმინდა კავშირის მეორე კონგრესი

მეორე კონგრესი ავსტრიის ინიციატივით გაიმართა 1820 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სილეზიის ქალაქ ტროპაში. მეტერნიხი მისი მოწვევისათვის 1920 წლის ზაფხულის ბოლოდან ემზადებოდა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ამ პერიოდში ევროპის პერიფერიაში იფეთქა რევოლუციამ (ესპანეთი, ნეპალი, პიემონტი). ავსტრიამ გადაწყვიტა გამოყენებინა რევოლუციური მოვლემენების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ნეაპოლიის სამეფოში არსებული მდგომარეობა იქ ავსტრიის ჯარების შეყვანისათვის.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I, ავსტრიის იმპერატორი, ფრა-

ნც I და პრუსიის მეფე ვილჰემ III, ასევე მრავალრიცხოვანი დიპ-ლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კონგრესზე სამმა ქვეყანამ – რუსეთმა, ავსტრიამ და პრუ-სიამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც პრინციპში ამართლებდა სამხედრო ჩარევას იმ ქვეყ-ნებში, სადაც მიმდინარეობდა რევოლუცია. ოქმში პირდაპირ იყო აღნიშნული წესრიგის აღსადგენად ავსტრიის ჯარების ნე-აპოლიის სამეფოში შეყვანის აუცილებლობის შესახებ. ავსტრი-ამ გამოიყენა აღნიშნული გადაწყვეტილება და ინტერვენცია გა-ნახორციელა აპენინის ნახევარკუნძულზე. ამრიგად, აღიარებულ იქნა ერთი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ჩარევის უფლება სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში რაიმე მოლპარაკებების ან თხოვ-ნის გარეშეც.

მართალია, ინგლისმა და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ ისინი არ გამოვიდოდნენ ნეაპოლიის სამეფოში ავსტრიის ჯა-რების შეყვანის წინააღმდეგ, ასევე აღიარეს, რომ მათვის მი-უღებელი იყო „ჩარევის პრინციპი" შეუზღუდავი სამხედრო ფორ-მით. აღნიშნული განწყობა გაითვალისწინა ალექსანდრე I და კონგრესის სხდომის ოქმში შეიტანა დებულება, სადაც აღნიშ-ნული იყო, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ნეაპოლიის სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა, იმისათვის რომ არ დაეშვათ ინფორმაციის გაჟონვა წმინდა კავშირის წევრებს შორის არსე-ბულ აზრთა სხვაობის შესახებ, გადაწყდა არ გამოექვეყნებინათ კონგრესის უარყოფითი ოქმი.

რევოლუციური გამოსვლები, ასევე აღინიშნა ესპანეთსა და პიემონტში. შემთხვევითი არ იყო, რომ მათი ჩახშობის და იქ ძველი რეჟიმის აღდგენის საკითხმა მთავრი ადგილი დაიკავა ამ კონგრესზე, ხოლო შემდეგ ლაიბახის კონგრესზეც.

2.2.3. წმინდა კავშირის მესამე კონგრესი

მესამე კონგრესი გაიმართა 1821 წლის ინავარ-მარტში ლაიბახში (ლიუბლიანა). სადაც კვლავ ის საკითხები განიხილეს, რაც მეორე კონგრსის მსვლელობის დროს. ამიტომ ხშირად მათ ერთადაც კი მოიხსენიებენ ტროპუ-ლაიბახის კონგრესად. ლაიბახში რუსეთის და ვსტრიის იმპერატორები და ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგნლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ნეაპოლიის მეფესთან და იტალიის სხვა სამეფოს მონარქებთან, ასევე რომის პაპათან. ამ კონკრესზე გადაწყდა ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა ნეაპოლიის სამეფოსა და ესპანეთში. შედეგად ნეაპოლში გაიგზვნა ავსტრიის ჯარები, ხოლო ესპანეთში საფრანგეთის. რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ, პიემონტში რევოლუციური სიტუაციის გამო, კვლავ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება წმინდა კავშირის პრინციპებისა და 1821 წელის 12 მაისს ხელმოწერილი დეკლარაციისადმი, რომელმაც დაასრულა მესამე კონგრესის მუშაობა.

2.2.4. წმინდა კავშირის მეოთხე კონგრესი და ე.წ. „მონროს დოქტრინა"

თუკი იტალიურმა სახელმწიფოებმა მოახერხეს რევოლუციური გამოსვლების ჩახშობა, ესპანეთსა და პორტუგალიაში პირიქით, რევოლუცია გრძელდებოდა. ამ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა წმინდა კავშირის მეოთხე კონგრესის მუშაობის მსჯელობის საგანი გახდა, რომელიც გაიმართა 1822 წლის ნოემბერში ვერონში.

თუმცა, მანმადე მოხდა მოვლენები, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდა საერთოევროპულ მდგომარეობაზე. ინგლისში 1922 წლის სექტემბერში კასლრის თვითმკვლელობის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჯ. კანინგი. ის ითავლისწინებდა მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს. კერძოდ, მსხვილი ბურჟუაზიის როლის გაძლიერებას და ამიტომ მათი ინტერესების დამ-

ცველად გამოდიოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ამ ფაქტორის გამოყენება ინგლისს დაეხმარებოდა წამყვანი პოზიცია დაეჭირა ევროპაში და მნიშვნელოვნად გაეზარდა საგარეო ეკონომიკური კავშიერები. ამის გარდა, იზრდებოდა უთანხმობაც წმინდა კავშირის წევრებს შორის. ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკას გარკვეული რყევა დაეტყო. იგი დამახასიათებელი იყო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თვისაც. შემთხვევითი არ იყო, რომ ერთდროულად რუსეთს ორი საგარეო საქმეთა მინისიტრი ჰყავდა. ერთი კ.ვ. ნესელროდი-კონსერვატორული შეხედულების ჩინოვნიკი და მეორე გრაფი ი.ა. კაპოდისტრი. ეროვნებით ბერძენი, გამოირჩეოდა ლიბერალური შეხედულებებით და გამოდიოდა აქტიური დახმარების პროპაგანდით ქრისტიანი ხალხისათვის თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვერონის კონგრესზე ინგლისს წარმოადგენდა ველინგტონი, რომელსაც კანინგმა მისცა მკაცრი მითითება ხელი არ მოეწერა არანაირ დოკუმენტზე, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა წმინდა კავშირის სახელმწიფოების ჯარების გაგზავნაზე ესპანეთში. ასევე, მას შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აღეკვეთა რუსეთის ნებისმიერი წინადადება, რომელიც შეეხებოდა თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლას. კონგრესზე რუსულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I, ავსტრიის იმპერატორი ფრანც I, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰემ III. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო იტალიის სახელმწიფოების მეთაურებმა, საფრანგეთის და სხვა სახლმწიფოების წარმომადგნლებმაც.

კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა საკამოდ გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე.კერძოდ, ესპანეთში რევოლუციური მოვლენების გამოძახილი, აჯანყება საბერძნეთში, რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის გამწვავება და ა.შ. ასევე განიხილეს საკითხი სამხრეთ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების ბედის შესახებ. რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ, რომლებსაც სურდათ სწრაფად ჩაეხშოთ აჯანყება და აღედგინათ მონარქია ესპანეთში, მიიღეს გადაწყვეტილება აქ საფრანგეთის ჯარების გა-

გზავნის შესახებ. ისინი ასევე გეგმავდნენ სამხედრო მოქმედებების გავრცელებას სამხრეთ ამერიკაში – ესპანეთის კოლონიებში.

1 დეკემბერს ხელი მოეწერა ვერონის ოქმს (ამ ოქმსაც არ შეუერთდა ინგლისი), რომელიც ითვალისწინებდა ესპანეთის მონარქისადმი სამხედრო დახმარების აღმოჩენას. 1823 წელს საფრანგათის არმია შეიჭრა ესპანეთში და იქ აღადგინა მონარქია.

ინგლისის განსაკუთრებული პოზიცია მდგომარეობდა შემდეგში: ლონდონში თვლიდნენ, რომ ნაციონალურ-განამთავისუფლებლ მოძრაობასთან ერთად რევოლუციური ტალღის შეჩერება რეპრესიული ღონისძიებებით შეუძლებელი იყო, პირიქით, თვლიდნენ, რომ მას კი არ უნდა შებრძოლებოდნენ, არამედ მხარი დაეჭირათ. ამ თეზისების შესაბამისად ინგლისმა აღიარა ახალი ლათინო ამერიკული ქვეყნების – მექსიკა, არგენტინა, პერუ - დამოუკიდებლობა და მკაცრად უარი თქვა ესპანეთში ინტერვენციის მხარდაჭერაზე.

სწორედ, ინგლისის ამგვარმა პოზიციამ ხელი შეუშლა ევროპული ქვეყნების სამხედრო ჩარევას ესპანეთის კლონიების შიდა საქმეებში. მიუხედავად კანინინგის წინააღმდეგ მეტერნიხის ინტრიგებისა, რომელშიც ინგლისის მეფე ჯორჯ IV იქნა ჩათრეული, ინგლისი საგარეო უწყების მეთაურმა მაინც მიაღწია თავისი გადწყვეტილების განხორცილებას. ამერიკის შეერთებული შტატბის ელჩის მეშვეობით მან შესთავაზა შტატების მთავრობას დაეკავებინათ ერთობლივი პოზიაცია ესპანეთის კოლონიებთან მიმართებით. ეს ყველაფერი კი იმით დმთვრდა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ჯ. მონრომ თავის თანამოაზრეებთან და მთავრობის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ 1823 წლის 2 დეკემბერს კონგრეს გაუგზავნა დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იყო შტატების პრინციპული პოლიტიკა დასავლეთის ნახევარ სფეროში. ეს პოლიტიკა ცნობილია როგორც „მონროს დოქტრინა”. იგი რეალურად გამოხატავდა ამერიკის და ევროპის წამყვანი ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგობას. დოქტრინაში ხაზგასმული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აცხ-

ადებს პრეტენზიას ევროპული სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჰარევაზე, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგი გამოდიოდა ევროპული სისტემის გავრცელებაზე როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ამერიკაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდა ევროპულ სახელმწიფოების რაიმე ჩარევას ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის საქმეებში და, თავის მხრივ, დააფიქსირა ნეიტრალური პოზიცია ესპანეთის კოლონიების მიერ მეტროპოლის წინაარმდეგ წამოებულ ომში. „მონროს დოქტრინის" გამოჩენამ ინგლისს საფუძველი მისცა შეეთავაზებინა გეგმა შტატების ხელისუფლებისათვის აჯანყებული კოლონიების მიმართ ერთობლივი სამოქმედო პოლიტიკის შემუშავების შესახებ. თუმცა ვაშინგტონმა მიანიშნა ლონდონს, რომ იგი დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატრებდა ამ კუთხით.

თავის დროზე, ამ დოქტრინამ ითამაშა დადებითი როლი, იმდენად, რამდენადაც იგი დაეხმარა ესპანეთის კოლონიებს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მან ასევე ხელი შეუწყო წმინდა კავშირის რყევას. წმინდა კავშირის ვერონიის კონგრესის მონაწილეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უარი ეთქვათ სამხედრო მოქმედებების ესკალაციის გეგმაზე ლათინურ ამერიკაში ესპანეთის ინტერესებისათვის.

ამრიგად, ვაშინგტონმა თავისთვის დაიტოვა შესაძლებლობა ჩარეულიყო ამერიკის კონტინეტის ქვეყნების შიდასაქმეებში. კერძოდ კი მხედველობაში იყო ლათინური ამერიკა. ასეთი მდგომარეობა ქმნიდა ბუნებრივ წინააღმდეგობას აშშ-სა და ინგლიის შორის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. უფრო მეტიც, შტატების ხელისუფლებამ „მონროს დოქტრინა" გამოიყენა, რომლის არსი ითვალისწინებდა ქვეყნის კეთილდღეობის და ძლიერების უწყვეტ კავშირს, მისი ტერიტორიულ გაფართოებისათვის საკუთარი პრეტენზიების დასასაბუთებლად, როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე შემდგომ მთელ მსოფლოში. „მონროს დოქტრინამ" ვაშინგტონს ობიექტურად ხელი შეუწყო გამოეყენებინა იგი სავაჭრო კავშირების სწრაფი განვითრებისათვის ეს-

პანეთის ყოფილ კოლონიებთან, რაც თავის მხვრივ ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ყველაფერი ეს აღრმავებდა ინგლის–ამერიკის წინააღმდეგობას.

ამრიგად, წმინდა კავშირის მეოთხე კონგრესზე აშკარად გამოიკვეთა წინააღმდეგობები ევროპულ სახელმწიფოებს შორის. ინგლისის მიზანმიმართული პოლიტიკა, სწორედ ამ ორაგნიზაციის წინაარმდეგ იყო მიმართული. ლათინურ ამერიკაში განვითარებული მოვლენები აშკარად აჩვენებდა წამყვან სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში სერიოზული ბზარის გაჩენას. თუმცა, როგორც შემდგომი განვითრებული მოვლენები ცხადყოფს, იგი არ გაღრმავებულა, რადგან გამოვლინდა ახალი რთული პრობლემა. ევროპულ პოლიტიკაში უკვე ამ დროიდან „აღმოსავლეთის საკითხი" იქცევს სერიოზულ ყურადღებას.

2.3. აღმოსავლეთის საკითხი ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში

2.3.1. საბერძნეთის საკითხი

XIX საუკუნე აღინიშნა აღმოსავლეთის საკითხის მკვეთრი გამწვავებით. იგი გახდა ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკაში თავისებური „განხეთქილების ვაშლი", რომელიც განსაზღვრავდა ევროპული სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთობების ხასიათს და მიმართულებას.

1821 წელს დაიწყო ბერძნების აჯანყება ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. თურქებმა აჯანყებულებს მკაცრი რეპრესიები დაატეხეს თავს. ევროპის დიდი სახელმწიფოები ვერ დარჩებოდნენ გულგრილნი ბერძნულ საკითსადმი, მიუხდავად იმისა, რომ იგი საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. ერთის მხრივ, ბერძნები აჯანყდნენ მათი საკუთარი მონარქის წინააღდეგ და, ამდენად დაარღვიეს ლეგიტიმიზმის პრინციპი. მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერია მოიცვა კრიზისმა, მას არ შეეძლო გაეკონტროლებინა

თავისი პერიფერიები. დადგა მისი სამფლობელოების გაყოფის საკითხი. იგი გართულდა იმ გარემოებებით, რომ ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ოსმალეთის იმპერიაში, განსაკუთრებით ქრისტიანული აღმსარებლობის, ცდილობდნენ შეექმნათ მათი დამოუკიდებლი სახელმწიფო. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო თურქეთის ტერიტორიულ დაყოფასთან, შავი ზღვის სრუტეების – ბოსფორის და დარდანელის რეჟიმის დადგენასთან, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში წამყვანი სახელწმიფოების გავლენის დაწესებასთან, წარმოადგენდა აღმოსავლეთის საკითხის ძირითად შინაარს XIX ს-ში.

აღმოსავლეთის საკითხისადმი ახალი მიდგომის შემუშავებისათვის პირველი ნაბიჯი გადაგა ინგლისმა. 1823 წლის 25 მარტს ინგლისმა აღიარა ბერძნები და თურქები ორ თანსაწორუფლებიან მებრძოლ მხარედ. უფრო მეტიც, ბერძნების აჯანყება კანონიერად აღიარა და ფაქტობრივად, აჯანყებული ბერძნების გათავისუფებული ტერიტორია დამოუკიდებელ სახლმწიფოდაც ცნო. როგორც კი ბერძნული საკითხი გახდა „აღმოსავლეთის საკითხის" შემადგენელი ნაწილი, ფაქტობრივად დიდმა ბრიტანეთმა თავისი მოქმედებით აიძულა გააქტიურებულიყო ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. ინგლისის ამ გადაწვეტილებამ კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა წმინდა კავშირს და რეალურად გამოაშკარავა აქამდე წლების განმავლობაში დამალული მტრობა ალექსანდე I და მეტერნიხს შორის. კანინიგის პოლიტიკამ, რომელიც მხარს უჭერდა აჯანყებულ ბერძნებს, ალექსანდრე I აიძულა ბევრად უფრო ფრთხილად და ყურადღებით მოპყრობოდა საბრძნეთში განვითარებულ მოვლენებს, რომელსაც ადრე მაინცდამაინც დიდი ყურადღებას არ აქცევდა. 1823 წლის ბოლოს რუსეთში შემუშვადა გეგმა საბერძნეთის სამ ნაწილად გაყოფის შესახებ, რომლებსაც უნდა მისცემოდა ავტონომია. ამავე დროს, ამ პროექტით გათვალისწინებული იყო, რომ უმაღლესი ხელისუფალი იქნებოდა სულთანი, რომელსაც იგი განახორციელბდა ევროპული სახელმწიფოების მეთვალყურეობის ქვეშ.

ბერძნული საკითხისადმი წინააღმდეგი გამოვიდა ავსტრია, მან აჯანყებულები ბუნტისთავებად მონათლა. ვენა ამით ბალკანეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებას ხედავადა. რუსეთის პოზიცია ერთგავრად გაორებული იყო. ვიანიდან, მართალია რუსეთს ჰქონდა სერიოზული ინტერესები ბალკანეთში, და რეალურად სახელმწიფო ინტერესები ბერძნების სასრგებლოდ ლაპარაკობდა, მაგრამ იდეოლოგიური (ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე) დოგმის კუთხით წინააღმდეგობაში მოდიოდა. ავსტრიისაგან განსხვავებით სხვაგვარდ ფიქრობდნენ ლონდონში. კანინინგს კარგად ესმოდა, რომ თავისუფალი საბერძნეთის არსებობა მომგებიანი იქნებოდა ინგლისისათვისაც და ამიტომ დაიწყო რუსეთან დაახლოების გზების ძიება. 1824-1825 წლებში ორი ქვეყნის პოზიციები საბერძნეთის საკითხზე სწარფად დაუახლოვდა. მაგრამ ალექსნადრე I ისე გარდაიცვალა 1825 წელს, რომ ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის გადაჭრა. სიტუაცია საბერძნეთში კი უარესდებოდა. სულთანმა ბალკანეთზე გადასხა ეგვიპტის ფაშის მეჰმედის არმიის ნაწილები, რამაც აჯანყებული ბერძნების მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

1826 წლის გაზაფხულზე რუსეთის ახლმა იმპერატორმა ნიკოლოზ I წამოაყენა აღმოსავლეთის საკითხის მისეული გააზრება: სიტუაცია ბალკანეთზე, ბერძნულის გამოკლებით, გამოაცხადა რუსეთის, ხოლო საბერძნეთის საკითიხი, ყველა წამყვანი ევროპული სახლმწიფოს საქმედ. ამ საფუძველზე გამოიკვეთა ბერძნული საკითხისადმი რუსეთის, ინგლისის და საფრანგეთის პოზიციების დაახლოება.

საფრანგეთის ელჩთან ლა ფეონტან შეხვედრაზე რუსეთის იმპერატორმა აშკარად მიანიშნა ელჩს, რომ იგი პირადად დანტერესებული იყო საფრანაგეთ-რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებით. ინგლისთან დაახლოებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ლონდონში რუსეთის ელჩი ლივენა და მისი მეუღლე, რომლებსაც მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ კანინიგთან. რუსეთის იმპერატორის მისწრაფებას ინგლისთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისათვის, განსაკ-

უთრებით ბერძნულ საკითხთან დაკავშირებით, აშკარად დადებითი რეაქცია მოყვა კანინიგის მხრიდანაც. ამ უკანასკნელმა პეტერბურგში გაგზავნა სპეციალური მისია ველინგტონის ხელმძღვანელობით, რომელსაც განსაკუთრებული რწმუნებულობა გააჩნდა ნიკოლოზ I-თან მოსალაპარაკებლად. კანინიგის დავალების შესრულების დროს ველინგტონს უნდა მოეხერხებინა შეთანხმების მიღწევა რუსეთთან ერთობლივი მოქმედების შესახებ თურქეთის წინააღმდეგ, რათა აეძულებინა თურქეთის ხელისუფლება არ დაეშვა ბერძნული მოსახლეობის განადგურება ნახევარკუნძულზე. ამგვარი აქციის წარუმატებლობის შემთხვევაში ინგლისი აუცილებლად თვლიდა, რომ რუსეთს ომი უნდა გამოეცხადებინა თურქეთისათვის. თუმცა არ უნდა მოხდარიყო იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობის ხელყოფა და სრუტეების დაპყრობა.

რუსეთის იმპერატორიის პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ სამხედო მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ, შესაძლებელი იყო მხოლოდ ინგლისთან ერთად. რაც შეეხება თურქეთის შემდეგ ბედს, იგი სამომავლოდ უნდა გადწყვეტილიყო.

ინგლისთან მოლაპარაკების პარალელურად რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთის მხარეს ულიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმის თანახმად უნდა აღედგინილიყო დუნაის სათავადოების ავტონომიური ინსტიტუტები (პოლიტიკურ, სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით) იმ სახით, როგორც ისინი არსებობდნენ 1821 წლამდე. დაებრუნებინა სერბებისათვის ყველა ის პრივილეგია, რომელიც მას მიეცა 1812 წლის ბუქარესტის ზავის საფუძველზე და ასევე, გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან ყველა დეპუტატი. თურქეთის მახარეს უნდა უზრუნველეყო თურქული დელეგაცის რუსეთის საზღვრებში ჩამოსვლა მოლაპარაკების საწარმოებლად. ამ მოთხოვნების შესრულებისათვის რუსეთი ომს გამოუცხადებდა თურქეთს.

აღნიშნული ულტიმატუმის გაგზავნის შემდეგ, 1826 წლის 4 აპრილს ხელი მოეწერა ინგლის-რუსეთის პეტერბურგის ოქმს, რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ საბერძნეთი უნდა გახდეს

განსაკუთრებული სახელმწიფო თავისი მთავრობით, კონსტიტუციით და კანონებით. სულთანი გათვალისწინებული იყო უმაღლეს სიუზერენად. ნიკოლზ I მიაღწია ჩაერთო სხდომის ოქმში პუნქტი იმის შესახებ, რომ თუკი თურქეთი უარს იტყოდა ინგლისის შუამდგომლობაზე ბერძნებისათვის მიცემული უფლების განხორციელებისათვის, მაშინ მხარეები იმოქმედებდნენ ერთობლივად ან ცალ-ცალკე. აღნიშნული პოტოკოლი საიდუმლოდ დაიდო ორ მხარეს შორის.

ლონდონში აღნიშნული შეთანხმება დადებითად აღიქვეს, თუმცა გარკვეული უკმარისობა დარჩათ. კერძოდ, კანინიგს კარგად ესმოდა, რომ ინგლისმა მარტო კი ვერ მიაღწია რუსეთის თურქეთთან ომში ჩათრევას, არამედ პირიქით, ყველასთვის ნათელი იყო, რომ სულთანი მუხამედ II არ იყო თანახმა დაეთმო თავისი იმპერიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაბამისად, შეთანხმების მიხედვით ინგლისი უნდა გამოსულიყო რუსეთის მხარდამხრ თურქეთთან ომში.

ვენაში მოვლენების ასეთი განვითარება შეაფასეს როგორც მორიგი დარტყმა წმინდა კავშირისადმი იმდენად რამდნადაც რუსეთი გამოდიოდა ინგლისთან ერთად, ხოლო კანინიგი უკვე დიდი ხანია გამოდიოდა აჯანყებული ბერძნების მხარდაჭერით.

რუსეთ-ინგლისის შეთანხმების დეტალები კონსტანტინეპოლისათვის ცნობილი გახდა. მოსალოდნელმა კონფლიქტმა მუხამედ II აიძულა მიეღო ულტიმატუმის პირობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინეპოლის ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო დროის მოგებით და არმიის ომისათვის მომზადებით. ამ მიზნით თურქეთის მხარე წავიდა რუსეთთან მოლაპარაკებებზე და პროვოცირება გაუკეთა რუსეთ-სპარსეთის ომს. მაგრამ სულთანი მოტყუვდა. ერთის მხრივ, მან ვერ შეძლო სამხედრო ძალების სრული მომზადება და მეორეს მხრივ, რუსეთმა დაამარცხა სპარსეთი.

1826 წლის აგვისტოდან აკერმანში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები. გამოიყენა რა თურქეთის მძიმე მდგომარეობა რუსულმა მხარემ, მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა. სა-

ბოლოოდ, 7 ოქტომბერს ხელი მოეწერა აკერმანის კონვენციას, რომელიც რუსეთს გარანტიას აძლევდა მფარველობაში აეყვანა დუნაის სათავადოები და სერბეთი. მოგვიანებით, ანტითურქულ და ინგლისურ-რუსულ კოალიციას საფრანგეთიც შეუერთდა. 1827 წლის 20 ოქტომბერს კოალიციის ერთობლივმა ესაკდრილიამ ბუხუტში ნავარინთან გაანადგურა თურქეთ-ეგვიპტის გაერთიანებული ფლოტი.

მოვლენების განვითარების ასეთი სცენარის შემდეგ თურქეთი დათანხმდა წამყვანი სახელმწიფოების მიერ წამოყენებული მოთხოვნების მიღებას, მაგრამ ამ პერიოდში განვითარებულმა რიგმა მოვლენებმა შეცვალ ბრწყინვალე პორტას პოზიცია. კერძოდ, ეს იყო ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწის კანინინგის სიკვდილი და რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წწ. ომი. ინგლისის დიპლომატიამ იმისათვის, რომ რუსეთი ჩამოეშორებინა ბალკანეთის საქმეებიდან, წააქეზა სპარსეთი შესულიყო რუსეთთან სამხედრომ კონფლიქტში. თუმცა, ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. 1828 წელს ხელი მოეწერა რუსეთსა და სპარსეთს შორის თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ირანმა უარი თქვა ყველა მის პრეტენზიაზე ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. რუსეთს დაუთმო აღმოსავლეთ სომხეთი (ერევნის და ნახიჩევანის სახანოები), აიღო ვალდებულება გადაეხადა 20 მილ. რუსული ვერცხლის ფული კონტრიბუცია, აღიარა რუსეთის უფლება კასპის ზაღვაში ფლოტის ყოფნის შესახებ და მხარი დაუჭირა მასში თავისუფალ სავაჭრო ნაოსნობას.

1828 წლის მაისში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. 1829 წლის 14 სექტემბერს ხელი მოეწერა ანდრიანოპოლის ზავს. მის საფუძველზე რუსეთმა მიიღო კუნძულები დუნაის დელტაში, შავი ზღვის სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან წმინდა ნიკოლოზის ნავსადგურამდე. ასევე, ახალციხე და ახალქალაქი. თურქეთმა აიღო ვალდებულება გადაეხადა 33 მილ. რუსული რუბლის კონტრიბუცია ოქროთი. რუსეთმა ბოსფორის და დარდანელის სრუტეებში მიიღო თავის-

უფალი ზღვაოსნობის გარანტია. რუსმა ვაჭრებმა თავისუფალი ვაჭრობის უფლება ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. სერბიამ, ვლახეთმა და მოლდავეთმა მიიღო ავტონომია. საბერძნეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი ცნო ევროპულმა საზოგადოებამაც, ხოლო 1830 წელს არაპირდაპირი კავშირით ანდრიანოპოლის ზავით თურქეთმაც.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებით განმტკიცდა რუსეთის გავლენა ევროპის სამხრეთით და ცალსახად აჩვენა ოსმალეთის და რუსეთის ძლიერების უთანაბრობა. ამან უბიძგა ნიკოლოზ I გადაეხედა თავისი პოზიციისათვის აღმოსავლეთის საკითხისადმი. ის მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთისათვის მის მეზობლად კარგი იქნებოდა სუსტი თურქეთის ყოფნა, რომელსაც შეიძლება უკარნახო ნებისმიერი პირობა. რუსეთის იმპერატორს არ სურდა მხარი დაეჭირა ოსმალეთის იმპერიის გაყოფის იდეისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში გაძლიერდებოდა ინგლისის და საფრანგეთის პოზიციები რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან.

ევროპის წამყვანი სახელმწიფოები მიიჩნევდნენ, რომ ვენის სისტემის სტაბილურობის მთავარი საფრთხე აღმოსავლეთის საკითხში იმალებოდა. თუმცა, 1830 წელს სოციალური უკმაყოფილების ტალღამ, რომელმაც ევროპის კონტინეტი მოიცვა, რამდენადმე შეცვალა ეს წაროდგენა. მიუხედვად ამისა, რევოლუციურმა ტალღამ ევროპაში ვერ შეძლო ვენის სისტემის საფუძველების ბოლომდე შერყევა.

2.4. რევოლუციური რყევები ევროპაში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე XIX ს-ის 30-იან წლების პირველ ნახევარში

აღმოსავლეთის საკითხის ევროპული პოლიტიკის სცენიდან დროებით უკანა პლანზე გადაწევას ევროპაში რევოლუციურმა აფეთქებებმა შეუწყო ხელი. საერთაშორისო ურთიერთობების

ვენის სისტემის შედარებით სტაბილურობის მიუხედავად რევოლუციური გამოსვლები ევროპაში გაგრძელდა თითქმის ოცი წლის მანძილზე – 1830 წლიდან 1848 წლის ჩათვლით და მას ზოგიერთ ქვეყანში პარალელურად თან მთავრობის შეცვლა სდევდა. რევოლუცია ისევ საფრანგეთიდან დაიწყო.

2.4.1. რევოლუცია საფრანგეთში

1830 წლის 25 ივლისს საფრანგეთის მეფემ კარლ X გამოსცა ორდონანსი* რომელმაც გააუქმა კონსტიტუცია. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი გამოსვლები. სამდღიანი ბრძოლების შედეგად პარიზში რევოლუციამ გაიმარჯვა. კარლ X იძულებული გახდა გაქცეულიყო. საფრანგეთის ტახტზე ავიდა ორლეანის ჰერცოგი ლუი ფილიპე I სახელით.

ნიკოლოზ I-მა სწრაფად მოახდინა რეაგირება სფრანგეთში მიმდინარე მოვლენებზე. თითქმის საქმე დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე მივიდა. რუსეთის იმპერატორმა განაცხადა, რომ არ შეუძლია ლუი ფილიპე აღიაროს საფრანგეთის მეფედ. მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუცია ნიდერლანდებში გავრცელდა, სადაც დედოფალი იყო ნიკოლოზ I და ანა პავლოვა, იმპერატორმა სცადა ორგანიზება გაეკეთებინა ევროპული სახელმწიფოების (რუსეთ-ავსტრია-პრუსიის) ერთობლივი სამხედო ინტერვენციისათვის საფრანგეთში. მაგრამ არც ვენამ და არც ბერლინმა არ მიიღო პეტერბურგის წინადადება. უფრო მეტიც, საფრანგეთის ელჩმა შეერთებულ სამეფოში თავადმა ტალეირანმა მიაღწია საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობების გაუმჯობესებას. ნიკოლოზ I ეს უსარგებლო სიჯიუტე მომავალში რუსეთს საკამოდ ძვირი დაუჯდა. ურთიერთობა საფრანგეთთან დიდხანს და ძირფესვიანად გაუარესდა. რუსეთს ჩამოშორდა ინგლისიც. რაც შეხება ავსტრიას, იგი ყოველთვის რუსეთის წი-

* მეფის ბრძანებულება საფრანგეთსა და ინგლისში. ზოგ ქვეყანაში კი სამართლებრივი აქტი, რომელსაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები იღებენ.

ნააღმდეგ იყო განწყობილი. პრუსიაც რუსეთის იზოლაციის პირობებში თავს არიდებს ყოველგვარ კონტაქტს ყოფილ პარტნიორთან. რუსეთს მალე პრობლემები მის საზღვრებში შეექმნება პოლონეთის აჯანყების სახით.

2.4.2. რევოლუცია პოლონეთში

1830 წლის 29 ნოემბერს რევოლუციური მოვლენები განვითარდა პოლონეთის სამეფოში – რუსეთის იმპერიის ავტონომიაში. პოლონეთის აჯანყებაში შეიძლება ორი ეტაპი გამოიყოს. პირველი 1830 წლის ნოემბრიდან 1831 წლის იანვრის ჩათვლით, როცა შეთქმულები თავს დაეხნენ მეფისნაცვლის სასახლეს – დიდ კნიაზს კონსტანტინე პავლოვიჩს და ხელში ჩაიგდეს არსენალი. მეფისნაცვალი იძულებული გახდა გაქცეულიყო. აჯანყებულებმა მიზნად დაისახეს პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. შექმნეს საკუთარი მთავრობა ადამ ჩარტორსკის ხელმძღვანელობით (რომელიც ალექსანდერე I-თან დაახლოებული პირი იყო). რუსეთის იმერატორმა უარი თქვა ამბოხებულებთან მოლპარაკებაზე წასულიყო. 1831 წლის 25 იანვარს პოლონეთის სეიმმა ნიკოლოზ I ჩამოაგდო პოლონეთის ტახტიდან. აჯანყების მეორე ეტაპი 1813 წლის იანვრიდან დაიწყო სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდა. ამ დროს რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო პოლონეთის გამოსვლის ჩახშობა.

პოლონეთის აჯანყების შემდგომი განვითარება გაართულა აჯანყებულთა საერთაშორისო მდგომარეობამ და ნიკოლოზ I-ის პოზიციების განმტკიცებამ. პოლონელი შლიახტების დამყრობლურმა მისწრაფებებმა ლიტვის, ბელორუსიიაა და უკარაინასთან მიმართებით ხელი შეუწყო რუსეთის წარმატებულ მოლაპარაკებებს დასაველთევროპელ დიპლომატებთან. მეფის მთავრობამ განაცხადა, რომ ამბოხებულებმა იარაღი აიღეს არა 1815 წლის ქარტიის დაცვის მიზნით, არამედ რუსული გუბერნიის მიტაცებისათვის. მეტერნიხმა და ფრიდრიხ ვილჰემ III დადეს კონვენცია რუსეთთან. იგი მიმართული იყო პოლონეთის წინა-

აღმდეგ. ინგლისს პოლონეთი არ აინტერესებდა. დასაწყისისათვის საფრანგეთს სურდა ერჩია რუსეთის ხელისუფალისათვის, რომ მას ამინისტია მიეცა ამბოხებული ქვეშევრდომებისათვის, დაემტკიცებინა პოლონელების კონსტიტუციური უფლებები და მათი გავრცელება ლიტვაზე, მაგრამ პოლონეთის ტახტიდან ნიკოლზ I ჩამოგდების შემდეგ, საფრანგეთმა უარი თქვა პოლონელების მხრდაჭერაზე. სხვათა შორის, პარიზში რამდენჯერმე ჩავიდა პოლონეთის დელეგაცია დახმარების მიღების თაობაზე. თუმცა, საბოლოოდ, პარიზი პეტერბურგთან ურთიერთობების გაუარესებას მოერეიდა და მხარი დაუჭირა რუსეთს ამბოხბულების წინაარმდეგ ბრძოლაში.

სტოჩკომთან და გროხოვთან პოლონეთის არმიის დამარცხების შემდეგ 1831 წლის 8 სექტემბერს რუსულმა არმიამ შტურმით აიღო პოლონეთის დედაქალაქი. აჯანყება ჩახშობილ იქნა. 1815 წლის პოლონეთის კონსტიტუცია ფაქტობრივად გაუქმდა. პოლონეთის მიწებზე განმათავისუფლებელი მოძრაობის აღკვეთის მიზნით რუსეთმა, პოლონეთმა და პრუსიამ 1833 წელს ხელი მოაწერეს კონვენციას სამფლობელოების ურთიერგარანტიების და პოლონეთის ეროვნულ-განამთავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეების გადაცემის შესახებ.

2.4.3. რევოლუცია ბელგიაში

პოლონეთში მიმდინარე რევოლუციის პარარელურად რევოლუცია დაიწყო ბელგიაში. ბელგიელი აჯანყებულები გამოვიდნენ ნიდერლანდების დაქვემდებარების წინაარმდეგ. 1830 წლის 4 ოქტომბერს რევოლუციის განვითარების შედეგად ბელგიის დროებითმა მთავრობამ მიღო გადაწყვეტილება ბელგიის ნიდელანდებისგან გამოყოფის შესახებ. შექმნილ ვითარებაში ნიდერლანდების მეფემ დახმარებისათვის ევროპულ სახელმწიფოებს მიმართა. მაგრამ მხოლოდ პრუსია იყო მზად გაეწია მისთვის სამხედრო დახმარება. ამგვარი გადაწყვეტილების კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა საფრანგეთი. რომელმაც განაცხდა, რომ

როგორც კი პრუსიის არმია გადალახვადა ბელგიის საზღვრებს, საფრანგეთი შეიჭრებოდა მის ტერიტორიაზე. ინგლისს კი სურდა რომ ბელგიაში მისი კანდიდატი მეფე ყოფილიყო. თუმცა, საფრანგეთის მეფეც ცდილობდა ბელგის ტახტზე დაესვა მისი შვილი ნეურსკის ჰერცოგი. ევროპის სახელმწიფოებმა არ დაუშვეს ლუი ფილიპეს შვილის ბელგის ტახტზე ასვლა. ბელგიის ნაციონალურმა კონგრესმა ტახტზე აირჩია პრინცე ლეაპოლ საქსონ-კობურსკი. მის კანდიდატურაზე ყველა ევროპული სახელმწიფო შეთანხმდა, გარდა საფრანგეთის.

1831 წლის 15 ნოემბერს ლონდონში რუსეთმა, ავსტრიამ, ინგლისმა, პრუსიამ და ბელგიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ბელგიის სამეფოს შექმნის შესახებ. განისაზღვრა ბელგიის საზღვრები, და იგი გამოცხადა მუდმივ ნეიტრალურ სამეფოდ. ხელშეკრულების ყველა მუხლის შესრულების გარანტად აღიარებულ იქნა რუსეთი, ინგლისი, პრუსია, საფრანგეთი და ავსტრია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი რევოლუციის შედეგები მოწესრიგებულ იქნა წამყვანი ევროპული სახელმწიფოების რაიმე დიდი შეტაკების გარეშე. რა თქმა უნდა, ევროპის პოლიტიკურმა რუკამ განიცადა სერიოზული ცვლილება: შეიქმნა ახალი სახელმწიფო-ბელგიის სამეფო. ამრიგად, რაღაც პერიოდში – 1832 წელს ევროპაში ვითარება მოწესრიგდა. პოლონეთის აჯანყება ჩახშობილ იქნა, ბელგიამ მიიღო დამოუკიდებლობა, საფრანგეთმა თვითონ შეძლო პრობლემების მოგვარება, ავსტრია ცალმხვრივად განაგებდა იტალიას და ა.შ. მცდელობა წმინდა კავშირის რეამინაციის ჩაიშლა.

ამრიგად, საერთო ევროპული რევოლუციური აფეთქება ჩახშობილ იქნა. ამის შემდეგ უკვე ბევრი ევროპელი პოლიტიკოსის აზრით, ვენის სისტემისათვის მთავარი საფრთხე უპირველესად იმალებოდა იმ გაურკვევლობაში და არასტაბილურობაში, რომელიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის მცდელობებთან.

2.5. აღმოსავლეთის საკითხის მორიგი გამწვავება საერთაშორისო ურთიერთობებში

2.5.1. თურქეთ-ეგვიპტის კრიზისი

აღმოსავლეთში მოვლენები მართლაც სწრაფად ვითარდებოდა. ამჯერად „აღმოსავლეთის საკითხმა" გამოვლინება თურქეთ-ეგვიპტის კრიზისში ჰპოვა. რუსეთ-თურქეთის ომში და ბერძნებთან ბრძოლაში თურქეთის დამარცხებამ სულთანის ქვეშევრდომები მიიყვანა იმ დასკვანამდე, რომ თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. ეგვიპტის ფაშა მეხმედ ალი, რომელიც უკვე დიდი ხანი მხოლოდ სიმბოლურად ემორჩილებოდა სულთანს, გადაწყვიტა ღიად დაპირისპირებოდა სტამბოლს. 1832 წელს მან დაკავა სირია. ხოლო მისმა შვილმა იბრაიმმა 1832 წლის 21 დეკემბერს კონტანთან გაანადგურა თურქთის არმია. თურქეთის სულთანი მუჰამედ II ცდილობს მოძებნოს შესაძლებლობა თავიდან აიცილოს სირიიდან თავდასხმა. თურქეთ – ეგვიპტის კრიზისის გარშემო გაჩაღდა დიპლომატიური ბრძოლა რუსეთს, ინგლის და საფრანგეთს შორის. ეს უკანასკენლი შეეცადა ეგვიპტის და სირიის მიტაცებას. ინგლისი ცდილობდა არ დაეშვა რუსეთის ჩარევა და ამ მიზნით შესთავაზა ავსტრიას გაეწია სამხედრო დახმარება თურქეთისათვის. თუმცა, მეტერნიხმა საღად შეაფასა არსებული ვითარება და მოერიდა რუსეთთნ ურთიერთობის გაფუჭებას, რომელსაც იგი სჭირდებოდა ევროპის ცენტრში რევოლუციური გამოსვლების წინააააღმდეგ საბრძოლველად. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს არ სურდათ რუსეთის მონაწილეობა აღმოსავლეთის საკითხის განხილვაში. მაგრამ მოვლენები დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის სურვილების საწინააღმდეგოდ განვითარდა.

რუსეთი, ეგვიპტესა და თურქეთს შორის კონფლიქტის წარმოქმნის მომენტიდან, სტამბოლს სამხედრო დახმარებას სთავაზობდა. ამ მიზნით ნიკოლზ I თურქეთში გენერალი ნ. მურავი-

ევი გაგზავნა, რომელმაც სულთანს შესთავზა, რომ ისეთი გავლენა მოეხდინა ეგვიპტის ფაშისათვის, რომ მას თავისი ჯარები უკან გაეყვანა. უარის შემთხვევაში რუსეთი ომს გამოუცხადება ეგვიპტეს. მაგრამ სულთანი არ ჩქარობდა პასუხის გაცემას.

სულთანის მდგომარეობა კი გაუარესდა. იბრაიმის ჯარებმა (ეგვიპტის ფაშის შვილი) განაახლა თავდასხმები სირიაზე. მისი ჯარები თურქეთის ჩრდილოეთისკენ დაიძრნენ. ოსმალეთის იმპერია დაშლის ზღრუბლზე იდგა. 1833 წლის თებერვალში თურქეთის ხელისუფლებამ დახმარებისათვის რუსეთის იმპერატორს ოფიციალურად მიმართა. ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში რუსული ფლოტი გაიგზავანა, რუსეთმა კონსტანტინოპოლის სანაპიროებთან 40 000 ჯარისკაციანი დესანტი გადმოსხა. ყურეებში ლონდონსა და პარიზში რუსული ფლოტის გამოჩენამ შეშფოთება გამოიწვია. კონსტანტინეპოლში მყოფი ინგლისის და საფრანგეთის ელჩებმა ყველა თავისი გავლენა გამოიყენეს, რათა მოეთხოვათ რუსული ჯარის გაყვანა ბოსფორის სანაპიროებიდან. ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ მათი მიზნისთვის, ამის გამო ინგლისმა და საფრანგეთმა კონტრზომები მიიღეს. მათ სულთანს წაუყენეს ულტიმატუმ რომ ისინი დატოვებდნენ კონსტანტინეპოლს. მაშინ თურქეთის ხელისუფლებამ ლონდონისა და პარიზისაგან მოითხოვა, რომ დახმარება გაეწიათ ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, არც პარიზი და არც ლონდონი არ ფიქროდნენ დახმარების აღმოჩენას. მათ სურდათ მხოლოდ ერთი - რაც შეიძლება სწარფად გასულიყო რუსული ფლოტი სრუტეებიდან. პარალელურად, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაიგზავანა ინგლისური და ფრანგული ესკადრილია. ეს კარგად დაინახა მუხამედ ალიმ, რომლის არმიამ გააგრძელა აქტიური შეტევა სულთანის წინააღმდეგ. სულთანის მდგომარეობა სულ უფრო და უფრი მძიმე ხდებოდა და ის იძულებული გახდა მიემართა კონსტანტინეპოლში რუსეთის წარმომადგენელ ბუტენევისათვის თხოვნით, რომ რუსეთის ფლოტს არ დაეტოვებინა სრუტეები.

დასავლეთევროპულმა სახელმწიფოებმაც კონტრზომები მიიღეს. საფრანგეთის და ინგლისის ელჩებმა მოახერხეს, რომ ეგვიპტის ფაშასა და თურქეთის სულთანს შორის შეთანხმება მიღწეულიყო. მათი მცდელობით 1833 წლის მაისში ხელი მოწერა თურქეთ-ეგვიპტის საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ეგვიპტის ფაშამ სულთანი თავის სუვერენად აღიარა და გაიყვანა საკუთარი ჯარები ანატოლიიდან, სანაცვლოდ მიიღო სირიის, პალესტინის და კილიკიის მმართველობა.

რუსეთის მხრიდან თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილება ერთის მხრივ, ნაკარნახევი იყო მეფის მთავრობის პოლიტიკური ხაზით ოსმალეთის იმპერიის სიმტკიცის შენარჩუნებაზე, მეორეს მხრივ კი, რუსეთის მისწრაფებით განემტკიცებინა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. 1833 წლის 8 ივლისს თურქეთსა და რუსეთს შორის დაიდო თავდაცვითი კავშირის შესახებ უნკიარ-ისკელესიის ხელშეკრულება. ეს იყო რუსული დიპლომატიის დიდი წარმატება ახლო აღმოსავლეთში. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ თურქეთი ჩაკეტავდა დარდანელს და არ შეუშვებდა შავ ზღვაში ევროპის წამყვანი ქვეყნის სამხედრო გემებს, რომლებიც ომის მდგომარეობაში იქნებოდნენ რუსეთთან. ხოლო ბოსფორი რუსული გემებისათვის ღია იქნებოდა. ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის პოზიციები ამ სტრატეგიული მნიშვნელობის რეგინში. მან ასევ საშუალება მისცა რუსულ მართლამდიდებლურ ეკლესიას შეეღწია წმინდა ადგილებზე, ასევე ხელშეკრულებამ შეასუსტა საფრანგეთის გავლენა რეგიონში.

ამ ხელშეკრულებას ლონდონიც და პარიზიც მტრულად შეხვდნენ. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა საპროტესტო ნოტები გაუგზავნეს რუსეთს, ამავე დროს ხმელთაშუაზღვაში თურქეთის სანაპირობთან სამხედრო ხომალდები შეიყვანეს. საპროტესტო ნოტაში აღნიშნული იყო, რომ თუკი რუსეთი განახორციელებდა სამხედრო ჩარევას თურქეთის შიდა საქმეებში, მაშინ პარიზი და ლონდონი იმოქმედებდნენ ისე, თითქოს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება საერთოდ არც არსებობდეს. საპასუ-

ხოდ რუსეთმა განაცხადა, რომ იმოქმედებდა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით. ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის მცდელობამ, გაეუქმებინათ ეს ხელშეკრულება, წარუმატებლად დასრულდა.

შემდეგ წლებში რუსეთის ურთიერთობები ინგლისთან და საფრანგეთთან კიდევ უფრო გაუარესდა. ეს განპირობებული იყო ობიქტური და სუბიეტური მიზეზებით. პირველი დაკავშირებული აღმოსავლეთის საკითხთან - თურქეთზე გავლენის მოპოვებასთან, მეორე, პიროვნულ სიმპატია-ანტიპატიაზე. ნიკოლოზ I არ მოსწონდა 1832 წელს დანიშნული დიდი ბრიტანეთის ელჩი პეტერბურგში სტრეტფორდ-კანინგი, რომელიც გამოირჩეოდა ანტირუსული განწყობილებებით.

2.6. ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგობები და ძალთა ახალი კონფიგურცია

XIX ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარში საბოლოდ ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთში წინააღმდეგობის ორი კერა. პირველი მდგომარეობდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობით სტამბოლზე გავლენის მოპოვებისათვის. მეორე ეხებოდა ინგლისურ-ფრანგულ კოლონიურ წინააღმდეგობებს ეგვიპტეში, სირიასა და ლიბიაში. რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგედ ახლო აღმოსავლეთში გამოვიდა ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც აძლიერებდნენ გავლენას სულთანის ხელისუფლებაზე, რამაც რაღაც მომენტში შეასუსტა კიდეც რუსეთის პოზიციები თურქეთში. ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობები არსებითად შეიცვალა და 30-იანი წლების ბოლოსათვის რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შენარჩუნებინა საკუთარი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. უფრო მეტიც, რუსეთის მმართველი წრეები არ ითმენდნენ სხვა სახელმწიფოების ჩარევას მის საერთაშორისო საქმეებში.

2.6.1. რუსეთის დაახლოება პრუსიასა და ავსტრიასთან. წმინდა კავშირის რეამინაციის მცელობა.

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე, რუსეთი სერიოზულ მოკავშირეებს ეძებს ევროპაში. ამის გამო იგი ცდილობდა ავსტრიასთან და პრუსიასთან დაახლოებას. გარკვეულწილად ამას ხელი შუწყო მეტერნიხმაც. ის ცდილობდა ევროპაში გაეერთიანებინა ავსტრიის, რუსეთი და პრუსიის ძალები რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისათვის გერმანიასა და ჩრდილოეთ იტალიაში. 1833 წელს მიუნხენში შედგა მონარქთა ყრილობა. რუსეთის იმპერატორი დაპირდა მეტერნიხს, რომ მხარს დაუჭერდა რევოლუციური მოძრაობის წინარმდგ ბრძოლაში იმ პირობით თუ ავსტრია არ წავიდოდა რუსეთის კონსტანტინეპოლის მიმართულებით წინ წაევის წინააღმდეგი. მაგრამ მეტერნიხს ეს პირობა ძალზედ სახიფათო მოეჩვენა ავსტრიისათვის და არ მიიღო ნიკოლოზ I წინადადება. რუსეთის ხელისუფლების მისწრაფებამ მწვავე რეაქცია გამოიწვია ინგლისშიც. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი პალმერსტონი შიშობდა, რომ რუსები აიღებდნენ კონსტანტინეპოლს. ის ოცნებობდა განეხორციელებინა მისი იდეა – უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების ბა და მასში ყველა ევროპული სახელმწიფოს თვას. ლმერსტონი იოვნებდა დაეკნინებინა რუსეთ-ქეთისლების ბა, რამდენადაც ის საქმეში რევლობის გარნტი იბოდა არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ინგლისი, საფრანგეთი და პრუსიაც.

მიუნხენში დაიდო რამდენმე კონვენცია. ავსტრია-რუსეთის კონვენციით, რომელსაც ხელი მოეწერა 18 სექტემბერს, საუბარია ოსმალეთის იმპერიის შენარჩუნებაზე არსებული დინასტიით. ორივე მხარე ვალდებულებას ღებულობდა ერთობლივად ემოქმედათ თურქეთთან მიმართებით სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში. ავსტრიასა და რუსეთს შორის მეორე კონვენციას ხელი მოწერა 19 სექტემბერს. იგი ეხებოდა პოლონეთის საზღვრებზე ურთიერთგარანტიებს და სახელმწიფო დამანშავების გადაცემას. იმ შემთხვევაში თუკი პოლონეთში ახალი აჯან-

ყება იფეთქებდა, ორთავე მხარე ვალდებულებას ღებულებოდა დახმარების აღმოჩენის შესახებ. პოლონეთის საკითხზე ანალოგიური კონვენციას ხელი მოეწერა ბერლინშიც რუსეთ-პრუსიას შორის.

მონარქთა ყრილობის ყველა მოანწილემ, ასევე წმინდა კავშირის მომხეებმა დაარღვიეს „ჩაურევლობის პრინციპი". ამისთვის მიუნხენში შეთანხმდნენ და 1833 წლის 15 ოქტომბერს ბერლინში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის. ხელშეკრულება თითეულ მონარქსა უფლებას აძლევდა შიდა ან გარე საფრთხეიის შემთხვევაში მიემართა დახმარებისათვის ავსტრიის, პრუსიის, რუსეთის ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსთვის. სახელმწიფოები შეიძლება ამოსულიყვნენ საკუთარი ინტერესებიდან, მიეღოთ ან უარეყოთ აღნიშნული თხოვნა. ამრიგად, სამმა მონარქმა საჯაროდ განაცხადა ყველა საჭირო ზომების მიღების აუცილებლობაზე იმ სახელმწიფოებისათვის ლაგამის ამოდებაზე, რომლებიც შეეცდებოდნე საერთო ბრძოლაში დახმარებაზე ხელის შეშლას. მოკავშირეებისათვის ასეთი სახელმწიფო ცხადდებოდა საერთო მტრად. მოცემული აქტი მეტყველებს სამი იმპერატორის მცდელობაზე წმინდა კავშირის აღდგენის შესახებ, თუმცა ბევრისათვის ცნობილი იყო, რომ მისი დრო დიდი ხანი წასულიყო.

2.7. თურქეთ-ეგვიპტის მეორე კრიზისი და ევროპული სახელმწიფოების პოზიციები.

XIX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთის საკითხმა კვლავ მიიპყრო ევროპის სახელმწიფოების ყურადღება. სადაც გაუარესდა ბრძოლა თურქეთის სულტანს მაჰმუდ II და ეგვიპტის ფაშას მუხამედ ალის შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტე-თურქეთის პირველი კრიზისის შემდეგ აღმოსავლეთში სიტუაცია გარკვეულწილად მოწესრიგდა, რაშიც გარკვეული როლი ევროპულმა ქვეყნებმა ითამაშეს. მათ შორის ავსტრიამ,

რომელსაც არ სურდა, რომ ევროპისათვის მძიმე პერიოდში რუსეთს თავისი ძალების მობილიზება მოეხდინა აღმოსავლეთში. მეტერნიხიც კი, რომელსაც ძალზედ უჭირდა რუსეთის მიმართ სიმპატიების გამოხატვა, ცდილობს პეტერბურგთან, ლონდონთან დ პარიზთან ურთიერთობების მოწესრიგებას. რუსეთს ასევე არ სურდა ურთიერთობების გაუარესება ინგლისთან და გერმანიასთან და ცდილობდა გამოეყენებინა ეს შესვენება თავის შიდაეკონომიკური და სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად. 1934 წლის 29 იანვარს რუსეთმა თურქეთთან ხელი მოაწერა კონვენციას, რომელმაც რამდენადმე შეამსუბუქა უნკიარ-ისკელსიის და სხვა ხელშეკრულებების მიხედვით კონსტანტინეპოლისათვის დაკისრებული პირობები. კონსტანტინოპოლი გათავისუფლდა კონტრიბუციის იმ ნაწილისაგან, რომელიც ჯერ კიდე გადახდილი არ ქონდა. რუსეთმა აიღო ჯარების გაყვანის ვალდებულება დუნაის სათავადოებიდან. ინგლისსა და საფრანგეთში უკმაყოფილებაც შესუსტდა. ორი ქვეყნის სამხედრო ფლოტი გაწვეულ იქნა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან. მოვლენების ამგვარი განვითარების მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ ევროპის სახელმწიფოების ყურადღება XIX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთისაკენ იქნა მიპყრობილი, სადაც თურქეთ-ეგვიპტის მეორე კრიზისი მომწიფდა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ თურქეთის სულტანს მაჰმუდ II-ს სურდა აეღო რევანში იმ მარცხის გამო, რომელიც მან განიცადა თავის ვასალთან ეგვიპტის ფაშასთან 1832-1833 წლების კონფლიქტის დროს. ექვსი წელი ემზადებოდა თურქეთი ეგვიპტესთან ომისათვის. 1839 წლისათვის ოსმალეთმა შექმნა იმ დროისათვის ყველაზე დიდი არმია, რომელმაც აპრილში დაიწყო სამხედრო მოქმედებები. მათ გადალახეს ევფრატი და დაიძრნენ ეგვიპტისაკენ. 1839 წელს დაიკავეს სირია. ხოლო 17 ივლის მაჰმუდ II-მ გამოაქვეყნა მანიფესტი ომის შესახებ.

აღნიშნულმა მოვლენებმა ევროპაში შეშფოთება გამოიწვია. პირველ რიგში ევროპის მონარქებს აშფოთებდათ, რომ ომი არ გავრცელებულიყო ევროპაში. ინგლისში, საფრანგეთში და ავსტ-

რიაში კარგად ახსოვდათ ჯერ კიდევ მოქმედი უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება, რომლის პირობები შეიძლება რუსეთს გამოყენებინა და დაეკავებინა კონსტანტინეპოლი. ლონდონი შეეცადა განესაზღვრა ნიკოლოზ I შესაძლო მოქმედებები და საფრანგეთს შესთავაზა რუსეთისათვის ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევა. პალმერსტონმა ლუი ფილიპეს მთავრობას შესთავაზე წინადადება დარდანელის სრუტეში გაეგზავნათ ფარგულ-ინგლისური სამხედრო ფლოტი, რათა კონსტანტინეპოლის მიმართულებით რუსული ფლოტის წამოსვლის შემთხვევაში შესულიყვნენ შავ ზღვაში. თუმცა ინგლისის ამ წინადადებას საფრანგეთი არ დაეთანხმა.

რაც შეეხება ავსტრიას, აქ მეტერნიხი ცდილობდა განეხორციელებინა თავისი იდეა და მოეწვია ხუთი წამყვანი სახელმწიფოს კონფერენცია, რომელიც მოახდენდა რუსეთის ცალმხვრივი მზრუნველობის რეჟიმის შეცვლას თურქეთზე ევროპის ქვეყნების კოლექტიური ძალებით. საფრანგეთმა მხარი დაუჭირა კონფერენციის მოწვევას. თავის მხრივ ნიკოლოზ I შეეცადა ინგლისთან ცალმხრივად დაემყარებინა კონტაქტი და მისთვის გარკვეული დათმობის ფასად შეენარჩუნებინათუნდაც გარკვეულად შემცირებული გავლენა თურქეთზე. ივნისის ბოლოს თურქეთიდნ ევროპულ სახელმწიფოებს ორი შეტყობინება მოუვიდათ, რომელმაც აიძულა ისინი უფრი ქმედითად ემოქმდათ. ეგვიპტის ფაშას მუხამედ ალის შვილმა იბრაიმმა, როგორც რამდენიმე წლის წინ, ბოლომდე გაანადგურა თურქეთის არმია სირიაში. რამდენიმე დღის შემდეგ კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა თურქეთის სულთანიც მუჰამედ II. ახალი სულთანი გახდა მისი მემკვიდრე აბდულ-მეჯიდი. იბრაიმმა მამის ბრძანებით შეაჩერა ეგვიტის ჯარების გადადგილება სირიაში. იმავდროულად ფრანგების დახმარების არ აღმოჩენის გამო, თურქეთის ფლოტის უფროსი ახმედი გატაცებული ხომალდებით სრუტის გავლით გაიქცა. მოკლე დროში თურქეთი ფლოტისა და არმიის გარშე დარჩა.

ლუი ფილიპის მთავრობამ გადაწყვიტა სხვა ევროპული სახელმწიფოებისათვის ანგარიში არ გაეწია და განემტკიცებინა თავისი პოზიციები აღმოსავლეთში. თუმცა ფანგების ჩანაფიქრი ლონდონისათვის ცნობილი გახდა, სადაც რევანშის აღება გადაწყვიტეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამის გამო შეინიშნება ინგლის-რუსეთის დაახლოების ტენდენცია. კერძოდ, XIX ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებისათვის, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლეთის საკითხისადმი გამოვლინდა ახალი ტენდენცია. იგი დაკავშირებული იყო რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების შესუსტებასთან თურქეთში, რის გამოც რუსეთი შეცდომით შეეცადა წასულიყო შეთანხმებაზე დიდი ბრტანეთთან და მასში ეპოვნა მოკავშირე ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტისათვის. ერთადერთი, რაც ამ ორ სახელმწოფოს აერთიანებდა მაშინ, ეს იყო მათი შეთანხმებული მოქმედება საფრანგეთის დასუსტებისათვის.

1840 წლის 15 ივლისს ლონდონში ხელი მოეწერა კონვენციას ინგლისს, რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას შორის. რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის სულთანის ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას ეგვიპტის ფაშის წინააღმდეგ. რეალურად კი იგი მიმართული იყო საფრანგეთის და ეგვიპტის წინააღმდეგ. ეს იყო ინგლისური დიპლომატიის გამარჯვება და ინგლის–რუსეთის დაახლოებაში ახალი კურსის დასაწყისი. ოთხი სახელმწიფო შეთანხმდა რომ მოახდენდნენ როგორც დიპლომატიურ, ასევე სამხედრო გავლენას მუხამედ ალიზე. კონვენციაში აღნიშნული იყო, რომ თუკი მუხამედ ალი გაგზავნიდა თავის ქვეით და საღვაო ძალებს კონსატნტინეპოლში, მაშინ კონვენციის ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან იმოქმედონ თურქეთის ტახტის დაცვისათვის. კონვენციაში ასევე საუბარი იყო სრუტეებზეც, რომელიც ერთობლივი დაცვის საგნად გამოცხადდა. არსებითად ეს კონვენცია იყო უნკიარ-ისკელიის ხელშეკრულების პირობების შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონვენციას ხელი სფრანგეთის გარეშე მოეწერა. მხოლოდ 17 ივლისს ლონდონმა აცნობა საფრანგეთის ელჩს გიზოს, კონვენციის ხელმოწერის

შესახებ. ამასთან, მისთვის არ გაუცნიათ კონვენციის სრული შინაარსი. ცხადია, ლონდონში ხელმოწერილი კონვენციისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. როცა პარიზში მის შესახებ გაიგეს, მას უარყოფითი რეაქცია მოყვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი პარიზის გვერდის ავლით, საიდუმლოდ დაიდო, მეორე იგი მიმართული იყო მუხამედ ალის წინააღმდეგ და შესაბამისად, საფრანგეთის ინტერესების წინაღმეგაც, ვინაიდან პარიზი დიდი ხანია ოცნებობდა ეგვიპტესა და სირიაზე გავლენის დამყარებას. პეტერბურგში გახარებული იყვენენ. შექმნილი ვითარება ნიკოლოზ I-მა შეაფასა როგორც საფრანგეთსა და ინგლისს შორის ურთიერთობების გაცივება და შეეცადა განემტკიცებინა კავშირი ინგლისთან ანტიფრაგულ პოზიციაზე. თანდათან ვნებები ჩაცხრა და 1840 წლის კონვენციას მოყვა 1841 წლის მეორე ლონდონის კონვენცია, სადაც უკვე საფრანგეთი, რუსეთი, დიდ ბრიტანეთი, ავსტრია და პრუსია ერთობლივად თურქეთთან ახალ კონვეციას აწერენ ხელს. იგი ეხებოდა ყურეების დაკეტვის პრინციპებს. კერძოდ, მშვიდობიანობის დროს სრუტეები დაკეტილია ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. მაგრამ თურქეთმა მიიღო უფლება გაეცა ნებართვა მსუბუქი ხომალდების გადადგილებისათვის სრუტების გავლით, რომლებიც ეკუთვნოდა მეგობარ სახელმწიფოებს. მოვლენების ამგვარი განვითრებით ნიკოლოზ I მთავრი ის დაინახა, რომ აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში საფრანგეთი უკვე აღარ თამაშობდა გადამწყვეტ როლს. პარიზში კარგად გაიგეს, რომ მას არ შეეძლო ოთხი წამყვანი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლა. ამიტომ შეწყვიტეს მუხამედ ალის მხარდაჭერა. მთლიანობაში კონვენცია ნათლად აჩვენებდა ოსმალეთის იმპერიის დასუსტებას, მის უძლურებას შეენარჩუნებინა სრუტეები მის კონტროლს ქვეშ. იგი ასევე მეტყველებდა რუსეთის დასუსტებას და აყენებდა საგრძნობ დარტყმას როგორც შავი ზღვის წამყავანი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას.

ამრიგად, 1840-1841 წლების ლონდონის კონვენციებმა რუსეთს ჩამოართვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური

უფლებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას არ სურდა ამას შეგუებოდა და გამოსავალიც მალე ინახა შექმნილ სიტუაციაში. კერძოდ, ხელი შეეწყო რეგიონში რუსული მართლამდიდებელი ეკლესიის პოზიციების გაძლიერებისათვის, რომლის უფლებებიც შეზღუდული იყო, თუმცა იყო შესაძლებლობა მხარი დაეჭირათ მართლმადიდებლებისათვის პალესტინაში. ლონდონის ტრაქტატებმა რადიკალურად შეცვალა ცხოვრების პიროებები პალესტინაში, რომელზეც ახლა დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი. ეგვიპტელი მუჰამედ ალი იძულებული გახდა დაეტოვებინა პალესტინა, რომელიც 1840 წლის ლონდონის კონვენციის მიხედვით თურქეთს დაუბრუნდა. ამ მომენტიდან ახლო აღმოსავლეთის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, და წმინდა ადგილების პრობლემა მოექცა მრავალი საერთაშორისო პროექტის კუთხის არეალში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთის ქრისტიანებისადმი მფარველობის მიღებას ამა თუ იმ ხელიდან.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა დათმო მისი პოზიციები ქრისტიანული მოსახლეობის დაცვის კუთხით აღმოსავლეთში, მისი ადგილის დაკავებას დროდადრო ცდილობნენ ყველა წამყავნი სახელმწიფო.

უნდა აღნიშნოს, რომ აღმოსავლეთის საკითხის განხილვა ამ შეთანხმებით დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. პირიქით, დიპლომატიურ ურთიერთობებში იგი აქტიურად განიხილებოდა. ამ კუთხით კვლავ აქტიურობდა რუსეთი, და შემთხვევითაც არა. ვინაიდან ლონდონის კონვენციებმა მას გარკვეული გავლენა დაუკარგეს თურქეთზე. რუსეთი განვითარებულმა მოვლენებმა დაარწმუნა, რომ აღმოსავლეთის საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის აუცილებელი იყო ლონდონთან და ვენასთან გარკვეული შეთანხმების მიღწევა. სხვათა შორის, თურქეთ-ეგვიპტის მეორე კრიზისის დროს აშკარად გაჩნდა გარკვეული ნიშნები რუსეთ-ინგლისის დაახლოებისათვის. ლონდონის ანტიფრანგულმა პოზიციამ რუსეთს აფიქრებინა ინგლისთან დაახ-

ლოება. 1844 წლის მაისში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I ლონდონს ეწვია. განსახილველ სკითხთა შორის ერთ-ერთი მთავრი იყო თურქეთის შესახებ საკითხი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრთან ჯ. ებერდინთან გამათული საუბრის დროს ნიკოლოზ I აღნიშნა, რომ თურქეთი მომაკვადავ ადამიანს გავს. ნიკლოზ I თვლიდა, იმისათვის რომ თურქეთმა დაიჩოქოს, საკმარისია რუსული არმიის წინ წაწევა. მისი აზრით ანალოგიურად შეიძლება გააკეთოს ავსტრიამ.

ნიკოლოზ I, როცა ხაზს უსვამდა საფრანგეთის ინტერესების შესახებ ეგვიპტესა და სირიაში, შესთავაზა ლონდონს დაედოთ კავშირი და განსაზღვრული შეთანხმება იმის შესახებ თუ ვინ და რას მიიღებდა თურქეთის დამარცხების შემთხვევაში. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. პილმა განაცხადა, რომ თურქეთის სამომავლო დაყოფის შემთხვევაში ინგლისი არ დაკმაყოფილდებოდა ეგვიპტის მიღებით. ლონდონიდან პეტერბურგში დაბრუნებული ნიკოლოზ I შეეცადა ზეპირი შეთანხმებები წერილობით შეთანხმებად ექცია. მაგრამ ასეთი მსჯელობა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებეული. 1846 წლის ზაფხულში ლონდონში მინისტრთა კაბინეტის შეცვლის შედეგად საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჯ. როსელი, სტატს (სახემწიფო)-მდივანი ჰ. პალმერსტონი. ეს უკანასკნელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის გავლენის ზრდას ევროპულ საქმეებში და არ სურდა მისი გაძლიერება აღმოსავლეთში.

მოგვიანებით, 1846 წლის დეკემბერში, ვენაში თურქეთი კვლავ გახდა განხილვის საგანი. აქ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I შეხვდა ავსტრიის კანცლერს მეტერნიხს. შეხვედრაზე რუსეთის იმპერატორმა პირდაპირ განაცხადა, რომ თურქეთის დაცემის შემთხვევაში ის კონსტანტინოპოლს არავის დაუთმობდა.

ამრიგად, XIX ს-ის 30-იან წლებში ე.წ. აღმოსავლეთის საკითხი კვლავ აქტუალურად განიხილებოდა ევროპულ სახელმწიფოთა ურთიერთობებში. გამოიკვეთა თითეული სახელმწიფოს კონკრეტული მიზანდასახულობა. საერთო ჯამში კი ამ საკითხმა

ევროპაში წინააღმდეგობის ახალი კერა გამოავლინა, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთის მხრივ, რუსეთის და ევროპის სახელმწიფოები, მეორეს მხრივ, საფრანგეთი და რუსეთ-ინგლისი. არც ერთ მხარეს არ სურდა არანაირ დათმობაზე წასვლა და რომელიმე მხარის მიერ გავლენის უპირატესობის მოპოვება კონსტანტინოპოლზე. ამდენად აღმოსავლეთის საკითხი კვლავ აქტუალური იყო თურქეთის დასუსტების და მოსალოდნელი დაშლის პირობების ფონზე.

უნდა ითქვას, რომ ევროპაში აღმოსავლეთის საკითხის კვალდაკვალ არანაკლებ მნიშვნელობას იძენდა რევოლუციური მოძრაობის ახლი აფეთქების საშიშროების პრობლემა, რომელსაც არანაკლებ დიდი გავლენა ქონდა საერთაშორისო ურთიერთობებზე და ახდენდა ძალთა ახალ გადანაწილებას კონტინენტზე. ასე მაგალითად, პრუსია და ავსტრია რევოლუციური მოძრაობიის გააქტიურების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო ცდილობდნენ რუსეთთან დაახლოებას, რადგანც თვლიდნენ, რომ მხოლოდ რუსეთს შეეძლო აღეკვეთა ევროპაში რევოლუციური მოძრაობა. 1848 წელს ევროპის ქვეყნებში აქტიური რევოლუციური გამოსვლები დაიწყო და ასეთ პირობებში რუსეთმაც ევროპის ჟანდარმის ფუნქციები შეიძინა.

2.8 1848 წლის რევოლუციური მოძრაობა ევროპაში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე

2.8.1. რევოლუციური გამოსვლები ევროპაში

ვიდრე პოლიტიკოსების და დიპლომატების ყურადღება მიპყრობილი იყო აღმოსავლეთის საკითხისადმი, თვით ევროპაში ხდებოდა სერიოზული ძვრები. ინდუსტრიული ურთიერთობების მშფოთვარე განვითარება წავიდა მსხვილი სამრეწველო რაიონების მოწყობისაკენ, როგორიცაა მაგალითად რური, ელზასი, საარი, სილეზია. სამრეწველო პოტენციალის ზომა ახლა უკვე

პირადპირ დაკავშირებული იყო სახელმწიფოს ძლიერებასთან. სწორედ ის რეგიონები, სადაც კონცენტრირდებოდა ძირითადი სამრეწველო პოტენციალი, ხდებოდა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ მოექციათ ისინი მათი მუდმივი კონტროლის ქვეშ. სამრეწველო გადატრიალებამ წარმოშვა პრინციპულად ახალი პრობლემები, რომელთა ეფექტურ გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო სახელმწიფოს შიდა სტაბილურობა, და შესაბამისად, მათი შესაძლებლობა საერთაშორისო არენაზე. ყველა წამყავნი სახელმწიფოს წინაშე მთელი სახით დადგა ახალ პირობებთან ადაპტაციის პრობლემა, და რამდენად წარმატებულად გადაწყვეტდნენ მას, იმდენად იყო დამოკიდებული მათი ურთიერთობის ხასიათი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და თვით ამ სახელმწიფოს სამომავლო ბედიც.

1848 წელი ევროპის მასშტაბით აღინიშნა მძლავრი რევოლუციური გამოსვლებით, რომელმაც წარმოქმნა მთელი რიგი სერიული კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

1848 წელს საფრანგეთში დაიწყო რევოლუცია. 22 თებერვალს პარიზში დაიწყო გამოსვლები, ხოლო უკვე მარტში იგი გავრცელდა ავსტრიის იმპერიაში, პრუსიაში და გერმანული კავშირის ყველა სახელმწიფოში. მეტერნიხი ვენიდან გაიქცა, ხოლო იმპერატორი ფერდინად I ტახტიდან გადაგა, მისი მეკვიდრე გახდა თვარამეტი წლის ფრანც-იოსები. 15 მარტს დაიწყო რევოლუცია უგრეთში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ 18-19 მარტს აჯანყდა ბერლინი. 1848-1849 წლების გარკვეულ პერიოდში დიპლომატიამ მეორე პლანზე გადაინაცვლა საერთაშორისო ურთიერთობებში და მისი ადგილი შეიარაღებულმა ბრძოლამ დაიკავა. რევოლუციის შედეგად საფრანგეთში დაამხეს მონარქია და რესპუბლიკა გამოაცხადეს.

1848 წლის 14 მარტს გამოვიდა ნიკოლოზ I მანიფესტი, რომელიც მიმართული იყო დასავლეთ ევროპელი რევოლუციონერების წინააღმდეგ. ასევე რუსეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ლუი ნაპოლეონი. თუმცა, ქვეყნაში რესპუბლიკურმა წყობამ მხოლოდ ოთხი წელი იარსება. მოგვიანებით, საფრანგეთი ისევ გახდა იმპერია. თუმცა, მოცემულმა პროცესებმა ხელი ვეღარ შეუწყო ორ იმპერიას (რუსეთი და საფრანგეთი) შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. ამ ყველაფერმა ვერ შეძლო რევოლუციური მოძრაობის შეჩერება ევროპაში.

1848 წლის მარტში შლეზვინგმა და ჰოლშტაინმა სცადა დანიიდან გამოყოფა. პრუსია შეეცადა თავის ეგიდით შეექმნა ჩრდილოეთ გერმანული სახელმწიფოების უნია, რამაც მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ პრუსიამ ვერ შეძლო მისი მიზნის განხორციელება, გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობდა.

2.8.1. ავსტრია-გერმანიის ურთიერთობები

რევოლუციურმა გამოსვლებმა გარკვეული ცვლილება შეიტანა ავსტრის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების ურთიერთობებში. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციური მოვლენები გერმანულ სახელმწიფოებში და იტალიაში აიძულებდა ავსტრიის ხელისუფლებას შეესუსტებინა გავლენა აჯანყებულ უნგრელებზე და ჯარის ნაწილები გადაესროლა ჩრდილოეთ იტალიასა და რეინის მიმართულებით. გერმანიის გაერთიანების ლოზუნგით პრუსიის ეგიდით რევოლუციური მოძრაობა გერმანულ მიწებზე მიმდინარეობდა. რევოლუციის მოწინააღმდეგენი კი მიიჩნევდნენ გერმანული ქვეყნების გაერთიანებას ავსტრიის გარშემო. ასეთ რთულ პირობებში გერმანულ სახელმწიფოებში ჩატარდა ნაციონალური კრების არჩევნები, რომლის პირველი სხდომა გაიმართა 1848 წლის 18 მაისს ფრანქფურტ-მაინში. ავსტრიის ახლმა პრემიერ მინისტრმა შვარცენბერგმა 27 ნოემბერს ფრანკფურტის პარლამენტს გაუგზავნა ნოტა, სადაც აღნიშნული იყო: პირველი, ავსტრიის მიზანს წარმოადგენს ავ-

სტრიის იმპერიის უნიფიკაცია; მეორე, იგი აღიარებდა გერმანიის იმპერიის მომავლ კონსტიტუციას იმ პირობით თუ იქ გათვალისწინებული იქნება ავსტრიის იმპერატორის უფლებები შეიტანოს მასში ცვლილებები.

ბუნებრივია ამ ნოტამ ბევრად გააურესა ურთიერთობები გერმანულ კავშირსა და ავსტრიას შორის. უფრო მეტიც, გაზარდა პრუსიის როგორც გერმანიის იმპერიის შექმნის ცენტრის როლი. სწორედ, ამ პერიოდიდან იწყებს თავის მოღვაწეობას გამოჩენული გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე ოტო ფონ ბისმარკი.

ასეთ რთულ ვითარებაში ხდება რუსეთ-ავსტრიის დაახლოება.

2.8.3. ავსტრია-რუსეთის ურთიერთობები

ევროპის ცენტრში სიტუაცია კიდევ უფრო გაურესდა მას შემდეგ, რაც ავსტრიის იმპერიის სხვადსხვა ნაწილებში იფეთქა რევოლუციურმა მოძრაობამ, რამაც ქვეყნა დაშლის საფრთხის წინაშე დააყენა. ეს რომ არ მომხდრაიყო, მისი შველა მხოლოდ დახმარებას შეეძლო, რომელიც ახალგაზრდა ავსტრიის იმპერატორს ფრანც იოსებს რუსეთმა აღმოუჩინა.

უნდა არინიშნოს, რომ ავსტრიის ახლმა იმპერატორმა ფანც იოსებმა და კანცლერმა შვარცენბერგმა მთელი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გეგმები დაუკავშირეს რუსეთთს.

სწორედ, რუსული არმიის დახმარებით მოხერხდა უნგრელების გამოსვლის ჩახშობა, რომლებიც ცდილობდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. დახმარებისათვის ფრანც იოსებმა უშუალოდ რუსეთის იმპერატორს მიმართა. შემდგომ განივთარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ნიკოლოზ I, რომელიც აღმოჩნდა იდეოლოგიური დოგმის ტყვე, დაუშვა შეცდომა. ავსტრიის იმპერიის დაცემა და ახალი დამოუკიდებლი უნგრული სახელმწიფოს წარმოქმნა არ ეწინააღმდეგებოდა და, მით უფრო,

საფრთხეს არ უქმნიდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში არ იყო ერთსულოვნება პეტერბურგშიც. ერთნი თვილდნენ ავსტრიისათვის დახმარების გაწევა არ ღირდა, რადგანაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო, მეორენი კი პირიქით, დახმარების აღმოჩენას საჭიროდ მიჩნევდნენ.

1849 წელს ნიკლოზ I თავისი ჯარი გაგზავნა უნგრეთში რევოლუციის ჩასახშობად, სადაც ავსტრიის ჯარმა სასტიკი მარცხი განიცადა. ჰაბსბურგების მონარქია გადარჩა. მბოხებული უნგრელების ჩახშობისათვის რუსეთი ავსტრიას დაეხმარა, რომელიც მოგვიანებით არა ერთხელ გამოვიდა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ურიერთობებში.

2.8.4. რუსეთ-პრუსიის ურთიერთობები

ნიკოლოზ I-მა დახმარება აღმოუჩინა პრუსიასაც. 1848 წლის გაზაფხულზე პოზნანში მომზადა აჯანყება. აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ, რომ აჯანყება გავრცელდებოდა რუსეთის პოლონეთის გუბერნიაში. პრუსიის მეფემ სთხოვა ნიკოლოზ I გდაეადგილებინა რუსული ჯარები პრუსიის პოზნანის საზღვართან და ერთობლივად ჩაეხშოთ პოლონელების მოძრაობა. რუსეთის მეფემ პოლონეთის გუბერნიაში თავი მოუყარა 420 ათას კაციან არმიას, იქ ნებისმიერი აჯანყების მცდელობა უპერსპექტივო იყო. შედეგად აჯანყებამ მოიცვა მხოლოდ პოზნანი და პრუსიის არმიამ შეძლო მისი ჩახშობა. ამგვარმა მოქმედებამ ხელი შეუწყო პრუსია-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა უაზროდ ჩათვალეს ნებისმიერი დახმარება აჯანყებულებისადმი, მიუხედვად იმისა, რომ ევროპის საზოგადოებრივი აზრი იყო მემბოხეთა მხარეზე ნებისმიერი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ევროპის წამყავანი სახელმწიფოების ინტერესები სრულიად სხვა სიბრტყეში იყო მოთავსებული.

უნგრეთის და პოლონეთის მაგალითები აშკარად მეტყველ-ებდა, რომ ამ პერიოდიდან ნაციონალიზმის საკითხი წამყვან ადგილს იჭერდა საერთშორისო ურთიერთოების სისტმაში. უფ-რო მეტიც, ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში (გერმანია, იტა-ლია) ცენტრისტული მისწრაფებებით ნაციონალიზმის საკითხს ახალ შეფერილობას აძლევდა, რასაც თავისი გავლენა შეეძლო მოეხდინა საერთშორისო ურთიერთობების სისტემაზეც.

2.9. ნაციონალიზმის საკითხი და მისი გავლენა საერ-თაშორისო ურთიერთობებზე

2.9.1. გერმანიის გაერთიანების პრობლემა ევროპულ პოლიტიკაში

რევოლუციური ხლართის შედეგად ევროპის ცენტრში წინა-აღმდეგობა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა.

სიტუაცის გაუარესებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში მოხდა ცენტრისტული ტენდენციების გაძლი-ერება გერმანულ სახელმწიფოებში, რისი მაჩვენებლიც იყო ის ფაქტრი, რომ 1848 წლის მარტში შლეზვინგი და ჰოლშტაინი შეეცადნენ დანიიდან გამოყოფას, ხოლო პრუსია შეეცადა შეე-ქმნა ჩრდილოეთ გერმანული სახელმწიფოების უნია მისი ხელმ-ძღვანელობით, რამაც მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია ევრ-ოპის წამყვან სახელმწიფობის მხრიდან. უნიის წინააღმდეგ გან-საკუთრებით დაპიორისპირებით გამოვიდა ავსტრია, რომლის მმ-ართველ წრეებს ჰქონდათ სკუთარი გეგმა გერმანული სათავ-ადოების გაერთიანების, რომელმაც ისტორიოგრაფიაში მიიღი „დიდი გერმანული” და პირიქით „მცირე გერმანული” პრუსიის პროექტის სახელწოდება.

ორ წამყვან სახელმწიფოს შორის გერმანულ საკითხზე მწვავე შეტაკება მოხდა 40-50-იანი წლების ზღვარზე. ავსტრიის

მიერ ბერლინის გეგმის განხილვაზე უარის თქმამ, რომელიც ითავლისწინებდა გერმანული კავშირის რეორგანიზაციას, პრუსიამ 1849 წელს საქსონიასა და ჰანოვერთან ხელი მოაწერა შეთანხმებას „სამი სამეფოს უნიის" ანუ „პრუსიის უნიის" შესახებ. საქმე ლამის ომამდე მივიდა ავსტრიასა და პრუსიას შორის, მაგრამ უცხოელი დიპლომატების ჩარევის წყალობით, უპირველეს ყოვლისა აქ აღსანიშნავია ნიკოლოზ I, რომელიც მხარს უჭერდა ავსტრიის იმპერატორს, ყველაფერი დასრულდა პრუსიის „ოლმიუცის დამცირებით".

გერმანულ სახელმწიფოებში ცენტრისტული ტენდენციები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ გერმანიის გაერთიანების საკითხისადმი ევროპულმა სახლმწიფოებმა იმთავითვე ნეგატიური პოზიცია დაიჭირეს. 1850 წლის 2 აგვისტოს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა და ავსტრიამ ლონდონში ხელი მოაწერს შეთანხმებას, რომელიც მიმართული იყო გერმანიის მიწების გაერთიანების წინააღმდეგ. ოთხი სახელმწიფო შეთნხმდა დანიისათვის ჰოლშტაინის გადაცემის შესახებ, რამაც პრუსია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ავსტრია-უნგრეთის მორიგი კონფლიქტის შემდეგ, 1850 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ ოლმიუცში, რუსული მხარის მონაწილეობის გარეშე, ავსტრიასა და პრუსიას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას. შეთანხმების მიხედვით პრუსია იძულებული გახდა არ გაეწია წინააღმდეგობა გერმანული მიწების დანაწევრების შენარჩუნებისათვის და დათნხმდა გაეტარებინა ავსტრიის ჯარები ჰესენ-კასლერის მიმართულებით რევოლუციური გამოსვლების ჩახშობისათვის. ოლმიუცკში პრუსიამ ფაქტობრივად უარი თქვა საერთო გერმანულ ჰეგემონობაზე. იმ ეტაპზე ავსტრიამ რუსეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერით შეძლო არ დაეშვა გერმანიის გაერთიანება. ამის მიუხედავად, პრუსიის მიერ მის მიზანზე უარის თქმა ვერ მოხერხდა, გერმანიის გაერთიანების საკითხი კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში შედიოდა. ვინაიდან გერმანიის გაერთიანება იყო კანონზომიერი პროცესი, რომელსაც ასაზრდოებდა სოციალ-

ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ასპექ-ტები და სათავეს ისტორიის სიღმიდან იღებდა. კერძოდ, ჯერ კიდევ ნაპოლეონის ბატონობის დროს ევროპაში გერმანულმა მი-წებმა განიცადა დიდი ცვლილებები. რომის საღვთო იმპერიამ, რომელმაც შეამცირა პოლიტიკური დანაწევრება (ნაპოლეონა შექმნა გაერთიანებული გერმანული სახელმწიფოები – რეინის კავშირი და ვესტფალიის სამეფო, რომელსაც სათავეში მისი ძმა ჩაუდგა), ვერ შეძლო ანტიფეოდალური გარდაქმნების განხორ-ციელება. ტილზიტის ზავის შედეგად ტერიტორიულად ძალზედ შემცირებული პრუსიის მმართველი ზედაფენები წავიდნენ ზო-მიერ რეფორმებზე: გააუქმეს გლეხების პირადი დამოკიდე-ბულება და განსაზღვრეს მიწის გამოსყიდვის ფასი, რომელიც ძალზედ მძიმე იყო. მთავრობამ გაატარა საგდასახადო რეფორმა, ეკლესიებს ჩამოართვა მიწები, შექმნა ქალაქის თვითმართვე-ლობის ორგანოები, შემოიღო საყოველთაო სამხედრო ბეგრა და რეორგანიზაცია გაუკეთა არმიას. ამ განახლებული ცვლილ-ებების კვალობაზე, დამამცირებელმა სამხედრო დამარცხებებმა, ოკუპაციამ და საფრანგეთზე ეკონომიკურმა დაქვედებარებამ ხელი შეუწყო გერმანულ მიწებზე ეროვნული გრძნობის გაძლი-ერებას და პატრიოტული მოძრაობის დაწყებას, თუმცა ამისგან მოგებული მხოლოდ პრუსიის მონარქია აღმოჩნდა.

პრუსიამ მოახდინა გარკვეული ტერიტორიების შეძენა. მათ-გან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეინზე ეკონომიკურად განვითრებული ოლქები და ვესტფალში რურიის ქვანახშირით მდიდარი რაიონი. ასევე, აგრარული საკითხის გადაწყვეტამ მემა-მულეების სასარგებლოდ, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი ლატიფუნდიური მიწისმფლობელობა და იმავდროულად განა-ხორციელეს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების აკუმულირება (კაპიტალიზმის განვითარების იუნკრული გზა სოფლის მეურნე-ობაში, რომლის ბაზასაც წარმოადგენდა იუნკერებსა და ბუ-რჟუაზიის ზედაფენების კლასობრივი კომპრომისი), პრუსია აქ-ცია სამრეწველო გადატრიალების ლიდერად გერმანულ მი-წებზე. 1830 წელს პრუსიის ეგიდით შეიქმნა საბაჟო კავშირი,

რომელშიც შევიდა ოცამდე გერმანული სახელმწოფო, რაც იყო პირველი ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანებისაკენ.

გერმანულ მიწებზე 1848-1849 წწ. მშფოთვარე რევოლუციური მოვლენების მთავარი შედეგი იყო „ქვემოდან" გერმანიის გაერთიენების რევოლუციური ვარინტის წარუმატებლობა, რისი მიზეზიც იყო გერმანიის დემოკრატიული მოძრაობის სისუსტე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პოზიცია, რომელთაც გერმანიის გაერთიანება არ აწყობდათ. რადგან მისი სახით ისინი ხედავდენენ სერიოზულ კონკურენტს. ბერლინთან ვენის მომავალი დამრცხება დაკავშირებული იყო იმასთან, თუ სად უფრო ბევრად წარმატებული იქნებოდა – პრუსიაში ბურჟუაზიული განვითრება თუ ავსტრიაში ეროვნებათშორის წინააღმდეგობის გაძლიერება.

2.9.2 იტალიის გაერთიანების საკითხი ევროპულ პოლიტიკაში

პოლიტიკური სუბიექტების გაერთიანების პრობლემა იდგა აპენინის ნახევრკუნძულზეც. არანაკლებ რთული ვითარება იყო ამ კუთხით ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ერთის მხრივ, გაიზარდა მისწრაფება დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფოს შექმნისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მკვეთრად გაუარესდა საფრანგეთ-ავსტრიის წინააღმდეგობა. ორთავე სახელმწიფო ცდილობდა საკუთარი პოზიციების განმტკიცებას რეგიონში.

იტალიაში გაერთიანებისათვის ბრძოლის ეპოქამ ისტორიოგრაფიაში მიიღო „რისორჯიმენტოს" სახელწოდება (გაერთიანება). მისი დაწყება XVIII–XIX სს. მიჯნაზე დაკავშირებული იყო რევოლუციურ და ნაპოლეონის ომებთან.

მათი მსვლელობის დროს იტალიის მიწებზე განხორციელდა გრანდიოზული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ბურჟუაზიული ხასიათის გარდაქმნები. კერძოდ, გაუქმდა გლეხთა პირადი მორჩილების გადმონაშთები და დადგინდა მიწის გამოსყიდვის წესი, გაუქმდა საეკლესიო მეათედი, ეკლესიებს ჩა-

მოერთვათ მიწები, გაუქმდა მონოპოლია, გაუქმდა საბაჟო ბარიერები, საამქრო შეზღუდვები, მოწესრიგდა საფინანსო სისტემა; მოსახლეობა, რომლებიც ფლობდნენ განსაზღვრულ ქონებრივ ცენზს, მიიღეს ადმინისტრაციულ და სასამართლო სისტემაში მონაწილეობის უფლება მიუხედავად იმისა, რომ მას აკონტროლებდნენ ფრანგები. მნიშვნელოვნად შემცირდა იტალიური მიწების დანაწევრება. ბოლოს და ბოლოს ნაპოლეონმა რომელმაც იტალიის ტერიტორიის ნაწილი უშუალოდ შეიყვანა საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში, დარჩენილი ტერიტორიიდან დააფუძნა ორი მარიონეტული სახელმწიფო, იტალიური სამეფო, რომელსაც იგი პირადად ხელმძღვანელობდა და ნეაპოლიის, რომელიც ჯერ მის ძმას-ჟოზეფს, ხოლო შემდეგ სიზეს-მიურატს გადასცა.

მეორეს მხრივ, ნაპოლეონის ბატონობამ იტალია გარდაქმნა იმპერიის აგრარულ-სანედლეულო დანამატად, რომელიც დაბეგრილი იყო კაბალური ბეგარა-ვალდებულებებით. კეთილმყოფელი ცვლილებები, რომელიც იტალიაში მოიტანა საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონმა, წინააღმდეგობრივმა შერწყმამ ნაციონალურ დამცირებასთან მისი გამოცდილებით, ზუსტად მისცა იმპულსი პატრიოტული მოძრაობის დაწყებას უცხოლთა ბატონობის დამხობისათვის. თუმცა მის მონაწილეებს შორის იტალიის მომავალი ბედის შესახებ წარმოდგენა იყო განსხვავებული. პატრიოტების ბევრად უფრო მებრძოლი ნაწილი გაერთიანდნენ „კორბონარიების საზოგადოებაში" რომლის უჯრედები (ვენტები) მოეწყო მასონური ლოჯის პრინციპით.

ვენის კონგრესმა იტალიაში აღადგინა ძველი მონარქები – ბურბონები ნეაპოლიტის სამეფოში (1816 წლიდან გაერთიანებული სიციილის სამეფო), ხოლო ჰაბსბურგებთან დინასტიური კავშირით დაკავშირებული საერცოგოები – პარმაში, მოდენში და ტოსკანიაში, რომის პაპის წმინდა ხელისუფლება, სარდინიის სამეფოში სავოის დინასტია (მის შემადგენლობაში შევიდა პიემონტი, სავოია, გენუა და სარდინიის კუნძული). ნაპოლეონის ბატონობის დროს ამ პოლიტიკურ ერთეულებში მიღებული კანონმდე-

ბლობა გაუქმებულ იქნა. ამის მიუხედავად, მაშინ გატარებული ზოგიერთი გარდაქმნა ძალაში დატოვეს. მაგრამ მთავარი – იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური დანაწევრება ისევ რეალობა იყო. მისი გადალახვისათვის მთავრი დაბრკოლება კი ავსტრიის ჰაბსბურგები იყო, რომლებმაც მიიღეს ლომბარდია-ვენეციის ოლქი და სამხედრო-პოლიტიკურ დაქვემდებარებაში მოაქციეს ყველა იტალიური რეჟიმი, გარდა პიემონტისა.

იტალიაში, ესოდენ ჭრელი სოციალურ-პოლიტიკური კუთხით სხვადხვა შეფერილობის პატრიოტული მოძრაობა მოქმედებდა ანტიავსტრიული ლოზუნგებით. მაგრამ ორი რევოლუციურმა ტალღამ – 20-იანი წლების დასაწყისში (რევოლუცია გაერთიანებული სიცილიის სამეფოში და პიემონტში) და 30-იანი წლების დასწყისში (მოლენში, პარნეში და პაპის სახელმწიფოში)-დღის წესრიგში დასვა საკითხი გადაეხედათ ბრძოლის ადრე არსებული ორგანიზებული ფორმები და მეთოდები. კარბონარიების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, დაიწყო რისორჯიმენტის ახალი ეტაპი, რომლის მსვლელობაში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა.

დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელსაც წარმოადგენდა „ახალგაზრდა იტალიის" ორგანიზაცია ჯუზეპე მაძინის ხელმძღვანელობით მიზნად ისახავდა იაკობინური ტიპის უნიტარული იტალიური რესპუბლიკის შექმნას, ალპებიდან სიციალიამდე (ბუნებრივი საზღვრების პრინციპით), საერთო სახალხო აჯანყებით და პატრიოტული მოძრაობის გაჩაღებით ავსტრიელი ოკუპანტების და ჰაბსბურგების მონარქიის დაქვემდებარების წინააღმდეგ. მაძინისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პროპაგანდას და აღზრდას, რომელებიც პატრიოტულ სამსახურს თვლიდნენ, როგორც რელიგიურ ვალს თითეული იტალიელისათვის, მათი დევიზი იყო „ხალხი და ერი". თუმცა დემოკრატიულმა მიმდინარეობამ ვერ დაუკავშირა პოლიტიკური საკითხის – იტალიის პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გადაწყვეტა სოციალურ და, უპირველს ყოვლისა, აგრარული საკითხის გადაწყვეტას, ვიანიდან ეშინოდათ, რომ ეს გამოიწვევდა მოძრაობიდან ლიბერალური მემამულეების და მიწათმფლობელი ბურჟუაზიის ჩა-

მოშორებას. ამან კი, თავის მხრივ, შეასუსტა „ახალგაზრდა იტალიის” სოციალური ბაზა.

ბურჟუაზიული ფენების გავლენის ზრდით, მათ შორის მემამულების ახალი სამეურნეო ტიპისა, ხელი შეეწყო რისორჯიმენტში ლიბერალური პროგრამის წამოყენებას. ამ იდეოლოგიის წინა პლანზე იდგა იტალიის სახელმწიფოებში რეფორმების გატარება, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოების და ვაჭრობის თავისუფლებას, და იმავდროულად ეს იტალიას გადააქცევდა ერთიან სამეურნეო ორაგნიზმად. პოლიტიკური კუთხით ლიბერალები გამოდიოდნენ იტალიური მონარქიის ფედერაციის მოთხოვნით ანრომის პაპის, სარდინიის მეფის კარლ ალბერტის ხელმძღვანელობით, რომლებით თავის მხრივ იხრებოდნენ ამ იდეისკენ. ამ მიმართულების რუპორი გაზეთი „რისორჯიმენტო” იყო, რომელიც გამოდიოდა 1847 წლიდან პიემონტში გრაფ კამილო კავურიმოს მიერ.

1848-1849 წწ. რევოლუციის მსვლელობაში, რომელმაც მიიღო საერთო იტალირიური ხასიათი, ორივე მიმდინარეობის პროგრამამ განიცადა პრაკტიკული გამოცდა. გამოვლინდა დემოკრატიული პლატფორმის სისუსტეები, გაქარწყლდა იმედები რომის პაპზე და მონარქიის კეთილ ნებაზე იტალიაში ფედერაციული გაერთიანების შექმნის შესახებ. სამაგიეროდ, სავოიის დინასტიამ ხმამღლა გამოაცხადა სკუთარი თავი ერთიანი იტალიის დამცველად.

ყველა ამ კოლიზიის შედეგად ევროპაში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ნაციონალიზმი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტორი, რომლის იგნორირებაც შეუძლებელი იყო. ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეამ მიიღო ძლიერი იმპულსი. გერმანიაში, იტალიაში და ბალკანეთში იგი გადავიდა პრაქტიკულ სიბრტყეში. ეკონომიკური და პოლიტიკური დანაწევრება (ზომის, წონის და მონეტების სახვასხვა სისტემა, საბაჟო ბარიერები, სამართლებრივი უწესრიგობა) ამ ქვეყნებში იყო საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მუხრუჭი. მხოლოდ ერთიან ძლიერ სახელმწიფოს შეეძლო უზრუნველეყო სასურველი

პირობები კაპიტალიზმის განვითრებისა და მაში ეროვნული კა-
პიტალის ინტერესების დაცვისათვის ქვეყნის შიგნით. ყველა
შემთხვევაში გაერთიანება მოწოდებული იყო დაესრულებინა
ერის კონსოლიდაციის პროცესი და ხელი შეეწყო ეროვნული
კულტურის გავითრებაში.

ეს ყველაფერი კი, უკვე მეტყველებდა, რომ ვენის სისტემის
მდგრადი განვითარება დასასრულს უახლოვდებოდა.

თავი III

ვენის სისტემის კრიზისი და საერთაშორისო ურთიერთობები XIX ს-ის 50-70-იან წლებში

3. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება და ვენის სისტემის კრიზისი

3.1. ვენის სისტემის კრიზისის არსი

იმ ახალ ძალებს, რომლებიც ევროპის არენაზე გამოვიდნენ „ინდუსტრიული რევოლუციის" პროცესში, ჯერ კიდევ არ შეეძლოთ კონტინენტზე მოეშალათ ძველი ელიტის ჰეგომონობა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ევროპა 1847-1848 წწ. მშფოთვარე მოვლენების შემდეგ აღარ იყო ის, რაც, ადრე, ვენის სისტემის აყვავების დროს. ევროპული ცივილიზაციის განვითარებამ იმთავითვე წარმოშვა ახალი პრობლემები, ხოლო მათი გადაწყვეტის გზების ძიება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა არსებული მსოფლიო წესრიგის ფარგლებში. ეს იყო ამ სისტემის კრიზისის არსი. ვენის სისტემა სერიოზულ კრიზისში იმყოფებოდა. მართალია, იგი გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ, საბოლოოდ, დასრულდა აღმოსავლეთის საკითხის მორიგი გამწვავების დროს, როცა უკვე, ფართო მასშტაბის ომის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ყირიმის ომმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ვენის სისტემის 40 წლიან არსებობას და საფუძველი დაუდო სისტემის ტრანსფორმაციას.

ევროპის წამყვანი სახელმწიფოები – რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი რომლებიც მუდმივად იყვნენ დაკავებული ცენტრალური ევროპის საქმებით, არ ივიწყებდნენ თავიანთ ინტერესებს აღმოსავლეთში, და უპირველეს ყოვლისა თურქეთში. ინგლისი და, შედარებით, ნაკლებად საფრანგეთი, ფრთხილად ადევნებდნენ თავლს რუსული არმიის გდაადგილებას დუანის სათავადო-

ების მიმართულებით. თავის მხრივ, ნიკოლოზ I ყველანაირად ცდილობდა ინგლისთან შეთანხმების მიღწევას ახლო აღმოსავლეთის საკითხზე. პეტერბურგში ინგლისის ელჩთან ჰ. სეიმურთან საუბრისას ნიკლოზ I მუდმივად ინტერესდებოდა თურქეთის საგარეო ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური მდგომარობით, ამავე დროს აცხადებდა, რომ არ დაუშვებდა ვინმეს მიერ კონსტანტინეპოლის დაკავებას. რუსეთის იმპერატორი აღმოსავლეთის საკითხზე ინგლისთან შეთანხმების მიღწევისათვის ლონდონს სთავაზობდა ეგვიპტეს და კუნძულ კვიპროსს. რაც შეეხება თავად რუსეთს, ნიკოლოზ I აზრით მის პროტექტორობის ქვეშ უნდა გადასულიყო ბულგარეთი, სერბია, ვლახეთი და მოლდავეთი. ელჩთან საუბრისას ნიკოლოზ I შეეხო საფრანგეთის ინტერესებსაც ახლო აღმოსავლეთში. ის თვლიდა, რომ საფრანგეთი საკამოდ სუსტი იყო. რაც შეეხება ავსტრიას, რუსეთის იმპერატორი სწორად ვერ აფასებდა მის ურთიერთობას ამ ქვეყანასთან და დარწმუნებული იყო მის მხარდაჭერაში. ნიკოლოზ I ასევე თვლიდა, რომ ინგლის-საფრანგეთს შორის არსებობდა სერიოზული წინაღმდეგობა, რაც ამ ქვეყნებს არ მისცემდა საშუალებას ერთად გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ.

1853 წლის დასაწყისში, რუსეთმა კვლავ სცადა ინგლისთან კავშირის დადება. ამ მიზნით იგი ლონდონთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. პეტერბურგი გამოდიდოდა იმ რთული წინაპირობიდან, რომ თურქეთის წინააღმდეგ ინგლისს უნდა ემოქმედა რუსეთთან ერთად. ლონდონიდან ნიკოლოზ I პასუხი თებერვალში მიიღო. ინგლისმა უარი უთხრა პეტერბურგს მის წინადადებაზე. ლონდონის უარყოფითი პასუხი განპირობებული იყო: პირველი, ინგლისი არ თვლიდა, რომ თურქეთი თავის ბოლო დღეებს ითვლიდა. მეორე, იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთის მიერ კონსტანტინეპოლის თუნდაც დროებით დაკავებისა. მესამე, გამოთქვამდა ეჭვეს ავსტრიის და საფრანგეთიის პოზიციებთან მიმართებით. ლონდონიდან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა, რომელმაც სწორად

ვერ შეაფასა არსებული ვითარება, გადაწყვიტა ემოქმედა ძალისმიერი პოზიციით.

ასეთი შეცდომის შედგად რუსეთის ურთიერთობა ევროპულ სახელმწიფოებთან საკმაოდ გაუარესდა. საფრანგეთთან კონფლიქტის საბაბი გახდა დავა წმინდა ადგილების შესახებ. აქ დავას იწვევდა კათოლიკეების და მართლმადიდებლების უპირატესობის შესახებ საკითხი, რომლიც იქცა აღმოსავლეთის საკითხის მორიგი კრიზის წინაპირობად და მოგვიანებით ყირიმის ომში გადაიზარდა.

3.1.2. აღმოსავლეთის საკითხის მორიგი კრიზისი

კონტინენტზე ძლივს მოხერხდა რევოლუციური ბატალიების მიყუჩება, რომელიც ორი წლის მანძილზე არყევდა ევროპას და ისევ მოხდა აღმოსავლეთის საკითხის მორიგი მკვეთრი გამწვავება, ამასთან ერთად ევროპულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობამ ბალკანეთში ამჯერად მიიღო პოლიტიკურ-რელიგიური კონფლიქტის ფორმა.

ამ საკითხის გაუარესება დაიწყო 1847 წლის მოვლენებთან ერთად, როცა დაპირისპირებული (კათოლიკები, მართლმადიდებელები) რელიიგის წარმომადგენლებმა გააჩაღეს ნამდვილი ბრძოლა ბეთლემში. თვითმხილველთა ცნობით, ერთმანეთს ესროდნენ ჯვრებს და სასანთლეებს. ბერძენი ეპისკოპოსი დაიჭრა კიდეც. ასევე, უკვალოდ გაუჩინარდა კათოლიკური ვერცხლის ვარსკლავი, რომელიც აღნიშნავდა იესო ქრისტეს დაბადების ადგილს. 1850 წელს იერუსალიმის პატრიარქმა მიმართა პორტას ხელისუფლებას, რომ აღდეგინა დაზიანებული ეკლესიის მთავარი გუმბათი. იმავდროულად, ბელგიურმა მისიამ კონსტანტინეპოლში წამოაყენა საკითხი იერუსალიმის ჯვაროსანთა მეფის საფლავის აღდგენის შესახებ. ამავე დროს, პარიზში გამოვიდა კათოლიკე მღვდელის ბორეს ბროშურა, რომელშიც მან დაადანაშაულა პალესტინის მართლმადიდებელი სამღვდელობა ზოგიერთი წმნიდა ადგილის უკანონო მითვისებაში.

კათოლიკეების უკან ფრანგული დიპლომატია იდგა, ხოლო მართლამდიდებლების – რუსეთი. ცხადია, ამ სახელმწიფოებს საკუთრი კონკრეტული მიზნები ქონდათ. წმინდა ადგილების შესახებ დავის საკითხი საფრანგეთმა განსაკუთრებით წინ წამოსწია 1850 წელს. იგი დაეყრდნო 1740 წლის საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებას და მოითხოვა კათოლოკებისათვის იმ ეკლესიების გადაცემა, რომელიც მართლმადიდებლებს ქონდათ, მათ შორის ბეთლემის ეკლესია. რა თქმა უნდა, ფრანგულ-რუსულ უთანხმოებას სიღრმისეული ფესვები ქონდა. ნაპოლეონ III სურდა აღნიშნული მომენტი გამოეყენებინა ევროპულ საზოგადოებაში განხეთქილების შესატანად და რუსეთის ინგლისთან დასაპირისპირებლად. თავის მხრივ, წმინდა ადგილებისათვის დავა ნიკოლოზ I გადაწყვიტა გამოყენებინა თურქეთთან ბრძოლისათვის.

თურქეთის მთავრობამ, რომელიც აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში, შექმნა კომისია ქრისტიანული წმინდა ადგილების მფლობელობის საბოლო უფლებების გარკვევისათვის. პორტამ გადაწყვტა წასულიყო დათმობაზე, როგორც ერთი მხარის, ისე მეორე მხარისათვის. 1851 წელს რუსეთის მიერ კონსტანტინეპოლში წარგზავნილი ტიტოვი, იტყობინებოდა, რომ „პორტა თანაუგრძნობს თავის ბერძენ ქვეშევრდომებს და აქვს მტკიცე განზრახვა მხარი დაუჭიროს მართლმადიდებელ აღმსარებლობას". სულთანს, ასევე პირადი წერილით მიმართა იმპერატორმა ნიკოლოზ I, სადაც იგი თხოვდა მას ეს საკითხი გადეწყვიტა მართლმადიდებელების სასარგებლოდ. ფრანგული მხრიდან, კათოლოლიკეების ინტერესებს ენერგიულად იცავდა კონსტანტინეპოლში ჩასული ფრანგი ელჩი ლავალეტი. იგი ღიად დაემუქრა პორტას ფრანგული ესკადრილიის მოქმედებით.

თურქეთის მთავრობა წავიდა დათმობაზე როგორც რუსეთთან, ისე სფრანგეთთან. სულთანმა გამოსცა ფირმანი, რომლითაც უარყო კათოლიკეების პრეტენზიების ნაწილი და იმავდროულად შეღავათების ნაწილი ბერძნებსაც დაუმტკიცა. მაგრამ საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც გადაეცა რუსეთის ელჩს თურქეთის მთავრობის მხრიდან, შეიცავდა მთელ რიგ შენიშვნებს

კათოლიკეების უსამართლო პრეტენზიების შესახებ წმინდა ადგილის მფლობელობაზე. სულთანის ფირმანის ტექსტი, რომელიც პეტერგურგში გაიგზავნა, ცხადია, ფრანგებისათვის იმთავითვე უცნობი იყო. თუმცა, არც ისე დიდხანს დარჩა იგი საიდუმლოდ და, მალე პორტამ მიიღო წერილობითი შეტყობინება საფრანგეთის მთავრობის უკმაყოფილების შესახებ. სულთნის ფირმანის საზეიმო გამოქვეყნება მართლმადიდებლების სასარგებლოდ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

გარდამტეხი მომენტი ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულებაში როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებაში, ასევე ვენის სისტემის ბედის შესახებ აღმოჩნდა ყირიმის (აღმოსავლეთის) ომი (1853-1856).

3.1.3. ყირიმის ომი და წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოზიციები

XIX ს-ის შუახანებისათვის რუსეთმა დაიკავა საკმაოდ მტკიცე პოზიცია ევროპაში და, მთლიანად, აღმოსავლეთში. წმინდა ადგილებზე კათოლიკეების და მართლმადიდებლების უფლებების შესახებ ფრანგებთან დავაში ჩართვით, ნიკოლოზ I თვლიდა, რომ დადგა სასურველი დრო აღმოსავლეთის საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის. რუსეთის იმპერატორმა თურქეთი შეადარა „ავადმყოფ ადამიანს" და გადაწყვიტა შესდგომოდა ოსმალეთის სამფლობელოს განაწილების საკითხის შესახებ ნიადაგის მომზადება. თუმცა, იმავდროულად, მას შეხვდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა.

1852 წელს თურქეთის სულთანმა წმინდა ადგილების გასაღები გადასცა კათოლიკეებს, რასაც თანაუგრძნობდნენ ინგლისელები და ფრანგები. რუსეთმა გადაწყვიტა საბოლოდ მოეგვარებინა აღმოსავლეთის საკითხი, თუნდაც ომის გზით, რათა გამოეძევებინა თურქები ბალკანეთის ნახევრკუნძულიდან და სრუტეებიდან.

რუსეთის დიპლომატია მიიჩნევდა, რომ არცერთი ევროპული სახელმწიფო თურქეთს დახმარებას არ აღმოუჩენდა – ინგლისი არ შევიდოდა კოალიციაში თავის მოწინააღმდეგესთან აღმოსავლეთის საკითხში – საფრანგეთთან, ავსტრია და პრუსია იცავდნენ ლოიალურობას რუსეთთან ურთიერთობაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში რუსეთის დახმარების ნიშნად, ხოლო საფრანგეთი კი ერთი ვერ გადაწვეტდა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა, ნიკოლოზ I ამგვარი ხედვა არასწორი აღმოჩნდა. ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში რუსეთის გაძლიერების საპირისპიროდ ევროპული სახელმწიფოების პოზიციები დაუახლოვდა ერთმანეთს. თითეული მათგანის ლოზუნგი „ოსმალეთის იმპერიის დაცვის შესახებ" რა თქმა უნდა, გამომდინარეობდა საკუთარი ექსპანსიონისტურის მიზნებიდან ამ მეტად სტრატეგიული რეგიონში.

თურქეთის ხელისუფლებამ ფრგული მხარის გავლენით გამოავლინა შეუპოვრობა რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს. თავისი ძალების დემონსტრირებისათვის ნიკოლოზ I გაგზავნა სახაზო გემი დიდი დელეგაციით საზღვაო მინისტრის ა. მენშიკოვის ხელმძღვანელობით.

ცხადია, რუსეთის მეფე ცდილობდა თავისი პოლიტიკური ამბიციები რელიგიური ნიღბით განეხორციელებინა და ამიტომ გადაწყვიტა კონსტანტინეპოლში გაეგზავნა თავისი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რათა გავლენა მოეხდინა სულთანზე და მისგან მიეღო დათმობები. ელჩმა ნიკოლოზ I-საგან უშუალოდ ორი დავალება მიიღო. პირველი, მას უნდა მიეღო სათანადო ზომები, რათა აეცილებინა წარმოქმნილი დაპირისპირების გაღრმავება თურქეთსა და ჩერნიგორიას შორის, და მეორე, დაეცვა რუსეთის მართლამდიდებელი ეკლესიის პოზიციები და აღედგინა იგი წინანდელ პრივილეგიებში. გარდა ოფიციალური ღონისძიებებისა, მენშიკოვს ჰქონდა უფლება შეეთავაზებინა სულთანისათვის წინადადება დაედოთ საიდუმლო თავდაცვითი კავშირი საფრანგეთის წინააღმდეგ. მას ჰქონდა ინსტრუქცია ამ

საკითხზე დალაპარაკებოდა უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებსაც.

ამრიგად, მას განსკუთრებული უფლებამოსილება გააჩნდა – მკაცრი მოთხოვნების წაყენებით დაწყებული ომის გამოცხადებით დამთავრებული. მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად მენშიკოვს უნდა დაეხურა სადავო საკითხები წმინდა ადგილების შესახებ, დაედო ხელშეკრულება სულთანსა და იმპერატორს შორის, რომლის მიხედვითაც იმპერატორი მიიღებდა მფარველობის უფლებას სულთნის ყველა მართლმადიდებელ ქვეშევრდომზე.

კონსტანტინეპოლში მენშიკოვი შეხვდა არა მარტო ოფიციალურ პირებს, არამედ მრავალრიცხოვან ბერძნულ მოსახელობას. მენშიკოვს, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებამოსილება გააჩნდა არ შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფუად-ეფენდის, რომელიც იზიარებდა ფრანგულ პოზიციას წმინდა ადგილების შესახებ.

ამ პერიოდში რუსეთი ჯარის ნაწილებს თავს უყრიდა ბესარბიაში. რამაც ოსმალეთის სულთანი აბდულ-მეჯიდი აიძულა დაეთმო რუსებისათვის იერუსალიმის და ბეთლემის ეკლესიების საკითხში. მაგრამ, ნიკოლოზ I-მა უფრო მეტი მოინდომა. 1853 წლის მარტში სულთანს გადეცა ორი ვერბალური ნოტა კატეგორიული მოთხოვნებით, რომლის მიღების შემთხვევაში იგი პირდაპირ დამოკიდებული აღმოჩნდებოდა რუსეთის იმპერატორზე.

ინგლისელებმა, დაუყოვნებლივ დაიწყეს მოქმედება, რათა არ დაეშვათ თურქეთში რუსეთის პოზიციების გაძლიერება. საგარეო ურთიერთებობში გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, მიუხედავად, ინგლისის პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა. ინგლისის დიპლმატიამ, გაიგო რა მენშიკოვის ვიზიტის მთავარი მიზანი, დაიწყო სულთნის დარწმუნება, რომ არ მიეღო რუსეთის პირობები. იმავდროულად მენშიკოვი ახალ–ახლ მოთხოვნებს აყენებდა, რომელიც ჩვეულებრივ სცილდებოდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ფარგლებს. რუსი დიპლომატების პირდპირი მოქმედება თურქეთში მივიდა იქამდე, რომ მოვლენები ვი-

თარდებოდა არა პეტერბურგი, არამედ ლონდონის სცენარის მიხედვით. ყოველივე ამის შედეგად სულთნმა არ მიიღო რუსეთის წინადადებები და დროის მოგების მიზნით ითხოვა ვადის გადავადება.

სამთვიანი უშედეგო მოლაპარაკებები კონსტანტინეპოლში დასრულდა 1853 წლის 22 მაისს მენშიკოვის პეტერბურგში დაბრუნებით. გამომგზავრების წინ, მან განაცხადა, რომ თავის დავალებას დასრულებულად თვლის და რომ პეტერბურგს არ შეეძლო დაეშვა თავისი ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა და თავისი საელჩოს შემდგომი არსებობა კონსტანტინეპოლში, ასევე შეუძლებლად თვლიდა ოსმალეთის მთავრობასთან წინანდელ საფუძვლებზე გაეგრძელებინა პოლიტიკური ურთიერთობა”

ზემოაღნიშნული მოვლენების განვითარების შედეგად, რუსეთის საიმპერატორო სასახლეს დარჩა ორი გზა: ან უნდა გაეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა თურქეთთან, ან დაეწყო ომი. ნიკოლოზ I პოლიტიკის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მას წინანდებურად ჯეროდა ინგლისთან კავშირის, ავსტრიისაგან სრული მხარდაჭერის და საფრანგეთის ნეიტრალიზაციის. არსებულ პოლიტიკურ ინციდენტში არანაკლები როლი ითამაშა პირადმა ფაქტორმაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ნიკოლოზ I იყო უშუალო ინიციატორი ყველა იმ დიპლომატიური განცხადების და მოქმედების, რომელიც ომს იწვევდა. ამავე დროს, სრული თანხმობა არ იყო თავის გადაწყვეტილებებში, ფიცხ და არაადექვატურ მონარქს და მშვიდ, თავდაჯერებულ სახელმწიფო კანცლერს ნესელპოდს შორის.

ამრიგად, დავამ წმინდა ადგილების შესახებ, რომელშიც თავდაპირველად უმთავრეს როლს რელიგიური ფაქტორი თამაშობდა ე.ი. ჩაგრული ქრისტიანების დაცვა, დასაწყისში გარდაიქმნა დიპლომატიურ სკანდალად, ხოლო შემდეგ მძიმე საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისად, რომლის საფუძველი გახდა აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკური გავლენის

მოჭარბება, რასაც, ცხადია, დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები ვერ შეეგუებოდნენ.

სულთანმა, ინგლისელების რჩევით, 1853 წლის ივნისში, გამოსცა ბრძანება მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიების და გარანტიების შესახებ. მაგრამ პეტერბურგს იმ მომენტისათვის სჭირდებოდა არა მოლაპარაკებები, არამედ საბაბი მოლდავეთის და ვლახეთის დაკავებისათვის. 1953 წლის 21 ივლისს რუსებმა გადალახეს პრუტი და დაიკავეს დუნაის სათავადოები თურქეთთან ომის გარეშე.

საფრანგეთი გულგრილი არ დარჩენილა ამ მოვლენების მიმართ. ჯერ კიდევ მარტში, ნაპოლეონ III ფრანგული ფლოტი გაგზავნა ეგეოსის ზღვაში, რათა ის მზად ყოფილიყო ნებისმიერ დროს მიახლოებოდა თურქეთის სანაპიროებს. ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფრანგული ფლოტის კვალდაკვალ გაემართა ინგლისური ფლოტიც.

ავსტრია და პრუსია კი ამ დროს ფიქრობდნენ, თუ ვისი მხარე დაეჭირათ. პრუსიამ დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა მხარი არ დაეჭირა ინგლისისა და საფრანგეთისათვის. ამან, თავის მხრივ, გაართულა ავსტრიის მდგომარეობა, რომელსაც, მიუხედავად ანტირუსული პოზიციისა, პრუსიის გარეშე არ შეეძლო წარმატებული სამხედრო მოქმედებები.

საბოლოდ, ინგლისელებმა და ფრანგებმა დაარწმუნეს სულთანი გამოეცხადებინა ომი რუსეთისათვის. 1853 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო ყირიმის ომი. იგი ორ ეტაპად წარიმართა: პირველი 1853 წლის ოქტომბრიდან 1854 წლის მარტის ჩათვლით, როცა რუსეთი მარტოს ებრძოდა თურქეთს, და მეორე, 1854 წლის აპრილიდან 1856 წლის თებერვლის ჩათვლით, როცა უკვე ომი წარმოებდა რუსეთსა და დასავლეთის სახელმწიფოების კოალიციას შორის, რომლის შემადგენლობაში იყო ინგლისი, საფრანგეთი, ნეაპოლიის სამფო და თურქეთი. პირველი ეტაპი რუსეთის, მეორე კი კოალიციის გამარჯვებით დასრულდა.

რუსულმა ფლოტმა 1853 წელს 30 ნოემბერს ადმირალ პ. ნახიმოვის ხელმძღვანელობით სინოპთან თურქული ფლოტი

გაანადგურა. რუსების გამარჯვებამ აიძულა საფრანგეთი და ინგლისი პირდაპირ ჩარეულიყვნენ სამხედრო მოქმედებებში. 1854 წელს ინგლისური და ფრანგული ხომლადები შავ ზღვაში შევიდნენ. პეტერბურგში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოალიციის ფლოტს სურდა დაეცვა თურქეთის პორტები და გემები რუსეთის თავდასხმისაგან.

ჯერ კიდევ 1853 წლის 12 მარტს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს კონსტანტინოპოლის საკავშირო ხელშეკრულებას. ინგლისმა და საფრანგეთმა საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულება დახმარებოდნენ თურქეთს რუსული არმიის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში და გამოეყვანთ თავიანთი ჯარები თურქეთიდან ზავის დადების შემდეგ. კონსტანტინეპოლმა, თავის მხრივ, აიღო ვალდებულება არ დაედო სეპარატული ზავი.

შესაბამისად, ინგლისმა და საფრანგეთმა 27 და 28 მარტს რუსეთს ოფიციალურად ომი გამოუცხადა. ამ პერიოდში მათ თითქმის ყველაფერს მიაღწიეს. მათ გააერთიანეს და წარმატებულად აწარმოეს თავანთი დიპლმატიური და სამხედრო მოქმედებები, მოახერხეს ავსტრიის რუსეთის წინაარმდეგ გამოყვანა. რაც მოხდა რუსეთის დიპლომატიის დაუფიქრებელი მოქმედებების შედეგი იყო. ყოველივე ამის შედეგად ფაქტობრივად კოალიიცის ქვეყნები გახდნენ თურქეთის ფაქტიური მმართველები.

ყოველივე ამის მიუხედავად, ინგლისის და საფრანგეთის ელჩებმა მაინც ვერ მიაღწიეს ყველა საკითხზე სრულ შეთანხმებას. თუმცა 1854 წლის 10 აპრილს დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის მაინც დაიდო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო ფაქტიურად რუსეთის წინააღმდეგ. ხელშეკრულებაში საუბარი იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი მიისწრაფვიან აღადგინონ მშვიდობიანი ურთიერთობები რუსეთსა და პორტას შორის, ხელშეკრულებით ასევე საფრანგეთი და ინგლისი თავდამსხმელებისაგან თურქეთის ტერიტორიის გათავისუფლების ვალდებულაბას ღებულობდნენ. ამისათვის გათვალისწინებილი იყო დიდი რაოდენობით ქვეითი და საზღვაო

შეიარაღებული ძალების გაგზავნა თურქეთში. ორივე ქვეყნა თანხმდებოდა, რომ საომარ მოქმედებებს არ შეწყვეტდნენ სასურველი შედეგის მიღწევის გარეშე.

საფრანგეთმა და ინგლისმა მზადყოფნა გამოთქვეს ხელშეკრულებაში ჩაერთოთ ყველა ის ევროპული სახელმწიფო ვინც კოალიციასთან შეერთებაზე სურვილს გამოთქვამდა. შესაბამისად, მსურველებიც გამოჩნდნენ. 1854 წლის 2 დეკემბერს ვენაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ინგლისს, საფრანგეთს და ავსტრიას შორის. ავსტრიამ აიღო ვალდებულება დაეცვა რუსული აგრესისაგან მოლდავეთი და ვლახეთი. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ავსტრიის მიერ ამ ოლქების ოკუპაცია ხელს არ შეუშლიდა ინგლისურ-ფრანგული და თურქული ჯარების თავისუფალ გადადგილებას რუსების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში თუ ავსტრიას და რუსეთს შორის დაიწყებოდა სამხედრო მოქმედებები, სამი შეთანხმების დამდები მხარე ერთმანეთს გაუწევდნენ სამხედრო-თავდაცვით დახმარებას.

ამრიგად, პეტერბურგის დაუფიქრებელი მოქმედბები ქვეყანას საკმაოდ ძვირი დაუჯდა. ავსტრიამ, მიუხედვად იმისა, რომ მას პრუსიამ მხარი არ დაუჭირა, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად დაიწყო მოქმედება და აწარმოვა მკვეთრი ანტირუსული პოლიტიკა.

პრუსია არ შევიდა ანტირუსულ კოალიციაში. ვიანიდან მის სასიცოცხლო ინტერესებში არ შედიოდა თურქეთის პრობელმა. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ფრიდრიხ ვილჰემ IV გაურკვეველი და მერყევი პოზიცია ქონდა და განიცდიდა საფრანგეთის, ინგლისის და ავსტრიის მხრიდან დიდ გავლენას, ის იდგდა პეტერბურგის პოზიციაზე, რაშიც არანაკლები როლი ითამაშა ბისმარკის პოზიციამ, რომელიც თვლიდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა პრუსიისათვის საზიანო და უსარგებლო იქნებოდა. პრუსიის გამოსვლა რუსეთიის წინააღმდეგ მხოლოდ სხვა სახელმწიფოების ინტერესებში შედიოდა. პრუსია, რომელიც დაინტერესებული იყო გერმანული მიწების გაერთიანებით თვლიდა, რომ რუსეთთან დაპირისპირება არ იქნებოდა

მომგებიანი. მას უფრო სჭირდებოდა საფრანგეთ-პრუსიის ომი. ამიტომ იგი ანტირუსულ კოალიციაში პრუსიის ჩართვის წინააღ-მდეგ გამოვიდა.

ამრიგად, რუსულ – თურქული სამხედრო დაპირისპირება გა-დაიზარდა რუსეთის ევროპული სახელმწიფოების კოალიციას-თან ომში.

ომის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა სახვადასხვა სა-ხის მოლაპარაკებები. ინგლისს სურდა შეექმნა კოალიცია რუსე-თის წინააღმდეგ და მუდმივად ახდენდა ზეწოლას ავსტრიაზე. ასევე ცდილობდა ომში მის მხარეზე ჩაერთო დანია, შვეცია და პრუსია. მაგრამ, ერთადერთი, რაც მან მოახერხა ეს იყო სარ-დიინის სამეფოს ჩართვა ომში.

ომის პირველ პერიოდში ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმე-ბულად მოქმედებდნენ, თუმცა საკუთარი მიზნების და ინტერე-სების შესაბამისად. თუკი ინგლისის ხელისუფლება, რომელ-საც ხელმძღვანელობდა პალმერსტონი, დაინტერესებული იყო საყოველთაო ომის წარმოებით რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ საფრანგეთი, თავის მხვრივ, დაინტერესებული იყო არ მომხად-რიყო ინგლისის გაძლიერება აღმოსავლეთში. შემდეგ, როცა მოხდა ომის გაჭიანურება საფრანგეთმა დაიწყო დამოუკიდებელი მოქმედებები.

პეტერბურგი ყირიმის ომის მსვლელობის დროს გარკვეულ გავლენას ახდენდა ავსტრიაზე. 1854 წლის იანვარში ვენაში საგანგებოდ გაიგზავნა გრაფი ორლოვი, რომელმაც შესთავაზა ავსტრიის იმპერატორს წინადადება, რომ ვენას შეენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობები რუსეთთან. თავის მხრივ, რუსეთი მას სთავაზობდა გარნტიას, რომ იგი არ ხელყოფდა ავსტრიის სამფლობელოებს და აიღებდა ვალდებულებას, რომ დაერ-წმუნებინა პრუსია და სხვა გერმანული სახელმწიფოები რათა ამ გარანტიას შეერთებოდნენ, და ბოლოს, გამარჯვების და თურქეთის დამარცხების შემთხვევაში მოხდებოდა ერთობლივი პროტექტორატის დამყარება სერბიაზე, ბულგარეთზე, მოლდა-ვეთსა და ვლახეთზე. მოლაპარაკების პერიოდში ავსტრიის

კანცლერმა ბუოლიმ სთხოვა ორლოვს - შეეძლო თუ არა მას იმპერატორის სახელით მიეცა გარანტია, რომ რუსული არმია არ გადალახავდა დუნაის, რაზეც ორლოვმა პასუხი ვერ გასცა. შედეგად მოლაპარაკებები ჩაიშლა.

1854 წლის ზაფხულში, მიუხედვად კარგი სამხედრო შეიარაღებისა, ინგლისმა და საფრანგეთმა ვერ გაბედეს მიეღწიათ მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის დუნაის სათავადოებში. ავსტრიაც თავს იკავებდა რუსეთთან პირდაპირ სამხედრო კონფლიქტში შესვლაზე. მოკავშირეთა შტაბ-ბინაში – ვარმაში გადაწყვიტეს, რომ ავსტრიის გარეშე რუსეთის სიღმეში შესვლა საეიფათო იქნებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს ყირიმისთვის დაერტყათ. ხანგრძლივი სამხედრო მოქმედებების შედეგად, 1855 წლის 27 აგვისტოს, აიღეს მხოლოდ სევასტოპოლი. ასევე მოკავშირეთა ფლოტი გამოჩნდა ბალტიის და თეთრ ზღვებში. თურქეთიის არმია გააქტიურდა კავკასიის ფრონტზე. სხვათაშორის, აქ რუსებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს - აიღეს ძლიერი ციხე-სიმაგრე ყარსი. ომი გაჭიანურდა. საფრანგეთს აფრთხობდა ინგლისის პოზიციების გაძლიერება აღმოსავლეთში. ამ დროს გარდაიცვალა ნიკოლოზ I და 1855 წლის თებერვალში რუსეთის იმპერატორი გახდა ალექსანდრე II, რომელიც დაინტერესებული იყო ზავის დადებით. საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და რუსეთის იმპერატორი დაინტერესდნენ მოლაპარაკების დაწყებით.

რუსეთსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკებების დაწყება ევროპაში ცნობილი გახდა რუსი კანცლერის ნესელროდის საშუალებით, რომელმაც ამის შესახებ, გაურკვევლი მიზეზების გამო, აცნობა ვენის კანცლერს ბულოვს. ამ უკანასკნელმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინა მებრძოლ მხარეებს და პრუსიას. მოლაპარაკებისათვის საფრანგეთის მთავრი პირობა იყო, რომ რუსეთს შეემცირებინა სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში.

სასწრაფოდ იქნა შემუშავაბული ზავის პირობები და 1855 წლის დეკემბერში მებრძოლი სახელმწიფოების სახელით ავსტრიამ რუსეთს წარუდგინა მშვიდობიანი მოლაპარაკებების

დაწყებისათვის გარკვეული პირობები. პირველი, რუსეთს უარი უნდა ეთქვა დუნაის სთავადოების მფარველობასა და მათ შიდა საქმეებში ჩარევაზე. სათავადოების უმაღლეს ხელისუფლებად სულთანი ცხადდებოდა. რუსეთს მოკავშირეებიის მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრების სანაცვლოდ უნდა გაევლო ახალი საზღვარი ბესარაბიასთან; მეორე, დუნაიზე თავისუფალ ნაოსნობას უზრუნველყოფდა ევროპული კომისია; მესამე, შავი ზღვა ცხადდებოდ ნეიტრალურ ზღვად. იგი თავისუფლი იყო მხოლოდ თავისუფლი ნაოსნობის და ვაჭრობისათვის. შავ ზღვაში იკრძალებოდა სამხედრო ფლოტის ყოფნა. ასევე იკრძალებოდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა მის სანაპიროებთან. მეოთხე, სულთნის ქრისტიანი ქვეშევრდომების უფლებები და ღირსება უნდა დაცულიყო თურქეთის ხელისუფლების ღირსების და დამოუკიდებლობის ხელყოფის გარეშე, ხოლო რუსეთი მიწვეული იქნებოდა იმ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც გადაწყვეტდა ავსტრია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და თურქეთი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა ქრისტიანების პოლიტიკურ და რელიგიურ უფლებებს. ზემოთქმულის გარდა ყველა მხარეს დამოუკიდებლად შეეძლო რუსეთისათვის ცალკე პირობა წაეყენებინა. უფრო მეტიც, თუ რუსეთი ამ პირობებს არ მიიღებდა, ავსტრია მას ომს გამოუცხადებდა. პრუსიის მეფემ ალექსანდრე II აცნობა, რომ მიეღო აღნიშნული ულტიმატუმი. პეტერბურგი თანახმა გახდა.

პარიზის საზავო მოლაპარაკებები დაიწყო 1856 წლის 25 თებერვალს და გაგრძელდა 30 მარტის ჩათვლით. საბოლოოდ, ხელი მოეწერა პარიზის ზავს. მისი ძირითადი მუხლები შეიცავდა შემდეგს: რუსეთი თურქეთს უბრუნებდა ქალაქ ყარსს, კოალიციის ქვეყნები კი სანაცვლოდ რუსეთს უბრუნებდნენ შემდეგ პორტებსა და ქალაქებს: სევასტოპოლი, ბალაკლავი, კამიში, ევპატორია, ქერჩი, ენიკალე, კინბურნი და ასევე ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც დაიკავეს მოკავშირეებმა. რუსეთმა, ავსტრიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, პრუსიამ და სარდიანიამ საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულება პატივი ეცათ თურქეთის

დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის. სულთანს უნდა გამოეცა ფირმანი თურქეთში ქრისტიანული მოსახლეობის თანაბარუფლებიანობის შესახებ. ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, დაადასტურეს 1841 წლის 13 ივლისის კონვენცია ბოსფორის და დარდანელის სამხედრო ხომალდებისათვის ჩაკეტვის შესახებ. შავი ზღავა გამოცხადდა ნეიტრალურ და სავაჭრო ნაოსნობისათვის ღიად ყველა ქვეყნისათვის. შავ ზღვაში აიკრძალა სამხედრო ხომლდების ცურვა, როგორც შავი ზღვის სახელმწიფოების, ასევე ყველა სხვა ქვეყნის. რუსეთი თანახმა გახდა ბესარაბიასთან ახალი სასაზღვრო რეჟიმის დაწესებაზე, ხოლო ბესარაბიის ნაწილი, რომელიც რუსეთმა დათმო შეუერთდა მოლდავეთის სათავადოს. ეს უკანასკნელი ოსმალეთის ქვეშ იმყოფებოდა. ასევე დარჩა თურქეთის სულთნის ქვეშ ვლახეთის სათავადოც. სერბიის სათავადომ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, ეროვნული მმართველობა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, ასევე კანომდებლობა, ვაჭრობა და ნაოსნეობა, მაგრამ უმაღლეს ხელისუფლად სულთანი აღიარა. რაც შეეხება აზიას, აქ რუსეთის მფლობელობა შენარჩუნდა იმ საზღვრებში, როგორც ეს ომის დაწყების დროს არსებობდა ანუ შენარჩუნდა სტატუს ქვო.

პარიზის ხელშეკრულების ხელმოწერა და რეალიზაიცა იყო მნიშვნელოვანი ნიშანი ვენის სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებაში. რუსეთმა ომში მარცხი განიცადა, მისი სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები შესუსტდა. რუსეთის დასუსტებამ, დაარღვია საერთო ევროპული ძალთა ბალანსი. რუსეთი XIX ს-ის I ნახევარში იყო ერთ-ერთი ძირითადი ძალის ცენტრი ევროპაში. ყირიმის ომის შედეგად, იმ ეტაპზე, მან დაკარგა შესაძლებლობა შეესრულებინა ეს ფუნქცია. რუსეთი კი თავის მხრივ, ემსახურებოდა ვენის სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას კონტინენტზე მშვიდობიანობის შენარჩუნების მხარდაჭერის საქმეში.

ყირიმის ომმა სათავე დაუდო სერიულ ლოკალურ ომებს, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო. როგორც წესი, ისინი

მოკლევადინი იყო, მაგრამ მათ მიმდინარეობაში საკმაოდ მკაცრი შეჯახებით, ძალისმიერი გზით ხდებოდა იმ დახლართული პრობლემების გახსნა, რომლებიც წარმოიქმნა მოცემული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის განვითარების საწყის ეტაპზე. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ, აღმოსავლეთის საკითხი დროებით უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ ევროპული პოლიტიკის ავანსცენაზე გამოვიდა პრობლემები, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის და იტალიის გაერთიანებასთან – ნაციონალიზმის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამავე დროს ევროპაში შეინიშნება ძალთა ახალი გადაჯგუფების დაწყება, რაც ასევე ვენის სისტემის კრიზისის შემდეგ, მისი ტრანსფორმაციის სერიოზულ წინაპირობას წარმოადგენდა, რომელიც მოგვიანებით ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებით დასრულდა.

3.2. პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება კონტინენტზე. ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნა და მათი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე

ყირიმის ომის და პარიზის ზავის ხელმოწერის შემდეგ, ევროპაში თანდადათნობით ხდებოდა პოლიტიკურ ძალთა ახლი კონფიგურაცია. რუსეთის საერთაშორისო პოზიციები, რომელიც დადასტურებული იყო ვენის კონგრესის შედეგებით, საკმაოდ დასუსტდა. ავსტრია-გერმანიის კავშირი მოიშალა. ავსტრია თავის საგარეო პოლიტიკით ინგლისზე ორიენტირებული აღმოჩნდა, ე.ი. გადავიდა რუსეთის მოწინაღმდეგე მხარეზე. ყალიბდებოდა ინგლისურ-ფრანგულ-ავსტრიული ბლოკი, ე.წ. რომის სისტემა, რომლის ამოცანაც იყო რუსეთის შემდგომი იზოლაცია, შეენარჩუნებინათ სრუტეების შესახებ მიღებული რეჟიმი და შეესუსტებინათ რუსეთის გავლენა ბალკანეთზე.

3.2.1. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება

XIX ს-ის მეორე ნახევარში ყირიმის ომის შემდეგ შექმნილმა ვითარებამ და კონტინენტზე ძალთა ახალმა განლაგებამ რუსეთს დაანხა ახალი მოკავშირის მოძებნის აუცილებლობა, რომელიც მხარს დაუჭერდა მის მისწრაფებას შეემსუბუქებინა პარიზის ზავით გათვალისწინებული პირობები და გამოსულიყო სერთაშორისო იზოლაციიდან. ასეთ მოკავშირედ მან საფრანგეთი დაინახა. სხვათა შორის, რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოების ტენდეცია პარიზის საზავო მოლაპარაკების დროს გამოიკვეთა. საფრანგეთს არ სურდა ინგლისის პოზიციების გაძლიერება აღმოსავლეთში და ომის სწრაფად დასრულებაზე ფიქრობდა.

რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება იმპერატორ ალექსანდრე II სახელთან არის დაკავშირებული, რომელსაც გვერდში ედგა ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გორჩაკოვი. ამ უკანასკნელის შეფასებით რუსეთს არ უნდა ეწარმოებინა ევროპაში სხვა სახელმწიფოების ინტერესებისათვის აქტიური მოქმედებები საკუთარი მიზნების საზიანოდ. რუსეთს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, რომელ ქვეყანას უნდა დაკავშირებოდა. ეს კი მეტყველებდა, რომ პეტერბურგი აღარ გაიღებდა მსხვერპლს წმინდა კავშირის პრინციპების დაცვისათვის. ამრიგად, წმინდა კავშირი, რომლის შექმის ინიციატორი რუსეთი იყო, უკვე თავად ამბობდა მისი პრინციპების დაცვაზე უარს. რუსეთი ბოლო სახელმწიფო იყო, რომელმაც მის დაცვაზე უარი თქვა. ვენის სისტემას გამოეცალა ბოლო დასყრდენი.

ურთიერთობების გაუმჯობესება მომგებიანი იყო ორივე ქვეყნისთვის, რადგნაც ამ პერიოდში პარიზსაც და პეტერბურგსაც საკუთარი პრეტენზიები ქონდა ავსტრიასთან. ნაპოლეონ III დაინტერესებული იყო ავსტრიის იტალიდან გაძევებით. რუსეთს კი კარგად ახსოვდა ავსტრიის მოღალატური პოზიცია ყირიმის ომის დროს. ლონდონი კი დაშინებული იყო პარიზის და პეტერ-

ბურგის დახლოებით, ამიტომ იგი ცდილობდა არ დაპირისპირებოდა საფრანგეთს, რომელიც იმ დროს ევროპაში მთავარ როლს თანაშობდა. 1856 წელს პეტერბურგში საზეიმოდ შეხვდნენ საფრანგეთის ახალ ელჩს რუსეთში შ. მორნის, და საპასუხოდ 1857 წელს რუსულ დელეგაციას პარიზში. ორივე ქვეყნის იმპერატორი ხაზს უსვამდა მათ შორის მეგობრული ურთიერთობების არსებობას.

1857 წელს შტუტგარდში შედგა რუსეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. განიხილეს მათი ინტერესების სფეროში არსებული საკითხები. საფრანგეთისათვის უპირველეს ყოვლისა ეს იყო იტალიის საკითხი და ის მდგომარეობა, რომელიც დუანის სათავადოებში არსებობდა. რუსული მხარე ცდილობდა პარიზის ყურადღება მიეპყრო პარიზის ზავის პირობების გადახედვისათვის შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ. თუმცა არანაირი შეთანხმება ან ხელშეკრულება დადებული არ იქნა. ამ შეხვედრამ სათავე დაუდი მჭიდრო დიპლომატიურ თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის.

საფრანგეთ-რუსეთის დახლოებას ხელი შეუწყო ინგლისმაც. პარიზის ზავის შემდეგ პალმერსტონი აგრძელებდა ანტირუსული პოლიტიკის გატარებას კავკასიაში, სპარსეთსა და თურქეთში, ანუ იქ სადაც იკვეთებოდა ორი ქვეყნის ინტერესები. ამავე დროს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები თანდათანობით გაუარესდა. ვინაიდან, ნაპოლეონი, რომელიც ავსტრიასთან ომისათვის ემზადებოდა, მისთვის უმნიშვნელო არ იყო ინგლისის პოზიცია.

შემთხვევით ნაპოლეონ III-თვის ცნობილი გახდა, რომ იტალიელმა რევოლუციონერებმა, რომლებიც თავდასხმას აპირებდენ მასზე, იარაღი მიიღეს ინგლისიდან. რამაც ინგლისის არისტოკრატიის რიგებში პანიკა გამოიწვია, რის შედეგადაც მომზადდა პროექტი კანონის, რომელიც აუქმებდა თავშესაფარის უფლებას ემიგრანტებისათვის. თუმცა იგი არ იქნა მიღებული და პალმერსტონი იძულებული გახდა გადამდგარიყო 1858 წლის თებერვალში. ინგლისის ახლი პრემიერი გახდა დერბი, ხოლო

საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი მალმსბერი. ამ შემთხვევამ ნაპოლეონს დაანახა, რომ მას ინგლისის განსაკუთრებულად არ უნდა ეშინოდეს.

ამრიგად, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება იყო სერიოზული გარღვევა რუსეთის საერთაშორისო იზოლაციიდან. თავის მხრივ, რუსეთ-საფრანგეთის დახლოების ერთ-ერთი მთავრი მიზეზი საფრანგეთ-ავსტრიის დაპირისპირება იყო, რომელიც ომის ზღრუბლზე იმყოფებოდა.

3.2.2 ავსტრია-საფრანგეთის წინააღმდეგობა

ყირიმის ომის შემდეგ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა ავსტრია, რომელიც მოკლე დროში რთულ გარემოცვაში აღმოჩნდა. ავსტრიას საკმაოდ ძვირი უჯდებოდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დარღვევა. ავსტრია აღმოჩნდა ერთდროულად სამი მტრულად განწყობილი ქვეყნის პირისპირ - რუსეთის, პრუსიის და საფრანგეთის. პრუსიის და ავსტიის დაპირისპირება განპირობებული იყო გერმანიის სახელმწიფოების გაერთიანების გამო. როგორც პრუსიას, ასევე ავსტრიას სურდა ყოფილიყო გერმანული მიწების გაერთაინების ცენტრი. ამიტომ საფრანგეთთან და რუსეთთან მოახლოებული ომის პირობებში პრუსია მას მხარს არ დაუჭერდა.

ავსტრიასთან მოსალოდნელი ომის პიროებში საფრანგეთი აქტიურ დიპლომატიას ახორციელებდა. ნაპოლეონ III მიწვევით 1858 წლის 20 ივლისს პლომბიერში შედგა მოლაპარაკება საფრანგეთის იმპერატორს და სარდინიის სამეფოს პირველ მინსტრს კავუროვს შორის. ამ დროისათვის სარდინიის სამეფო საკმაოდ გაძლიერებული იყო და ცდილობდა იტალიური მიწების მის გარშემო გაერთიანებას. ეს პროცესი კი ავსტრიასთან კონფლიქტის გარეშე ვერ დასრულდებოდა, ვინაიდან იტალიის უმეტესი სახელმწიფოები მის გავლენის ქვეშ იყო. ასე რომ სარდინიის და საფრანგეთის დაახლეობისათვის შესაბამისი საფუძველი არსებობდა – ეს იყო ავსტრიის ფაქტორი. მოლაპარაკების

შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც საფრანგეთი სარდინიას გადასცემდა ორ პროვინციას სავოაიას და ნიცას, ნაპოლეონ III კი, თავის მხრივ, თანახმა იყო სრდ-ინიის სამეფოსთან ერთად ომი გამოეცხადებინა ავსტრიისათვის და ებრძოლა მანამ, სანამ არ გააძევებდა ავსტრიელებს იტალი-იდან და ლომბარდია და ვენეცია სრულად არ გათავისუფლდე-ბოდა. სხვათა შორის, ეს შეთანხმება საკმაოდ დიდი ხნის მან-ძილზე დარჩა საიდუმლოდ.

ნაპოლეონ III ავსტრიასთან მიმართებით თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ხელს უშლიდა რუსეთთან შეთანხმების არარ-სებობა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ 1858 წლის ბოლოსა და 1859 წლის დამდეგს მან თავისი ძალისხმევა მიმართა რუ-სეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების დასადებად. თუმცა, მოლაპა-რაკებები არც ისე ადვილად მიმდინარეობდა. თითოეული მხარე ცდილობდა თავისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვას. შაფ-რანგეთს სურდა რუსეთისაგან მიეღო კონკრეტული ვალდებ-ულებები ავსტრია-საფრანგეთის ომის შემთხვევაში. რუსეთი კი ცდილობდა მიეღწია პარიზის ხელშეკრულების იმ მუხლების უარყოფას, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის ნეიტარლიზაციის შესახებ. ორმხვრივი ინტერესების არსებების გამო, 1859 წლის 19 თებერვალს პარიზში რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და თანამშრომ-ლობის შესახებ. ხელშეკრულების პირობების მიხედვით რუსეთ-მა საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება დაეცვა ნეიტრალიტეტი, თუკი საფრანგეთი და სარდინიის სამეფო ომს გამოუცხადებ-დნენ ავსტრიას. ამავე დროს, რუსეთი ავსტრიის საზღვრებთან დამკვირვებელთა კორპუსს განალაგებდა. რუსეთთან მიმართ-ებით გარკვეულ ვალდებულებებს ღებულობდა საფრანგეთიც. რეალურად, აღნიშნული ხელშეკრულება გარკვეული სახით რუსეთის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლას ნიშნავდა.

ავსტრიელები გრძნობდნენ მოახლოებულ საშიშროებას და დაიწყეს მზადება ომისათვის. როგორც ყველა სხვა ქვეყანა მთა-ვარი იყო ის, თუ ვინ დაიწყებდა მას. საქმე იმაში მდგომარე-

ობდა, რომ გერმანიის კავშირთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, ავსტრიას თავდაცვითი ომის შემთხვევაში შეეძლო მიემართა გერმანული სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ავსტრიის მონარქს, რომელსაც ომის ეშინოდა, ფრთხილობდა და მოვლენების განვითარებას ელოდა. მაშინ სარდინიის სამეფომ ეშმაკობას მიმართა. კავურმა ყველა მისაღები საშუალებით გაავრცელა ხმები სარდინიის სამეფოს არმიის სისუტის, მისი დეზორგანიზაციის, ვიქტორ ემანულ II სამეფო კარზე ერთსულოვნების არ არსებობის შესახე, იმაზე, რომ თვითონ მალე გადაეცემოდა სასამრთლოს სახელმწიფო ღალატის გამო, რადგან ნაპოლეონს გადასცა სავოია და ნიცა. ეს მცდარი ცნობები გავრცელდა ვენის სასახლეშიც, სადაც გადაწყვიტეს ომის დაწყება, რათა საბოლოოდ მოეხსნათ საფრთხე, რომელიც მოდიოდა სარდინიის სამეფოსაგან. 1859 წელს ავსტრიამ სარდინიის სამეფოს ულტიმატუმი წაუყენა. ნაპოლეონ III და კავურმა თავისას მიაღწია. მათი არმია უკვე ავსტრიის საზღვრებთან იმყოფებოდა, როცა ვენამ ომი დაიწყო. ომის დაწყების გამო ავსტრიამ გერმანული სახლმწიფოებიდან სამხედრო დახმარების შესაძლებლობა დაკრგა. იგი მარტო აღმოჩნდა ამ ომში.

ცხადი იყო, რომ ავსტრიის არმია ვერ გაუძლებდა საფრანგეთის და სარდინიის გაერთიანებული არმიის თავდასხმებს. მან მთელი რიგი დამარცხებები განიცადა მონტებელთან და მაჯენთთან, შემდეგ სოლფერინთან. დამარცხებული ავსტრიის ჯარის ნაწილებმა უკან დაიხია. აშკარა იყო, რომ პიმონტი დ პარიზი თავის მიზანს მალე მიაღწევდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელობა. ავსტრიის იმპერატორის ფრანც-იოსების შტაბში გამოცხადდა ნაპოლეონ III ფლიგელ-ადიუტანტი ჰერცოგი დე კადორი. მან ავსტრიის იმპერატორს შესთავაზა ნაპოლეონ III სახელით დაედოთ დროებითი ზავი. რაც მოხდა კიდეც ქალაქ ვილაფრანკეში. მოკავშირის გაყიდვამ იტალიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ნაპოლეონი III მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა გამოწვეული იყო ომის გაჭიანურების შიშით. ასეთ შემთხვევაში აშკარად შეიქმნებოდა გერმანიიდან თვდასხმის საფრთხე. ნაპოლეონს არ სურდა სამხედრო დანაკარგები სარდინიის გამო, მით უფრო, რომ იტალიური არმია ცუდად იბრძოდა. ამის გარდა, საფრანგეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო რომ არ მომხადრიყო იტალიის გაერთიანება. კერძოდ, საფრანგეთის საზღვართან ახალი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. თუკი ასეთი რამ მოხდებოდა, მაშინ საფრანგეთის არმიას უნდა დაეტოვებინა რომი, რასაც შეიძლება პაპის წმინდა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოჰყოლოდა. ნაპოლეონი, რომელიც რეალურად იბრძოდა სავოიასა და ნიცისათვის, ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ დამშვიდდა, დაივიწყა იტალიის ინტერსები. პარიზის ამგვარი ნაბიჯით კავური მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამრიგად, საფრანგეთმა მიიღო მნიშვნელოვანი ტერიტორიული შენაძენი, რითაც არ დაუშვა იტალიის გაერთიანება და არ მისცა გერმანიის სახელმწიფოებს შესაძლებლობა საფრთხე შეექმნათ საფრანგეთისათვის. პირიქით, პრუსიისათვის მომგებიანიც კი აღმოჩნდა ავსტრიის დასუსტება. რუსეთიც კმაყოფილი იყო საფრანგეთის წარმატებებით.

ნაპოლეონ III წინააღმდეგი იყო იტალიის გაერთიანების, მან სარდინიის მეფე ვიქტორ ემანუელ II აიძულა არ შეეშვა გარიბალდი რომში. ასეთი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობდა ნაპოლეონის პოპულარობას იტალიაში. პირიქით, იტალიელებში იზრდებოდა მისდამი სიძულვილი. ალექსანდრე II, როგორც კი იტალიაში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანებისათვის კარგად ისარგებლა ამით. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა მოახერხა ავსტრიის არმიის ლომბარდიას და ვენეციაში შეჭრის თაიდან აცილება. მან ორგანიზება გაუკეთა სამი იმპერატორის შეხვდრას. 1860 წლის 22 ოქტომბერს ვარშავაში შედგა ავსტრიის, რუსეთის და პრუსიის იმპერატორების შეხვედ-

რა. შეხვედრაზე ალექსანდრე II დაარწმუნა ავსტრიის იმპერატორი არ დაეწყო საომარი მოქმედება იტალიაში.

ცხადი იყო რომ შექმნილი საერთაშორისო ვითარება იტალიის გაერთიანების პროცესს ხელს უწყობდა. ავსტრია არ იყო ის ძალა, ვინც ამ პროცესს შეაჩერებდა. ხოლო იტალიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება უკვე დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნის გაერთიანების პროცესის ბოლომდე მიყვანას.

3.2.3. იტალიის გაერთიანება

1850-1860 წწ. იტალიაში რისორჯიმენტო შევიდა თავის დამამთავრებელ ფაზაში. სარდიინის სამეფომ მიიღო კონსტიტუცია, მის საფუძველზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა გრაფი კავური. ამ უკანასკნელის ლიბერალური რეფორმების წყალობით იტალიაში გამოიკვეთა პიემონტის, როგორც ლიდერი პოლიტიკური ცენტრის მდგომარეობა, ხოლო ყირიმის ომში მონაწილეობამ მას საერთაშორისო არენაზე გარკვეული წონა შესძინა. დემოკრატიული მიმდინარეობა დაიშალა, ხოლო მისი ნაწილი რომელიც მზად იყო პიემონტის მთავრობასთან თანამშრომლობისათვის, შექმნა ახალი გაერთიანება „იტალიის ეროვნული საზოგადოება". მისი ვიცე თავმჯდომარე გახდა „ახალგაზრდა იტალიის" ეროვნული გმირი ჯუზეპე გარიბალდი, რომელიც რესპუბლიკური წყობის მომხრე იყო.

1859 წელს სარდინიის სამეფომ საფრანგეთთან კავშირით, რომელსაც დაპირდა სავოიას და ნიცის გადაცემას, ომი გამოუცხადა ჰაბსბურგების მონარქიას ლომბარდიასა და ვენეციაში. ამავე დროს ავსტრიელების დამარცხებამ პროვოცირება გაუკეთა პატრიოტული მოძრაობის დაწყებას ცენტრალურ იტალიაში, სადაც დაიწყო აჯანყებები და დემონსტრაციები. შედეგად ჰერცოგი გაიქცა, ხოლო მოგვიანებით, პლებისციტის შემდეგ პარმა, ტოსკანა და ოდენა, ასევე პაპის სახელმწიფოს ნაწილი და რომანა შეუერთდა პიემონტს. სწორედ მოვლენათა ამგვარი გან-

ვითრების შედეგად, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III, რომელიც დაშინდა გაუთვალისწინებელი მოვლენებით იტალიაში, შეწყვიტა ომი ავსტრიასთან და ზავი დადო. საბოლოოდ, ავსტრიელებმა პიემონტს მხოლოდ ლომბარდია გადასცეს.

1860 წელს აჯანყება დაიწყო სამხრეთ იტალიაში. გენუიდან სიცილაიში გაიგზავან ორი ხომალდი მოხალისეების რაზმი გარიბალდის ხელმძღვანელობით. მათ მოახერხეს ბურბონების შეიარაღებული ჯარების დამარცხება და ნეაპოლიის დაკავება. გარიბალდის ფანტასტიკურმა წარმატებამ, რომელიც არ ჩქარობდა სამხრეთის პიემონტისათვის გადაცემას და განზრახული ქონდა რომზე გალაშქრება, ხელი შეუწყო იტალიის დემოკრატიული გაერთიანების იმედის გაცოცხლებას. მოვლენების ამგვარმა განვითრებამ ძალზედ დააშინა სარდინიის პრემიერ-მინისტრი კავურა. სწორედ, ასეთ ვითარებაში მან მიიღო ნაპოლეონ III თანხმობა და დაიკავა პაპის სახელმწიფოს ორი პროვინცია - მარკი და უმბრინი. გარიბალდის წინსვლა შეჩერდა. 1861 წელს შეიქმნა იტალიის სამეფო, რომლის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მხოლოდ რომი (ლაციოს ოლქთან ერთად, რომელიც დაიკავა ფრანგულმა არმიამ) და ვენეცია.

დემოკრატიული მოძრაობის დამრცხების ერთ ერთი ძირითადი მიზეზი იყო აგრარული აჯანყება იტალიის სამხრეთში. გლეხთა ბრძოლამ მიწებისათვის ვერ მიიქცია გარიბალდის საკმარისი ყურდღება, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა გლეხთა გამოსვლებში. ხოლო შემდეგ (1865 წლამდე) ამბოხება უკვე გაგრძელდა დამხობილი ბურბონების მხარდამჭერი ლოზუნგებით.

1866 წელს ავსტრია-პრუსიის ომის შედეგად, რომელშიც პიემონტი მონაწილეობდა გამარჯვებული პრუსიის მხარდასაჭერად მიიღო ვენეცია. ხოლო 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, როცა ნაპოლეონ III გაიყვნა თავის ჯარები რომიდან, მარადიული ქალაქი გახდა იტალიის სახელმწიფოს დედაქალაქი.

სარდიინის და პრუსიის ერთობლივი სამხედრო მოქმედებები პრუსიის ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი. იტალიის მსგავასდ

გაერთიანების პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებდა გერმანულ სახელმწიფოებშიც. როგორც იტალიის გაერთიანების, ასევე პრუსიის გაერთიანების რეალურ მოწინაღმდეგედ ავსტრია გამოდიოდა. თუმცა, ავსტრიას უკვე არა შეეძლო წინ აღდგომდა პრუსიის გაერთიანებასა.

3.2.2. პრუსიის გაერთიანება და წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა

ევროპაში მთავარი მოვლენა XIX ს-ის 60-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში მოხდა, როდესაც პრუსია დაჟინებით ცდილობდა გერმანული მიწების გაერთიანებას მისი ეგიდით. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ არსებული საერთაშორისო ვითარება უზუნველყოფდა ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტას. ურთიერთობა საფრანგეთსა და ინგლის შორის გაუარესდა. ინგლისმა, რომელმაც უარი თქვა ევროპის სახელმწიფოების კონგრესში მონაწილეობაზე, რომლის წინადებაც წამოაყენა ნაპოლეონ III, საშუალება არ მისცა საფრანგეთის იმპერატორის იდეის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ყირიმის ომი დასრულებული და პარიზის საზავო კონფერენცია გასული იყო, რომელმაც განამტკიცა ტერიტორიული ცვლილებები ევროპაში, ყოფილი მოკავშირეების პოლიტიკური განწყობილება რუსეთთან მიმართებით უცვლელი დარჩა. მათ მიაღწიეს რუსეთის პოზიციების შესუსტებას მსოფლიო არენაზე. განსაკუთრებით, ეს გამომჟღავნდა პოლონეთის აჯანყების დროს. დასავლეთის სახელმწიფოებმა სცადს გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია რუსეთის შიდა საქმეში ჩასარევად. მათ სურდათ პოლონეთის სამეფოს აღდგენის საბაბით საკუთარი ინტერსების შესაბამისად შეეცვალათ ევროპის რუკა. 1863 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს შესთავაზეს ევროპის იმ სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1815 წლის ტრაქტატს. ამ სიტუაციაში ა. გორჩაკოვმა, რომელიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე გამოვიდა პოლონელებისადმი ნაწილობრივი დათ-

მობების წინადადებით, დაიკავა მკაცრი პოზიცია და პოლონეთის დაყოფის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. იგი პოლონეთის საკითხს განიხილავდა რუსეთის შიდა საქმედ. მან ამ საკითხზე მაინც გააჭიანურა მოლაპარაკებები დროის მოგების მიზნით. პრუსიამ ამ სიტუაციაში დაიჭირა განსხვავებული პოზიცია. რუსეთთან დადო კონვენცია, რომელიც ამ უკანასკნელს უფლებას აძლევდა პრუსიაში გაქცეულ ამბოხებულებს დადევნებოდა. პრუსიას ამ ნაბიჯით სურდა მოეპოვებინა რუსეთის იმპერატორის მხარდაჭერა გერმანიის გაერთიანების საქმეში.

გერმანიის გაერთიანების პრობელმის გადაწყვეტა დაკავშირებული აღმოჩნდა იმ ეპოქის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ოტოფონ ბისმარკის სახელთან. ის 1862 წელს სათავეში ჩაუდგა პრუსიის მთავრობას. მან მიზანმიმართულად და გეგმაზომიერი პოლიტიკის გატარებით მიაღწია მიზანს. ბრწყინვალე სტრატეგმა კარგად იცოდა, რომ ამ ამოცანის მიღწევა შეიძლებოდა ეტაპობრივად, რომ არ გამოეწვია წამყვანი სახელმწიფოების უკმაყოფილება. მისთვის ნათელი იყო, რომ მარტო დიპლომატიური მანევრირებით ამ ამოცანის მიღწევა შეუძლებელი იყო. პრუსიის ეგიდით გერმანიის გაერთიანება შეიძლება მიღწეული ყოფილიყო ბრძოლისუნარიანი და ძლიერო არმიის ყოფნის პიროებებში. მან ქვეყნაში სამხედრო რეფორმა გაატრა.

პრუსიამ პოლონეთის აჯანყებაში პრორუსული პოზიცია დაიჭირა. 1862 წლის ბოლოს პოლონეთში აჯანყებამ იფეთქა და ბისმარკმა, რომელმაც სწორი გათვლები გააკეთა, გადაწყვიტა, რომ პრუსიისათვის მომგებიანი იქნებოდა რუსეთთან ერთად მოქმედება. ხოლო ინგლისი და საფრანგეთი პირიქით, ავსტრიის მხარდაჭერით მის წინააღმდეგ გამოვიდნენ. პრუსიამ 1863 წლის 8 თებერვალს პეტერბურგში რუსეთთან ხელი მოაწერა კონვენციას პოლონეთის საკითხზე (ე.წ. ალვენსლებენის კონვენცია, რუსი გენერლის, რომელიც ჩავიდა რუსეთში ხელმოსაწერად), რომელშიც საუბარია, რუსეთის და პრუსიის რაზმების ხელმძღვანელებს შეთანხმებული მოქმედებების შესახებ,

სჭიროების შემთხვევაში კი საზღვრების გადალახვის უფლება ეძელოდათ მათ თუ ისინი აჯანყებულების დევნასთან დაკავშირებით რუსეთის და პრუსიის საზღვრებს გადალახავდნენ.

ამრიგად, პოლონეთის აჯანყების დროს, პრუსიამ გარკვეული კუთხით დაეხმარა რუსეთს. პრუსიის პრორუსული პოზიცია ამ კონფლიქტში თავისთავად დაკავშირებული იყო გერმანიის გაერთიანების საკითხთან.

პრუსიის ამგვარმა ნაბიჯმა სასურველი გავლენა იქონია რუსეთის იმპერატორის დამოკიდებულებაზე პრუსიის მეფე ვილჰემ I მიმართ. თუმცა, სხვაგვარად ფიქრობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გორჩაკოვი, რომელიც ბისარკის სახით რუსეთის სერიოზულ მეტოქეს ხედავდა. მას არ სჯეროდა პრუსიის კანცლერის და მას თვალმაქცეობაში ადანაშაულებდა. თავის მხრივ, არც ბისმარკს მოსწონდა რუსეთის მინისტრი. მავე დროს, ბისმარკი სწორად მსჯელობდა, რომ რუსეთი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას მისი გეგემების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, საპასუხოდ გორჩაკოვმა ნეიტრალიტეტი დაიცვა პრუსიის ავსტრიასთან და საფრანგეთთან კონფლიქტის დროს.

საფრანგეთს, ინგლისს და განსკუთრებით ავსტრიას საკუთარი ინტერესები გაჩნდათ, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიდოა ბისმარკის გეგმებთან. ავსტრიას თვითონ სურდა გერმანიის მიწების გაერთიანება, თუმცა არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა პრუსიისათვის. ამ საკითხში მან ვერ ნახა მოკავშირე საფრანგეთის და ინგლისის სახით.

1863 წლის ბოლოს პრუსიის ხელისუფლებამ დაიწყო პარქტიკული ნაბიჯების გადაგმა ქვეყნის გაერთიანების საქმეში. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადაიდგა შლეზვიგის და ჰოლშტაინის სათავადოების შემოერთებით. ამ საერცოგოებს, რომლებიც ფლობდნენ გასასვლელბს ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებზე, ქონდათ სტრატეგიული მნიშვნელობა ისინი ექვემდებარებოდნენ დანიასაც ავატონომიურ უფლებით და ეს აღიარებული იყო ყველა გერმანული სახელმწიფოს მიერ, მათ შორის პრუსიისაც.. დანის მეფის ფრიდრიხ VII გარდაცვალების შემდეგ, მეფე გახდა

ქრისტოს IX. ბისმარკი, რომელიც არ აღიარებდა, რომ ქრისტოს IX უფლება ქონდა მემკვიდრეობით ამ საერცოგოებზე, გადაწყვიტა მათი შემოერთება. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის წინააღმდგობა, ბისმარკმა დიპლომატიურ ხრიკს მიმართა. ის ირწმუნებოდა, რომ მას მხოლოდ ერთი მიზანი ქონდა - გაეერთიანებინა გერმანული მიწები და უზრუნველეყო ელბრუსკის პირა ტერიტორიის მოსახლეობის თავისუფალი განვითარება. თუმცა, არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ ფიქრობდნენ დაეჯერებინათ მისი და დაეშვათ პრუსიის გაძლიერება.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი „არაწესიერ საქმედ" თვლიდა პრუსიის მიერ შლეზვინგის და ჰოლშტაინის დანიისათვის წართმევას. თუმცა, ლონდონი, როცა აფასებდა ავსტრიის და პრუსიის ურთიერთობებს სხვა საერცოგოებთან, მაშინ, იგი დაინტერესებული იყო რომ საერცოგოები პრუსიასთან მჭიდრო კავშირში ყოფილიყვნენ. რაც შეეხება, მთლიანობაში, გერმანის სახელმწიფოების და პრუსიის მომავლ ბედს, ლონდონი გამოთქვამდა მხარდაჭერას ძლიერი გერმანისადმი, რომ მას წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთისა და რუსეთისათვის.

1863 წელს დანიამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით შლეზვინგი დანიის შემადგენელ ნაწილად გამოცხდადდა. ამ ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი გერმანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, რომლებიც კატეგორიული წინააღმდგი იყვნენ შლეზვინგის დანიის შემადგენლობაში დარჩენის. ცხადია, მათი ეს განწყობა ცნობილი იყო ბისმარკისათვის. მან კარგად გამოიყენა ეს გარემოება და ავსტრიას შესთავაზა ერთობლივი მონაწილეობა მიეღოთ შლეზვინგის და ჰოლშტაინის შემოერთებაში. პრუსიას მარტოს შეეძლო ადვილად დაემარცხებინა დანია, მაგრამ იმისათვის რომ მოეხდინა ავსტრიის ნეიტრალიზება ბისმარკმა ვენას ერთობლივი მოქმედება შესთავაზა დანიის ჩაგვრისაგან გემანელების დაცვის საქმეში. ავსტრია თანახმა გახდა. დანიის მეფეს ულტიმატუმი წაუყენეს, რომ გაეუქმებინა კონსტიტუცია. ინგლისმა და საფრანგეთმა მხარი არ დაუჭირა

დანიას, რომელიც მარტო დარჩა ძლიერი მოწინაღმდეგის პირისპირ.

რუსეთი ასეთ სიტუაციაში პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ამ პერიოდში მისი საგარეო პოლიტიკა გაქტიურებულიყო შუა აზიაში. ასევე ყურადღება გადატნილი ქონდა შიდაპოლიტიკურ საკითხებზე. პრუსიაში კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის პოზიციაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. პრუსიაში რუსეთის ელჩთან შეხვედრებზე ბისმარკი პირდაპირ აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი გამოვიდოდა დასავლეთის სახელმწიფოების მხარეზე პრუსია იძულებული იქნებოდა კავშირი შეეკვრა საფრანგეთთან. რუსეთისათვის კი, ეს იქნებოდა პოლონეთის საკითხის გამწვავება და იმედის დაკარგვა, რომ მოხდებოდა პარიზის ზავის მუხლების გადახედვა. ასე რომ რუსეთი გარკვეულწილად იძულებულიც კი იყო, ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა.

დანიის მეფემ, დამარცხების კვალდაკვალ დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთს. თუმცა უარი მიიღო. 1864 წლის 12 მაისს დანია იძულებული გახდა დაედო ზავი და მიეღო პრუსიის და ავსტრიის ყველა მოთხოვნა. 1864 წლის 30 ოქტომბერს, ვენაში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას დანიას, ავსტრიას და პრუსიას შორის. მასში აღნიშნული იყო, რომ დანიის მეფე, ავსტრია-პრუსიის სასრგებლოდ, ყველა იმ უფლებაზე უარს აცხადებდა, რომელიც ქონდა შლეზვიგსა და ჰოლშტაიზე, ასევე ლაურენბურგზე. ხოლო 1865 წლის 14 აგვისტოს ავსტრიასა და პრუსიას შორის ჰოლშტაინში ხელი მოეწერა კონვენციას. მის საფუძველზე შლეზვიგი გადეცა პრუსიას, ხოლო ჰოლშტაინი ავსტრიას. ორივე სახელმწიფო შეთნხმდა გერმანული ფლოტის შექმნაზე. პრუსიამ მიიღო უფლება ჰოლშტაინის გავლით აეშენებინა არხი ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებს შორის. ავსტრიის იმპერატორმა თავისი უფლება ლაურენბურგზე გადასცა პრუსიის მეფეს, სანაცვლოდ პრუსიამ მას 2500 დანიური ტალერი გადაუხადა.

ამრიგად, ავსტრია დაეხმარა პრუსიას დანიის დამარცხებაში და მოიპოვა გასავლელი ჩრდილოეთის ზღვაზე, სადაც სამომავლოდ აშენებულ იქნა სამხედრო-საზღვაო სიმაგრე. ფაქტობრივად კი, ავსტრიამ თავად მოამზადა ნიადაგი პრუსიასთან მომავალ ომში დამარცხებისათვის. ავსტრიისათვის ჰოლშტაინის გადაცემა ეს იყო გერმანიის სახელმწიფოების და პრუსიის გაყოფა ცალ-ცალკე, რადგან იგი ამ ტერიტორიების შუაში მდებარეობდა. ამავე დროს ჰოლშტაინის დაუფლება ავსტრიის მიერ იყო სახიფათო ნიშნების მატარებელი. ბისმარკის იურიდიული ჩანაფიქრი, რომლითაც მოხდა ავსტრიისათვის ამ საერცოგოს გადაცემა, სამომავლოდ პრუსიას აძლევდა საბაბს გამოეყენებინა იგი საომარი მოქმედებების დასაწყებად ავსტრიის წინააღმდეგ. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთრების უფლება შლეზვინგსა და ჰოლშტაინზე ორივე სახელმწიფოს ქონდა. თუმცა, ადმინისტრაცია სხვადსხვა იყო - ჰოლშტაინში ავსტრიის, ხოლო შლეზვინგში პრუსიის. ვენაში კარგად გაიგეს შექმნილი მდგომარეობა და ჰოლშტაინი დაუთმეს პრუსიას გასამრჯელოს სანაცვლოდ.

ამრიგად, გერმანიის გაერთიანებისათვის გადაიდგა პირველი ნაბიჯი. ბისმარკმა კარგად გამოიყენა ის ფაქტი, რომ დანიამ გააუქმა შლეზვინგის და ჰოლშტაინის ავტონომია, რამაც საშუალება მისცა მას ჩარეულიყო ქვეყნის შიდა საქმეებში და ავსტრიასთან ერთად ადვილად დაამარცხა დანია. შედეგად შლეზვინგი პრუსიას გადეცა, ხოლო ჰოლშტაინი ავსტრიას. ამ შეთანხმებაში უკვე იყო ნიშნები მომავალი ავსტრია-პრუსიის დაპირისპირების. ბისმარკი მხოლოდ შესაბამის მომენტს ელოდა, რომ ავსტრიაზე საბოლოო დარტყმა განეხორციელებინა.

3.2.3. ავსტრი–პრუსიის ომი და და მისი შედეგები

ავსტრიასთან ომის მზადების პერიოდში ბისმარკმა დიპლომატიურ ფრონტზე მოქმედებები გააქტიურა. მას კარგად ესმოდა, რომ გერმანული კავშირიდან ავსტრიის გამოძევება მხო-

ლოდ ძალით შეიძლებოდა. ამავე დროს ის კარაგად ათვიცნობიერებდა იმ ფაქტსაც, რომ მისი ჩანაფიქრის მოწინააღმდეგები შეიძლება ყოფილიყვნენ საფრანგეთი და რუსეთი. ამ უკანასკნელის ბისმარკს უფრო მეტად ეშინოდა.

სახვათაშორის, არც პეტერბურგში არ არსებობდა ერთიანი აზრი პრუსიასთან მიმართებით, რომელიც ისწრაფოდა გერმანული მიწების გაერთიანებას. ალექსანდრე I კარგად ახსოვდა, რომ პრუსიამ მხარი დაუჭირა 1863 წელს პოლონეთთან დაკავშირებულ საკითხებში ასევე კარგად ახსოვდა ავსტრიის ღალატი ყირიმის ომის პერიოდში და პარიზის კონფერენციაზეც. ამიტომ რუსეთის იმპერატური სულ უფრო იხრებოდა პრუსიის მხარდაჭერის აზრისკენ. ა. გორჩაკოვი კარგად ათვითცნობიერებდა გერმანიის გაერთიანების ფაქტორს, რომ ძლიერი გერმანული სახელმწიფოს შექმნა გარკვეულ საფრთხეებს ქმნიდა რუსეთისათვის. ის მიიჩნევდა, რომ ამისათვის საჭირო იყო სწრაფი მოქმედება დიპლომატიური არხების გამოყენებით. თუმცა, ალექსანდრე II თავისი დამოკიდებულება პრუსიის მიმართ გაიტანა და პეტერბურგშიც საწინააღმდეგო შეხედულბები პრუსიის ავსტრიის წინარმდეგ მოქმედებაში შეწყდა.

ნაპოლეონი კი შექმნილ სიტუაციაში შეეცადა ტერიტორიული მონაპოვარი შეეძინა. მან დაიწყო მოლაპარაკებები პრუსიასა და რუსეთთან. ის ცდილობდა მათგან მიეღო თანხმობა საფრანგეთის ტერიტორიულ პრეტენზიებზე ავსტრიის სამფლობელოებისადმი. რუსეთმა ამ საკითხებზე ნეიტრალიტეტი არჩია, რადგანაც იმედოვნებდა ავსტრია – პრუსიის ომის გაჭიანურებას. ბისმარკმა საფრანგეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის მიღებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით გადაწყვიტა ნაპოლეონ III-თან შეხვედრა. იგი შედგა ხმელთაშუაზღვის სანაპიროს საკურორტო ქალაქ ბიარიცში. ბისმარკმა ნაპოლეონ III ავსტრიასთან ომში ნეტრალიტეტის სანაცვლოდ შესთავზა ლუქსემბურგის საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანა. ნაპოლეონმა ბისმარკის წინადადება საკმარისად არ ჩათვალა და ბელგია მოითხოვა. ეს კი საფრანგეთის გაძლიერებას ნიშნავდა, რაცა პრუ-

სიის ინტერესებში არ შედიოდა. ბისმარკმა ამ საკითხზე ნაპოლეონ III არაფერი უპასუხა. თავის მხრივ, არც ნაპოლეონი დარჩა კმაყოფილი ამ შეხვედრით. ამრიგად, ბისმარკის და ნაპოლეონ III შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა, მან კარგად აჩვენა, რომ ავსტრიასთან გაჭიანურებული ომის შემთხვევაში საფანგეთი შესაძლებლია გამოსულიყო პრუსიის წინააღმდეგ. ბისმარკი და პრუსიის სამხედრო მაღალჩინოსნები ხედავდნენ ავსტრიასთან ომის გარადუვალობას. შესაბამისად, მათ წინაშე სამი მთავარი ამოცანა იდგა. პირველი, აუცილებელი იყო პრუსიის არმიის იმ დონეზე მომზადება, რომ მას სწრაფი და ეფექტური მოქმედებით მალე დამარცხებინა ავსტრია; მეორე, გაეტარებინათ აუცილებელი ღონისძიებები, რომ ავსტრიას ერთდროულად ორ- პრუსიის და იტალიის ფორნტზე ებრძოლა. და ბოლოს, მეასე, ავსტრიის დამარცხების შემდეგ ომი დაესრულებინათ და ვენა ნეიტრალიტეტზე დაეთანხმებინათ, რომ ხელი არ შეეშლა პრუსიისათვის გერმანიის გაერთიანების საქმეში. ვიდრე სამხედროები ომისათვის ემზადებოდნენ, ბისმარკი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა იტალიასთან ერთობლივი სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად ავსტრიის წინააღმდეგ.

ნაპოლეონმა, რომელმაც იცოდა ბისმარკის ყველა ქმედების შესახებ, ავსტრიის იმპერატორს ფრანც იოსებს აფრთხილებდა მოახლოებულ საშიშროებას, და იმისათვის რომ ვენას თავიდან აეცილებინა ორ ფრონტზე ბრძოლა მას ურჩევდა იტალიის სამეფოსათვის ნებაყოფილობით დაეთმო ვენეცია მის ოლქითან ერთად. თავის მხრივ იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუელმა ბისმარკს აცნობა თავის მხვრივ ნაპოლეონის მოქმედებების შესახებ, რომელმაც გაფრთხილა არა მარტო ფრანც იოსები არამედ ვიქტორ ემანუელიც. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ბისმარკი აიძულა ბიარიცში ისევ ჩასულიყო. მან მოახერხა ნაპოლეონთან შეთანხმება. თუკი ავსტრიასა და პრუსიას შორის ომი გაჭიანურდებოდა საფრანგეთს შეეძლო დაეკმაყოფილებინა თავისი ტერიტორიული პრეტენზიები რეინზე. ეს იყო ბისმარკის დიპლომატიური გამარჯვება.

1866 წლის 8 აპრილს პრუსიამ და იტალიამ ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულებას ავსტრიასთან ომის შესახებ, რომელიც გამორიცხავდა სეპარატისტული ზავის დადებას. პრუსია თანახმა იყო იტალიისათვის გადაეხად 120 ათასი ფრანკი.

ამრიგად, იტალიის სამეფო, რომელიც მუდმივად ცდილობდა ვენეციის შეერთებას, ბისმარკის შემოთავაზებას, რომ იტალიის სამეფოს პრუსიასთან ერთად ემოქმედა ავსტრიის წინააღმდეგ მხარდაჭერა ჰპოვა რომში. სხვათა შორის, საერთო ევროპული სიტუაცია ბისმარკის წისქვილზე ასხამდა წყალს. რუსეთი ბისმარკის ამ ქმედებაში საშიშროებას ვერ ხედავადა. ინგლისი კოლონიური ექპანსიის პრობლემით იყო დაკავებული და ტრადიციულად გაურბოდა ევროპულ კონტინენტალურ კონფლიქტებში ჩაბამას თუ ეს მას არ ეხებოდა. ნაპოლეონ III ვერ გაანალიზა რა შექმნილი სიტუაცია სწორად დაუშვა ფატალური შეცდომა: იგი შეცდომით მივიდა დასკვნამდე რომ მოახლოებული ავსტრია-პრუსიის ომი იქნება ხანგრძლიბვი, ვინაიდან დაპირისპირებული მხარეების ძალები თანაბარი იყო. ეს კი ნიშნავდა, რომ ორივე მხარე დასუსტდებოდა და საფრანგეთი შეძლებდა შექმნილი მდგომარეობის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას.

პრუსიამ, რომელსაც ეშინოდა, რომ სიტუაცია ყოველწუთს შეიძლება შეცვლილიყო, სამხედრო და დიპლომატიური სამზადისის შემდეგ, 1866 წლის გაზაფხულზე დაიწყო საომარი კამპანია ავსტრიის წინაარმდეგ. ავსტრია-პრუსიის ომი სწრაფად განვითარდა. 1866 წლის 3 ივლისს სადოვისთან ბრძოლაში ავსტრიელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ამ ბრძოლამ ომის ბედიც გადაწყვიტა. ბისმარკს შეეძლო ზავის პირობები შეთავაზებინა ვენისათვის. ბისმარკმა ავსტრიას შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: გამოსულიყო გერმანული კავშირიდან, უარი ეთქვა ჰოლშტაიზე და თანხმობა განეცხადებინა პრუსიის ეგიდით გერმანიის კავშირის სახელმწიფოების გაერთიანებაზე. ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ თუკი ომი გაჭიანურდებოდა ნაპოლეონ III არმიას შეიძლება სამხედრო მოქმედებები დაეწყო რეინის მიმართულებით. მან ასევე კარგად გაათვითცნობიერა,

რომ ავსტრიის საბოლოო განადგურების შემთხვევაში დაიწყებოდა რევოლუციური მოვლენები.

სადოვისთან განცდილი დამარცხების შემდეგ ფარნც იოსეებმა მიიღო ნაპოლეონ III რჩევა და თანახმა გახდა იტალიისათვის გადეცა ვენეცია, მაგრამ ვიქტორ ემანულემა უკვე ავსტრიისაგან ვენციის გარდა, ასევე მოითხოვა ტრიენტი და ტრიესტა. პარალელურად, ამ პერიოდში ავსტრიელებმა შეძლეს გაენადგურებინათ იტალიელების ფლოტი. როცა ეს მოვლენები ვითარდებოდა ბისმარკი სწრაფად მოქმედებდა და 26 ივლისს ნიკოლსბურგში დაიდო ზავი. ავსტრიამ პრუსიის მოთხოვნები მიიღო. ბისმარკამ გერმანიის გაერთიანების საკითხში მეორე ნაბიჯიც წარმატებულად გადაგა.

1866 წლის 23 აგვისტოს პრაგაში ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს საბოლოო საზავო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მიხედვით ავსტრიამ ნებაყოფლობით უარი თქვა გერმანულ კავშირში ყოფნაზე და აღიარა პრუსიის უფლება გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების საქმეში.

ამრიგად, საბოლოოდ შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანული კავშირი, რომელშიც დომინირებული მდგომარეობა პრუსიამ დაიკავა. უფრო მეტიც, პრუსიის მეფე გახდა კავშირის მეთაური, ცენტარლური ხელისუფლების მნიშვნელოვანი კომპეტენციებით. ავსტრიამ უარი თქვა გერმანული მიწების გაერთიანების და ჰეგემონობის პრეტენზიაზე. ავსტრიის დამარცხებამ სერიოზული შიდაპოლიტიკური კრიზისის შექმნას შეუწყო ხელი. იმპერატორი, იმისათვის რომ აღმოეფხვრა წინააღმდეგობები იძულებული გახდა ქვეყანში რეფორმები გაეტარებინა. 1867 წელს იმპერატორი ფრანს იოსები ოპოზიციის ზეგავლენით იძულებული გახდა ავსტრიის იმპერია გარდაექმნა დუალისტურ-ავსტრია-უნგრეთის იმპერიად. მასში დარჩა ერთიანი მონარქია, რომელიც ახორციელებდა კონტროლს საგარეო პოლიტიკაზე, მასვე დაექვემდებარა შეიარაღებული ძალები. შიდა საკითხებში იმპერიის უნგრულმა ნაწილმა მიიღო ავტონომია.

რუსეთში კარგად შეაფასეს ყველა ის საშიშროება, რაც შეიძლება მოჰყოლდა ახალი ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, თუმცა ისიც კარგად გაათვიცნობიერეს, რომ პრუსიის სახით ძლიერი სახელმწიფო იდგა დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების პირისპირ. ალექსანდრე II ბისმარკს მიულოცა გამარჯვება და გამოთქვა იმედი, რომ პრუსია ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა. 1866 წლის აგვისტოში პეტერბურგში გაიმართა პრუსია–რუსეთის მოლაპარაკებები. პრუსია დაჰპირდა რუსეთს, რომ მხარს დაუჭერდა მის მოთხოვნას გაუქმებულიყო პარიზის ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც რუსეთს ზღუდავდა შავ ზღავში.

ომი ავსტრიასთან დასრულდა, თუმცა ბისმარკის გეგმების სრულად განხორციელბისათვს ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი. ევროპის კონტინეტზე იმ ეტაპზე პრუსიის მთავრი მოწინააღმდეგე საფრანგეთი იყო. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III ქმედებებმა ქვეყანა მძიმე ვითარებაში ჩააგდო. მისი დაუფიქრებელი მოქმედებები გმოიხატა კოლონიებისათვის ბრძოლაში, რომელმაც ამ პერიოდში მწვავე ხასიათი მიიღო.

3.3. საფრანგეთის ბრძოლა კოლონიებისათვის

ევროპაში თავის მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ ნაპოლეონ III-მ აწარმოა რიგი კოლონიური ომები, რომლითაც მას სურდა მიეღო მსხვილი ბურჟუაზიის მხარდაჭერა. XIX ს-ის 60-იან წლებში სამხედრო კონფლიქტები გაჩაღდა აზიასა (ინდოჩინეთი, სირია, ჩინეთი) და ამერიკაში (მექსიკა). მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო საფრანგეთმა. ინდოჩინეთის გამოკლებით საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III ამ კონფლიქტებში წარუმატებლობა განიცადა.

3.3.1.ინდოჩინეთი

ფრანგებმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს კონ-ხინხინუ და კამბოჯიის მეფისთან მიაღწიეს იმას, რომ მან აღი-არა ფრანგების პროტექტორატი.

3.3.2. სირია

1860 წლის გაზაფხულზე ფრანგებმა სცადეს სირიაში განა-ტკიცება და გადაწყვიტეს ამისთვის გამოეყენებინათ დრუზებსა და მარონიტებს შორის ბრძოლა. მათ, თავის მხრივ, აქეზებდნენ ანგლიკანი და კათოლიკე მისიონერები. რომელთა უკან იდგა ინგლისური და ფრანგული დიპლომატიური წრეები. ეს ბრძოლა დამასკოში, ბეირუთში და სხვა ქალაქებში გადაიზარდა ხოცვა-ულეტაში, რომელშიც დაიღუპა ხუთიათასი მარიონეტი. საფრანგ-ეთმა დასვა საკითხი წამყვანი სახელმწიფოების მიერ კომისიის შექმნის და ჯარების გაგზავნის შესახებ კონფლიქტის შეჩ-ერებისათვის. ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება. მაგრამ ინგლისელებს არ სურდათ ფრანგული ჯა-რების სირიაში ყოფნა და ნაპოლეონ III 1861 წლის ივლისში, იმის გამო, რომ არ გაეფუჭებინა ურთიერთობები დიდი ბრი-ტანეთთან, ჯარები გაიყვანა სირიიდან.

3.3.4. ჩინეთი

ინგლისსა და საფრანგეთს შორის სირიის გამო დავის არ-სებობამ ხელი არ შეუშალა მათ ერთობლივად მოეწყოთ ექსპ-ედიაცია ჩინეთში. ჯერ კიდევ 1858 წელს პარიზმა და ლონდონმა ჩინეთი აიძულეს დაედო მათთან სავაჭრო და პოლიტიკური ხელ-შეკრულებები. ჩინელების მცდელობამ გამოსულიყვენ ამ ხელ-შეკრულებების წინააღმდეგ დასრულდა ინგლისური და ფრანგუ-

ლი ჯარების ინტერვენციით. თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია უპირატესობას.

3.3.5. მექსიკა

1862 წელს ნაპოლეონ III გადაწყვიტა მექსიკის დაპყრობა და მისი ვასალურ სახელმწიფოდ გარდაქმნა. იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ინგლისმა, ესპანეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას მექსიკაში ინტერვენციის შესახებ ამ ჩრდილოეთ ამერიკული სახლმწიფოს მხრიდან საგრეო ვალის მიღების მიზნით. მაგრამ კოალიცია მალე დაიშლა. საფრანგეთიის მოკავშირეებს თვალში არ მოუვიდათ, გარემოება, რომ ნაპოლეონ III სურდა მექსიკა გამოეყენებინა საყრდენ პუნქტად ლათინო ამერიკული იმპერიის შექმნაში. ამიტომ მათ გამოიყვანეს საკუთარი ჯარები მექსიკიდან. მიუხედავად ამისა ფრანგებმა დამოუკიდებლად გააგრძელს ომი. 1863 წელს მათ დაიპყრეს მექსიკის დედაქალაქი, ხოლო 1864 წელს აირჩიეს მექსიკის ახალი იმპერატორი მაქსიმილიანე I, რომელიც ჰაბსბურგების გვარიდან იყო. მაგრამ მექსიკის მოსახლეობამ არ მიიღო ახალი მმართველი. დაიწყო განმათავისუფლებელი ომი. 1867 წლის 10 იანვარს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსმა ევაკუაცია დაიწყო. იმავე წლის მაისში მაქსიმილიანე I, რომლის ხელისუფლება ფრანგულ ხიშტებს ეჭირა, დახვრიტეს. მექსიკის ავანტურა ნაპოლეონ III საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი წარუმატებლი ნაბიჯი იყო. შაფრანგეთის იმპერატორმა ასევე გამოამჟღავნა თავისი ინტერესები 1862 წელს დაწყებული პოლონეთის აჯანყების დროს. პოლონეთის საკითხი ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში კვლავ აქტუალური იყო XIX ს-ის 60-იანი წლის I ნახევარში.

3.4. პოლონეთის საკითხი ევროპულ დიპლომატიაში

1862 წლის ბოლოს პოლონეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. პოლონეთის აჯანყების მიმართ გამოიკვეთა ევროპის სხელმწიფოების სხვადასხვა მიდგომა, რომელიც თითოეული ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ამ აჯანყებაში პრუსიამ პრორუსული პოზიცია დაიჭირა, იმდენად რამდენადაც ამ გზით იგი იმედოვნებდა რუსეთის იმპერატორის მხარდაჭერის მოპოვებას გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების საქმეში პრუსიის ეგიდით. სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ.

პოლონეთის აჯანყების მასშტაბების გაზრდის კვალობაზე საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III შეეცადა გამოეხატა თავისი თანამგრძნობი დამოკიდებულება აჯანყებულებისადმი. ამავე დროს ის ცდილობდა, რომ არ გაეფუჭებინა ურთიერთობები რუსეთის იმპერატორთან. მან მეგობრული დემარშით მიმართა რუსეთის იმპერატორს და სთხოვა აღედგინა პოლონეთის სამეფო. რუსულმა მხარემ ეს წინადადება კატეგორიულად უარყო. ნაპოლეონ III გააჩნდა პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის რამდენიმე გეგმა. თავის ჩანაფიქრის განხორციელებაში ავსტრიის მონაწილეობის და მხარდაჭერის მიღებას იგი ცდილობდა მისთვის ევროპის ცენტრში საზღვრების შეცვლის წინადადების შეთავაზებით. ვინაიდან პოლნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შემთხვევაში ავსტრია კარგავდა გალიციას, სანაცვლოდ ნაპოლეონი მას სთავაზობდა სილეზიას. ვენეციის ოლქის სანაცვლოდ, რომელიც გადაეცა იტალიის სამეფოს, ავსტრია მიიღებდა თურქულ პროვინციებს ადრიატიკის ზღვამდე. გათვალისწინებული იყო სხვა ტერიტორიული ცვლილებებიც. მაგრამ ყველა ეს წინადადება უარყო ინგლისმა. მართალია პარიზის წინადადებებზე ვენა არ გამოსულა წინააღმდეგი, მაგრამ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო მათი ღრმა

შესწავლა. პარიზში, ვენასა და ლონდონში ხანგრძლივი კონსულტაციების და განხილვის შემდეგ გადაწყდა ეს წინადადებები გაეგზავნათ პეტერბურგში.

1863 წელს პოლონეთის აჯანყების დროს ბისმარკმა გამოაქვეყნა პეტერბურგის კონვენციის შინარსი, რომლის მიხედვითაც რუსულ არმიას უფლება ეძლეოდა დადევნებოდა პოლონელ აჯანყებულებს პრუსიის საზღვრებში. ამ ნაბიჯით პრუსიამ დაფიქსირა თავისი პოზიცია, რომ იგი სრულად უჭერდა რუსეთის ქმედებებს პოლონელი აჯანყებულების წინააღმდეგ. მართალია, პრუსიის ამ ნაბიჯზე საფრანგეთში, ინგლისში და ავსტრიაში განაცხადეს, რომ პოლონეთი შეიძლება ყოფილყო რუსეთსა და პრუსიას შორის სამართლებრივი შეთანხმების და დიპლომატიური მოლაპრაკებების საგანი, მაგრამ მათაც გამოთქვეს მზადყოფნა პოლონეთის საკითხზე მოლაპარაკების თაობაზე ალექსანდრე II-თან. საფრანგეთის ხელისუფლებას პოლონეთზე გამოქომაგებით სურდა ომის გაგრძელება, რათა დაესრულებინა ტერიტორიული დაპყრობა რეინის მარცხენა მხარეს და განემტკიცებინა ევროპაში ფრანგული ჰეგემონობა. საფრანგეთის, ინგლისის და ავსტრიის პირველი ნოტები გორჩაკოვმა არ მიიღო და საზეიმოდ გამოაცხადა ამინისტია, იმ პირობით, რომ დათქმულ ვადებში ამბოხებულები იარაღს დაყრიდნენ. რუსეთში ინგლისის და საფრნგეთის ელჩებმა თავიანთ მთავრობებს აცნობეს, რომ ალექსანდრე I არ აპირებდა დათმობას შეიარაღებული ბრძოლის გარეშე ამბოხებულებთან, და თუკი ისინი არ აპირებდნენ ბრძოლას, მაშინ მათ უარი უნდა თქვან ამ საშიშ განზრახვაზე. მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა ხელმეორე ნოტები გააგზავნეს პეტერბურგში, სადაც წაყენებულ მოთხოვნებზე რუსეთმა გადამწყვეტად და საბოლოოდ თქვა უარი. პეტერბურგში პოლონეთის საკითხი გამოცხადდა მხოლოდ რუსეთის შიდა საქმედ.

ალექსანდრე II უცნობი არ იყო ნაპოლეონის გეგმები და მისი მოლაპარაკებები ვენასთან რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების შესახებ. ამასთან ფრანგულმა ნოტამ

რუსეთის იმპერატორის გაღიზიანება გამოიწვია. თუმცა, მან ეს გაღიაზიანება ღიად არ გამოხატა, მაგრამ ვერ აპატია ნაპოლეონს წყენა. რუსეთის პოზიციამ ბევრად დიდი გავლენა მოახდინა იმ მოვლენებზე, რომელმაც შეარყია შემდეგ საფრანგეთი.

ბევრად ანტირუსული პოზიცია ინგლისმა დაიკვა. საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. როსსელი, რომელიც თვლიდა, რომ რუსეთს არ შეეძლო ინგლისთან ომის წარმოება, დაიწყო მოლაპარაკებები საფრანგეთთან და ავსტრიასთან რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების საწარმოებლად. რუსეთში კარგად ესმოდათ, რომ ინგლისი იმ ეტაპზე ანტირუსული კოალიციის შექმნას ვერ შეძლებდა. ნაპოლეონ III დაკავებული იყო მექსიკაში ომით და მის ჩართვას ახალ ომში რუსეთის წინააღმდეგ აზრი არ ქონდა. ცხადია, არც ლონდონს ქონდა სურვილი მოკავშირის გარეშე რუსეთთან ომი ეწარმოებინა. თუმცა პეტერბურგში ახალი ბევრად მკაცრი ნოტა გაიგზავანა. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის როსსელის მიერ 1863 წლის 17 ივლისს გაგზავნილ ნოტაში მკაცრად იყო მოთხოვნილი სრული და საყოველთაო ამინისტია პოლონელი ამბოხებულების, ნაციონალური წარმომადგენლობა თავისი უფლებებით, რომელიც განსაზღვრული იყო 1815 წლის 27 ნოემბრის ვენის ქარტიით, პოლონელების დანიშვნა სახელმწიფო თანამდებობებზე, რათა შეექმნათ ეროვნული მმართველობა, რწმენის სრული თავისუფლება და შეზღუდვების მოხსნა კათოლიკური ეკლესიისათვის, პოლონური ენის ოფიციალურ ენად აღიარება მმართველობაში, სასამრთლოში და განათლების სისტემაში, სამართლიანი და რეგულარული სარეკრუტო სისტემის შექმნა.

მიუხედავად ამ ნოტებისა, პარიზში, ლონდონში და ვენაში სხვადასხვა შეხედულებები ქონდათ რუსეთზე პოლონეთის საკითხთან მიმართებით.

საპასუხოდ პეტერბურგმა 1863 წლის 13 ივლისს გაგზავნილ ნოტაში ხაზგასმით აღნიშნა: მოლაპარაკებები პოლონეთის შესახებ შეიძლება დაწყებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა აჯანყებულები კაპიტულაციას გამოაცხადებდნენ და მოლაპა-

რაკებებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ადრე პოლონეთის დანაწილებაში მიიღეს მონაწილეობა.

ასეთ პირობებში ლონდონი და პარიზი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პირველი იმოტომ, რომ ისინი მთელი მისი მოქმედებებით პირდაპირ თუ ირიბად პოლონელებს აქეზებდნენ განეგრძოთ ბრძოლა და არ მიეღოთ რუსების წინადადება ამინისტიის შესახებ. მეორე, ისინი მათი მკაცრი განცხადებების საპასუხოდ ყოველთვის მკაცრ უარს ღებულობდნენ. ამავე დროს, როსსელმა მოამზადა კიდევ ერთი ნოტა, რომელშიც დაადანაშაულა რუსეთი იმაში, რომ მან დაარღვია თავისი ვალდებულება, რომელიც პოლონეთთან მიმართებით ადრე მიიღო, ამიტომ არანაირი უფლება აღარ აქვს მას მართოს პოლონეთი. თუმცა ეს ნოტა პეტერბურგამდე არ ჩასუალა. ნაპოლეონმა, როცა გაიგო ამ ნოტის შინაარსი, უარი თქვა რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე. ინგლისი უხერხულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შექმნილი სიტუაციიდან, რომ გამოსულიყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი როსსელი იძულებული გახდა 1863 წლის 26 სექტემბერს საჯაროდ განეცხადებინა, რომ მისთვის არაფრად არ ღირს პოლონეთის გამო რუსეთთან ომის დაწყება. ასე რომ საქმე რუსეთის დიპლომატიური გამარჯვებით დასრულდა. პოლონეთისა და პოლონელებისათვის ამ აჯანყების შედეგები მართლაც კატასტროფული აღმოჩნდა. პოლონეთის სამეფოს ავტონომიამ არსებობა შეწყვიტა.

ნაპოლეონ III კიდევ ერთხელ სცადა ორგანიზება გაეკეთებინა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების კონგრესისათვის. პეტერბურგის ინტერესი რომ გამოეწვია ამ კონგრესისადმი ის ვარაუდობდა პოლონეთის საკითხის განხილვის გვერდით მიეღოთ გადაწყვეტილება 1856 წლის პარიზის იმ მუხლების გაუქმების შესახებ, რომელიც ეხებოდა რუსეთისათვის შავ ზღვაში ფლოტის ყოლის უფლების აკრძალვას. თუმცა ნაპოლეონის ამ წინადადებაზე უარი განაცხადა ინგლისმა, რომელსაც არ სურ-

და შავ ზღავში რუსული ფლოტის გამოჩენა. ამდენად, ნაპოლეონ III ამ კონგერსის მოწვევაზე უარი მიიღო არა პეტერბურგიდან, არამედ ლონდონიდან.

ამრიგად, პოლონეთის საკითხთან მიმართებით აშკარად გამოჩნდა, რომ ყირიმის ომის შემდეგ რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკაში თავისი პოზიციების დაბრუნებას ცდილობდა. ცხადია, რუსეთმა პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით დიპლომატიური ბრძოლა მოიგო.

3.5. სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე.

3.5.1. სამოქალაქო ომის დაწყება შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მალე გადაიზარდა ფართომაშტაბიან სამოქალაქო ომში (1861-1865), რომელსაც გარკვეული გავლენა ქონდა XIX ს-ის 60-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებზე.

XIX ს-ის შუა ხანებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთმა შტატებმა დაიკავეს რიგი ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობდა ქვეყნის სამხრეთში. 1845 წელს მექსიკის ტეხასის ანექსია მოახდინეს, ხოლო ორწლიანი ომის შემდეგ 1848 წელს დაეუფლნენ სოფლის მეურენობის თვალსაზრისით მდიდარ მექსიკის ტერიტორიას.

საკუთრივ შეერთებულ შტატებში თანდათან მწიფდებოდა კონფლიქტი სამრეწველო კუთხით განვითარებულ ჩრდილოეთ შტატებსა და მონათმფლობელური სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით განვითარებულ სამხრეთ შტატებს შორის. ყველა კრიტერიუმით - სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უპირატესობა გააჩნდა ჩრდილოეთ ნაწილს. ჩრდილოეთის 2 შტატში ცხოვრობდა 22 მილ. ადამიანი. ხოლ

სამხრეთის 11 შტატში 9 მილიონი. მათ შორის 4 მილ. მონა ზანგი იყო. ქვეყნის მრეწველობა თავმოყრილი იყო ჩრდილოეთში. ასეთი დისპროპორციული განვითარების გამო წინააღმდგობა შტატებს შორის წლითიწლობით იზრდებოდა. სამხრეთი შტატები იმედოვნებდა, რომ ომში გაიმარჯვებდა, მით უფრო, რომ ქონდათ დახმარების მიღების იმედი საფრანგეთიდან და ინგლისიდან. თუმცა, სამრეწველო-ტექნიკური და სამხედრო თვალსაზრისით აშკარა უპირატესობა ჩრდილოეთის მხარეზე იყო.

1860 წელს ამერიკის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ა. ლინკოლი. მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო ჩრდილოეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის გამარჯვებისაკენ. ჩრდილოეთის შტატებისგან განსხვავებით პლანტატორულ-მონათმფლობელური სამხრეთი ცდილობდა ჩრდილოეთის შტატებისაგან გამოყოფას. 1861 წლის თებერვალში მონტოგომერში მათ ჩაატარეს ამერიკის კონფედერაციის შტატების კონგრესი. კონფედერანციის პეზიდენტად არჩეულ იქნა ერთ-ერთი მსხვილი პლანტატორი პოლკოვნიკი ჯ. დენისი. მან საკუთარი მთავრობა ჩამოაყალიბა. ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ მათ დაიწყეს ჩრდილოეთთან ომისათვის მზადება.

ჩრდილოეთ შტატების ხელმძღვანელობა მოვლენების განვითარებას აკვიდრებოდა და იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ამბოხებულ სამხრეთის შტატებთან მოლაპარაკების გზით ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას. ამისათვის შეთანხმების რამდენიმე ვარიანტიც კი შემუშავდა. ჩრდილოეთის მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. 1861 წლის 11 აპრილს სამხრეთ შტატებმა დაიწყო ომი. ისინი მოულოდნელად თავს დაესხნენ სამხრეთ კაროლინაში ფორტ სმერტს, სადაც იარაღის საწყობი იყო. ფაქტობრივად დაიწყო ომი.

პრეზიდენტ ლინკოლნმა გამოაცხადა სამხრეთი შტატების ბლოკდა და ქვეყანში მობილიზაცია მოახდინა. ხელისუფლების მოწოდებაზე 75 ათასი მოხალისე შეიკრიბა. სამხრეთის შტატების ყველა იმ მოქალაქეს, ვინც ამბოხებაში მონაწილეობდა 20-დღიანი ვადა მიეცა, რომ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. 17 აპრი-

ლს კონფედერაციის პრეზიდენტმა განაცხდა, რომ უფლებას გასცემდა შეერთებული შტატების სამხედრო და სავაჭრო გემების წინააღმდეგ ბრძოლის და ძარცვის შესახებ. ლინკოლმა ასეთი უფლების გაცემა შეაფასა როგორც ყაჩაღობა და გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა.

შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დაწყებას ევროპული სახელმწიფოები სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. ყველა მათაგანი საკუთარი ინტერესების შეაბამისად აფიქსირებდა თავის პოზიციას.

3.5.2. ევროპული სახელმწიფოების ინტერესები და პოზიციები

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის გაჩაღებამ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში კოლონიური დაპყრობების სურვილი გააღვიძა.

ინგლისი დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების, განსაკუთრებით მრეწველობით განვითარებული ჩრდილოეთის შტატების, როგორც საშიში კონკურენტების დასუსტებით, უკეთეს შემთხვევაში მისი განადგურებით. სამხრეთ შტატების გამარჯვება ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე შეუზღუდავი შესაძლებლობების პერსპექტივას ქმნიდა, რაც შესაძლებლობას მისცემდა მას განეხორციელებინა ეკონომიკური ექსპანსია, ე.ი. ჩრდილოეთ ამერიკა შეიძლება ინგლისის კოლონიურ დამოკიდებულებაში აღმოჩენილიყო. იმავე წლის მაისში ინგლისის მთავრობამ ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის დაწყებულ ბრძოლაში ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაგრამ სამხრეთი შტატები გამოაცხადა არა მეამბოხე, არმედ მებრძოლ მხარედ. სამხრეთი შტატები ევროპაში დახმრებას და მხარდაჭერას ეძებდნენ. ამ მიზნით მათი წარმომადგენლები იანსი და როსტი ჩავიდნენ ლონდონში. ისინი არაოფიციალურად შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრს როსსელს. ლონდონში მიიღეს დეკლარცია ნეიტრალიტეტის შესახებ, თუმცა ინგლისის ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებული შტატების სანპიორე-

ბისკენ სამხედრო ხომალდები გაგზავანა, რომლებსაც როსსელის სიტყვებით ბრიტანეთის ნაოსნობა უნდა დაეცვა.

ინგლისის მსგავსად საფრანგეთმაც ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. პარიზში განაცხადეს, რომ საფრანგეთი დიდ ყურადღებას აქცევს საფრანგეთ-შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებს და გადაწყვიტა შეერთებული შტატების ხელისუფლებასა და სამხრეთის მეამბოხე შტატებს შორის, რომელთაც სურთ შექმნან განსაკუთრებული კონფედერაცია, გაჩაღებულ ბრძოლაში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ბრძოლამ, კოლონიური შენაძენის სურვილი გაუღვიძა მადრიდის სასახლეს. ესპანეთი შეეცადა გამოეყენებინა კუბა პლაცდარმად და გაეფართოვებინა თავისი სამფლობელო სან-დიეგოს რესპუბლიკის ხარჯზე. ესპანეთის ამგვარმა განზრახვამ უკმაყოფილება გამოიწვია შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, ესპანეთმა გამოიყენა შტატების ხელისუფლების რთული მდგომარეობა და გამოაცხადა სან დიეგოს ანექსიის შესახებ.

ინგლისი და საფრანგეთი ასევე ცდილობდნენ თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის გამოყენებინათ სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებს შორის დაწყებული დაპირისპირება.

მათგან განსხვავებული პოზიციაზე აღმოჩნდა რუსეთი. სამოქლაქო ომის პერიოდში შეინიშნება რუსეთის და ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული დაახლოების ნიშნები. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე გარემოებამ. პირველი, ინგლისის, საფრანგეთის და ესპანეთის პოზიციებმა აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება მოეძებნა დასაყრდნი სხვა ქვეყნებში და უპირველესად რუსეთში. მეორე, რუსეთს, რომელსაც ძალზედ დაძაბული ურთიერთობა ქონდა ინგლისსა და საფრანგეთთან, ასევე სჭირდებოდა მოკავშირე.

სამმა ევროპულმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ერთობლივად ემოქმედათ ამერიკის კონტინენტზე. 1861 წლის 31 ოქტომბერს ლონდონში ხელი მოეწერა კონვენციას ესპანეთის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის. ხელშეკრულების მთა-

ვარი მიზანი იყო მექსიკაში არსებული მთავრობის დამხობა და ახლი ხელისუფლების მოყვანა. ინგლისის პრემიერი პალმერსტონი და საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III თვლიდნენ მექსიკის გამოყენებას პლაცდარმად ამერიკის შეერთებული შტატების შიდა საქმეებში ჩასარევად. ნაპოლეონ III კი, საერთოდ, ოცნებობდა ფედერაციის განადგურებას და ამერიკაში საფრანგეთის გავლენის აღდგენას.

ეს შეთანხმება ითვლისწინებდა სამი სახელმწიფოს კორდინირებულ მოქმედებასაც. კერძოდ, შეთანხმდნენ გაერთიანებული ქვეითი და საზღვაო ძალების სამხედრო ინტერვენციის მოწყობაზე მექსიკის სანაპიროებთან. კონვენციაში აღნიშნული იყო, რომ მხარეები არ არიან დაინტრესებული რაიმე ტერიტორიული შენაძენის და უპირატესობის მოპოვებით და არც მექსიკის შიდა საქმეებში ჩარევისათვის რაიმე სახის გავლენის გამოყენებაზე. უფრო მეტიც, ხელმომწერი მხარეები დაეხმარებოდნენ მექსიკელ ხალხს საკუთარი მმართველობის ფორმის განსაზღვრასა და არჩევანში. კონვენცია ითვალისწინებდა მხარეების მიერ კომისიის შექმნას, რომელიც განსაზღვრავდა თანხის იმ რაოდენობას, რომელიც უნდა გადეხადა მექსიკის ხელისუფლებას. კონვენციით გათვალისწინებული იყო მიღწეული შთანხმების ტექსტის გაგზავნა შეერთებულ შტატებში, რომელსაც სურვილის შესაბამისად შეეძლო შეერთებოდა მას.

კონვენციის მონაწილე მხარეებს ქონდათ განზრახვა, რომ მექსიკის ტახტზე დაესვათ ჰერცოგი მაქსიმილიანე, თუმცა ამგვარმა გადაწყვეტილებამ მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ლონდონში თავისი წარგზავნილისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა, რომ მსგავსი მოქმედებები, რომელსაც ახორციელებენ ესპანეთის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები, მექსიკაში, საბოლოოდ დასრულდებოდა მმართველობის მონარქიული წარმონაქმნის დამყარებით და იგი დაეფუძნებოდა რაღაც უცხო პრინციპს. სახელმწიფო მდივანი ელჩს წერდა გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების

პრეზიდენტის პირადი აზრი, რომ მონარქიული მმართველობა, რომელიც მექსიკაში შეიქმნებოდა არანაირი პერსპექტივა არ ექნებოდა და მალე მოხდებოდა მისი დამხობა.

შტატების ადმინისტრაცია ყურადღებით ადევენებდა თვალს მოვლენების განვითარებას. უფრო მეტიც, შტატების ხელისუფლების მიერ მეამბოხე შტატებისადმი გამოცხადებულ ბლოკადას შეიძლება დაეზარალებინა ინგლისის სავაჭრო ინტერესები, ვინაიდან სამხრეთი შტატები მას აწვდიდა ბამბას, ხოლო თავის მხრივ, ინგლისის ტექსტილური მრეწველობა დაინტერსებული იყო სამხრეთი შტატების იაფი და ხარისხიანი ნედლეულით.

1861 წლის სექტემბერში ამერიკის შერთებული შტატების სამხედრო ხომალდმა „სან-ჯაცინტომ" მოახდინა ინგლისური სავაჭრო გემის „ტრენტი" ინტერნირება*. რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისსა და საფრანგეთში. დიდი ბრტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 7 დღეში მოითხოვა დაკავებულების გადაცემა. კანადაში გაიგზავნა ინგლისის სამხედრო ნაწილები. თუმცა არც საფრანგეთი და არც ინგლისი არ ჩქარობდა დასკვნების გაკეთებას. ისინი ელოდებოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას და იმედოვნებდნენ სამხრეთი შტატების გამარჯვებას. ამავე დროს, ინგლისი სწრაფად აშენებდა სამხრეთი შტატებისათვის გადასაცემ სამხედრო ხომლადს. მიუხედვად ლონდონში შეერთებული შტატების ელჩის პროტესტისა 1862 წლის ივლისში ლივერპულიდან ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროსკენ გაემგზავრა კონფედერატებისათვის განკუთვნილი ხომალდი „ალაბამა". ა. ლინკოლმა რეალურად შეაფასა ჩრდილოეთ შტატების რთული მდგომარეობა, და გადაწყვიტა არ დაეშვა სამხრეთელების ორი კრეისერის „ალაბამას" და „ფლორიდას" შესვლა მათ პორტებში. ამავე დროს მან გამოამუდავნა

---

* ლათ. internus შინაგანი-1.ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ განიარაღება და დაკავება მეომარი მხარეების სამხედრო ნაწილებისა, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდნენ. 2. მეომარი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მის ტერიტორიაზე მცხოვრები მტრული სახელმწიფოს მოქალაქეების დაკავება და მათთვის თავისუფლების აღკვეთა ომის დამთავრებამდე

გარკვეული დათმობებიც „ტრენტომის” ინციდენტთან დაკავშირებით, რომელმაც ჩაძირა 65 ხომალდამდე და შეერთებულ შტატებს სერიოული ზიანი მიაყენა.

ლონდონი და პარიზი, რომლებიც მუდმივად იცვლიდნენ აზრებს, ყურადღებით ადევნებდნენ თავლს მოვლენების განვითარებას ჩრდილოეთ ამერიკაში და ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს რათა გამოსულიყვნენ შეერთებული შტატების წინააღმდეგ ომში. ნაპოლეონ III მართალია მიიღო სამხრეთ შტატების ემისრები, მაგრამ თავს იკავებდა მათთი დამოუკიდებლობის აღიარებისაგან. მან პირადპირ განუცხადა სამხრეთ შტატების წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთი ინგლისის გარეშე, რომელსაც ძლიერი ფლოტი ჰყავდა არ შეეძლო აღიარების შემთხვევშიც ომი გამოეცხადებინა შეერთებული შტატებისთვის. ლონდონში თავისი ელჩის ტუვენელიას მეშვეობით საფრანგეთის იმპერატორი ინფორმირებული იყო ლონდონიის პოზიციის შესახებ, რომელსაც საბოლო გადაწყვეტილება არ ქონდა მიღებული კონფედერატებთან დაკავშირებით.

1862 წლის შემოდგომაზე ნაპოლეონ III გამოვიდა წინადადებით, რომ სამ სახელმწიფოს - საფარანგეთს, ინგლისს და რუსეთსს მხარი დაეჭირათ სამხრეთ შტატებისათვის. ის ითვალისწინებდა სამოქალაქო ომში მიეღწიათ ექვსთვიანი ზავის დადებას, სამხრეთი შტატებისათვის ბლოკადის მოხსნას და ამერიკული პორტების გახსნას ევროპული ქვეყნების საქონლისათვის.

1862 წლის 30 ოქტომბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. დე ლიუსმა დეპეშის საშულებით აცნობა თავის ელჩებს ლონდონსა და პეტერბურგში, რომ მათ საქმის ყურში ჩაეყენებინათ რუსეთის და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ნაპოლეონის წინადადებების შესახებ. ლონდონმა და პეტერბურგმა უარი თქვეს ამ წინადადებებზე. თავის მხრივ, ლონდონმა რუსეთის უარი დაასახელა მიზეზად. რუსეთის უარი კი უფრო ქვეყნის შიდა მდგომარეობის გავლენით იყო განპირობებული. ქვეყნის ბევრ ქალაქში მუშათა რევოლუციური გამოსვლები მიმდი-

ნარეობდა. მიტინგებზე გამომსვლელების წინააღმდეგ გამოდიდოდნენ მონათმფლობელური სამხრეთისათვის მხარდაჭერის აღმოჩენაზე. მოსახლეობის და ხელისუფლების პოზიციები ერთამნეთს დაემთხვა. რუსეთმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საფრანგეთთან და ინგლისთან დაძაბული ურთიერთობების გამო შტატების ხელისუფლებასთან დაახლოება სცადა. პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება ორი რუსული ესკადრილიის გასაგზავნად ამერიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებისკენ. თუმცა, ა. გორჩაკოვს ამერიკის სანაპიროებისკენ სამხედრო ხომალდების გაგზავნაზე ფრთხილი დამოკიდებულება ქონდა, ვინაიდან შიშობდა არ გაერთულებინა რუსეთის მდგომარეობა ევროპაში. მით უფრო, რომ რუსეთშიც მოიძებნებოდნენ გარკვეული წრეები, რომლებიც კონფედერატებს უჭერდნენ მხარს. თუმცა, საბოლოოდ მიღებულ იქნა სწორი გადაწყვეტილება. 1863 წლის სექტემბერში ერთი რუსული ესკადრა მიუახლოვდა ნიუიორკს, ხოლო მეორე სან-ფრანცისკოს. ახალა რუსეთს, რომელიც აპელირებდა შტატებზე მხარდაჭერით, შეეძლო კონტროლის ქვეშ მოაქცია ინგლისის საზღვაო კომუნიკაცია წყანარ და ატლანტიკის ოკეანეებში. ამასთან მან გავლენა იქონია ინგლისის პოზიციაზე პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით და ჩაშალა ანტირუსული კოალიციის შექმნის მცდელობა.

რუსულმა ხომალდებმა გარკვეული გავლენა იქონია სამხრეთელების მდგომარეობაზე. რამაც აშკარად ასწია რუსეთის პრესტიჟი შტატების ხელისუფლების თვალში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდიდან იწყება მეგობრული ურთიერთობების დამყარება რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის.

ჩრდილოეთ ამერიკაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ჩრდილოეთ შტატებში მონათმფლბელობაზე უარის თქმამ გააუარესა სამხრეთ შტატების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ კონფედერატთა ხელმძღვანელობაშიც ნაწილი ასევე მხარს უჭერდა მონათმფლობელობაზე უარის თქმას. რამაც ასევე არანაკლები როლი ითამაშა ჩრდილოეთ შტატების სამხედრო გამარჯვევებზე და შეცვლა ომის მსვლელობა.

1865 წლის 9 აპრილს სამხრეთი შტატები დამარცხდა.

ამრიგად, ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომს გარკვეული გავლენა ქონდა XIX ს-ის 60-იანი წლებში საერთაშორის ურთიერთობების განვითარებაში. კერძოდ, მოხდა რუსეთ-ამერიკის დაახლოების დაწყება. გარკვეულ წილად მან გავლენა იქონია ასევე ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პროცესებზე, სადაც მნიშვნელოვანი ძვრები ხდებოდა ახალი ცენტრალიზირებული სახელმწიფოების წარმოქმნის კუთხით. იტალიის შემდეგ პრუსია ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების საქმე. ამ საქმეში იგი ერთ-ერთ მთავარ მოწინაღმდეგედ საფრანგეთს განიხილავდა. საფრანგეთ-პრუსიის ომი გარდაუვალი გახდა.

3.6. საფრანგეთ-პრუსიის ომი და მისი გავლენა ევროპულ პოლიტიკაზე

ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ ევროპულ პოლიტიკაში მწვავე საკითხად იქცა საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტი. თუმცა, ავსტრიასთან ომის მოგების მიუხედავდ, ბისმარკი მასში გარკვეულ საშიშროებას კვლავ ხედავად. ეს შიში საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იყო. 60-იანი წლების ბოლოს ევროპული დიპლომატია გარკვეული მანევრირებით გამოირჩეოდა. კერძოდ, ბისმარკი ცდილობდა კარგად მომზადებულიყო საფრანგეთთან მოახლოებული ომის დროს და იგი იზოლიაციაში მოექცია. მისი მიზანი იყო პარიზი გამოეყვანა როგორც აგრესიული განზრახვის მქონე. თუმცა ამ კუთხით იყო გარკვეული პრობლემებიც.

ავსტრია უკვე აღარ წარმოადგენდა გერმანული სახელმწიფოების კავშირის წევრს და პრუსიაც უკვე წარმატებით ახორციელებდა მისი ეგიდით გერმანული მიწების გაერთიანებას. თუმცა ამ გზაზე არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობებიც. თუნდაც დაპირისპირება თავად გერმანიის კავშირში. თუკი კავშირის ჩრდილოეთის ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ

პრუსიის გარშემო გაერთიანებით. მაშინ კავშირის სამხრეთის ისეთი ქვეყნები როგორიც იყო ბადენი, ავარია, ვიუტერმბერგი და ჰესენი, რომლებიც არ იყვენენ დაინტერესებული დაქვემდებარებოდნენ პრუსიას. არსებობდა საშიშროება, რომ ბავარიის პარტიკულარისტული* წრეები შეიძლება წასულიყვნენ შეთანხმებაზე ანტიპრუსიულად განწყობილი ავსტიის წრეებთან და ბონაპარტისტული საფრანგეთის წარმომადგენლებთან. შორსმჭვრეტელ ბისმარკს კარგად ესმოდა, რომ ყველაზე კარგი ვარიანტი ერთი მხრით მტრის არსებობა იყო. ამიტომ მისი ძალისხმევით ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანულ სახელმწიფოებს შორის დაიდო სამხედრო შეთანხმება ერთობლივი თავდაცვის შესახებ. სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების ოპოზიციური განწყობილება იყო კიდევ ერთი მიზეზი, რაც ბისმარკს უბიძგებდა ახალი ომის დაწყებას.

საფრანგეთთან მოახლოებული ომი ბისმარკს ასევე აიძულებდა ეზრუნა, რომ მიეღწია გერმანული სახელმწიფოების ერთობის სიმტკიცისათვის. ამისათვის ის მზად იყო მცირე მსხვერპლიც კი გაეღო, რომ გერმანული სახელმწიფოები დაეთანხმა კონსტიტუციის იმ პროექტის მიღებაზე, რომელიც მათ შესთავაზა. 1866 წლის დეკემბერში ბერლინში შეიკრიბა გერმანული სახელმწიფოების წარმომადგენლები კონსტიტუციის პროექტის განხილვისათვის. პროექტის მიხედვით თითეული მოკავშირე სუბიექტი ინარჩუნებდა ავტონომიას, თუმცა ყველა ძირითადი საკითხი (საგარეო საქმე, არმიის მართვა, ფლოტი, მოქალაქეობა, გადასახადები, საბაჟო, ვაჭრობა, საფინასო ოპერაციები, ფოსტა-ტელეგრაფი დ ა.შ.) შედიოდა პრუსიის მეფიის კომპეტენციებში. გერმანული სახლმწიფოების წარმომადგენელბი შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას და შეძლეს კონფერენციის ჩაშლაც. თუმცა, მოგვიანებით მოლაპარაკებები კონსტიტუციის შესახებ კვლავ განახლდა და 1867 წლის 8 თებერვალს იგი მიიღეს.

---

* ლათ. particularis ნაწილობრივ, ცალკეული - სახელმწიფოს ზოგი ნაწილის მისწრაფება განცალკევებისაკენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ

კონსტიტუცია უზრუნველყოფდა პრუსიის მეფის აბსოლუტურ ხელისუფლებას ქვეყანაში. მას ქონდა უფლება შეემუშავებინა ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსი, განეხორციელებინა არმიის და ფლოტის ერთიან ხელმძღვანელობა, გამოეცხადებინა ომი და დაედო ზავი, ფედერალური ძალების დახმარებით შეეძლო მიეღო ნებისმიერი სახის იურიდიული და სამხედრო ხასიათის ზომები კავშირის ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ.

საკანონდებლო ხელისუფლება ხორციელდებოდა ორი კრების მიერ – რეიხსტაგის და ბუნდესტაგის მიერ. ბისმარკიმ ისე შეძლო მოეწყო ამ ორი ინსტიტუტის საქმიანობა, რომ მის მიერ საჭირო ყველა გადაწყვეტილებას ღებულობდნენ. ფაქტიურად ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ჩრდილოეთ-გერმანული კავშირი, რომელიც იმყოფებოდა პრუსიის გავლენის ქვეშ.

ჩრდილოეთ-გერმანული კავშირის შემადგენლობაში პრუსიის გარდა შევიდნენ: საქსონიის სამეფო, დიდი საერცოგოები: მეკლენბურგ-შვერინი, მეკლენბურგ-სტრელცი, საქსენ-ვეიმარი, ოლდენბურგი, საერცოგოები: ბრაუნშვენგი, საქსენ-მეინინგენი, საქსენ-ალტენბურგი, საქსენ-კობურ-გოტა, ანტალტი; სათავადოები: შვარცბურგ-პუდოლშტადტი, ვალდეკი, რეის-შლეიცი, რეის-გრეიცი, შაუმბურგ-ლეპპე-დეტმოლდი, დიდი საერცოგოს ჰესენ-დარმშადტსკის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მაინის ჩრდილოეთით, და თავისუფალი ქალაქები ჰამბურგი, ბრემენი და ლიუბეკი.

მართალია ეს კავშირი წარმოადგენდა მსხვილ გერმანულ გაერთიანებას, მაგრამ სამხრეთის სახელმწიფოების დეპუტატები კვლავ უწევდნენ წინაღმდეგობას კონსოლიდაციის გამო. თუმცა, გერმანიის გაერთიანების საკითხი კანონზომიერი პროცესი იყო და ის აქტიურად იდგა დღის წესრიგში.

ამრიგად, ბისმარკმა გერმანიის გაერთიანებისთვის მოამზადა იურიდიული საფუძველი, სადაც კონსტიტუციურად უზრუნველყო პრუსიის დომინირებული როლი. თუმცა, საკითხი ეხეოდა იმას თუ რა დამოკდებულება ჰქონდათ უკვე ევროპის სახელმწიფოებს გერმანიის გაერთიანების საკითხისადმი. პრუსია ერთადერთ სე-

რიოზულ მეტოქედ ამ საკითხში საფრანგეთს განიხილავდა და ბისმარკის მიერ გადადგმული სამრთლებრივ-პოლიტიკური ნაბიჯებიც საფრანგეთთან მოახლოებული ომის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

3.6.1. გერმანიის გაერთიანების პრობლემა ევროპულ დიპლომატიაში

ბისმარკი ყურადღებით ადევნებდა თვალს პარიზის, ლონდონის და პეტერბურგის განწყობილებას გერმანულ სახელმწიფოებში მიმდინარე გაერთიანების პროცესებისადამი. თავის მხრივ, არც რუსეთი, არც საფრანგეთი და არც ინგლისი არ იყვნენ გულგრილნი გერმანულ „სახელმწიფოებში" მიმდინარე ინტეგრაციული პროცსებისადმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანების გზაზე მთავარი დაბრკოლება იყო საფრანგეთი. ჯერ კიდევ ავსტრია-პრუსიის ომის დაწყებმადე და შემდეგ მისი მსვლელობის დროს, ნაპოლეონ III არა ერთხელ სცადა საფრანგთის ჩაბმა პრუსიის წინააღმდეგ ომში. თუმცა იყო სხვა აზრიც. ბისმარკის მანევრის და ტიულირის უთანხმოების შედეგად ხელსაყრელი მომენტი ხელიდან იქნა გაშვებული. საფრანგეთის ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ ნაპოლეონი ცდილობდა მიეღო რაიმე სახის კომპენსაცია. მას სურდა პრუსიის თანხმობით შეერთებინა ლანდაუს ოლქი და ლუქსემბურგის საჰერცოგო. მაგრამ ბისმარკს უკვე აღარ სჭირდებოდა საფრანგეთის ნეიტრალიტეტი და გადაწყვიტა არაფერი არ მიეცა მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ თავის დოზე ბიარიცში ნაპოლეონ III მისი ლოიალურობისათვის შესთავაზა ლუქსემბურგის დაკავება.

პრუსია აძლიერებდა თავის გავლენას და ადრე თუ გვიან გააერთიანებდა გერმანულ სახელმწიფოებს. საფრანგეთმა გადაწყვიტა მიეღო ზომები, რომ თავი დაეზღვია ძლიერი გერმანული სახელმწიფოს შექმნისგან. 1866 წლის 8 აგვისტოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა მემორანდუმი,

რომელიც ითვალისწინებდა რეინის მარცხენა სანაპიროზე ნეიტ-რალური სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ბუფერის როლს შე-სარულებდა საფრანგეთსა და პრუსიას შორის. მაგრამ ეს წინა-დადება ჩავარდა, რადგან ბისმარკს უკვე გადაწყვეტილი ქონდა რეინის მარცხენა სანაპიროების სახელმწიფოების შეერთება ერ-თიანი გერმანიისათვის. გარკვეული პერიოდის შემდეგ ნაპოლეონ III წამოაყენა წინადადება გერმანია-საფრანგეთს შორის საიდუმ-ლო ხელშეკრულების დადების შესახებ ბელგიის შეერთების პირობით. ბერლინში საფრანგეთის ელჩსა და ბისმარკს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ბისმარკი თავს იკავებდა საფრანგეთისათვის დათმობაზე წასულიყო, თუ-მცა ის არც მოლაპარაკების პროცესს წყვეტდა, ვინაიდან ერი-დებოდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გამწვავებას. რაც თავის მხრივ ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ პრუსია ჯერ კიდევ არ იყო სრულად მზად საფრანგეთთან ომისათვის. ბისმარკმა კვლავ დიპლომატიურ ხერხს მიმართა და საფ-რანგეთს სთხოვა თავისი წინადადებები წერილობითი სახით გაეგზავნა ბერლინში პრუსიის მეფე ვილჰემ I შესათანხმებლად. პარიზი წამოეგო ამ ანკესზე და ნაპოლეონ III თავისი სურ-ვილები წერილობითი სახით გააგზავნა ბერლინში. ბისმარკმა კი აღნიშნული დოკუმენტი საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყენა. მან იგი ბერლინში ინგლისის ელჩს გააცნო. საფრანგეთის სურ-ვილმა ბელგიის შეერთებაზე ლონდონის გაღიზიანება გამოი-წვია. ამის გამო პარიზმა ოფიციალურად იმართლა თავი, რომ იგი არ აპირებს რაიმე ძალის გამოყენებას ახლი ტერიტორიები მისათვისებლად. ყველაფერი ეს ცნობილი იყო ბისმარკისთვისაც, რომელიც გარეგნულად არ ამჟღავნებდა ინტერესს ამ საკითხზე. საფრანგეთმა, რომლმაც ვერ მიიღო ვერანაირი კომპენსაცია იმპერატორის და საგარეო საქმეთა მინისტრის გაუთვლელი პო-ლიტიკის გამო, დიდი მორალური და მატერიალური ზიანი განიცადა.

ევროპაში აშკარად მომწიფდა სახელმწიფოთა შორის შეჯ-ახება, რომელსაც, თავის მხრივ, შეეძლო გამოეწვია ძალთა გან-

ლაგების შეცვლა კონტინენტზე. რუსეთი მოკავშირეს ეძებდა, რომ მოეხდინა პარიზის ზავის დამამცირებელი პირობების გაუქმება. საფრანგეთის პრუსიაზე გამარჯვება განამტკიცებდა ნაპოლეონ III პოზიციებს. რუსეთი არ გამორიცხავდა, რომ თავის მხრივ საფრანგეთი გაძლიერების შემთხვევაში წასულიყო ავსტრიასთან დაახლეობაზე. პრუსიის გამარჯვებით რუსეთის დასავლეთ საზღვართან შეიქმნებოდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მომავალში პოტენციური მოწინააღმდეგე შეიძლება ყოფილიყო. ეს საფრთხეები პეტერბურგშიც შეაფასეს. თუმცა, რუსეთის პრუსიასთან დაახლოება განაპირობა არ მარტო ადრე არსებულმა სიმპატიებმა, არამედ იმ დაპირებამაც, რომელიც ეხებოდა პარიზის ზავის პირობების გადახედვას. პეტერბურგმა ბერლინს აცნობა, რომ საფრანგეთ-ავსტრიის დაახლოების შემთხვევაში რუსეთი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ავსტრიას, თავის მხრივ, ბისმარკმა კიდევ ერთხელ გამოხტა რუსეთისადმი მხარდაჭერა.

ინგლისის ახალი მთავრობა, რომელიც პალმერსტონის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა, მიიჩნევდა, რომ პრუსიის გაძლიერება სასარგებლო იქნებოდა ინგლისისათვის. ვინაიდან იგი დაუპირისპირდებოდა საფრანგეთს. ინგლისი ამ პერიოდში საფრანგეთთან საკმაოდ თავშეკავებულ პოლიტიკას ატარებდა, რაც გამოწვეული იყო მისი გაღიზიანებით სუეცის არხის მშენებლობაში ფრანგული კომპანიის - ლესეპსას აქტიური მონაწილეობის გამო. ლონდონი ამ მხრივ ინდოეთთან მიმართებით საფრთხეს ხედავდა.

აღსანიშნავია, რომ ბერლინ-პეტერბურგის ინტერესთა თანხვედრის მიუხედავად, მაინც ზოგჯერ არასასიამოვნო ინფორმაციები მოდიოდა პეტერბურგიდან ბერლინში. რუსეთში მაინც დაძაბულად ადევნებდნენ თავალს პრუსიის გეგმებს და მოქმედებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც შორსმჭვრეტელი ა. გორჩაკოვი, ასევე იმპერატორი ალექსანდრე მეორეც ამჟღავნებდა საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების სურვილს. თუმცა, მოვლენები სულ სხვაგვარი სცენარით ვითარდებო-

და ისევ ფრანგების წყალობით. საფრანგეთი იმკიდა ნაპოლეონ III გაუთვლელი დიპლომატიური ნაბიჯების შედეგებს. ყველაფერი ეს კარგად გამოიყენა ბისმარკმა საფრანგეთ-ინგლისის და საფრანგეთ-პრუსიის ურთიერთობების გაფუჭებისათვის. ამის მიუხედავად, საფრანგეთი დაჟინებით აგრძელებდა ლუქსემბურგის, ლანდაუს და საარბრიუკერის შეერთების პოლიტიკას.

1867 წლის დასაწყისში შექმნილ ჩრდილო-გერმანულ კავშირში არ შევიდა ლუქსემბურგი. საფრანგეთის ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ჰოლანდიის მთავრობისაგან მიიღო თანხმობა ლუქსემბურგის მის შემადგენლობაში შეყვანაზე. ამის შემდეგ, ფრანგულმა დიპლომატიამ ძირითადი მოქმედება გადაიტანა ბერლინში. თუმცა, ბისმარკმა ისევ მოატყუა ნაპოლეონ III. კერძოდ, როცა მოიტანეს უკვე მომზადებული ხელშეკრულება, რომელიც ჰოლანდიასთან დადებული ხელშეკრულების მსგავსი იყო, ბისმარკმა უარი თქვა მასზე ხელის მოწერაზე. იმავდროულად, ბისმარკმა პროვოცირება გაუკეთა გერმანიის ოპოზიციურ ძალების გამოსვლას, რომლებიც გმობდნენ საფრანგეთისათვის მსგავს დათმობას. ასეთ სიტუაციაში, მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე ხელი მოწერა.

ა. გორჩაკოვმა, როცა დაინახა, რომ ლუქსემბურგის საკითხზე ნაპოლეონ III წააგო, წამოაყენა წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამავე დროს, მას კონფერენცია სჭირდებოდა მხარეთა პოზიციების გასარკვევად. გორჩაკოვმა ლონდონში რუსეთის ელჩის ბრუნოვის მეშვეობით მიმართა ინგლისის მთავრობას მხარი დაეჭირათა ამ იდეისათვის. ბრუნოვმა ბრიტანეთის პრემიერს დერბის გადასცა ლუქსემბურგის საკითხზე შეთანხმების რუსული პროექტი. პეტერბურგის წინადადებას მხარი ყველა წამყვანმა სახელმწიფომ დაუჭირა და 1867 წლის 7 მაისს ლონდონში გაიხსნა კონფერენცია. მასში მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბელგია, ნიდერლანდები, იტალია და ლუქსემბურგი. რუსეთმა წამოაყენა წინადადება ლუქსმბურგის ნეიტრალიტეტის გარანტიის შესახებ კონფერენციის მონაწილე ყველა მხარის მოანწილეობით, რაც

ერთხმად მიიღეს. ლუქსემბურგის მეფის უფლება მემკვიდრეობით აღიარეს და ლუქსემბურგი გამოცხადდა მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ. ლუქსემბურგი ღია ქალაქად გმოცხადდა. პრუსიას უნდა გაეყვანა თავის ჯარები ქვეყნიდან.

ნაპოლეონის ამ დიპლომატიურ წარუმატებლობას დაემატა მისი ავანტურა მექსიკაში. რაც დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა.

ანტიფრანგული განწყობილება იზრდებოდა იტალიაშიც, სადაც ფრანგული არმია მთავარი დამაბრკოლებელი ძალა იყო ქვეყნის გაერთიანების პროცესში. ნაპაოლეონ III კვლავ სურდა ავსტრიასთან შეთანხმების მიღწევა, მაგრამ ვენამ კატეგორიული უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ ამას არ გამოეწვია ავსტრია-იტალიის ურთიერთობების გაუარესება. ხოლო რუსეთთან მიმართებით, ნაპოლეონ III ორმხვრივი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად არაფერი გაუკეთებია.

პრუსიამ, რომელიც ემზადებოდა საფრანგეთთან ომისათვის, პარიზისაგან განსხვავებით, გააქტიურა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ბერლინში რუსეთის ელჩი პ. უბრი და პეტერბურგში გერმანიის ელჩი ჰ. გეისი. მოლაპარაკების დროს მხარეებმა დააკონკრეტს პოზიციები. ა, გორჩაკოვმა ბისმარკს აცნობა, რომ რუსეთი უმოქმედოდ ვერ იქნება, თუკი ავსტრია-უნგრეთი მოახდენს ბოსნია-ჰერცოგოვინის ოკუპაციას. ბისმარკმა რუსეთს დაპირება მისცა, რომ თუკი რუსეთი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა საფრანგეთ-პრუსიის ომში, მაშინ იგი მიიღებდა ბერლინის მახარდაჭერს აღმოსავლეთის საკითხში და აიღებდა ვალდებულებას ავსტრიასთან მიმართებით. მოლაპარაკების შედეგად 1868 წელს ორივე მხარე მივიდა სიტყვიერ შეთანხმებადე, რომ საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომის შემთხვევაში რუსეთი აიღებდა ვალდებულებას არა მხოლოდ ნეიტრალიტეტის შესახე, არამედ აუცილებლობის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთის საზღვრებისკენ გააგზავნიდა 100 ათასიან რუსულ არმიას, ჩაებმებოდა ომში და დაიკავებდა გალიციას. თავის მხრივ, პრუსიამ ოფიციალურად

მისცა დაპირება რუსეთს, რომ მხარს დაუჭერდა პარიზის საზავო ხელშეკრულების პირობების გადახედვაში.

ამრიგად, ბისმარკის დიპლომატიის შედეგად საფრანგეთი აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში, ხოლო პრუსიამ უზრუნველყო ზურგის უსაფრთხოება. ბერლინი უკვე საფრანგეთთან ომის დაწყების მიზეზს ეძებდა.

ბისმარკმა პარიზის პროვოცირება დაიწყო. მას სურდა, რომ სწორედ საფრანგეთს გამოეცხადებინა ომი პრუსიისათვის. ბისმარკი საკუთარი მიზნების მირწევისათვის კარგად იყენებდა ნაპოლეონ III შეცდომებს.

1870 წლის ზაფხულში ესპანეთის სამეფო ტახტზე ავიდა პრინცი ლეოპოლდი, რომელიც ეკუთვნოდა ჰოჰენცოლერთა საგვარეულოს. ნაპოლეონი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ ფაქტს და თავისი უარყოფითი პოზიცია გამოხატა, რადგანც ჰოჰენცოლერები უკვე იქნებოდნენ არა მარტო პრუსიაში, არამედ ესპანეთშიც. თუმცა, სწორედ აქ გამოამჟღანა თავის არა შორსმჭვრეტელობა ნაპოლეონ მესამემ. ჯერ კიდევ მარტში, ბერლინში, საკითხის განხილვის დროს გადაწყდა, რომ ლეპოლდისათვის თანხმობა მიეცათ გამხდარიყო ესპანეთის მეფე. ბისმარკი რეალურად ფიქრობდა, რომ ამის გამო ნაპოლეონ III-ის რისხვა გარდაუვალი იქნებოდა. ასევე არ გამორიცხავდა, რომ ომს საფრანგეთი დაიწყებდა და პრუსიაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი მხარს არ დაუჭერდა პარიზს, რადგან პრუსია ამ შემთხვევაში თავდამცველი ქვეყანა იქნებოდა.

ნაპოლეონის ინიციატივით და მითითებით საფრანგეთის პრესაში დაიწყო ანტიპრუსიული სტატიების გამოქვეყნება, სადაც გაკრიტიკებული იყო ბისმარკი და მისი პოლიტიკა. აღმოჩნდა, რომ ბერლინმა თავის მიზანს მიაღწია. თუმცა ბევრი რამ სხვაგვარადაც იყო. ბერლინში საფრანგეთის ელჩმა ბენედეტიმ პარიზიდან მიიღო მითითება სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ემსში ვილჰემ I შესახვედარად, სადაც ის მკურნალობდა. მას მეფესთან უნდა განეხილა საკითხი ესპანეთში ლეოპილდეს გამეფების შესახებ და ეცნობებინებინა პარიზის უარყოფითი დამოკიდებუ-

ლება საკითხისადმი. მაგრამ აქ ის დაარწმუნეს იმაში, რომ ბერლინის მიზანს არასდროს არ წარმოადგენდა ესპანეთის ტახტი. პირიქით, აცნობეს, რომ მიესალმებიან პრინც ლეოპოლდეს გადწყვეტილებას, უარი თქვას შეთავაზებულ ტახტზე. თითქოსდა, ნაპოლეონმა გარკვეულ დიპლმატიურ გამარჯვებას მიაღწია. მაგრამ მისი შემდგომი მოქმედებებით მან თითქმის ყველაფერი გააფუჭა და გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვა.

12 ივლისს ლეოპოლიდ ჰოჰენცოლერმა ოფიციალურად განაცხადა უარი ესპანეთის ტახტზე. იმავე დღეს პარიზში, ნაპოლეონ III ხელმძღვანელბით გაიმართა დიდებულთა საბჭოს სხდომა. საბჭოზე ლეოპოლდის საკითხი განიხილეს: ჩაეთვალათ ეს საკითხი დასრულებულად თუ გამოეყენებინათ ეს ფაქტი პრუსიასთან ურთიეთობების გასამწვავებლად. დიდებულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პრუსიასთან ომის წარმოებას. ნაპოლეონ III ბერლინში საფრანგეთის ელჩს მითითება მისცა გამგზავერებულიყო ემსში და პრუსიის მეფე ვილჰემ I გადეცა მოთხოვნა, რომელიც არსებითად იყო ულტიმატუმი. პარიზის მოთხოვნა იყო, რომ ჰილჰემ I აეღო ფორმალური ვალდებულება არ მხოლოდ იმაზე რომ ლეოპოლდი უარს იტყოდა ესპანეთის ტახტზე ამჯერად, არამედ მეორედ შეთავაზების შემთხვევაშიც., როცა ნაპოლეონ III ახალი მოთხოვნა გაიგო, ბერლინში გამგზავრების წინ საგარეო საქმეთა მინისტრს დაავალა ბისმარკისათვის ეცნობინებინა საფრანგეთის ელჩთან ბენედეტთან გამართული საუბრის შესახებ. ბისმარკმა ემსიდან ამის შესახებ მიღებულ ტელეგრამაში ცვლილება შეიტანა, მან ტელეგრამიდან ამოიღო ის წინადადება სადაც ვილჰემ I ფრაგ ელჩს ეუბნება, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები ბერლინში გაგრძელდებოდა. ბისმარკმა სახეშეცვლილი ტელეგრამა პრესას გადასცა დასაბეჭდად. ბისმარკის ამგვარმა პროვოკაციულმა მოქმედებებმა საბოლო დარტყმა მიაყენა მყიფე მშვიდობას. პრესაში დაბეჭდილ ტელეგრამაში მოცემული შინაარსით საფრანგეთის მოთხოვნას ულტიმატუმის ხასიათი ქონდა. გერმანია საყოველთაო უკმაყოფილებამ მოიცვა. იგი გავრცელდა სამხრეთ გერმანულ სახე-

ლმწიფოებშიც. ყალბი დეპეშა ახალი ომის პროვოცირები მიზეზი გახდა.

1870 წლის 15 ივლისს საფრანგეთის საკანონმდებლო კრებამ გამოყო სამხედრო კრედიტი პრუსიასთან ომის საწარმოებლად. ხუთი დღის შემდეგ, 20 ივლისს საფრანგეთმა ფორმალურად გამოუცხადა პრუსიას ომი. ბისმარკმა ზუსტად გათვალა, რომ პირველს ნაპოლეონ III დაეწყო ომი.

თუმცა საფრანგეთს ეს ნაბიჯი კატასტროფის ფასად დაუჯდა. თუკი საფრანგეთში ბევრს საუბრობდნენ მოახლოებულ ომზე და არაფერს აკეთებდნენ სამხედრო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, პრუსიაში პირიქით, ხდებოდა არმიის სრულად საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

1870 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთის არმიამ ნაპოლეონ მესამის მეთაურობით კაპიტულაცია გამოაცხადა. თუმცა, დამამცირებელი ომის შედეგები გადაიფარა, იმით, რომ საფრანგეთში სამხედრო კატასტროფამ რევოლუციური აფეთქება გამოიწვია, რომლის ცენტრი გახდა პარიზი. 1870 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1871 წლის თებერვალში შედგა საფრანგეთის ნაციონალური კრების არჩევნები. ახალი პარლამენტი ბორდოში შეიკრიბა. მიუხედავად პარალამენტარების მქუხარე განცხადებებისა, საფრანგეთს არ შეწევდა ძალა პრუსიასთან ბრძოლისა, ამიტომ საფრანგეთის ახლმა მეთაურმა ტიერმა 1871 წლის 26 თებერვალს ხელი მოაწერა პრუსიასთან დროებით საზავო ხელშეკრულებას. საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოტარენგია, ასევე უნდა გადეხადა 5 მილიარდი ფრანკის კონტრიბუცია. გერმანელებმა უფლება მიიღეს პარიზში შეეყვანთ ჯარები და იქ დარჩენილიყვნენ საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე. თუმცა, მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება საფრანგეთის მოსახლეობამ სახელმწიფო ღალატად მიიჩნია. ხელისუფლება ეროვნული გვარდიის განიარაღებას შეეცადა, შედეგად პარიზი აჯანყდა. ხელისუფლება კომუნის ხელში გადავიდა. ტიერმა პარიზი მემბოხე ქალაქად გამოაცხადა და ალყა შეომარტყა. არსებითად

საფრანგეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. კომუნამ 72 დღე იარსება. 1871 წლის 28 მაისს კომუნა დაეცა.

ჯერ კიდევ, ომის დაწყებმადე საფრანგეთი აწარმოებდა მოლაპარაკებებს საფრანგეთ-იტალიის კავშირის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ავსტრიამაც. ბისმარკი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თავლყურს პარიზის დიპლომატიურ მოქმედებებს, კარგად აფასებდა იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა იტალიის მონაწილეობას პრუსიის წინააღმდეგ ომში. პარიზი ცდილობდა მხარი დაეჭირა იტალიის რესპუბლიკური მოძრაობისათვის. თუმცა სედანის კატასტროფის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. იტალიის ჯარები თავს დაესხა არა პრუსიის არმიას, არამედ საფრანგეთის. საფრანგეთისას დამარცხების გამო, პეტერბურმა და ლონდონმა გერმანიაზე გააძლიერეს გავლენა, საფრანგეთ-პრუსიის ზავის დასაჭქარებლად. სწრაფმა წარმატებებმა არა მარტო არმიის გენერალიტეტს დაახვია თავბრუ, არმედ შოვინისტურმა გამწყობამ მოიცვა მთელი პრუსია, საზოგადოება საფრანგეთის მუხლზე დაჩოქებას და რიგი ტერიტორიების ოკუპაციას მოითხოვდა.

საფრანგეთის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა რუსეთს არ დაეშვათ, რომ საფრანგეთისათვის დამამცირებელი ზავის თავსმოხვევა. ამ მიზნით პეტერბურგში სწრაფად ჩავიდა ტიერი. რუსეთი, როგორც შუამავლის როლის შემსრულებელი ინიციატივით გამოვიდა და გერმენულ მხარეს აცნობა, რომ ზავის დადება შესაძლებელი იყო.

ფრანგული მხარე ცდილობდა მოლაპარაკებოდა ბისმარკს საუკეთესო პირობებზე. ამავე დროს ტიერს სჭირდებოდა ზავი, რათა ძალები მიემართა პარიზის კომუნის დასამხობად. ამის გამო ის მზად იყო ნებისმიერ დათმობაზე წასულიყო.

ტიერმა თხოვნით მიმართა ბისმარკს, რომ დახმარებოდა პარიზის კომუნის დამხობაში. ამ სიტუაციაში ბისმარკმა გაათავისუფლა ფრანგული სამხედრო ტყვეების ნაწილი კომუნის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა, პრუსიის არმიას, რომელმაც ალყა შემოარტყა პარიზს, გაცემული ქონდა ბრძანება ქა-

ლაქში არ შეეშვათა არანაირაი სქონელი, მათ შორის სასურ-სათოც.

ბისმარკასაც სურდა ზავის სწრაფად დადება. ის შიშობდა, ევროპის სახელმწიფოებში ანტიპრუსიული კოალიცია შექმნაზე. ბისმარკმა რეალურად შეაფასა სიტუაცია და დარწმუნდა, რომ ადრე თუ გვიან საფრანგეთი ომს ისევ დაიწყებდა გერმანიის წინააღმდეგ, დანაკარგების დასაბრუნებლად. ამიტომ ბერლინს უნდა ეფიქრა პარიზის მუდმივ საერთაშორისო იზოლიაციაში ყოფნაზეც. აქედან გამომდინარე, ბისმარკს უნდა გაეთვალისწი-ნებინა ევროპული სახლმწიფოების პოზიცია და დათანხმებულ-იყო ზავის დადებაზე, რომ შეენარჩუნებინა მათთან კარგი ურთიერთობები.

10 მაისს ფრანკ-ფურტში ხელი მოეწერა საბოლოო საზავო ხელშეკრულებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის. საფრანგ-ეთისათვის საზავო პირობები ძალზედ მკაცრი იყო. მან დაკარგა სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონები – ელზასი და ლოტარენგია, დაეკისრა 5 მილიარდი ფრანკის კონ-ტრიბუციის გადახდა. გარდა ამისა, მის ტერიტორიაზე სამი წლის განმავლობაში რჩებოდა საოუკუპაციო ჯარები.

პრუსიის ომში გამარჯვებამ მნიშვნელოვანდ დაასრულა გერ-მანიის გაერთიანების პროცესი, რომელიც იმპერიად გარდაიქმნა. ბისმარკის მიზანი განხორციელდა, თუმცა მან ევროპულ პოლი-ტიკაში მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნა. კერძოდ, ფრაგულ-გერმანული ანტაგონიზმი, რომელიც ბევრწილად განსაზღვრავდა ევროპული საერთაშორისო პოლოიტიკის განვითრების დინამი-კას.

პეტერბურგმა ევროპის კონტინეტზე მომხდარი ძალთა ახალი განლაგება სწორედ შეაფასა. საფრანგეთი დამარცხდა. მის გა-რეშე ავსტრია-უნგრეთი ვერ გადაწყვეტდა დამოუკიდებელ მოქ-მედებას. ინგლისი რამდენადმე იზოლიაციაში იმყოფებოდა. ასე-ვე გამორიცხული იყო თურქეთის დამოუკიდებელი გამოსვლა. რუსეთმა კარგად შეაფასა შექმნილი სასარგებო სიტუაცია და 1870 წლის 31 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გორ-

ჩაკოვმა გაავრცელა ცირკულარი, სადაც აღნიშნული იყო პარიზის საზავო ხელშეკრულების პირობების დარღვევა სხვა სახელმწიფოების მიერ და მიუთითებდა, რომ რუსეთი უარს აცხადებდა ხელშეკრულების მუხლებით გათვალისწინებული იმ პიროებების აღიარებაზე, რომელიც მას უკრძალავდა სამხედრო ფლოტის ყოლას შავ ზღავზე. გორჩაკოვის ამ ინიციატივას სხვადსხვა რეაქცია მოჰყვა ევროპის ქვეყნებში. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა 1871 წლის იანვარში პომდონში კონფერენციის მოწვევა. კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება აუქმებდა იმ მუხლებს, რომელიც რუსეთს უკრძლავდა სამხედრო გემების ყოლას შავ ზღვაში. თუმცა კონფერენციამ კვლავ დაადასტურა პრინციპი ყურეების დაკეტვის შესახებ უცხო სამხედრო ხომლდებისათვის.

საფრანგეთ-პრუსიის ომმა შეცვალა არა მარტო ევროპის პოლიტიკური რუკა, არამედ კონტინეტზე ძალთა კონფიგურაციაც. ევროპაში გაჩნდა ერთიანი ძლიერი გერმანული სახელმწიფო. საფრანგეთ–პრუსიის ომმა ასევე დაასრულა გაერთიანებისათვის მიმდინარე მეორე ომი იტალიაში. ავსტრიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ომმა აჩვენა, რომ სამომავლოდ საფრანგეთს რუსეთის მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებოდა გერმანიის საფრთხის აღკვეთა.

ამრიგად, ევროპაში ძალთა განლაგება რადიკალურად შეიცვლა. საერთაშორისო ურთიერთობის სისტემამ კარდინალური ცვლილება განიცადა. ახალი ძლიერი სუბიექტების გამოჩენამ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოითხოვა, ძლათა ბალანსის სისტემა, რომელიც ევროპაში აქამდე სახელმწიფოთა კოალიციური გაერთიანების პრინციპს ემყარებოდა და ერთჯერად ხასიათს ატრებდა ახალ რეალობაში უკვე აღარ გამოდგებოდა. ევროპის კონტინენტზე რამდენიმე წამყვანი სახელმწიფოს არსებობა მოითხოვდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ახალ პრინციპების აგებას. სახელმწიფოთა სავაჭრო-კოლონიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა გარანტირებული მოკავშირეების არსებობას. ევროპაში დაიწყო ურთიერთ-

სავალდებულო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამხედრო-პოლტიკური ბლოკების ჩამოყალიბება. ვენის სისტემამ, რომლიც XIX ს-ის 40 წლებიდან მოყოლებული კრიზისში იმყოფებოდა, ტრანსფორმაცია განიცადა. შედეგად, ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები ჩამოყალიბდა.

ნაწილი II

ვენის სისტემის ტრანსფორმაცია – ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მიერ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა

თავი IV

ცვლილებები საერთაშორისო არენაზე – ძალთა ახალი კონფიგურაცია ევროპაში

4.1. ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებები XIX ს-ის მეორე ნახევარში

საფრანგეთ-პრუსიის ომმა, რომელიც საფრანგეთის დამრცხებით დასრულდა, ახალი ფურცელი გახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში. მან შეცვალა ძალთა კონფიგურაცია მსოფლიო არენაზე, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით და თავისებურებებით:

პირველი, გერმანიის გაერთიანებამ, რომელმაც ხელი შეუწყო მისი ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას, განაპირობა საგარეო პოლიტიკის აქტივიზაცია როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიოში.

მეორე, იტალიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას მოჰყვა ქვეყნის საგრეო პოლიტიკის გააქტიურება. იგი ხმელთა შუა ზღვის აუზის რეგიონში საფრანგეთის კონკურენტად გადაიქცა.

მესამე, გერმანია-ავსტრია-უნგრეთის დაახლოებით, ამ უკანასკნელს სჭირდებოდა გერმანიის მხარდაჭერა ბალკანეთის რეგიონში.

ამრიგად, საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად წამყვანი სახელმწიფოების მდგომარეობა, რომლებიც საკმაოდ დიდხანს დომინირებდა ევროპის კონტინენტზე და კოლონიებში, შერყა. მსოფლიო არენაზე გამოვიდა ახალი დინამიურად განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებსაც პრეტენზიები ჰქონდათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე. აშკარად ჩანდა, რომ ძალთა ახალი ცენტრი გახდა გერმანიის იმპერია. ეს იყო ის მთავარი თავისებურებები, რომელიც განსაზღვრავდა ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის შინაარს და ხასიათს XIX ს-ის 70-იან წლეებში და მის შემდგომ პერიოდშიც.

ფარანკფურტის ზავმა არა თუ მოსპო არსებული წინააღმდეგობა საფრანგეთ-პრუსიას შორის, არამედ პირიქით მკვეთრად გააძლიერა იგი. საფრანგეთის დამარცხებამ და გერმანიის ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ შეცვალა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ძალთა განლაგება. გერმანიის გაერთიანებამ კიდევ უფრი განამტკიცა მისი სახელმწიფოებრიობა და სამხედრო ძლიერება. მართალია, საფრანგეთი ფრანკფურტის ზავის დადებისთანავე ოცნებობდა რევანშზე, მაგრამ არსებული რესურსებით იგი კარგა ხანს ვერ გაბედავდა პრუსიასთან ახლი ომს დაწყებას. 1871 წლის შემდეგ პარიზმა საგარეო პოლიტიკურ კურსს გადახედა. რუსეთის ფაქტორი და მასთან მჭიდრო კავშირის დამყარება ვერსალის სასახლის მთავარი საკითხი გახდა. პარიზი თავს არიდებდა პრუსიასთან ურთიერთობის გაუარესებას, მაგრამ იმავდროულად ცდილობდა მის დაპირისპირებას რუსეთთან. ამ საქმეში ფრანგები მარტონი არ იყვნენ. ვენაც დაინტერესებული იყო, რომ ბისმარკი რუსეთის წინააღმდეგ განეწყო. მაგრამ ბისმარკს თავისი გეგმები ქონდა. მას სურდა კარგი ურთიერთობები როგორც ავსტრია-უნგრეთთან, ასევე რუსეთთან. გერმანიის ავსტრია-უნგრეთთან და რუსეთთან მჭიდრო კავშირიში ყოფნით ბისმარკს სურდა არ დაეშვა მათი დაახლოება საფრანგეთთან.

რუსეთში იმპერატორის სასახლესთან დახოებულ გარკვეულ წრეებში სარანგეთთან დაახლოების ინტერესი იყო. ა. გორჩაკო-

ვი კარგად აცნობიერებდა, რომ საფრანგეთზე დახმარებით შეიძლებოდა წონასწორობის შენარჩუნება ევროპულ პოლიტიკში. ის ხშირად აცხადებდა „ჩვენ გვჭირდება ძლიერი საფრანგეთი". მაგრამ სუსტი საფრანგეთი იმ ეტაპზე ვერ იქნებოდა რუსეთის ღირსული მოკავშირე. ასეთ სიტუაციაში პეტერბურგი ყურადღებით აკვირდებოდა გერმანიის გაძლიერებას, ავსტრია-გერმანიის დახლოებას და ვენის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. რუსეთი ასევე თავს არიდებდა თავისი ინტერესების შეჯახებას ინგლისთან შუა აზიაში. ასეთ შემთხვევაში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე პეტერბურგი იმ ეტაპზე საჭიროდ თვლიდა გერმანიასთან დაახლოებას.

XIX ს-ის უკანასკენლ მეოთხედში საერთაშორისო ურთიერთობებში სამი მთავარი წინააღმდეგობის კერა არსებობდა:

1. ფრანგულ-გერმანული ანტაგონიზმი;
2. აღმოსავლეთის საკითხი, წინააღმდეგობა ბალკანეთში;
3. წინააღმდეგობა კოლონიებში: აზია-აფრიკა.

აღნიშნული წინააღმდეგობები განსაზღვრავდა ევროპული პოლიტიკის მიმართულებებს ამ პერიოდში და შესაბამისად, ძალთა მოწყობის თავისებურებას კონტინენტზე.

4.2. სამთა (ოთხთა) კავშირი

გერმანიის ხელისუფლებამ იმ წარმატებების განმტკიცება, რომლებიც მიაღწია ომების შედეგად, გადაწყვიტა პროგერმანული სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შექმნით. მისი ძირითადი ამოცანა იქნებოდა საფრანგეთის იზოლაცია (გერმანიის ძირითადი მოწინააღმდეგე ევროპაში) და სასურველი პირობების შექმნა ეკონომიკის სწრაფი განვითრებისათვის, რაც მთლიანობაში ემსახურებოდა ისევ გერმანიის შემდგომ სამხედრო-პოლიტიკური ძალის გაზრდას. ამგვარმა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ე.წ. სამი იმპერატორის კავშირის შექმნაში, რომელიც დაფუძნებული იყო მონარქიული სოლიდარობის იდეაზე

და საფრანგეთისათვის მოკავშირეების (რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის სახით) ჩამოცილებაზე. სამი იმპერატორის კავშირის შექმნას საფუძველი ჩაეყარა 1872 წლის სექტემბერში, როცა ბერლინში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის იმპერატორები. თუმცა ავსტრია-რუსეთის წინააღმდეგობის გამო ბალკანეთში, ამ შეხვედრას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ იგი წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს სამი იმპერატორის შეთანხმებისკენ. რუსეთი ამ შეთანხმებაზე ორი მიზეზის გამო წავიდა. პირველი, არ დაეშვა ორი სახელმწიფოს მჭიდროდ დაკავშირება, და მეორე, იმედოვნებდა მათ მხარდაჭერას შუა აზიაში ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1873 წლის მაისში ხელი მოეწერა პეტერბურგში რუსეთ-გერმანიის სამხედრო კოვენციას. მასში ნათქვამი იყო, რომ თუკი რომელიმე ევროპული სახელმწიფო თავს დაესხმოდა ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარეს, მაშინ მეორე მხარე ვალდებულებას ღებულობდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. ერთი თვის შემდეგ, 1873 წლის 6 ივნისს, ავსტრიაში ალექსანდრე II ვიზიტის დროს ქ. შენბრუნში ხელი მოეწერა რუსეთ-ავსტრიის პოლიტიკურ კონვენციას. ეს დოკუმენტი რუსეთ-პრუსიის სამხედრო კონვენციისაგან განსხვავებით არ შეიცავდა მხარეების მიერ აღებულ რაიმე სახის ვალდებულებას და ქონდა საკმაოდ გაურკვევლი ხასიათი. რუსეთმა და ავსტრიამ განაცხადეს, რომ საერთაშორისო ცხოვერებაში ზოგიერთ საკითხზე უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაშიც ისინი მიიღებენ ყველა ზომას, იმისთვის, რომ არ დაეშვათ ორი ქვეყნის უთანხმოება და გააგრძელებდნენ მხარდაჭერას ევროპული მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ორივე სახელმწიფოზე მესამე სახელმწიფოს თავდახმის შემთხვევაში, არ დადებდნენ მასთან რაიმე შეთანხმებას და ვალდებულებას ღებულობდნენ რომ ერთობლივ ზომებს გაატარებდნენ. მაგრამ, თუკი წარმოიქმნებოდა სამხედრო ძალების გამოყენების აუცილებლობა, მაშინ ქვეყნები უნდა შეთანხმებულიყვნენ შემდგომი ერთობლივი მოქმედებების შესახებ.

1873 წლის ოქტომბრის ბოლოს იმპერატორმა ფრანც იოსეფმა და იმპერატორმა ვილჰემ II ხელი მოაწერეს აქტს, რომელის საფუძველზე გერმანია უერთდებოდა ავსტრია-რუსეთის პოლიტიკურ კონვენციას. ამრიგად, კავშირის საბოლოო გაფორმება მოხდა 1873 წელს.

გერმანიის ხელისუფლება ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა კავშირს, თუმცა ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გერმანია-ავსტრიის ორმხრივ თანამშრომლობას. რეალურად კი გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი უკვე 1866 წლიდან, ჯერ კიდევ გერმანიის გაერთიანებამდე ავსტრიას განიხილავდა, როგორც გერმანიის ბუნებრივ მოკავშირეს, ამრიგად, გერმანიის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომ საფრანგეთი პოლიტიკურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცია, იმ ეტაპზე წარმატებით დარულდა.

ავსტრიისათვის კავშირი გერმანიასთან განპირობებული იყო, ერთის მხრივ, ძლიერ გერმანიასთან კავშირი საჭიროების გამო მისი მხრიდან საშიშროების აღკვეთისათვის და მეორეს მხრივ მას ძლიერი გერმანია სურდა გამოეყენებინა რუსეთის წინააღმდეგ, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხში. ამრიგად, ავსტრია-უნგრეთი დაინტერესებული იყო თავისი პოლიტიკის გატრებით ბალკანეთში და იმედოვნებდა ამ საქმეში ბერლინის მხარდაჭერას.

რუსეთი ამ კავშირით იმედოვნებდა, რომ შეასუსტებდა რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობას, რაც გაზრდიდა მის ავტორიტეტს ბალკანეთში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფებოდა თურქეთის გავლენის ქვეშ. რუსეთისათვის ეს კავშირი დროის რაღაც მომენტში ქმნიდა მისი დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოების გარანტიას. ვინაიდან ამ პერიოდში შუა აზიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ინგლისურ-რუსული ინტერესები და ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა პეტერბურგში. იგი მომგებიანი იყო ბისმარკისთვისაც. ამ კონფლიქტმა რუსეთი გარკვეული ხნით ჩამოაშორა ევროპულ საქმეებს.

ბალკანეთის საკითხზე კავშირის შიგნით არსებული უთანხმოება, ასევე მისი წევრების განსხვავებული მიდგომა საფრანგეთთან ურთიერთობაზე, რუსეთს, გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს აიძულებად, რომ ბოლომდე არ ჰქონოდათ ნდობა ერთმანეთში. თუმცა, XIX ს-ის 70-იან წლებში ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობებში და მთავარი ორიენტირი იყო ევროპის და აზიის სახელმწიფოები. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ მეტნაკლებად ანგარიში გაეწიათ ერთმანეთისათვის რაღაც დონეზე.

კავშირის შექმნამ ვერ აღმოფხვრა მწვავე უთანხმოება წევრ სახელმწიფოებს შორის. თითეული მხარე კავშირის არსებობას და მასში ყოფნას საკუთარი ინტერესების შესაბამისად განიხილავდა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კავშირის ჩამოყალიბებამ სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებაზე დაფუძნებული გრძელვადიანი სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი შექმნა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ევროპაში, სწორედ, ამის შემდეგ ყალიბდება სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები. თუმცა, იმ ეტაპზე ამ კავშირით მოიგო გერმანიამ, რადგანაც იგი მიმართული იყო საფრანგეთის იზოლაციაში მოქცევისაკენ.

4.3. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობები

საფრანგეთის მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდნენ ბერლინში, სადაც ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა მონარქისტების სახით. რომელიც რევანშის აღებაზე ფიქრობდა. საფრანგეთში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა არმიის რეორგანიზაცია, ჩატარდა საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია. თუმცა, გერმანიის სამხედრო შესაძლებლობები ბევრად აღემატებოდა სფრანგეთისას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ვითარება იმ პერიოდში სხვა იყო.

საფრანგეთში გააქტიურებული პროცესები ბერლინის სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ გერმანიის ხელისუფლება

დაინტერესებული იყო პარიზის ახალ სამხედრო კონფლიქტში ჩაითრევით. კერძოდ, ბისმარკი ცდილობდა საფრანგეთის პროვოცირებას ახალი ომისათვის, გერმანულ პრესაში იბეჭდებოდა პუბლიკაციების სერია, სადაც ფრანგული მხარე დადანაშაულებული იყო ახალი ომის მომზადებაში. პარალელურად, პარიზი შეეცადა დიპლომატიური მოქმედებების გააქტიურებას, რომ თავიდან ეცილებინა გერმანიის თავდასხმა. საფრანგეთი იძულებული გახდა მიემართა რუსეთის, ინგლისის და ავსტრია-უნგრეთისათვის თხოვნით, რომ გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინათ მისთვის.

ლონდონში, პეტერბურგსა და ვენაში არ სურდათ პრუსიის შემდგომი გაძლიერება. ეს ფაქტი ბერლინისათვის ნათელი რომ ყოფილიყო, რუსეთის და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრები 1874 წლის თებერვალში, ფრანც იოსებ I-ის პეტერბურგში ვიზიტის დროს, დემონსტრაციულად ეწვივნენ საფრანგეთის ელჩს და განუცხადს მას, რომ გმობენ ბისმარკის ქმედებებს. უფრო მეტიც, ლონდონმა ბისმარკი პირდაპირ გააფრთხილა, რომ საფრანგეთთან ახალ ომს მძიმე შედეგები მოჰყვებოდა ბერლინისათვის. ევროპული სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედების შედეგად საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის საფრთხე აღიკვეთა.

ეს იყო პირველი შემთხვევა უკანასკნელი წლეების მანძილზე, როცა ბისმარკმა ვერ განახორციელა თავის გეგმა. სხვათა შორის, ბერლინი ამაში პეტერბურგს ადანაშაულებდა. ბისმარკმა გადაწყვიტა რუსეთის ყურადღება ევროპული საქმეებიდნ აღმოსვლეთის საკითხზე გადაეტანა. ამ მიზნით 1875 წლის თებერვალში მან პეტერბურგში გაგზავნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი რადოვიცი. თავდაპირველად მისი ვიზიტის მიზანი გასაიდუმლოებული იყო. იმპერატორთან და გორჩაკოვთან საუბარში მან დაარწმუნა ისინი გულითად მეგობრობაში. კერძოდ, აღნიშნავდა, რომ გერმანია ყოველთვის მხარს უჭერდა რუსეთს. თავის მხრივ, რუსულმა მხარემაც ანალოგიური განცხადება გააკეთა. ამ ვიზიტით ბერლინს საფრანგეთთან ახალი ომის შემ-

თხვევაში რუსეთის პოზიციის გარკვევაც სურდა. რადოვიცმა გორჩაკოვს ღიად სთხოვა, რომ პეტერბურგს შეეწყვიტა საფრანგეთის მხარდაჭერა. თუმცა, გორჩაკოვმა თავი შეიკავა. მაგრამ, იმავე დროს მიანიშნა, რუსთის უმოქმედოდ ყოფნის საეჭვოობა ახალი ომის შემთხვევაში.

ბისმარკმა განიზრახა ხელახლა დამუქრებოდა პარიზს სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებით. ბერლინში სერიოზულად აშფოთებდათ საფრანგეთიდან მიღებული ცნობები სამხედრო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ამ რეფორმის შედეგად საფრანგეთის არმია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბისმარკს ასევე აშფოთებდა ის რომ საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს სრულ მზადყოფნაში ყავდა 700 ათასი ადამიანი ომის საწარმოებლად. მართალია ეს ქვეყნისთვის საკამოდ დიდი ტვირთი იყო, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესბით იყო ნაკარნახევი.

ბერლინში ფიქრობდნენ, რომ პარიზს საიდუმლო მიზანი ჰქონდა, რომლის განხორციელებასაც უმოკლეს ვადაში აპირებდა. ბისმარკი პრესის მეშვეობით ცდილობდა გაემუქებინა საფრანგეთში მიმდინარე რეფორმები იმის საჩვენებლად, რომ თითქოს პარიზი წუთი წუთზე აპირებდა ომის გაჩაღებას. ამგვარმა ქმედებებმა ევროპაში საერთაშორისო მდგომარეობა დაძაბა. ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია „1875 წლის სამხედრო განგაშით".

ბერლინში აცხადებდნენ, რომ საფრანგეთი გერმანიაზე თავდასასხმელად ემზადებოდა. პარიზში პირიქით ფიქრობდნენ. ამიტომ გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის არსებობის გამო ვერსალის სასახლე ელჩის მეშვეობით შეეცადა ევროპის სახელმწიფოების პოზიციების გაარკვევას მოსალოდნელ კონფლიქტთან დაკავშირებით. ა. გორჩაკოვმა იმპერატორის სახელით განაცხადა დიპლომატიური მხარდაჭერის შესახებ. ხოლო ინგლისური დიპლომატია გამოვიდა ევროპული თანასწორობის შენარჩუნების მოთხოვნით. ცხადი იყო, რომ გერმანია საფრანგეთთან ახალი ომის შემთხვევაში იზოლიაციაში აღმოჩნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოების

ძალისხმევით შესაძლებელი გახდა გერმანიის თავდასხმის აღკვეთა საფრანგეთზე, აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის დაძაბული ურთიერთობები პირველ მსოფლიო ომამდე შენარჩუნებული იყო. საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობის მეორე პლანზე გადაწევას ხელი შეუწყო 70-იანი წლების მეორე ნახევარში გამწვავებულმა აღმოსავლეთის კრიზისმა, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში.

თავი V

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაზე

5.1. ომის მიზეზები

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს საფუძვლიანი ისტორიული წინაპირობები აქვს. ამ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობა იმთავითვე დაკავშირებული აღმოჩნდა გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესთან.

XVII–XIX საუკუნეებში რუსეთ-თურქეთის ომები წარმოებდა შავ ზღვაზე გაბატონებისა და ახალ ტერიტორიების მოპოვებისათის. XVII–XVIII სს. რუსეთი ებრძოდა ოსმალეთის იმპერიას და მის მოკავშირე ყირიმის ხანს. რუსეთის მიზანი იყო შავ ზღვაზე გასვლა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროების ხელში ჩაგდება. მისი ეს ქმედებები განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებით და სამხედრო-პოლიტიკური მოთხოვნილებებით. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთ-თურქეთის ომები დაკავშირებული იყო ახლო აღმოსავლეთში (ე.წ. აღმოსავლეთის საკითხი) საერთაშორისო წინააღმდეგობების გართულებასთან და ბალკანეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების თანდათანობით გამყარებასთან.

ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში რუსეთ-თურქეთის ომების მოკლე ქრონოლოგია ასეთია:

1. 1676-1681 წლების ომი გამოწვეული იყო ოსმალეთის აგრესიის გაფრთოებასთან უკრაინის ტერიტორიაზე. იგი დასრულდა 1681 წლის ბახჩისარის ზავით.

2. 1686-1700 წლების რუსეთ-თურქეთის ომი შეადგენდა ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოების ბრძოლის შემა-

დგენელ ნაწილს, როცა 1686 წელს რუსეთი შეუერთდა ანტითურქულ „წმინდა ლიგას". იგი დამთავრდა კონსტანტინეპოლის საზავო ხელშეკრულებით 1700 წელს.

3. რუსეთ-თურქეთის 1710-1713 წელების ომი დამთავრდა რუსეთის წარუმატებლობით. დაკარგა აზოვი.

4. რუსეთ-თურქეთის 1735-1739 წლების ომი წარმოდაგენდა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების შედეგს, რომელიც დაკავშირებული აღმოჩნდა პოლონეთის და ყირიმის საკითხებთან. ამ ომში რუსეთის მოკავშირედ ავსტრია გამოვიდა. თუმცა იგი თურქებთან ომში დამარცხდა. შვეციის მხრიდან თავდასხმის საფრთხემ 1739 წელს რუსეთი აიძულად თურქეთთან ბელგრადის ზავი დაედო.

5. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წელების ომი კვლავ იყო დაკავშირებული რუსეთის შავ ზღვაზე გასვლასთან. ამ ომში თურქეთის მხარდამჭერებად ავსტრია და საფრანგეთი გამოვიდა. ეს ომი 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით დასრულდა.

6. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომი თურქეთის მხრიდან რევანშისტული მისწრაფებით იყო გამოწვეული. ამ ომს თურქეთის მხრიდან ასევე აქეზებდა დიდი ბრიტანეთი, პრუსია და საფრანგეთი, რომელთაც სურდათ რუსეთის გავლენის შესუსტება კავკასიასა და ყირიმში. რუსეთი ავსტრიის მხარდაჭერით სარგებლობად. 1788 წელს ომში ავსტრია ჩაება, მაგრამ ივნისში რუსეთს ომი გამოუცხადა შვეციამ. 1790 წელს ავსტრია ომიდან გავიდა. შვეციასთან კი ზავი დაიდო, რამაც რუსეთს საშულება მისცა მთელი ძალები მიემართა თურქეთის წინააღმდეგ. 1791 წელს დაიდო იასიის ზავი.

7. რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომი გამოწვეული იყო ასევე თურქეთის რევანშისტული მისწრაფებებით, რომელსაც სურდა გამოეყენებინა რუსეთის სამხედრო ძალის დასუსტება საფრანგეთთან (1805-07) და ირანთან (1804-13) ომებში. თუმცა უშედეგოდ. ომი 1812 წლის ბუქარესტის ზავით დასრულდა.

8. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომი გამოწვეული იყო ოსმალეთის სამფლობელობის გაყოფის გამო ევროპის სახელ-

მწიფოების ბრძოლით რომელიც, მწვავე შიდა კრიზსში იმყოფებოდა. ამ კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებდა საბერძნეთში მიმდინარე განამთავისუფლებელი ბრძოლა (1821-1829). დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავროებებმა, რომლებმაც შეაფასეს რუსეთის გავლენის გაძლიერება ბალკანეთზე (ამ უკანსკნელს ბერძნებმა დახმარებაც სთხოვეს), იძულებული გახდნენ თავდაც გამოეცხადებინათ მხარდაჭერა ბერძნებისათვის. ომი 1829 წელს ანდრიანოპოლიის ზავით დასრულდა რუსეთის წარმატებით.

9. 1853-1856 წლების ყირიმის ომი ასევე დაუკავშირდა „აღმოსავლეთის საკითხს". ამ ომში რუსეთი დამარცხდა ევროპული სახელმწიფოების მიერ მკვეთრად ანტრუსული პოზიციის დაჭერის გამო. ყირიმის ომმა რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟი დაზარალა. 1856 წელს დაიდო პარიზის ზავი. დიდ ბრიტანეთი და საფრანგეთი ოსმალთა სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების გარანტად გამოვიდა.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთის აღნიშნული ომები იმთავითვე დაემთხვა ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს (1648 წლიდან ვესტფალიის სისტემა, 1815 წლიდან ვენის სისტემა). სადაც წამყვანი სუბიექტები სახელმწიფოები იყო, ხოლო საგარეო პოლიტიკის არსს და მიზანს სახელმწიფო ინტერსები განსაზღვრავდა. სწორედაც ევროპული სახელმწიფოების მიდგომა აღმოსავლეთის საკითხისადმი განპირობებული იყო სახელმწიფოთა ინტერსებით, რაც ძალთა ბალანსის სისტემაში განაპირობებდა ძალთა ისეთ გასანაწილებას, რომელიც არ დაუშვებადა ევროპაში ერთი რომელიმე სახელმწიფოს გავლენის დამყარებას. ამის მაკაფიო მაგალითია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და მისდამი ევროპული სახელმწიფოების პოზიცია და დამოკიდებულება.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მიზეზს წარმოადგენდა საერთაშორისო წინააღმდეგობის გართულება ახლო აღმოსავლეთში ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის" აქტუალობის გამო შედეგად. რუსულ ისტორიოგრაფიაში რუსული მხარის მოქმედება შეფასებულია როგორც პროგრესული ქმედება, ვინ-

აიდან იგი მიმართული იყო ბალკანეთის ხალხების დახმარებისაკენ, ხოლო თურქეთისათვის ეს ომი წარმოადგენდა მისწრაფებას, ჩაეხშო ბალკანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა და შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო-ფეოდალური ბატონობა რეგიონში. ამავდროულად, რუსეთისათვის ეს ომი იყო იმ დაკარგული პრესტიჟის აღდგენაც, რომელიც ყირიმის ომის დროს მოხდა. გარდა ამისა, რუსეთს ასევე სურდა დადებითად გადაეწყვიტა თავისუფალი ნაოსნობის საკითხი ბოსფორის ყურეში, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითრების ინტერესებსაც პასუხობდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ე.წ. აღმოსავლეთის საკითხს უდგებოდა თავისი სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების კუთხით, რაც დაკავშირებული იყო შავ ზღვაზე აბსოლუტური უპირატესობის მოპოვებასთან – კონსტანტინოპოლის აღებასთან, სრუტეების ხელში ჩაგდება და აზისა და ევროპის გზასაყარ რეგიონში სრული კონტროლის მოპოვებასთან. ცხადია, ამგვარი გეგმების რეალიზაცია რუსეთის გავლენას ევროპულ და აზიურ საერთაშორისო ურთიერთობებში კიდევ უფრო გაზრდიდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების შედეგებიდან გამომდინარე საერთაშორისო ასპექტებში ჩვენ ვგულისხმობთ:

1. XIX ს-ის მანძილზე წარმოებული რუსეთ-თურქეთის ომები ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის" მკაფიო გამოხატულება იყო და მან ცალსახად გამოკვეთა ევროპული სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები და ძალთა გადანაწილება.

2. ბალკანეთის კრიზისის გამწვავება – ბალკანელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, და ევროპული სახელმწიფების დამოკიდებულება პრობლემისადმი.

3. ამ ომის ნათლად საერთაშორისო სახის გამოხატულებაა ბერლინის კონგრესი და შედეგები;

4. ომის შედეგად ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებში მოხდა ძალთა ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება (ახალი სახელმწიფოების გაჩენა, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება).

აღნიშნული ასპექტებიდან გამომდინარე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა იყო.

თუ თვალს გადავავლებთ XIX ს-ის მანძილზე რუსეთ-თურქეთის ომების მსვლელობას, აშკარაა, რომ ამ ომებში სხვა ბევრი სახელმწიფოს ინტერესიც იკვეთებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ყირიმის ომი, სადაც ისეთი დიდი ევროპული სახელმწიფოები, როგორიცაა საფრანგეთი და ინგლისი ღიად დაუპირისპირდნენ რუსეთს. ყირიმის ომში უკვე ღიად დაფიქსირდა წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოზიცია, რომ ევროპა ვერ შეეგუებოდა რუსეთის ინტერესების რეალიზაციას რეგიონში.

XIX საუკუნეში ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებში ე.წ. აღმოსავლეთის კრიზისი განსაკუთრებულ აქტიურ ადგილს იჭერს. 1830-1840 წლების კრიზისების მსგავსად 1875-1877 წლების კრიზისიც წარმოიქმნა სპონტანურად, და არა დიდი სახელმწიფოების ინტრიგების შედეგად – უბრალოდ თურქეთის იმპერია შევიდა დაცემის მორიგ ფაზაში. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ამ კრიზისში, მას მაინც შორეული საფუძველი ჰქონდა. აღნიშნულ ომს აღმოსავლეთის საკითხის მორიგი კრიზისი უძღოდა წინ.

5.2. აღმოსავლეთის კრიზისის მორიგი გამწვავება და ევროპული სახელმწიფოების პოზიციები

XIX ს-ის შუა ხანებში საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი მოვლენები ახლო აღმოსავლეთის გარშემო ვითარდებოდა. ეს პერიოდი ისტორიულ მეცნიერებაში „1875-1877 წლების აღმოსავლეთის კრიზისით" არის ცნობილი. ამ პერიოდში თურქეთი სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზის განიცდიდა. ერთის მხრივ, იგი განპირობებული იყო თურქეთის დასავლეთ ევროპულ კაპიტალზე დამოკიდებულების გაძლიერებით.

ასეთმა მდგომარეობამ უკმაყოფილება გამოიწვია არ მარტო მთავრობასთან დაახლოებულ წრეებში, არამედ ცალკეული პროვინციებშიც. და მეორე მხრივ, თურქეთის ევროპულ ტერიტორიებზე – ბულგარეთში, სერბეთში, ბოსნიაში, ჰერცოგოვინაში ფართოვდებოდა ეროვნულ-განამანთავისუფლებელი მოძრაობა.

თურქეთის ხელისუფლებამ, რომელმაც კარგად გამოიყენა ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები უარი თქვა, მისთვის ჯერ კიდევ 30-40-იან წლებში დაკისრებულ იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც მას ავალდებულებდა გაეთანაბრებინა მუსლიმანების და ქრისტიანების სოციალური მდგომარეობა. ქრისტიანებს არ ქონდათ მიწის საკუთრების უფლება, ასევე ბოსნიის და ჰერცოგოვინის მოახლეობა შეზღუდული იყო განათლების მიღებაში. მართალია ქრისტიანებს არმიაში არ იწვედნენ, მაგრამ ისინი ვალდებულნი იყვენენ გადაეხადათა სპეციალური გადასახადი სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების გამო. ყოველივე ამან თურქეთის იმპერიის ქრისტიანული მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან XIX ს-ის 70-იან წლებში დამძიმდა საგადასახდო ტვირთიც. რამაც ბალკანეთში თურქეთის საწინააღმდეგო აჯანყება გამოიწვია.

1875 წლის ზაფხულში ბოსნია-ჰერცოგოვინის ქრისტიანულმა მოსახლეობამ დაიწყო ბრძოლა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამას კავლდაკვალ მოჰყვა ეროვნული მოძრაობა სერბეთშიც.

დუალისტური ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფომ ბალკანელი ხალხის აჯანყებისადმი ცალსახად არაერთგვაროვანი პოზიცია დააფიქსირა. ვენა თურქეთის ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის თავისუფლების მიცემის წინააღმდეგი გმოვიდა, ვენაში შიშობდნე რომ ანალოგიურს მოითხივდა სამხრეთ სლავებიც, რომლებიც მისი იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

ერთის მხრივ, უნგრეთის დიდებულები, რომლებმაც დაიჭირეს ტრადიციულად მკვეთრად ანტისლავური პოზიცია, მომხრე იყვნენ, რომ აჯანყება სისხლში ჩაეხშოთ და სტამბულს რეგიონში სტატუს ქვო აღედგინა. ბუდაპეშტში ასევე მიიჩნევდნე,

რომ თურქების სლავების წარმატება კარგი სიგნალი იქნებოდა ავსტრია-უნგრეთის სალავებისთვისაც. მეორეს მხრივ, ვენაში საწინააღმდეგო აზრი გაჩნდა. უნდა ითქვას, რომ ჩეხეთის და გერმანიის ბურჟუაზიის (ნაწილი) გავლენიანი წრეები გამოვიდნენ დუალისტური მონარქიის სამად ტრანსფორმაციის წინადადებით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ავსტრიის შემდეგ გაფართოებას თურქეთის სამფლობელობის ხარჯზე შეეძლო გაეზარდა ვენის გავლენის სფეროები ბალკანეთში. როგორც ცნობილია, ბალკანეთის მებრძოლი ზოგიერთი სახელმწიფო ვენის ეკონომიკური გავლენის სფეროში (მაგალითად, სერბეთის საგარეო ვაჭრობა ორიენტირებული იყო უპირატესად ავსტრიაზე) იყო მოქცეული. ვენაში თვლიდნენ, რომ სარკინოგზო ხაზის მშენებლობა და ვაჭრობა ბალკანეთის ქვეყნებთან მძლავრ იმპულს მისცემდა ავსტრიის ეკონომიკურ განვითარებას, რაც მთლიანობაში ასევე იქნებოდა იმპერიის, იტალიაში და გერმანიაში განცდილი წარუმატებლობების კომპენსირება. და ბოლოს ვენა (უფრო მეტად, ვიდრე ბუდაპეშტი) იძულებული იყო გაეთვალისწინებინა დალმაციის მოსახლეობის საზოგადოებრივი განწყობილება, რომლებიც ემეზობლებოდნენ ბოსნიას და ჰერცოგოვინას: ადგილობრივი მოსახლეობა, გამოთქვამდა სურვილს დახმარებოდნენ თავინათ ერთმორწმუნე ძმებს.

რუსეთი, როგორც ცნობილია, ბევრად უფრო პანსლავისტური განწყობილების იყო. მას სურდა დახმრებოდა მოძმე ხალხს. ასეთი განწყობა საზოგდოების თითქმის ყველა ფენაში თანაბრად იყო წარმოდგენილი. ამიტომაც რუსულ პანსლავიზმს ჰქონდა როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალური ასევე რევოლუციურ დემოკრატიული ხასიათი, ისვე როგორც რეაქციული და დამცველი. 1870-იანი წლების შუახანებისათვის რუსეთის იმპერია დიდ გზასაყარზე იმყოფებდა: 60-იანი წლების რეფორმები, ცხადია, ნაწილობრივ გატარდა, უპირველესად საგლეხო რეფორმა. აუცილებელი იყო რაღაც გაკეთებულიყო: ან რეფორმები უნდა გაგრძელებულიყო ან კონტრრეფორმისტული პოლიტიკა გატარებულიყო. პეტერბურგმა ვერ შეძლო აერჩია განსაზღვრული შიდაპ-

ოლიტიკური კურსი და ამიტომ (როგორც ეს ხშირად ხდებოდა რუსეთის ისტორიაში) გამოსავალი მცირე მასშტაბიან წარამტ-ებული ომის წარმოებაში იპოვა, რომელიც შეძლებდა საზოგა-დოების უკმაყოფილების შესუსტებას და ტახტის გარშემო გაე-რთიანებას. მეორეს მხრივ პანსლავისტურმა უგნურებამ და პატ-რიოტულმა ციებ-ცხელება ვერ მოცვა მთელი რუსეთი. გორჩაკ-ოვი, შუვალოვი, და თვით ალექსანდრე III კარგად აცნობიერებ-დნენ იმ გარემოებას, თუ რამდენად საშიში იქნებოდა რუსეთისა-თვის ოცი წლის წინანდელი სიტუაციის განმეორება, როცა ქვეყნა ყირიმის ომის მსვლეობის დროს თითქმის მარტო დარჩა ევროპის პირისპირ. ამ განწყობამ გაყო ზომიერ-ლიბერალური ბურჟუაზიული წრეები, პეტერბურგის ბანკები და ბირჟები, რომ-ლებიც მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ ევროპასთან.

საფრნგეთი ამ პერიოდში დაჟინებით ეძებს საგარეო პოლ-იტიკური იზოლაციდან გამოსავალს, რომელშიც პარიზი აღმოჩ-ნდა პრუსიასთან (1870-1871წწ) ომის შემდეგ. ამავე დროს, 1875 წელს მკვეთრად გაუარესდა საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთ-ობა. ამის მიზეზი იყო ის რომ იმავე წლის 26 ნოემბერს ცნობი-ლი გახდა, რომ ლონდონმა 100 მილ. ფრანკად შეიძინა 177 ათა-სი სუეცის არხის აქციები, რომელიც ადრე იმყოფებოდა ეგვ-იპტის ჰედივის (ვიცე-მეფე) საკუთრებაში. ამის შემდეგ ინგლისი გახდა არხის ერთპიროვნული მფლობელი (მართალი პარიზს დარჩა აქციის ნაწილი, მაგრამ მის უფლებებს არავინ არ აღია-რებდა). ეს გარიგება განხორციელდა კონსპირაციულად, რომ-ელსაც შეუძლებელია საფრანგეთის გაღიზიანება არ გამოეწვია.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში მაშინ იყოფებოდა ფენჯამინ დიზრაელი, ლორდ ბიკონსფილდი. ამ ადამიანს ჰქონ-და თურქოფილის და რუსოფობის სახელის რეპუტაცია. თუმცა რეალურად კი იყო მკაფიო ბრიტანელი შოვინისტი, რომელიც ემხრობოდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის გაფართოებას. ამ მიზნით დიზრაელის პროთურქული სიმპათიები უკანა პლანზე ინაცვლებს. იგი თვლიდა, რომ ოთომანთა იმპერიის დაშლა გარდაუვალი იყო. ის მიჩნევდა, რომ „ბალკანური ნადავლი” უნ-

და განაწილებულიყო ავსტრიასა და რუსეთს შორის „ინგლისის მეგობრული სამსახურით". ლონდონში მიიჩნევდნენ, რომ „კონ-სტანტინოპოლი შესაბამის რაინებთან ერთად ნეიტრალურად უნ-და გამოცხადებულიყო და გარდქმნილიყო თავისუფალ პორტად ინგლისის დაცვის და მზრუნველობის ქვეშ. როგორც ჩანს დიზ-რაელის თურქებისადმი სიმპათიები მთავრდება იქ სადაც იწყება ინგლისის ინტერესები.

გერმანიას ამ პერიოდში არ ჰქონდა უშუალო ინტერესები ბალკანეთში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. თუმცა კონ-ფლიქტის დასაწისშივე დიდი იყო ბერლინის როლი. ამ კრი-ზისმა გერმანიის დიპლომატიას ფართოო შესაძლებლობები გაუ-ხსნა. ამავე დროს იგი ფარული და საშიში გახდა. ბისმარკმა თავისი ამოცანა დაინახა იმაში, რომ: 1. მაქსიმალურად დაეპი-რისპირებინა ინგლისი და რუსეთი; 2. აღეკვეთა საფრანგეთის და რუსეთის დაახლოება; 3. აეცილებინა კონფლიქტი ავსტრიასა და რუსეთთან. სწორედ ამიტომაც 1875-1877 წწ. აღმოსავლეთის კრიზის დროს ის ერთის მხვრივ აქეზებდა პეტერბურგს თურქე-ბთან ომისათვის, მეორეს მხრივ გადაჭრით გააფრთხილა რუს-ეთის ხელისუფლება, რომ ბერლინი არ დაუშვებდა ავსტრიის დაშლას.

როგორც ვხედავთ ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის „ბრწყინვალე პორტას" მოკავშირე და მეგობარი თითქმის არ ყავდა. პრაქტიკულად საყოველთაოდ გავრცელებული აზრი იყო იმის შესახებ, რომ „ევროპის ავადმყოფს" პრაქტიკულად წინააღ-მდეგობის გაწევის უნარი არ ჰქონდა. ამიტომ ევროპის სახელმ-წიფოთა კაბინეტებში განსაკუთრებული პრობლემის გარეშე მო-ხერხდა სტამბულისადმი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური სახის მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელიც ეხებოდა ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ბალკანური სახ-ელმწიფოების მდგომარეობის შემსუბუქებას.

რუსეთს, რომელსაც აფრთხობდა იზოლიაციაში აღმოჩენა, ლავილირებდა გერმაინას, ავსტრია-უნგრეთს და ინგლისს შორის და ხშირად ამისთვის გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა.

ა. გორჩაკოვი, პირველ რიგში, ცდილობდა არ დაეშვა ურთიერთობების გამწვავება ავსტრია-უნგრეთთან. ამ მიზნით 1875 წლის აგვისტოში მან ვენაში განაცხადა რუსეთის მისწრაფებაზე, რომ ერთად გამოსულიყო ავსტრია-უნგრეთთან თურქეთ-ჰერცოგოვინის კონფლიქტში. ვენას არ სურდა კიდევ ერთი სახელმწიფოს შექმნა. ის კარგად ათვიცნობიერბდა იმ ფაქტს, რომ თუკი ბოსნია-ჰერცოგოვინა მოიპოვებდა თავისუფლებას, მაშინ ანალოგიური სურვილი გაუჩნდებოდა ავსტრია-უნგრეთის სალავებსაც. სერბია კი ბოსნია-ჰერცოგოვინის ხარჯზე შეიძლება გაზრდლიყო და ავსტრიის საზღვრებთან ძლიერი სახელმწიფო შეექმნა. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ 1875 წლის დეკემბერში, 1856 წლის პარიზის ზავის ხელმომწერ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში, რომელზეც მიიღებდა ერთობლივ გადაწყვეტილებას ბისნიის და ჰერცოგოვინის საკითხზე.

1875 წლის 18 დეკემბერს ანდრაშიმ სამი სახელმწიფოს – რუსეთის, გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის სახელით სულთანს გადსცა ბალკანელი ხალხისათვის გასატარებელ რეფორმათა პროგრამა. სულთნის ხელისუფლებისათვის შეთავაზებული იყო რიგი სოციალური ხასიათის ღონისძიებების გატარება – თავისუფლი აღმსარებლობა, აგრარული მდგომარეობის გაუმჯობესება, გადასახადების შეკრების, გამოსყიდვის სისტემის გაუქმება.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით 1876 წლის 31 იანვარს ოსმალეთის სულთნის სამდივნოს ასევე გადეცა ექვსი სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, გერმანია, იტალია) თანხმობით დაწერილი ნოტა. 11 თებერვალს სტამბოლი დაეთანხმა ამ ნოტის მოთხოვნებს. აშკარა იყო, რომ სლავების აჯანყება ევროპის დიპლომატიის მხარდაჭერის პირობებში გარკვეულ წარმატებას მიაღწევდა, მით უფრო, რომ ივნისში სერბია და ჩერნიგორია თურქების წინააღმდეგ აჯანყდნენ. მაგრამ შემუშავებული პროექტი აჯანყებულებმა არ მიიღეს. მათ ავსტრია-უნგრეთის ამ პროექტში დადებითი

მხარეები მხოლოდ ვენისა და სტამბოლისთვის დაინახეს. ასეთ პიროებებში ა. გორჩაკოვმა ბისმარკს და ანდრაშის შესთავაზა შეხვედრა 1876 წლის მაისში ბერლინში ალექსანდრე II-ის ჩასვლის დროს.

რუსული მხარე ბერლინში საკუთარი გეგმით ჩავიდა. ამ გეგმის მიხედვით ბალკანეთის ნახევრკუნძულზე სლავურ ოლქებს უნდა მისცემოდა ავტონომია, ხოლო მმართველობა უნდა განეხორციელებინა რუსეთს და ავსტრია –უნგრეთს. მაგრამ ვენა ამ პროექტის წინააღმდეგი გამოვიდა. ვინაიდან არ სურდა ბალკანეთში რუსეთის გაძლიერება. ამის გამო რუსულ გეგმაში ცვლილება მოხდა და იგი მიიღეს 1876 წლის 13 მაისს. ეს შეთანხმება ისტორიაში შევიდა როგორც ბერლინის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმი ფაქტობრივად იმეორებდა 1875 წლის დეკემბერში პორტასათვის გადაცემული რეფორმების პროექტის შინაარსს. თუმცა მასში რუსული მხარის ინიციატივით დაემატა ახალი პუნქტი, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუკი მას არ მოყვებოდა დადებითი შედეგები პორტას მხრიდან, მაშინ პეტრებურგი, ვენა და ბერლინი შეთანხმდნენ რომ მიიღებდნენ ყველა ზომებს სიტუაციის შემდგომი გამწვავების აღეკვეთისათვის. მემორანდუმის შინაარსი გააცნეს დიდი ბრიტანეთის, იტალიის და საფრანგეთის ელჩებს.

ამ შეხვედრაზე გორჩაკოვმა განაცხადა, რომ პორტა ჯერ კიდევ არ ასრულებს არც ერთ დაპირებას რეფორმების შესახებ. მისი აზრით ბერლინის მემორანდუმა უნდა დაიცვას არსებული მდგომარეობა ქრისტიანების ნორმალური უფლებების უზრუნველყოფისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ბალკანეთის კრიზისის მოგვარებით. თუკი პარიზი და რომი დაეთანხმა ბერლინის მემორანდუმის მოთხოვნებს, ლონდონმა განაცხადა, რომ იგი თურქეთის შიდა საქმეებში ჩარევის წინააღმდეგი იყო. ლონდონს მისი ინტერესები ქონდა, რომელიც ბალკანეთის გავლით აღმოსავლეთში მიდიდოდა. ინგლისს არ სურდა რუსეთის პოზიციების გაძლიერება ბაკლანეთში და მით

უფრო შავი ზღვის სრუტეებში. ინგლისი ყოველთვის შიშობდა მისი მთავრი კოლონიის-ინდოეთის, და ნებისმიერ, თუნდაც გარკვეულ მიახლოებას ან ჩარევას ამ რეგიონში მტკივნეულად აღიქვამდა.

1869 წელს სუეცის არხის გავლით საზღვაო ფლოტმა მოძრაობა დაიწყო. ინდოეთის სანაპიროებთან მიახლობა რეალური გახდა. ამიტომ ინგლისი ცდილობდა პოზიციების გაძლიერებას არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ თურქეთშიც. მართალია, იგი გაურბოდა მწვავე შეტაკებას რუსეთთან შუა აზიაში, მაგრამ მას დაუპირისპირდა ახლო აღმოსავლეთში, სადაც მან შეიძლო თურქეთის და ავსტია-უნგრეთის მხარდაჭერის მიღება.

XIX ს-ის 70-იან წლებში რუსეთის და ინგლისის ინტერესების შეჯახებას ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მარტო ამ ქვეყნებისათვის, არამედ ორიევე რეგიონში საერთაშორისო ურთიერთობების განვითრებაზე. როცა რუსეთმა 1873 წელს დაიკავა ხივუ და შეეცადა პოზიციების განმტკიცებას შუა აზიის რეგიონში, ლონდონმა ელჩის სახელით პეტერბურგში განაცხდა, რომ ეს გამოიწვევდა რუსულ-ინგლისური ურთიერთობების გაფუჭებას. ლონდონი, რომელიც ცდილობდა ინდოეთის უსაფრთხოების დაცვას, გამოთქვამდა იმედს, რომ რუსეთი აღიარებდა ავღანეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ამ შემთხვევაში თავისთვის იტოვებდა განსაკუთრებულ უფლებას მასთან ურთიერთობისათვის.

ინგლისის ასეთმა პოზიციამ რუსეთს საშუალება მისცა შეერთებინა კონადის სახანო. თავის მხრივ, ავღანეთის ხელისუფლება აპირებდა დახმარებოდა რუსეთს ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თითქმის იმავე პერიოდში გამწვავდა ვითარება ბალკანეთში. თურქეთის ხელისუფლებამ იგრძნო რა, რომ ლონდონი არ აპირებდა ბერლინის მემორანდუმის აღიარებას, სტამბოლმა ფაქტობრივად, უარი თქვა მოთხოვნების შერულებაზე და 1976 წლის შუა ხანებიდან ფართომაშტაბიან შეტევაზე გადავიდა ამ-

ბოხებულების წინააღმდეგ. თურქების გამარჯვება ბალკანეთზე რუსეთს თავისი გავლენის დაკარგვას უქადდა. თურქეთმა შეძლო აჯანყების ჩახშობა ბულგარეთში. ბალკანეთში თურქეთის აგრესიულ ქმედებებზე ლონდონს ყურადღება არ მიუქცევია, პირიქით, შავი ზღვის სრუტეებისაკენ საკუთარი ფლოტი გაგზავნა.

თურქეთის ხელისუფლების აგრესიულმა ქმედებებემა ბულგარეთში უკმაყოფილება წარმოშვა სხვა სლავურ მოსახლეობაში და დაიწყო გამოსვლები სერბეთსა და ჩერნიგორიაში. რუსეთმა და ავსტრიამ გააფრთხილეს სერბეთი და ჩერნიგორია იმ საშიშროებზე, რომელიც მათ მოქმედებას მოყვებოდა. თუმცა, სლავური მოსახლეობა, მიუხედავად რუსეთის გაფრთხილებისა, დარწმუნებული იყო პეტერბურგის მხარდაჭეერაში. მაგრამ თავად რუსეთი არ იყო სამხედრო მოქმედებებისათვის იმ ეტაპზე მზად, ვინაიდან მას ამ კონფლიქტის გაფართოების ეშინოდა. ყოვლივე ამის მიუხედავად 1876 წელს ომი მაინც დაიწყო. ბალკანეთზე რუსი მოხალისები გაიგზავნა. რუსეთის პოზიცია რთული იყო. თურქეთის გამარჯვების შემთხვევაში მას არ შეეძლო არ აღმოეჩინა დახმარება აჯანყებულებისადმი, თუმცა იმავდროულად უფრთხოდა ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის გაფუჭებას.

ბალკანეთზე შექმნილი ვითარება 1876 წლის 8 ივლისს ჩეხეთში რეიხშტადის სასახლეში შეხვედრაზე განიხილეს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II და ავსტრიის იმპერატომა ფრანც-იოსებმა. მხარეები შეთანხმდნენ მხარი დაეჭირათ ჩაურევლობის პრინციპისათვის. ამავე დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება სერბიის და ჩერნოგორიის გაფართოების შესახებ. ხელი მოეწერა რუსეთ-ავტრიის შეთანხმებას. აჯანყებულების გამარჯვების შემთხვევაში იგეგმებოდა ბულგარეთის, ბოსნიის და ჰერცოგოვინის ავტონომიების შექმნა. ავსტრიის და რუსეთის მთავრობები არ განიხილავდნენ დიდი სლავური სახელმწიფოს შექმნას. თუმცა შეთანხმდნენ რომ სერბიის, ჩერნოგორიის და საბერძნეთის ტერიტორიები გაფართოვდებოდა. ავსტრიისაგან

გარკვეული გარანტიების მიღების შემდეგ პეტერბურგმა პორტას მოსთხოვა სერბებთან ზავის დადება, რათა თავიდან აეცილებინა მათთან სამხედრო შეტაკებები. სტამბოლმა მიიღო ეს წინადადება. თუმცა, სერბეთის მხარე წინააღმდეგი გამოვიდა თურქეთთან დროებითი ზავის დადებაზე. შედეგად თურქეთმა, რომლის უკან ინგლისი იდგა, გააგრძელა საბრძოლო მოქმედებები და სერბებს დამარცხება აგემა. მდგომარეობის გამოსწორების და სლავების გადარჩენის მიზნით პეტერბურგი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. შექმნილ პირობებში 30 ოქტომბერს რუსეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში იგნატიევმა სულთნის დივანს ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმის მიხედვით 48 საათის განმავლობაში უნდა დადებულიყო დროებითი ზავი სერბიასა და ჩერნიგორიასთან. 2 ნოემბერს ამ საკითხზე სტამბოლმა თანხმობა განაცხადა. თუმცა სიტუაცია კვლავ გაუგებარი რჩებოდა. ლონდონი და პეტერბურგი ურთიერთბრალდებითი განცხადებებით გამოვიდნენ. ერთმა ფლოტი მოიყვანა საბრძოლო მზადყოფნაში, მეორემ – სახმელეთო არმიის 20 დივიზია.

უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონის აქტიურობის მიუხედავად, იმ მომენტში ბრიტანეთს არ ჰყავდა მოკავშირე კონტინენტზე. საქმე იმაში გახლდათ, რომ რეიხშტადის სასახლეში ალექსანდრე II-მ და გორჩაკოვმა ფრანც იოსებთან და ანდარაშთან შეხვედრაზე ვენას მისცა თანხმობა მოეხდინა ბოსნიის და ჰერცოგოვინის ნაწილის ოკუპაცია, სანაცვლოდ მოითხოვა მისი პრინციპული თანხმობა ბულგარეთის და რუმინეთის ავტონომიზაციაზე (ან დამოუკიდებლობაზე), ასევე რუსეთისათვის სამხრეთ-დასავლეთ ბესარბიის დაბრუნებაზე. რაც შეეხება საფრანგეთს, მაშინ ბალკანეთზე რუსეთის წინააღმდეგ მისი ბრძოლის შესახებ შეუძლებელია სიტყვაც თქმულიყო იმ პირობებში, რომელშიც პარიზი იმყოფებოდა საერთაშორისო ასპარეზზე საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ.

ასეთ პირობებში იზრაელის მთავრობას არ დარჩა გარდა იმისა, რომ დათანხმებულიყო დიდი სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას კონსტანტინეპოლში, რომლის მსვლელობის

დროს მოიძებნებოდა აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების გზები. კონფერენციის იდეა კი წამოაყენა ა. გორჩაკოვმა. ამავე დროს პეტერბურგში განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსეთს უარს ეტყოდნენ მასში მონაწილეობაზე, იგი თავისუფალი მოქმედების უფლებას დაიტოვებდა.

1876 წლის 23 დეკემბერს მოიწვიეს კონსტანტინეპოლის კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე მთავარ როლს რუსეთის წარმომადგენელი გრაფი ნ. იგნატევი თამშობდა. მიღწეულ იქნა შეთანხმება ბულგარეთისა და ბოსნია-ჰერცოგოვინისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. რუსეთმა უარი თქვა ამ ტერიტორიების ოკუპაციაზე, მაგრამ თითოეულ ამ ავტონომიას ეყოლებოდა მეთვალყურე, რომლებიც დაინიშნებოდნენ ყველა სახელმწიფოსთან შეთანხმებით.

კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულება ეჭვქვეშ დადგა, რადგანაც იგი მიმდინარეობდა იმ ცვლილებების ფონზე, რომელიც თურქეთში განხორციელდა. კერძოდ, თურქეთი გამოცხადდა კონსტიტუციურ მონარქიად ორპალატიანი პარლამენტით. ამიტომ არავითარ საერთაშორისო გარანტიას სულთნის ქრისტიანი ქვეშევრდომები ამიერიდან არ საჭიროებდნენ, ყველაფერი ეს გარანტირებული იყო თურქეთის კონსტიტუციით.

რა თქმა უნდა, ევროპული სახელმწიფოები არ მოელოდნენ აღმოსავლური დესპოტიზმის სწრაფ გარდაქმნას დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ისინი დარჩნენ თავიანთ პოზიციაზე და 1877 წლის 15 იანვარს სულთნის დივანს გადასცეს ევროპის სახელმწიფოების ერთობლივი ნოტა, სადაც მოითხოვდნენ ავტონომიას ბოსნიის, ჰერცოგოვინის, ჩრდილოეთ ბულგარეთისათვის და იქ ადგილობრივი პოლიციის შექმნას.

25 იანვარს სახელმწიფოთა ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა. სტამბოლის მიერ ამ მოთხოვნების უარყოფა ფაქტობრივად ნიშნავდა თურქეთის სრულ საერთაშორისო დიპლომატიურ იზოლაციაში მოქცევას რუსეთთან ომის წინ. საფრანგეთმა არც

მეტი არც ნაკლები რუსული გეგმების საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა.

საერთაშორისო სიტუაცია ხელახლა გაუარესდა. რუსეთის ხელისუფლებამ, რომელმაც კარგად დაინახა, რომ თურქეთთან ომს ვერ აიცილებდა დიპლომატიური მოქმედებები გააქტიურა. მოსალოდნელ ომში მას ყველაზე მეტად ავსტრია-უნგრეთის პოზიცია აშფოთებდა. გადაწყდა, დაწყებულიყო მოლაპარაკებები ვენასთან გარკვეული გარიგების ფასად პეტერბურგისათვის საჭირო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

1877 წლის 15 იანვარს ბუდაპეშტში (ბისმარკის შუამავლობით) საიდუმლოდ დაიდო რუსულ-ავსტრიულ კონვენცია, რომლის თანახმად: 1. არცერთი მთავრობა არ უნდა შეეცადოს განსაკუთრებული პროტექტორობის დამყარებას თურქეთის იმპერიის ქრისტიანულ მოსახლეობაზე; 2. მომავალი ომის შედეგები დადასტურებული უნდა იქნეს ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ პარიზის და ლონდნის ტრაქტატებში; 3. რუსეთმა პატივი უნდა სცეს რუმინეთის ტერიტორიულ მთლიანობას და ხელი არ ახლოს კონსტანტინოპოლს; 4. ბულგარეთი, სერბეთი და რუმინეთი მიიღებდნენ დამოუკიდებლობას; 5. რუსეთმა არ უნდა შეიყვანოს ჯარები სერბეთში; 6. ავსტრია მიიღებს ბოსნიას და ჰერცოგოვინას. ყველა ამ დათმობის სანაცვლოდ, ვენა თანახმა იყო სრული ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა მოახლოებულ ომში. და ბოლოს, პეტერბურგს ასევე შეეძლო გაეთვალისწინებინა ბერლინის კეთილსასურველი ნეიტრალიტეტი. საკუთრივ ბისმარკი აგულიანებდა რუსეთს ამ ომისათვის.

ამრიგად, თუ ამ შეთანხმებით ვიმსჯელებთ, რუსეთი ფაქტიურად ვერაფერს ვერ ღებულობდა, გარდა ნეიტრალიტეტისა, რომელსაც ვენა პირდებოდა. ასე რომ, რუსეთის მცდელობა მშვიდობიანი გარიგების გზით მოეგვარებინა რიგი საერთაშორისო საკითხები, უშედეგოდ დასრულდა. საქმე ომამდე მივიდა.

5.3. ომი, შედეგები და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე

პორტას უარმა ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნების შესრულებაზე ომი გარდაუვალი გახადა. მხოლოდ ლონდონმა გამოთქვა პროტესტი რუსეთის მიერ 1877 წლის 24 აპრილს თურქეთისათვის ომის გამოცხადების გამო. მიუთითებდა, რომ რუსეთის მსგავსი მოქმედება არ არის დადგენილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ. თუმცა ლონდონი ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ევროპელი მოკავშირეების გარეშე. ინგლისელები მალე იძულებული გახდნენ შეერბილებინათ ტონიიმის გათვალისწინებით, რომ რუსებს არ ხელეყოთ ბრიტანული ინტერესები თურქეთში (ეგვიპტე, სუეცის არხი, სტამბოლი და ყურეები). პეტერბურგმა მას სრულიად დამაკმაყოფილებელი ანგარიში მისცა (8 ივნისს). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ინგლისს მზადყოფნაში არ ჰყავდა ქვეითი ჯარი, ხოლო ფლოტს ასეთ სიტუაციაში არ შეეძლო დახმარება აღმოეჩინა თურქეთისათვის. აქედან გამომდინარე, რუსეთი ვერ ხედავდა ახალი ევროპული ანტირუსული კოალიციის შექმნის საშიშროებას. ცხადია, ასეთ პირობებში არ არსებობდა არანაირი დიპლომატიური დაბრკოლება რუსული იარაღის წარმატებისთვის. მდგომარეობას ამარტივებდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის მხარეზე გამოვიდა რუმინეთი და ჩერნოგორია, სადაც პარტიზანული რაზმები შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგმა გარკვეული დაპირება მისცა ლონდონს, რომ არ ხელყოფდა ინგლისის ინტერესებს ეგვიპტეში და არ შეცვლიდა სრუტეების სტატუსა, ლონდონი მაინც ფრთხილად ადევნებდა თავლყურს მოვლენების განვითარებას. სამხედრო მოქმედებები ნელა მიმდინარეობდა. ცხადია, რუსული დიპლომატიაც აქტიურობდა. რუსეთის ელჩი ლონდონში შუვალოვი მოლაპარაკებებს აწარმოებდა პრემიერ დერბთან. ლონდონში მას პირდაპირ განუცხადეს, რომ რუსეთის მიერ ეგვიპტის ოკუპაცია, სუეცის არხის ბლოკადა და

კონსტანტინეპოლოს დაკავება ინგლისისათვის მიუღებელი იქნებოდა, მით უფრო სრუტეების სტატუსის შეცვლა. შუვალოვი შეეცადა დაერწმუნებინა პრემიერი დერბი, რომ რუსეთი არ აპირებდა კონსტანტინეპოლის დაკავებას და მით უფრო, არ აქვს არანაირი დამოკიდებულება ეგვიპტესა და სუეცის არხზე. რაც შეეხება შავი ზღვის სრუტეებს, იგი ერთობლივი განხილვის საგანი იქნებოდა.

ა. გორჩაკოვი მოქმედებდა სწრაფად და მოფიქრებულად. მან განაცხადა, რომ რუსეთი წავა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, არ წამოაყენებს მკაცრ პირობებს, თუკი თურქები ითხოვენ ზავს მანამ, სანამ რუსული არმია გადალახავდა ბალკანეთის ქედს. პეტერბურგი მზად იყო დაკმაყოფილებულიყო რუსეთისათვის სამხრეთ-დასავლეთ ბესარბიის დაბრუნებითა და ბათუმის შემოერთებით.

რუსული არმიის წარმატებებმა ბალკანეთის და კავკასიის ფრონტებზე შეაშფოთა დიდი ბრიტანეთის და ავსტრიის მმართველი წრეები. იმისათვის რომ არ ემოქმედა მარტო, პრემიერმა დერბიმ, 1877 წლის მაისში, ვენას შესთავაზა ერთობლივად გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ. ლონდონის გათვლით ავსტრიას რუსეთისათვის ზურგში უნდა დაერტყა, ხოლო ინგლისის ფლოტი შევიდოდა შავი ზღვის ყურეებში. მაგრამ ვენამ უარი თქვა რუსეთთან ომზე, თუმცა თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო ბალკანეთში ომის შემდგომი სიტუაციის მოწესრიგებაში.

ლონდონ-ვენის მოლაპარაკებამ რუსულ არმიას ხელი არ შეუშალა წარმატების მიღწევაში. 1877 წლის 19 ივლისს რუსული არმია დაეუფლა შიპკის უღელტეხილს. ამ სტრატეგიული ადგილის დაკავებამ გზა გახსნა კონსტანტინეპოლისკენ. 1878 წლის იანვარში რუსული არმია სოფიაში შევიდა. მნიშვნელოვანი იყო 1877 წლის ნოემბერში პლევნას დაცემა. შიპკის, სოფიას და პლევნას აღება რუსებს აძლევდა სტრატეგიულ უპრატესობას შეტევა განევითარებინა სამხრეთის მიმართულებით. რუსულმა არმიამ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტზეც.

ბალკანეთიდან მიღებული ინფორმაციების შედეგად ლონ-დონი პანიკაში ჩავარდა. ვენაში ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლაზე.

ამ დროს პეტერბურგში უკვე ამუშავებდნენ ომის შემდგომი სიტუაციის მოწესრიგებაზე საკუთარ გეგმებს. ჯერ კიდევ 1877 წლის ზაფხულში გორჩაკოვმა შეიმუშავა ზავის პირობების რამდენიმე შესაძლო ვარიანატი. თითოეული მათგანი დამოკი-დებული იქნებოდა იმ წარმატებებზე, რომელსაც რუსული არმია მიაღწევდა და ძალთა იმ განლაგებაზე, რომელიც შეიქმნებოდა საერთაშორისო არენაზე. პირველი ვარიანტი განკუთვნილიყო იმ შემთხვევაში თუკი სტამბოლი ითხოვდა ზავს რუსული არმიის ბალკანეთში გადასვლამდე ან ევროპული სახელმწიფოები ისურ-ვებდნენ ზავის დადებას. იგი შემდეგ პირობებს ითვალისწინებ-და: სერბია და ჩერნოგორია რამდენადმე იფართოვებდნენ ტერი-ტორიებს, მაგრამ ამისთვის შენარჩუნებული იქნებოდა ვასა-ლური ავტონომია. ბულგარეთისათვის გათვალისწინებული იყო ან სავასალო უფლებები, ან ადმინისტრაციული ავტონომია. ალ-ბანეთში, თესალიაში, ეპირში და კრეტაზე ჩატარდებოდა რეფო-რმები, რომელიც გათვალისწინებული იყო კონსტანტინეპოლის გადაწყვეტილებით.

მეორე ვარიანტი, რომელიც ამოდიოდა იქედან, რომ თურქეთი სწრაფად დამარცხდებოდა, ხოლო ევროპის წამყვანი სახელმწიფოები არ განახორციელებდნენ აქტიურ ჩარევას სამ-ხედრო მოქმედებებში. ამ შემთხვევაში გორჩაკოვი უშვებდა ბევ-რად რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას: სერბეთი, ჩერ-ნიგორია და ბულგარეთი მიიღებდნენ დამოუკიდებლობას, კრეტა, თესალია და ეპირი უერთებოდნენ საბერძნეთს.

ორივე ვარიანტით გათავლისწინიებული იყო ავსტრიისათ-ვის გარკვეული ტერიტორიების გადაცემა მისი ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ, რომელიც ომის დაწყებამდე გამოაცხადა.

თუმცა, ლონდონში ამ საკითხებზე განსხვავებული აზრი ჰქონდათ. თავის მხრივ, ა. გორჩაკოვმა ვენას და ბერლინს აც-ნობა იმ რუსული გეგმების შესახებ, რომელიც ომის

დასრულების შემდეგ ვითარების მოწესრიგებას ითვალისწინებდა. კონკრეტულად კი, პეტერბურგი მათ სთავაზობდა: ბულგარეთის სათავადოს შექმნას იმ საზღვრებში, რომელიც შემოთავაზებული იყო კონსტანტინეპოლის კონფერენციის გადაწყვეტილებით; ბოსნიისა და ჰერცოგოვინისთვის ავტონომიის მინიჭება ავსტრიის მმართველობის ქვეშ; სერბეთის, ჩერნოგორიისა და რუმინეთისათვის დამოუკიდებლობის მიცემა. რუსეთს უბრუნდებოდა ბესარბიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. კომპენსაციის სანაცვლოდ რუმინეთს გადეცემოდა დობრუჯი. რუსეთს ეძელოდა ყარსი, ბათუმი, არდაგანი და ბაიაზეთი; მოხდებოდა ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება ყურეების საკითხზეც, სულთნის თანხმობით რუსეთი უფლებას მიიღებდა სამხედრო ხომალდების ყურეებში გატარების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ლონდონი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს. იგი იმედოვნებდა ამ ომში ავსტრია-უნგრეთის ჩაბმას და რუსეთის დამარცხებას. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთის ჯარების მიერ კონსტანტინეპოლის დროებით დაკავების შემთხვევაშიც კი მიიღებდა სპეციალურ ზომებს. ინგლისის ფლოტი მზად იყო დარდანელში შესვლაზე. მაგრამ სულთანი, რომელსაც ეშინოდა, რომ ინგლისის ამ ქმდებას შესაბამისი შედეგებიც მოჰყვებოდა, ლონდონს ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე არ მისცა თანხმობა. კონსტანტინეპოლში შიშობდნენ, რომ ამ ნაბიჯს რუსების მხრიდან ქალაქის დაკავება მოჰყვებოდა.

ა. გორჩაკოვმა ლონდონს შეატყობინა, რომ ვერ მისცემს გარანტიას იმის შესახებ, რუსები კონსტანტინეპოლს დაიკავებდნენ თუ არა. 1877 წლის 24 დეკემბერს თურქეთმა ინგლისს შუამავლობა სთხოვა რუსეთთან. თურქეთის ამ ნაბიჯზე გორჩაკოვმა განაცხადა, რომ თუკი თურქეთს სურს ომის დამთავრება, მაშინ მან ამისთვის რუსეთის სამხედრო ხელისუფლებას უნდა მიმართოს თხოვნით და მიიღოს პეტერბურგის პირობები. რაც შეეხება ყურეებს და სხვა პრობლემებს, რომელიც აშფოთებდა

ევროპის სახელმწიფოებს, რუსეთი მზად იყო განეხილათ ისინი კონფერენციაზე.

1878 წლის 8 იანვარს პორტამ ზავი ითხოვა. ზავის შესახებ დაწყებულმა მოლაპარაკებებმა რუსული არმია ვერ შეაჩერა კონსტანტინეპოლის მიმართულებით გადაადგილებისაგან. ლონდონი, ერთი მხრივ, აგრძელებს ავსტრია-უნგერთის დაყოლიებას რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმისათვის, მეორე მხრივ, მარმარილოს ზღვაში სამხედრო ფლოტი გაგზავნა. რამაც რუსეთი აიძულა უარი ეთქვა კონსტანტინეპოლში შესვლაზე.

ვენამ და ლონდონმა პეტერბურგს აცნობეს, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები განეხილათ საერთაშორისო კონფერენციაზე. პეტერბურგი ცდილობდა სწრაფადა დაესრულებინა ომი და არ გაემწვავებინა სიტუაცია ევროპაში, ამიტომ დათანხმდა ამ შეთავაზებას.

1878 წლის 30 იანვარს დაიდო ანდრიანოპოლის ზავი რუსეთსა და თურქეთს შორის. შეთანხმების თანახმად ბულგარეთის სათავადო ფართო ავტონომიას ღებულობდა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელით. იგი ასევე ითვალისწინებდა სერბიის, ჩერნიგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობას და მათი ტერიტორიების რამდენადმე გაზრდას. ამრიგად, ბალკანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი თავისუფლდებოდა თურქთა ბატონობისაგან. თურქეთის ასეთი გარიგება სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. მაგრამ ზავის ამგვარი პირობები არ ცნო ვენამ და ლონდონმა.

ანდრიანოპოლში ზავის დადების მიუხედავად რუსული არმია კვლავ აგრძელებდა წინსვლას და რიგი ტერიტორიების დაკავებას. ინგლისის სამხედრო წრეები მთავრობისაგან მოითხოვდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას. მთავრობამ გაიზიარა მათი მოთხოვნები. 8 თებერვალს დარდანელში ფლოტი გაგზავნეს. სულთნის მთავრობის თანხმობის მიღების შემთხვევაში, ისინი ყურეების გავლით შავ ზღვაში უნდა შესულიყვნენ. მაგრამ სულთანმა თანხმობა არ მისცა და ფლოტიც რამდენიმე დღეში დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. თურქები შიშობ-

დნენ, რომ ინგლისური გემების გამოჩენას შავ ზღვაში შეიძლება რუსების მიერ სტამბულის დაკავება მოჰყოლოდა და ქვეყნის სიღრმეშიც შეჭრილიყვნენ. ინგლისური ფლოტის რამდენიმეგზის გადაადგილებამ ყურეების მიმართულებით, ევროპის ქვეყნებში გამოიწვია გარკვეული უკმაყოფილება ლონდონის მისამართით.

1878 წლის 15 თებერვალს ინგლისის ფლოტი კვლავ გამოჩნდა ყურეებში და დარდანელის გავლით, ისე რომ სულთნის ხელისუფლებისაგან თანხმობაც არ უთხოვია, გეზი შავი ზღვისკენ აიღო. ვენამ და ლონდონმა პეტერბურგში გაფრთხილება გაგზავნეს იმის შესახებ, რომ ელჩებს გაიწვევდნენ რუსეთიდან, თუკი რუსული არმია კონსტანტინეპოლში შევიდოდა. რუსეთმა კონფლიქტის თავიდან აცილების გამო რუსული არმია შეაჩერა სტამბოლიდან 12 კილომეტრის დაშორებით პატარა ქალაქ სანსტეფანოში, სადაც 1878 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. მოლაპარაკება ცხარე კამათის პირობებში მიმდინარეობდა და გაჭიანურდა კიდეც. ზავის თანახმად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცხადდებოდა ჩერნიგორია და რუმინეთი. ბულგარეთის სათავადოს მმართველს თავისუფლად აირჩევდა მოსახლეობა და მას დაამტკიცებდა სულთანი წამყვანი სახელმწიფოების თანხმობით. ამავე დროს, შეთანხმების მიხედვით გათვალისწინებული, იყო რომ ბულგარეთის მმართველი არ უნდა არჩეულიყო ევროპაში მოქმედი რომელიმე დინასტიიდან. თურქეთს თავის ჯარები გაჰყავდა ქვეყნის ტერიტორიიდან. ბულგარეთი იერთებდა მაკედონიას და თავად ვასალური სათავადო იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ჯარი გადიოდა, ბულგარეთი მაინც იხდიდა ხარკს. ამის გარდა, ბულგარეთში მოხდებოდა თავადის არჩევა, რომლის უფლებები შეზღუდული იქნებოდა სახალხო კრების მიერ. რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები, რომლებიც ორი წლით ბულგარეთში რჩებოდა, არ უნდა ყოფილიყო 50 000-ზე მეტი. დუნაიზე ყველა სიმაგრე უნდა დანგრეულიყო და იკრძალებოდა მათი აგება შემდგომშიც.

პორტამ ვალდებულება აიღო კრეტაზე გაეტარებინა ის წესდება, რომელიც ჯერ კიდევ მიღებული იყო 1868 წელს, ასევე დაეთმო რუსეთისათვის ყარსი, ბათუმი და ბესარბიის ნაწილი. შეთანხმების მიხედვით ღია უნდა ყოფილიყო ყურეები მშვიდობიანობის და ომის დროს მხოლოდ სავაჭრო გემებისათვის, რომლებიც გაემართებოდნენ რუსული პორტებისკენ და პირიქით.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი თურქეთის სრული მარცხით დასრულდა. თუმცა არც რუსეთისათვის იყო ომის დიპლომატიურ-პოლიტიკური შედეგები კარგი. 1878 წლის 30 იანვრის ანდრიანოპოლის შეთანხმება და სან-სტეფანოს 3 მარტის ზავი უარყოფილ იქნა ევროპული სახელმწიფოების მიერ.

რუსეთის ბალკანეთში გაძლიერება მიუღებელი იყო ვენისა და ლონდონისათვის. ბალკანეთში სრულიად ახალი პოლიტიკური რეჟიმი შეიქმნა.

1878 წლის 4 ივლისს თურქეთმა და დიდმა ბრიტანეთმა, ხელი მოაწერეს ე.წ. კვიპროსის ხელშეკრულებას, რომლის თანხმად თუკი ბათუმი, არდაგანი, ყარსი ან თურქეთის რომელიმე ადგილი დაკავებული იქნებოდა რუსეთის მიერ, ან შეეცდებოდა დაკავებას, მაშინ სულთანი თანახმა იყო, რომ კვიპროსის ოკუპაცია ინგლისს მოეხდინა და მის მმართველობაში გადასულიყო. ინგლისმა ასევე მიაღწია სან-სტეფანოს ზავის ზოგიერთი მუხლის გაუქმებას ან შესუსტებას. ჯერ კიდევ 1878 წლის 30 მაისს მასში ცვლილებების შეტანის შესახებ რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო შეთანხმება. შეთანხმების თანახმად ინგლისი უარყოფდა ბულგარეთის მერიდიანულ დაყოფას, მაგრამ რუსეთს რჩებოდა უფლება საკუთარი აზრი დაეცვა კონფერენციაზე. ბულგარეთს აღარ ეძლეოდა ეგეოსის ზღვაზე გასვლის უფლება, ხოლო მისი დასავლეთი საზღვრები დადგინდა ნაციონალური ნიშნის მიხედვით. ინგლისის მთავრობა კი უფლებას იტოვებდა მომავალ კონგრესზე დაესვა საკითხი რუსეთის საოკუპაციო ჯარების ბულგარეთში ყოფნის შესახებაც.

რუსეთ-ინგლისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ, უნდა გამხდარიყო

საფუძველი ევროპის ქვეყნების საერთო გადაწყვეტილების შემუშავებისათვის. კონგრესი უნდა გამართულიყო ბერლინში ლონდონის, ვენის და ბერლინის ინიციატივით.

ბერლინის კონგრესმა მუშაობა დაიწყო 1878 წლის 13 ივლისს. მასში მონაწილეობდა რუსეთის (გორჩაკოვი), გერმანიის (ბისმარკი), ინგლისის (ბიკონსფილდი (დიზრაელი)), ავსტრია-უნგრეთის (ანდრაში), საფრანგეთის (ვადიგტონი), იტალიის (კორტი) თურქეთის (ყარათეოდორი ფაშა) წარმომადგენელები. ასევე დამკვირვებლების სახით მიწვეულნი იყვნენ ბალკანეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები. კონგრესზე ინგლისმა მკვეთრი მოთხოვნები წამოაყენა სან-სტეფანოს საზავო პირობების შესაცვლელად. ინგლისი ჯერ კიდევ კონგრესის მოწვევამდე აწარმოებდა კულისებში მუშაობას. ანდრაშმა მოლაპარაკების მსვლელობაში მიადწია მასთან შეთანხმებას რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი დიპლომატიური ბრძოლის შესახებ ბულგარეთის საკითხთან დაკავშირებით. თავის მხრივ, ვენამ სრული მხარდაჭერა მიიღო ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხში.

ბიკონსფილდს, რომელსაც სურდა, რომ ინგლისის ფლოტს მიეღო შავ ზღვაში შესვლის უფლება, რუსეთს შესთავაზა უარი ეთქვა ტერიტორიულ შენაძენებზე კავკასიაში. დიდი დავის შემდეგ, რუსეთმა მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ბათუმი, ყარსი და ართვინი. ძალაში დარჩა ასევე სან-სტეფანოს ხელშეკრულების ის დადგენილებები, რომლებიც ბალკანეთში ცვლილებებს ეხებოდა. კერძოდ, ჩერნოგორია, სერბეთი და რუმინეთი რჩებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ბესარბიის ნაწილი გადაეცა რუსეთს. ბოსნია და ჰერცოგოვინა მოხვდნენ ვენის მმართველობის ქვეშ.

ამრიგად, ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას და მოახდინეს სან-სტეფანოს ზავის პირობების შეცვლა. შეძლეს მიეღოთ მნიშვნელოვანი შენაძენი და რუსეთისათვის წაერთმიათ გარკვეული მონაპოვარი.

ამრიგად, ბერლინის ტრაქტატის პირობები არ იყო ისეთი, როგორც პეტერბურგს სურდა. მართალია, რუსეთმა მიიღო ახა-

ლი ტერიტორიები (სამხრეთ ბესარბია, ბათუმი, ყარსი, არტაანი), ასევე აღიარებულ იქნა სერბია, ჩერნიგორია და რუმინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ბულგარეთი გაყოფილ იქნა და თურქეთის ხელისუფლება შენარჩუნებულ იქნა სამხრეთით ბალკანეთის ქედამდე. ბოსნია და ჰერცოგოვინა ოკუპირებულ იქნა ავსტრიის მიერ. კვიპროსი ინგლისელების ხელში გადავიდა.

ამ ომს ჰქონდა საკმაოდ შორს მიმავალი შედეგები ცალკეული ქვეყნებისათვის. ლონდონი ყოველთვის თვლიდა, რომ ევროპული თანასწორობა დამყარდება ნებისმიერ დროს თუკი ბრითანეთის კაბინეტს ამის სურვილი ექნება. თუმცა ბერლინის კონგრესი მსგავსი დასკვნების საშუალებას არ იძლევა. პირიქით, გერმანიის აქტიურობის გამო, კონგრესმა დაადასტურა ტრადიციული ევროპული სახელმწიფოების როლის დაცემა. თუკი 1856 წლის პარიზის კონგრესზე პრუსია ახლოს არ დაუშვეს, ახლა, პირიქით მოხდა, გერმანიამ მიიღო შესაძლებლობა გადაეწყვიტა ევროპის ბედი და განესაზღვრა ე.წ. აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე გამოჩნდა ახალი ჰეგემონი. მალე რუსეთიც, ავსტრიაც და საფრანგეთიც ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – გამხდარიყვნენ გერმანიის უმცროსი პარტნიორები თუ შეურიგებელი მოწინააღმდეგები. ყოველ შემთხვევაში, გერმანია, მართლაც, სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური ძვრების ინიციატორი ხდება ევროპის კონტინენტზე, რაც დაკავშირებულია სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებასთან. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა ევროპის ორ ბანაკად გაყოფით, ძალთა ახლი კონფიგურაციის ჩამოყალიბებით, რომელიც რეალურად აღმოჩნდა ახალი მსოფლიო ომის მომზადების თუ გაჩაღების წინაპირობაც. ბერლინის კონგრესმა სამუდამოდ დაასამარა სამი იმპერატორის შესახებ კავშირის ილუზია. აქედან გამომდინარე, რუსეთ-თურქეთის ომმა სერიოზული გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაზე.

თავი VI

წინააღმდეგობები ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის XIX-XX საუკუნის მიჯნაზე და ძალთა ახალი კონფიგურაცია კონტინენტზე

6.1. წინააღმდეგობები ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის

რუსეთ-თურქეთის ომმ უდიდესი გავლენა იქონია საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამ ომმა და განსაკუთრებით კი, ბერლინის კონგრესმა ევროპის კონტინენტზე სავსებით გამოკვეთა სახელმწიფოთა შორის მანამადე არსებული აშკარა თუ ფარულ ინტერესთა კონფლიქტები. მსოფლიო პოლიტიკაში ეს იყო რუსეთ–გერმანიის, რუსეთ-ინგლისის და რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობა. შესაბამისად, ამ ახალი რეალობის კვალდაკვალ ხდებოდა ძალთა ახალი კონფიგურაციაც. იმ ეტაპზე თვალსაჩინო გახდა ბერლინ-პეტერბურგის დაპირისპირება.

6.1.1. რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობები და ახალი სამთა კავშირის შექმნა. პირველი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჩამოყალიბება ევროპაში

ბერლინის კონგრესის შემდეგ გაუარესდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები და დაიწყო ბერლინ-ვენის დაახლოება. მართალია, ამ კონგრესზე ბერლინმა მკვეთრად ანტირუსული პოზიცია დაიჭირა, მაგრამ არც ალექსნდრე II და არც საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი ოფიციალურ საყვედურს არ გამოთქვამდენენ მის მიმართ.

იმ ეტაპზე, ორი ქვეყნის ურთიერთობაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა. იგი დაკავშირებული იყო ბისმარკის პროტექციონისტულ პოლიტი-

კასთან, რომელიც მიმართული იყო გერმანიის მზარდი განვითარების მქონე მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დაცვისკენ.

1881 წელს მსოფლიოში დაიწყო აგრარული კრიზისი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მკაცრი კონკურენტული ბრძოლა სასურსათო და სანედლეულო ბაზრებისათვის. ჯერ კიდევ 1879 წელს ბისმარკმა იმისათვის, რომ დაეცვა ეროვნული აგრარული პროდუქცია უცხოური კონკურენციისაგან, ვეტირინარული შემოწმების შედეგების საბაბით, აკრძალა რუსეთიდან საქონლის შემოტანა. ცოტა მოგვიანებით, ასეთი პოლიტიკა გავრცელდა რუსეთიდან იმპორტირებულ ხორბალზეც. გერმანია, ინგლისის შემდეგ, მეორე ქვეყანა იყო, ვინც რუსეთიდან ნედლეულის იმპორტს ახორციელებდა. გარდა ამისა, რუსეთის სამხრეთ ოლქებში შავი ჭირის გავრცელების გამო, ბერლინმა ასევე აკრძალა ქვეყანაში დაკონსერვებული ხორცის შეტანა რუსეთიდან.

ბისმარკის აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა რუსულ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაზარდა ანტიგერმანული განწყობილება, როემლიც ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის შედეგების შედეგად წარმოიქმნა. მალე ბისმარკი მნიშვნელოვან ბაჟს უწესებს რუსულ ხორბალს, რამაც ასევე უარყოფითი გავლენა იქონია რუსეთის ეკონომიკაზე.

ბისმარკი შეეცადა იმპერატორის და გერმანიის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგ განეწყო. შექმნილ ვითარებაში ქვეყნის პირველმა პირებმა - ვილჰემ I და ალექსანდე II გადაწყვიტეს შეხვედროდნენ ერთმანეთს და პირადად გაერკვიათ ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი დაძაბული სიტუაცია. შეხვედრა შედგა 1879 წლის სექტემბერში სასაზღვრო ქალაქ ალექსანდროვში. ბისმარკი ყველანაირად შეეცადა, რომ ეს შეხვედრა ჩაეშალა. მონარქებმა შეიმუშავეს ერთობლივი მოქმედებები საკუთარი ქვეყნების ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ბისმარკი კვლავ აგრძელებდა მისი კურსის გატარებას. იგი ცდილობდა ავსტრია-გერმანიის დაახლოებას რუსეთის წინააღმდეგ. ამ შეხ-

ვედრიდან 20 დღის შემდეგ, მისი ძალისხმევით ვენაში მოხდა ორი იმპერატორის შეხვედრა. ბისმარკი ამზადებდა ნიადაგს ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის კავშირის დადებისათვის.

ამ პოლიტიკის შედეგია ბისმარკის ინიციატივით ვენასთან სასურველი საკავშირო ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც სწორედ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულებისთანავე, რუსეთთან ურთიერთობების განვითარების პარალელურად, გერმანია ფარულად შეუდგა მოლაპარაკებების წარმოებას ავსტრია-უნგრეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ. ბერლინში მიიჩნევდნენ, რომ იგი იმთავითვე მიმართული იქნებოდა როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის წინააღმდეგ. თუმცა, ავსტრიის კანცლერის, გრაფ ანდრაშის მოთხოვნით, ორი წამყვანი სახელმწიფოს დიპლომატები მხოლოდ ხელშეკრულების ანტირუსული მიმართულების განხილვით უნდა შემოფარგლულიყვნენ. ვენის ასეთი არჩევანი გამოწვეული იყო რუსეთის წარმატებებით ბალკანეთში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად.

ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1879 წლის 7 ოქტომბერს ვენაში. იგი საიდუმლოდ დაიდო და ფორმალურად ატარებდა თავდაცვით ხასიათს. მთლიანობაში, 1879 წლის ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება შეიძლება დავახასიათოთ როგორც სამხედრო ბლოკის შექმნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ევროპაში ძალთა ახალი განლაგების პირობებში.

გერმანიის ხელისუფლების შემდგომმა მოქმედებებმა, მიმართულმა იმპერიის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების, და შესაბამისად, საფრანგეთის პოზიციების შესუსტებისამ, განაპირობა ახალი ბლოკის – სამთა კავშირის შექმნა, რომელშიც გარდა გერმანიის და ავსტრია-უნგრეთისა, მონაწილეობა მიირო იტალიამაც, რომელიც დაინტერესებული იყო საფრანგეთის პოზიციების დასუსტებით ჩრდილოეთ აფრიკაში. იტალიასთან კავშირით დაინტერესებული იყო ვენაც, ვინაიდან რუსეთთან

ომის შემთხვევაში, მისი დასავლეთი საზღვრები უსაფრთხო იქნებოდა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, დიპლომატიურმა ტალანტმა ბისმარკს საშუალება მისცა ასევე გაეთვალა იტალია-ავსტრიის ტრადიციული წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიქმნა ტრისეტის და ტრენტინის პორტების გამო და ამ კავშირში უზრუნველეყო გერმანის დომინანტობა.

1882 წლის 20 მაისს გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია სამთა კავშირის სახელწოდებით. ხელშეკრულების თანახმად გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ვალდებულებას ღებულობდნენ გამოსულიყვნენ იტალიის მხარეს თუკი ეს უკანასკნელი აღმოჩნდებოდა საფრანგეთის მხრიდან თავდასხმის საფრთხის ქვეშ, ხოლო იტალია თავისთავზე იღებდა ანალოგიურ ვალდებულებას გერმანიასთან მიმართებით. ხელშეკრულების სამივე მონაწილიდან, თუკი ერთ- ერთი წევრი აღმოჩნდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს თავდასხმის საფრთხის ქვეშ, მაშინ სამივე სახელმწიფო ომს უცხადებდა თავდამსხმელ მხარეებს. თუმცა, იტალიამ განაცხადა, რომ ინგლისის გერმანიაზე ან ავსტრია-უნგრეთზე თავდასხმის შემთხვევაში, არ აპირებდა დახმარების გაწევას მოკავშირებისათვის. ამრიგად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ფაქტობრივად გაფორმდა სამთა კავშირი.

იმავე წელს ავსტრია-გერმანიის ბლოკმა მოახერხა თავინთ მხარეზე გადაეყვანა რუმინეთი. იმავდროულად მოხდა გერმანიის და ესპანეთის დაახლოება. მეფე ალფონსონ II მიწვეულ იქნა ბერლინში, სადაც მასთან დაიდო „ჯენტლმენური შეთანხმება", რომლის თანახმად ესპანეთი საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში გერმანიის დასახმარებლად პირენეიზე ფრანგების წინააღმდეგ გამოიყვანდა 100 000 ჯარს.

ამრიგად, სამხედრო ბლოკის შექმნამ საბოლოოდ განამტკიცა გერმანიის პოზიციები და შექმნა სასურველი პირობები გერმანიის გავლენის გავრცელებისათვის ევროპის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, ამავე დროს შექმნა უსაფრთხოების

უზრუნველყოფის პირობა როგორც დასავლეთიდან საფრანგეთის მხრივ, ასევე აღმოსავლეთიდან რუსეთის მხრივ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მმართველი პოლიტიკური წრეები ანტირუსული ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, მაინც ცდილობდნენ რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების შენარჩუნებას. ვინაიდან მათ სურდათ არ დაეშვათ მისი დაახლობა საფრანგეთთან და ინგლისთან. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთშიც კი შეინიშნება ბერლინსა და ვენასთან ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებისკენ სწრაფვა. პეტერბურგის ასეთი მიდგომა განაპირობა ორმა გარემოებამ. პირველი, 1882 წლის 8 აპრილიდან რუსეთის საგარეო უწყებას სათავეში ჩაუდგა უნიჭო და გამოუცდელი დიპლომატი ნ. გირსი, რეალურად კი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა სამხედრო მინისტრი დ. მიულიტინი. ორიევე პირს საკუთარი ხედვა ქონდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. გირსის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი იყო ვენასთან და ბერლინთან დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნება. ასევე დ. მიულიტინიც თვლიდა ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან ურთიერთობების ნორმალიზებას. ის მიიჩნევდა, რომ სანამ არმიის რეორგანიზაცია მიმდინარეობდა ქვეყანაში, უკეთესი იყო წყნარი საგარეო პოლიტიკის წარმოება. თუმცა, პეტერბურგის დაახლოება ვენასა და ბერლინთან მაინც ნელა წარმოებდა. ამის მიზეზი იყო ინგლისის და რუსეთის ერთობლივი მოქმედებები ბალკანეთში.

6.1.2. რუსეთ-ინგლისის ურთიერთობები

რუსეთ-ინგლისის ურთიერთობების გაუმჯობესებას იმ ეტაპზე ხელი შეუწყო ხელისუფლებაში ლიბერალური კაბინეტის მოსვლამ (1880-1885). ინგლისი იმ ეტაპზე თავს იკავებდა პორტასადმი დახმარების პოლიტიკაზე და აიძულებდა მას შეესრულებინა ბერლინის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულება. განსაკუთრებით ჩერნიგორიის და საბერძნეთის საკითხზე. უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში არ იყო ერთიანი

მყარი პოზიცია ლონდონთან მოლაპარაკებების წარმოებისათვის. ბერლინში რუსეთის ელჩი საბუროვი თვლიდა, რომ მთავარი ყურადღება ყურებიის საკითხის მოგვარებაზე უნდა გადაეტანათ. გირსის და მიულტინის პირველ რიგში აშფოთებდათ ავსტრიის ბალკანეთზე შეღწევის სურვილი. რაც შეეხება ყურეებს, იმ ეტაპზე მათ საკამარისად მიაჩნდათ დახურული რეჟიმი ყველა გემისთვის. გორჩაკოვი კი, რომელიც საბოლოოდ ჩამოშორდა დიპლომატიურ საქმიანობას, მხარს უჭერდა საფრანგეთთან დაახლოებას. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში გირსი-მიულიტინის კურსმა გაიმარჯვა.

80-09-იანი წლების მიჯნაზე ინგლისი და რუსეთი ერთობლივად ძალის გამოყენების მუქარით თურქეთის სულთანს აიძულებდა შეესრულებინა ბერლინის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები, რომელიც ეხებოდა საბერძნეთსა და ჩერნიგორიას. სწორედ ინგლის-რუსეთის დაახლოებამ შეაშფოთა ავსტრია-უნგრეთი და პრუსია. ვენაში როცა დარწმუნდნენ, რომ ინგლისის მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოხერხდებოდა, თანახმა გახდნენ ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის და გერმანიის კავშირის აღდგენისა.

6.1.3. ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის და გერმანიის კავშირი

გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის კავშირის შესახებ ახალ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1881 წლის 18 ივნისს. იგი ცნობილია როგორც სამი იმპერატორის კავშირი ან 1881 წლის საკონსულტაციო პაქტი. თუმცა თავისი არსით იგი კავშირი არ იყო. იგი უფრო იყო შეთანხმება ნეიტრალიტეტის შესახებ ომის შემთხვევაში. სამივე სახელმწიფო ვალდებულებას ღებულობდა დაეცვათ ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში თუკი ერთ–ერთი მათგანი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მაგალითად, რუსეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა იმ შემთხვევაში თუკი გერმანია ომის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საფრანგეთთან. ხოლო თუკი რუსეთი ინგლისთან ომში ჩაებმებოდა,

მაშინ გერმანია და ავსტრია იცავდნენ ნეიტრალიტეტს. ამ ხელ-შეკრულებაზე ხელმოწერით რუსეთმა გააფუჭა ურთიერთობა საფრანგეთთან, რაც მომგებიანი იყო გერმანიისათვის. ამრიგად, ბისმარკი იმედოვნებდა, რომ ამ ხელშეკრულებით შეაჩერებდა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების პროცესს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულება რეალური შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა. ვიანიდან თვით ამ სახელმწიფოების შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი მისი რეალურად განხორციელების შანსებს ამცირებდა. პირველი დარტყმა ამ კავშირს ავტრია-უნგრეთს და რუსეთს შორის დაპირისპირებამ მიაყენა.

6.1.4. ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის დაპირისპირება ბალკანეთში

ავსტრია-უნგრეთს და რუსეთს შორის დაპირისპირების მიზეზი ყოველთვის იყო ბალკანეთი. აქ ორი სახელმწიფოს ინტერესები პერმანენტულად ეჯახებოდა ერთმანეთს. ამჯერადაც ასე მოხდა. კერძოდ, 80-იანი წლების ბოლოს ბალკანეთში სიტუაცია გამწვავდა. აღმოსავლეთ რუმელიაში მოხდა აჯანყება, რაც გამოიწვია მისი ბულგარეთთან შეერთებამ. ბულგარეთში და საერთოდ, ბალკანეთში, დღითი დღე იზრდებოდა ავსტრია-უნგეთის და რუსეთის წინააღმდეგობები. თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ ბულგარეთი ფინანსურად და ეკონომიკურად ვენაზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამ რეგიონში და საერთოდ, აღმოსავლეთში სამხედრო ფაქტორზე უფრო მეტად უკვე ფინანსური თამაშობდა. ინგლისს, რუსეთს და გერმანის შორის მიმდინარეობდა ბრძოლა რეგიონში ეკონომიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. იმავდროულად გაუარესდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები. ბისმარკი ცდილობდა გავლენა მოეხდინა რუსეთზე, გერმანიაში რუსული იმპორტის შეზღუდვით. თუმცა დიპლომატიურ ძალისხმევაზეც არ ამბობდა უარს. ბერლინის პეტერბურგთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ისევ საფრანგეთის ფაქტორით იყო განპირობებუ-

ლი. სადაც გერმანიისათვის არასახარბიელოდ ვითარდებოდა მოვლენები. კერძოდ, პარიზმა გაცილებით რეალისტურად შეაფასა ევროპაში შექმნილი სიტუაცია. ვერსალი, რომელიც ინდოჩინეთში ომს აწარმოებდა, ასევე ზრუნავდა და ამაგრებდა აღმოსავლეთის საზღვრებს. ამავე დროს ქვეყნაში იზრებოდა რევანშიტული განწყობილება. შექმნილ ვითრებაში პარიზი მეტ დაინტერესებას იჩენდა რუსეთთან დაახლოებაზე. ეს კი ბისმარკს აიძულებდა დაესწრო ვერსალის სასახლისათვის.

6.1.5. გერმანულ-რუსული ურთიერთობები – დაახლოების ტენდენციები და წინააღმდეგობები

როგორც აღვნიშნეთ, ბისმარკი კარგად აფასებდა კონტინენტზე შექმნილ სიტუაციას და რეინიდან მომდინარე საფრთხეს, ამიტომ იგი ცდილობს რუსეთის იმპერატორთან საერთო ენის გამონახვას. ბერლინს რუსეთან კავშირი რამდენიმე ფაქტორის გამო სჭირდებოდა. პირველი, უზრუნველეყო თავის აღმოსვლეთი საზღვრების უსაფრთხოება საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში და მეორე, არ დაეშვა საფრანგეთის დაახლოება რუსეთთან. პარალელურად ბისმარკმა პრესის და ლონდონსა და პეტერბურგში თავისი ელჩების მეშვეობით, დაიწყო ევროპული საზოგადოების დარწმუნება, რომ პარიზს სურს ომის დაწყება და არა ბერლინს. ამავე დროს მას სურდა გაერკვია თუ რა პოზიციას დაიჭერდა ევროპული სახელმწიფოები ახალი ომის შემთხვევაში.

ბისმარკის ძალისხმევის და პეტერბურგის სასახლეში პროგერმანული ძალების არსებობამ შედეგი გამოიღო. ბერლინმა რუსეთის მთავრობას შესთავაზა ხელი მოეწერათ საიდუმლო ორმხრივ ხელშეკრულებაზე, რომელიც შეცვლიდა სამი იმპერატორის კავშირს (ეს უკანასკენლი დაიშალა რუსეთ-გერმანიის და რუსეთ-ავსტრიის დაპირისპირების შედეგად 1887 წელს).

ამ პერიოდში გერმანიასთან დაახლოება პეტერბურგის ინტერესებშიც შედიოდა. კერძოდ, ავღანეთში რუსეთ-ინგლისის

ურთიერთობების გაუარესების გამო, რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო ბერლინის წინადადება.

1887 წელს, სამი იმპერატორის კავშირის ნაცვლად გერმანიასა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. შეთანხმების თანახმად რუსეთმა აიღო ვალდებულება დაეცვა მეგობრული ნეიტრალიტეტი გერმნიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში. თავის მხრივ, გერმანიამაც აიღო ვალდებულება რუსეთის მხარდაჭერის შესახებ, ახლო აღმოსავლეთში ინგლისის ყველა იმ მოქმედებებზე რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც შეეძლო შეელახა პეტერბურგის ინტერესები რეგიონში. მაგრამ ეს ხელშეკრულება იყო მხოლოდ გერმანული დიპლომატიის ნაწილობრივი წარმატება იმდენად, რამდენად რუსეთმა გერმანიას ვერ მისცა გარანტია სამხედრო დახმარების შესახებ საფრანგეთთან ან ინგლისთან ბრძოლის შემთხვევაში, ხოლო საკუთრივ ბერლინის დაპირება ნეიტრალიტეტზე მხოლოდ პირობითი იყო. ასევე, არც გერმანია ღებულობდა თავზე იმის გარანტიას, რომ ავსტრია-უნგერთს და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტში ნეიტრალიტეტს დაიცავდა.

ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ აღიარა რუსეთის უფლებები ბალკანეთზე, რაც ისტორიული მონაპოვარი იყო, მისი კანონიერი უპირატესობა და გადამწყვეტი გავლენა ბულგარეთში და აღმოსავლეთ რუმელიაში. თუმცა, როგორც გერმანია, ის რუსეთი, ვალდებულებას ღებულებდნენ არ დაეშვათ რაიმე სახის ტერიტორიული ცვლილებები.

რაც შეეხება დარდანელის და ბოსფორის ყურეების საკითხს, ამ მიმართებითაც ევროპული სახელმწიფოები დახურული რეჟიმის პრინციპს იცავდენენ, გერმანია და რუსეთი შეთანხმდენენ, რომ ერთობლივად დაეცვათ იგი და არ მიეცათ თურქეთისათვის საშუალება მისი დარღვევისა.

ორივე სახელმწიფო ვალდებულებას ღებულობდა საიდუმლოდ დაეცვათ აღნიშნული ხელშეკრულება. იგი შეიცავდა დამატებით „საიდუმლო ოქმსაც". სადაც გერმანია ვალდებულებას ღებულობდა დახმარებოდა რუსეთს ბულგარეთში სამართლიანი

და კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში, ასევე დაეცვა ნეიტრალიტეტი, თუკი იძულებული იქნებოდა საკუთარ თავზე აეღო შავ ზღვაში შესასვლელების დაცვა საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

რაც არ უნდა მომგებიანი ყოფილიყო ეს ხელშეკრულება ორივე ქვეყნისათვის, იგი ვერ დაარწმუნებდა ბისმარკს, რომ შექმნილ პირობებში საფრანგეთ-პრუსიის შესაძლო ომის შემთხვევაში რუსეთი ბოლომდე ნეიტრალიტეტს დაიცავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმავდროულად ეს ხელშეკრულება ხელს უწყობდა რუსეთის დაახლოებას საფრანგეთთან, რომლისკენაც მისწრაფება ორივე ქვეყანას საკამოდ დიდი ჰქონდა ამ დროისათვის. გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება ძალაში მხოლოდ 1890 წლამდე დარჩა. რადგანაც ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან მალევე გაუარესდა ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები. ამის პირველი მიზეზი ბალკანეთში განვითრებული მოვლენები იყო. პეტერბურგსა და ვენას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ბულგარეთში გავლენის მოპოვებისათვის. რუსული არმიის პერედისლოკაციამ ავსტრიის საზღვრებთან, რაც განხორციელდა ადრე მიღებული გეგმის შესაბამისად, შეშფოთება გამოიწვია ვენაში. თუმცა რუსეთში ყურადღება არ მიაქციეს მის უკმაყოფილებას.

1887 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე III-თვის ცნობილი გახდა, რომ ბერლინი არა თუ ეხმარებოდა ავსტრია-უნგრეთს, არამედ თვითონ უჭერდა მხარს ბულგარეთის იმ თავადს, რომლის წინააღმდეგაც რუსეთი გამოდიოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები რამდენადმე გაცივდა. ორივე სახელმწიფომ გაიგო, რომ არც გერმანიის გავლენას რუსეთზე და არც რუსეთის გავლენას ავსტრიაზე არ შეეძლო არსებული პრობლემის მოგვარება. უფრო მეტიც, ბისმარკის არამეგობრულმა პოზიციამ რუსეთი დაახლოვა საფრანგეთს, რომლისგანაც პეტერბურგმა მისთვის საჭირო კრედიტი მიიღო.

ბისმარკმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. მართალია, ის ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებას, მაგრამ მისი პოლიტიკით პირიქით კი გამოსდიოდა. ასეთ ვითარებაში მას კიდევ ჰქონდა ლონდონთან კავშირის დამყარების იმედი, მაგრამ იქედან უარი მიიღო.

1890 წელს ბისმარკი გადადგა. ის 28 წლის განმავლობაში მართავდა გერმანიის მთავრობას. მისი წასვლა ხელისუფლებიდან განაპირობა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ. მას არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა ახალ იმპერატორ ვილჰემ II-თან (1888) და ახალ სამხედრო მინისტრთან ვალდერზეესთან. ისინი განსხვავდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობის კუთხითაც. კერძოდ, ბისმარკი მიუხედავად მისი უარყოფითი დამოკიდებულებისა რუსეთთან, ყოველთვის გაურბოდა მასთან ომს, ხოლო გერმანიის ახალი ხელმძღვანელობა კი ამის მომხრე იყო.

რუსეთის უნდობლობა გერმანიისადმი ბერლინის კონგრესის შედეგებმაც განაპირობა, სადაც თავის დროზე გერმანიამ მკვეთრად ანტირუსული პოზიცია დაიჭირა. გერმანიის მმართველმა წრეებმა კარგად ვერ გათვალეს რუსეთის ფაქტორი მათ მიერ სამომავლოდ წარმოებულ ომებში. გერმანია-ავსტრიის დაახლოება დააჩქარა რუსეთის გამარჯვებამ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, რომლის შედეგებს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში ძალთა ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბებაში.

6.1.6. საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება

გერმანიის და მისი მოკავშირეების საგარეო პოლიტიკური კურსის აქტივიზაციას მალევე მოჰყვა შეშფოთება საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებში. ორივე მხარეს შეუძლებელია არ გაეთვალისწინებინა ის საფრთხეები, რომელიც მათ კოლონიურ სამფლობელოებს ემუქრებოდა გერმანიის და მისი მოკავშირეების მხრიდან. შექმნილ პირობებში პარიზი და ლონდონი იძულებული იყვნენ მოენახათ რუსეთთან კონსტრუქც-

იული პოლიტიკური თანამშრომლობის გზები. საფრანგეთმა პირველმა გადადგა ნაბიჯი ასეთი თანამშრომლობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობები, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ორი ქვეყნის პოლიტიკური სისტემების სხვაობასთან, პარიზი და პეტერბურგი დაინტერესებულნი იყვნენ ორმხვრივი ურთიერთობების განვითარებით; უკვე 1887 წლიდან ამ სახელმწიფოებს შორის ინტენსიურად ვითარდება საფინანსო ურთიერთობები: რუსეთის ხელისუფლებას სჭირდებოდა უცხოური ინვესტიციები მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ხოლო ფრანგი ფინანსისტები დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის საფონდო ბირჟებზე შედწევით. რამდენადაც პარადოქსულაი არ უნდა იყოს, გერმანიის ხელისუფლება უნებლიედ ხელს უწყობდა ამ კავშირის გაძლიერებას. რაც გამოიხატებოდა მის მიერ ბერლინის საფონდო ბირჟაზე რუსული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის აკრძალვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბერლინის ეს ნაბიჯი განპირობებული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ უცხოელი მოქალქეების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გადასახადების დადებით.

უნდა ითქვას, რომ რუსეთთან კავშირი საფრანგეთისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვნი იყო, ვიდრე პირიქით. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ დაახლოების ინიციატივა პარიზიდან წამოვიდა. 1891 წლის ზაფხულში საფრანგეთის ფლოტის გემები კრონშტადს ეწვივნენ. ეს იყო ორ ქვეყანას შორის აქტიური დიპლომატიური მოქმედებების დაწყების ნიშანი. გერმანიამ გადაწყვიტა ხელი შეეშალა საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობების განვითარებისათვის. ამ მიზნით დაიწყო ე.წ. საბაჟო ომი, თუმცა მან ამ ურთიერთობებზე გავლენა ვერ მოახდინა.

საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებას ხელი შეუწყო 1891 წელს სამთა კავშირის დაშლამაც.

საკავშირო ურთიერთობების დამყარებისკენ მისწრაფება ჰქონდათ ორივე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებს. ფრანგი დიპლომატები, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ გერმა-

ნიის გავლენის გაძლიერებით ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე, ასევე მისი განვითარებით სამხედრო სფეროში, მიისწრაფოდნენ რუსეთის სახით გემანიისათვის შეექმნათ თავისებური ძალის წინააღმდეგობა. ეს კი აუცილებლად იქნებოდა გერმანიის ხელისუფლებისათვის ომის საფრთხე ორ ფრონტზე. რუსეთიც ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მიიღებდა „თავისუფალ ხელს" ბალკანეთზე. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ, რამდენადაც გერმანია, რომელსაც ექმნებოდა ორ ფრონტზე შეტაკების საფრთხე, ადვილად შეეძლო მხარი დაეჭირა ავსტრია-უნგრეთის ანტირუსული პოლიტიკისათვის ბალკანეთზე. მაგრამ საფრანგეთთან კავშირს, რომელსაც უნდა მოეხდინა გერმანიის ნეიტრალიზება და შეექმნა განსაზღვრული ძალთა ბალანსი ევროპაში, შეეძლო უზრუნველეყო ის, რომ რუსეთი მიიღებდა შესაძლებლობას განევითარებინა და განეხორციელებინა შორეული აღმოსავლეთის პოლიტიკის რიგ მიმართულებები (ციმბირის შემდგომი ათვისება).

პარიზის და პეტერბურგის მხარეებს შორის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. მოხდა საფრანგეთის და რუსეთის პოზიციების დაახლოება. ამ დროის განმავლობაში რუსმა და ფრანგმა დიპლომატებმა და სამხედრო წარმომადგენლებმა განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ორ ქვეყანას შორის შემდგომი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად, კერძოდ, 1891 წლის აგვისტოდან მოყოლებული 1893 წლის დეკემბრის ჩათვლით, მხარეებს შორის დაიდო სამი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე ფაქტობრივად ორ ქვეყანას შორის გაფორმდა კავშირი. მათ შორის მნიშვნელოვნი იყო 1892 წლის აგვისტოში დადებული სამხედრო ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირება მხარეების მიერ მოხდა 1893-1894 წლის ზამთრის განმავლობაში. შეთანხმებაში მითითებული იყო, რომ თუკი საფრანგეთი აღმოჩნდებოდა გერმანიის ან იტალიის მხრიდან თავდასხმის

ობიექტი, მაშინ რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ განავითარებდა სამხედრო მოქმედებებს. ანალოგიური ვალდებულება აიღო თავის თავზე ფრანგულმა მხარემ გერმანიის ან იტალიის რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში. ხელშეკრულების მოქმედების ვადა მითითებული არ იყო.

ამრიგად, ბისმარკის მცდელობა ხელი შეეშალა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებისათვის უშედეგოდ დასრულდა და მათ შორის დადებული ხელშეკრულება გახდა სამთა კავშირის საწინააღმდეგო გაერთიანება.

თუმცა, მიუხედავად ორი წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკის ასეთი დაახლოების აუცილებლობისა, ძალთა განლაგების განსაზღვრაში როგორც საფრანგეთისთვის, ისე რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა დიდ ბრიტანეთს. ვინაიდან XX ს-ის დასაწყისისათვის საერთაშორისო არენაზე წინააღმდეგობის ძირითად ჯგუფად განიხილებოდა არა საფრანგეთ-გერმანიის კონფრონტაცია, არამედ გერმანია-ინგლისის დაპირისპირება, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს და მიმართულებას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.

6.2 კოლონიური წინააღმდეგობები საერთაშორისო ურთიერთობებში

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, წამყვან სახელმწიფოებს შორის უკვე აშკარად გამოიკვეთა ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში არსებული შეჯიბრი, ურთიერთშორის უპირატესობის მოპოვების მიზნით. მან მოიცვა სახელმწიფოთა ურთიერთობების ყველა სფერო. უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლა ყველა მიმართულებით მიმდინარეობდა და იგი მოიცავდა როგორც ღია, ისე საიდუმლო მოლაპარაკებებს. ასევე იგი წარმოებდა საბრძოლო ფრონტებზე. თუმცა ცვალებადი წარ-

მატებებით. ამ დაპირისპირებაში თანდათანობით ღიად იკვეთებოდა ორი ბლოკი – სამთა კავშირი და ანტანტა.

ბევრად უფრო მწვავე ინტერესთა კონფლიქტი არსებობდა გერმანიასა და ინგლისს, გერმანიასა და საფრანგეთს, რუსეთსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

ევროპაში არსებული სახელმწიფოთა დაპირისპირება მკაფიო გამოვლენას პოულობდა კოლონიებისათვის ბრძოლაში. ფაქტობრივად, იგი ამ ბრძოლის, კიდევ ერთი გამოვლენა იყო.

XIX საუკუნის დასასრულს გაძლიერდა წამყვანი სახელმწიფოების მისწრაფება ახალი კოლონიური მოპოვებისადმი. 1875 წლის ნოემბერში ინგლისმა შეიძინა სუეცის არხის საკონტროლო პაკეტი. ამ გზით მას სურდა თავისი პოზიციები კიდევ უფრო განემტკიცებინა არაბეთის აღმოსავლეთში. ინგლისი კარგად სარგებლობდა თურქეთის მძიმე ეკონომიკური და საფინანსო მდგომარეობით და უფრო აძლიერებდა მასზე გავლენას, ფაქტობრივად იგი კაბალურ მდგომარეობაში ჩააგდო. ლონდონი ფულადი საშუალებებით დახმარებას უწევდა სულთნის მთავრობას და ამავე დროს მას აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ. 1878 წელს ინგლისელები ბრძოლას აწარმოებდნენ ავღანეთში ზულუსების წინააღმდეგ, რომელებსაც გამაგრებული ჰქონდათ პოზიციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ინგლისი ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამადა ინდოეთისაკენ მიმავალი ნებისმიერი გზის მშენებლობას. ამის გამოხატულება იყო მისი დამოკიდებულება სუეცის არხისადმი, სადაც უპირატესობა, თავდაპირველად ფრანგებმა მოიპოვეს, ხოლო შემდეგ მათ ინგლისელები ჩაენაცვლენ. ლონდონმა ეგვიპტეზე გავლენა გააძლიერა.

XIX ს-ის შუა ხანებამდე ეგვიპტეში ბატონობდა ფრანგული კაპიტალი. ლონდონი ფინასური რესურსების გაძლიერებით ცდილობდა ქვეყნის დამორჩილებას. საფრანგეთის ეგვიპტიდან გამოძევების მიზნით, ინგლისმა გადაწყვიტა ბრძოლა მის წინააღმდეგ. ლონდონმა მიაღწია ეგვიპტის ფინანსურ გაკოტრებას და იგი აიძულა მისთვის მიემართა დახმარებისათვის. შედეგად

ეგვიპტე მოექცა ორმაგ ინგლისურ-ფრაგული ფინანსური კონტროლის ქვეშ და ქაიროში გამოჩნდა ორი ფინანსური მრჩეველი – ინგლისელი და ფრანგი. ამრიგად, ქვეყანაში გაძლიერდა უცხოელთა გავლენა და იგი მოექცა უცხოური კაპიტალის გავლენის ქვეშ.

კოლონიურმა სახელმწიფოებმა შეაღწიეს აფრიკის სიღრმეშიც. მათ წარმატებას ამ კონტინენტზე ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ აქ ტომებს შორის მუდმივი ბრძოლები წარმოებდა. ამგვარი ვითარება ევროპის სახელმწიფოებს ხელს უწყობდა ერთმანეთის მიყოლებით დაეპყროთ ქვეყნები.

1881 წელს საფრანგეთმა ტუნისი დაიპყრო და შეეცადა მდგომარეობის განმტკიცებას ხმელთაშუა ზღვაში.

ამ პერიოდში ბრიტანეთი აგრძელებს თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას, რასაც ამავე საუკუნის 90-იან წლებში აფრიკის კოლონიებში არეულობა მოჰყვა (ევროპული ჯარების შეჭრის შედეგად აფრიკის ტერიტორია ავტოკრატული წესებით გადანაწილდა). ინდოეთი ბრიტანეთის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს კოლონიად იქცა. შედეგად გერმანიასა და იტალიას აღარაფერი დარჩათ მისათვისებელი, ვინაიდან სასურველი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნისათვის უკვე დაპყრობილი იყო სხვა სახელმწიფოების მიერ. მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე არაევროპული ნაწილი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მათ შორის იყო იაპონია, ჩინეთის უმეტესი ნაწილი, ირანი, თურქეთი და ა.შ.

იაპონიამ, აშშ-ს მსგავსად, საკუთარი იმპერიის შექმნა დაიწყო. თუმცა, ამ პერიოდისათვის ჩინეთის სიძლიერე საგრძნობლად შესუსტებულია და მისი სანაპირო ზოლი ევროპული სახელმწიფოების მმართველობის ქვეშ მოექცა.

საერთაშორისო არენაზე გერმანიის გააქტიურებამ და მისი საგარეო პოლიტიკის გაძლიერებამ გამოიწვია გერმანია-ინგლისის ურთიერთობების გაციება. ასეთ პირობებში ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა „ბრწყინვალე იზოლაციის” პოლიტიკაზე და დაახლოებოდა თავის დიდი ხნის

მოწინააღმდეგეებს ევროპაში და კოლონიებში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში – რუსეთსა და საფრანგეთს. ინგლისს არ სურდა გერმანიის სასარგებლოდ დაეშვა კოლონიური სამფლობელოების დაკარგვა. ამის გარდა, ინგლის–საფრანგეთის დაახლოება ნაკარნახევი იყო პარიზის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფისათვის რუსეთ-იაპონიის ომში, რომელიც დაიწყო 1904 წელს. ხოლო თავის მხრივ, ინგლის-რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობა გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებას, შესაძლოა მოჰყოლოდა რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესება გერმანიასთან, რომელიც არსებითად ბერლინის პოზიციებს გააძლიერებდა მსოფლიო არენაზე ლონდონის გავლენის საზიანოდ.

მიუხედვად იმისა, რომ გერმანია ეკონომიკური განვითარების მიხედვით ევროპაში პირველი ქვეყანა იყო, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი დიდი ხანია მას ჩამორჩნენ, მაინც კოლონიური სამფლობელოების სიდიდის ფლობის მიხედვით ევროპის ქვეყნებიდან საფარანგეთი და ინგლისი ლიდერობდნენ. მაგალითად, გერმანია კოლონიური მონაპოვარის მიხედვით ინგლისს ჩამორჩებოდა 9,3 ჯერ, ხოლო საფრანგეთს– 3,7 –ჯერ. კოლონიები კი ამ პერიოდში მნიშვნელოვანი გასაღების ბაზარი და კაპიტალის დაბანდების ასპარეზი იყო. რაც უფრო დიდი ეკონომიკური პოტენციალის მატარებელი იყო ქვეყანა, იმდენად მეტი იყო დაინტერესება კოლონიური სამფლობელოებით. გერმანიას კი სჭირდებოდა კოლონიები, მაგრამ ამ თვალსაზრისით მსოფლიო უკვე დიდიხნის გადანაწილებული იყო. სწორედ ასეთი შეუსაბამობა იყო ერთ–ერთი მიზეზი პირველი მსოფლიო ომის დაწყების. ამრიგად, აშკარა იყო წინააღმდეგობები ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

ევროპის კონტინეტზე ფრანგულ-გერმანული ანტაგონიზმი გამოირჩეოდა მისი ხანგრძლივობით და სიღრმით. ერთი მხრივ, საფრანგეთი, რომელმაც ძლიერება დაკარგა, ცხადად დადგა მისი კოლონიური სამფლოებელობი საფრთხის ქვეშ. მეორე

მხრივ, ნაციონალური მისწრაფებების გაღვივებით იგი ცდილობდა ელზასის და ლოტარენგიის დაბრუნებას.

დიდი ბრიტანეთი, რომელიც ფლობდა მნიშვნელოვან კოლონიებს და პროტექტორულ ტერიტორიებს, არ იყო დაინტერესებული ახალი კოლონიალური გადანაწილებით, რისკენაც ასე ისწრაფოდა გერმანია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ ინგლისი დაუფიქრებლად შევიდოდა რაიმე ანტიგერმანულ კოალიციაში. რაშიც მას ხელს უშლიდა, ერთის მხრივ, საფრანგეთთან დაპირისპირება კოლონიურ საკითხებზე, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთთან შავი ზღვის სრუტეების, შუა, ცენტრალურ და შორეულ აზიაში გავლენის სფეროების განაწილების გამო წინააღმდეგობა.

მიუხედავად ამისა, მათგან შედარებით, თითქოსდა, სტაბილურობით გამოირჩეოდა რუსულ-გერმანული ურთიერთობები. ამ საკითხზე ორივე ქვეყნის ხელისუფლება იჩენდა გარკვეულ ინტერესს. მაგრამ შეუძლებელია რუსეთი არ შეშფოთებულიყო ავსტრია-უნგერეთის და გერმანიის რამდენადმე გააქტიურებული საგარეო პოლიტიკის გამო. ბერლინი არა მარტო მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთს სლავი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ იმედოვნებდა, რომ ავსტრია-უნგრეთის ოპერირებით და გაფართოებით ის შეძლებდა თავისი გავლენის სფეროს გავრცელებას ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ოსმალეთის იმპერიაში.

ევროპაში ინტერესთა ასეთი კონფლიქტების განვითარების პარალელურად, წინააღმდეგობის ახალი კერა ყალიბდებოდა შორეულ აღმოსავლეთში, რაც დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესთა გადახლართვას დაუკავშირდა. ამას ემატებოდა იაპონიის საგარეო პოლიტიკური ამბიციები, რომელსაც სურდა აზიაწყნარი ოკეანის აუზში მნიშვნელოვანი პოზიციები დაეკავებინა. საერთშორისო ურთიერთობის სისტემა სერიოზული კრიზისის წინაშე იდგა.

6.3. წინააღმდეგობათა ახალი კერის ფორმირება შორეულ აღმოსავლეთში

შორეულ აღმოსავლეთში აშკარად იკვეთებოდა დასავლეთის სახელმწიფოების და იაპონიის ინტერესები. ეს კი რეგიონში კონფლიქტურ კერას ქმნიდა. იაპონიას აინტერესებდა კორეის ტერიტორია, ტაივანი და ჩინეთი (მაჯურაი).

1894 წელს იაპონიამ ომი გამოუცხადა ჩინეთს, რომელიც 1895 წლამდე გაგრძელდა. მისი ჯარი ბევრად ჯობდა ჩინეთის არმიას. იგი გამოირჩეოდა კარგი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მომზადებითა და დისციპლინით.

1895 წლის აპრილში, ქალაქ სიმონში, ჩინეთსა და იაპონიას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად იაპონიას გადაეცა მანჯურია ლიაოდუნის ნახევარკუნძულთან ერთად. ხოლო კორეა მოექცა მისი პროტექტორატის ქვეშ. ჩინეთს კი დაეკისრა დიდი კონტრიბუცია.

იაპონიის მიერ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და საერთაშორისო საქმეებში ჩართვას შეუძლრბრლია არ გამოეწვია მისი შეჯახება დასავლეთის სახელმწიფოებთან - რუსეთთან, ინგლისთან, საფრნგეთსა და გერმანიასთან. ამ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესები ჰქონდათ რეგიონში. ევროპული ქვეყნების დიპლომატიური მოლაპარაკებებისას, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიური ზეწოლის შედეგად, იაპონიამ ლიაოდუნის ნახევარკუნძული დაუბრუნა ჩინეთს. გერმანიას გადაეცა ჩინური პორტი ცინდაო; რუსეთს-პორტ-არტური; ამასთანავე, რუსეთმა ჩინეთის ხელისუფლებასთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე რუსეთი მიიღებდა არენდას ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე და კონსენციას აღმოსავლეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

საკუათარი ინტერესების განხორციელებაში ევროპულ სახელმწიფოებს არ ჩამორჩა მზარდი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო. ჯერ კიდევ 1899 წლის შემოდგომაზე,

ამერიკის მთავრობა გამოვიდა წინადადებით–ჩინეთში გაეტარებინათ „დია კარების" პრინციპი.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში იგი ცნობილია ჰეის დოქტრინის სახელწოდებით, რომელიც იყო სახელმწიფო მდივანი 1898-1905 წლებში. მან ევროპის სახელმწიფოებს გაუგზავნა სპეციალური ნოტა. დოქტრინის არსის მიხედვით, ქვეყნები კისრულობდნენ ვალდებულებას არ შეებღალათ სხვა ქვეყნების უფლებები, რომელთაც უკვე ჰქონდათ გარკვეული შეთანხმებები ჩინეთის რეგიონებისა და პორტების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, არ დაარღვევდნენ სხვა სახელმწიფოს ინტერესთა სფეროებს, არ დაუშვებდნენ ბევრად მეტი გემების თავმოყრას გავლენის სფეროში მყოფ პორტებში.

ამ დოქტრინის გამოჩენის დაემთხვა პერიოდს, როცა შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკის განვითარებაში მიაღწია წამყვანი ევროპული სახელმწიფოების დონეს და შეეძლო მათთვის კონკურენციის გაწევა. ადრე გამოსული მონროს და ოლნის დოქტრინები. მიმართული იყო არამარტო ევროპული სახელმწიფოებისაკენ ლათინური ამერიკის შიდა საქმეებში ჩარევის აღკვეთისკენ, არამედ შტატების ექსპანსიის გავრცელების ხელშეწყობისკენ კონტინენტზე, ხოლო ჰეის დოქტრინა მათგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ჩინეთში მოითხოვდა ისეთივე ეკონომიკურ შესაძლებლობებს, როგორიც ევროპულ სახელმწიფოებს ჰქონდთ.

1902 წელს ევროპის ქვეყნებმაა მიიღეს ჰეინის წინადადება. რუსებმა კი შესწორება გააკეთს. კერძოდ, ჩინეთში სესული მათი საქონელი საჭიროებდა სატარიფო დაცვას. იაპონია, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა ჩინეთთან და ამის გამო გარკვეული უპირატესობები გააჩნდა, წინააღმდეგი არ წავიდა შტატების ხელისუფლების წინადადებაზე. ამრიგად, მხოლოდ რუსეთმა დაიკავა განსაკუთრებული პოზიცია, რომელიც რაღაც კუთხით ავლენდა გარკვეულ წინააღმდეგობას შორეულ აღმოსავლეთში მისი პოზი-

ციების დაახლოებაზე შეერთებულ შტატებთან, ინგლისსა და იაპონიასთან.

ამრიგად, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი პლანეტის თითქმის ყველა რეგიონს მოიცავდა. წინააღმდეგობრივი კერის ფორმირებამ შორეულ აღმოსავლეთში აშკარად აჩვენა, რომ ევროპის ტრადიცულ წამყვან სახელმწიფოებს, მოახლოებული მსოფლიო გადანაწილების პროცესში, ტოლს არ დაუდებდა (გერმანიის და იტალიის გარდა) ისეთი ახალი მზარდი სახელმწიფოები, როგორებიციყო იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ ამ უკანასკნელის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული გააქტიურება ხდება XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში.

6.4. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა

XIX საუკუნის დასასრულისათვის დასავლეთის ნახევარსფეროში ლიდერი სახელმწიფო გახდა შეერთებული შტატები. ამ ქვეყნის დოქტრინა დაეფუძნა ექსპასიონისტურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა კარიბიის ზღვაში პოზიციების განმტკიცებას. ხოლო ცენტრალური ამერიკის დაუფლებისათვის აუცილებელი იყო კუბა (მაშინ ესპანეთის მფლობელობაში), შემდეგ ლათინური ამერიკა და წყნარი ოკეანის გავლით აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისაკენ გაჭრა. ამ საქმეში მას მისი მზარდი ეკონომიკაც ემსახურებოდა.

XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. შტატების ეკონომკური განვითარების ახალი ფაზა, რომელიც დაიწყო 1877 წელს, რეკონსტრუქციის პერიოდის დასრულების შემდეგ, თავისთავად ხელს უწყობდა ბევრად აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას. XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ხელსაყრელი ნიადაგი სხვადა-

სხვა სახის თეორიის შექმნისათვის (დერნერის ტოქტრინა- „მოძრავი საზღვრები", მეჰენის დოქტრინა –„საზღვაო ძალა" და ა.შ.), რომლებიც ამართლებდა და ასაბუთებდა ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის წარმოებას. ყველა ეს თეორია აყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს ამერიკის აქტიური ჩარევის შესახებ საერთაშორისო საქმეებში. ამერიკის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით მოქცეა იყო ლათინური ამერიკა.

XIX ს-ის ბოლო ათწლეულში შეერთებული შტატები ატარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას წყნარ და ატლანტის ოკეანის აუზში. 1893 წელს მან დაიკავა ჰავაის კუნძულები, ხოლო 1898 წელს ესპანეთს წაართვა კუბა.

1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის შედეგად, ესპანეთმა დაკარგა თავისი კოლონია – კუბა. ამერიკის გეგმების განხორციელებას ხელი შეუწყო ესპანეთის კოლონიების განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ. 1895 წელს კუბაზე დაიწყო ესპანეთის საწინააღმდეგო აჯანყება. ამერიკის ხელისუფლება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კარიბის ზღვასა და მექსიკის ყურეში არსებულ ვითრებას, გადაწყვიტა გამოეყენებინა შექმნილი ვითარება ესპანეთის რეგიონიდან გასაძევებლად. უფრო ადრე, შტატების ხელისუფლებამ მადრიდის სასახლეს შესთავაზა კუბა მიეყიდა 100 მილიონ დოლარად. მაგრამ, მაშინ ესპანეთმა არ მიიღო შემოთავაზებული წინადადება. ახლა კი, შტატების ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძალით გაეძევებინ ესპანეთი კუბიდან. ამისათვის კი კარგი საბაბი იყო ანტიესპანური აჯანყება კუბაში.

ამერიკელებმა ესპანელები დაადანაშაულეს კრეისერ „მენზე" მომხდარ აფეთქებაში, რომელიც რეიდზე იდგა ჰავანაში. ესპანეთმა საერთაშორისო გამოძიება მოითხოვა და მიაღწია იმას, რომ ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა ამერიკის ხელისუფლებას ერთობლივი ნოტა გაუგზავნეს. მაგრამ, ნოტა, რომელიც სამშვიდობო ხასიათს ატარებდა, დარჩა უყურადღებოდ. უფრო მეტიც, ევროპის სახელმწიფოებმა არ გადადგეს მკვეთრი

ნაბიჯები ესპანეთისათვის მხარდასაჭერად. შეერთებული შტატების ხელისუფლებამ საქმე სასწრაფოდ მიიყვანა ომამდე. 1898 წლის აპრილში ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა და ომი დაიწყო. ამ ომში შეერთებულმა შტატებმა გაიმარჯვა. 1898 წლის 10 აპრილს პარიზში ხელი მოეწერა ამერიკა-ესპანეთის საზავო ხელშეკრულებას. ესპანეთმა უარი თქვა კუბაზე. იგი თავისუფალ კუნძულად გამოცხადდა. მაგრამ მალე, მასზე ამერიკის პროტექტორატი დამყარდა. მეტიც, პარიზის ზავის თანახმად კი, გუამი, პუერტო-რიკო, ფილიპინები საერთოდ გადავიდა შეერთებული შტატების ხელში. ასე დასრულდა მსოფლიოს გაყოფისათვის დაწყებული ბრძოლის პირველი აქტი.

ამრიგად, დაიწყო შეერთებული შტატების სამხრეთ ამერიკაში შეღწევის პოლიტიკა. მისი იდეოლოგია იყო პანამერიკანიზმის იდეა: დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნებს აქვთ საერთო ინტერესი „We are team", romlis საფუძველი მონროს დოქტრინაა (1723) – ამერიკა ამერიკელებს. თავდაპირველად ამ ლოზუნგს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ XIX ს-ის ბოლოსათვის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო, მან მოდიფიკაცია განიცადა და ახალი ჟღერადობა შეიძინა – „ამერიკა ჩრდილოეთ ამერიკელებს". თეოდორ რუზველტიმ 1901 წელს დაასაბუთა ამერიკის ჩარევის პრინციპი ლათინური ამერიკის შიდა საქმეებში – ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც გარანტს და არბიტრს, სურდა არ დაეშვა ამ რეგიონში ინგლისის და სხვა ქვეყნების შეღწევა.

ჯერ კიდევ 1889 წელს, ამერიკის შეერთებული შტატები იყო ინიციატორი პანამერიკული კონგრესის ჩატარებისა, რომელშიც მხოლოდ დომინიკის რესპუბლიკამ არ მიიღო მონაწილეობა. შეიქმნა პანამაერიკის კავშირი, რომელშიც 18 ქვეყანა შევიდა. ამ კავშირის შექმნით შეერთებულ შტატებს სურდა გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა ლათინური ამერიკის ქვეყნების ვაჭრობაში და შეექმნა ამერიკის შეერთებული შტატების და მთლიანად ამერიკის კონტინეტის სამრეწველო წარმოებისათვის მომგებიანი პირობები. ამის ერთ ერთ დამადასტურებ-

ელ ფაქტად გამოდგება ამერიკის პოზიცია ვენესუელა-დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ დავაში– ვენესუელასა და ინგლისის გვინეას შორის საზღვრების შესახებ.

ვენესუელა პრეტენზიას აცხადებდა ამ კოლონიის დიდ ნაწილზე. 1886 წელს ინგლისის მთავრობამ სადავო ტერიტორიაზე თავისი სასაზღვრო პოსტები განალაგა. საქმე დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე მივიდა ვენესუელასა და ინგლისს შორის. ასეთ სიტუაციაში ვენესუელამ შუამდგომლობისათვის შეერთებული შტატების ხელისუფლებას მიმართა. იგი მიუთითებდა, რომ ინგლისის პრეტენზიები იყო მონროს დოქტრინის დარღვევა. ინგლისმა უარი თქვა შეერთებული შტატების წინადადებაზე კონფლიქტი გადაეწყვიტათ არბიტრაჟის ჩარევით. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1895 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ინგლისის მთავრობას რამდენიმე მწვავე ნოტა გაუგზავნა, რომლშიც აღნიშნული იყო, რომ ვენესუელას ტერიტორიის ნებისმიერი დარღვევა განიხილებოდა როგორც მონროს დოქტრინის დარღვევა.

უფრო მეტიც, 1895 წელს ამერიკის პრეზიდენტმა კლივლენდმა განაცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობა განახორციელოს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები არბიტრაჟზე თხოვნის გარეშე, განიხილებოდა როგორც casus belli (ფორმალური საბაბი ომის გამოცხადებისათვის). სწორედ ამ პერიოდს ეხება სახელმწიფო მდივნის ოლინის განცხადებაც: „ამჟამად შეერთებული შტატები ფაქტობრივად ფლობს უმაღლეს ხელისუფლებას ამერიკის კონტინენტზე და მისი ნება არის კანონი ყველა საკითხში, რომელშიც ის ერევა".

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ კურსი აიღო ლათინური ამერიკის კონტინენტზე სრული გავლენის მოპოვებისათვის.

თავი VII

საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ

7.1. მსოფლიო პოლიტიკის თავისებურებები ომის წინ

XX ს-ის დასაწყისიდან კაპიტალიზმი შევიდა კორპორაციული განვითარების სტადიაში და მოიცვა მსოფლიოს ყველა რეგიონი. კაპიტალისტური წესრიგი ატარებდა ახალ გლობალურ ხასიათს. შეიქმნა მსოფლიო მეურნეობის ერთიანი კავშირების სისტემა. ამ პროცესში თანდათანობით იკვეთებოდა ღრმა წინააღმდეგობებიც. თითეული ქვეყანა ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი გავლენის სფეროები. XIX ს. დასასრულისათვის, მსოფლიო ტერიტორიული გადანაწილება თითქმის დამთავრებული იყო. ამ დროისათვის უკვე ვლინდება ცალკეული ქვეყნების განვითარების და რესურსების ფლობის პოტენციური შეუსაბამობაც. ინგლისი დასუსტდა და შეირყა მისი პოზიციები მსოფლიო პოლიტიკაში. მას არ ჰყოფნიდა ფული და ფლოტი. მისგან განსხვავებით, გერმანია და შეერთებული შტატები განვითარდა და გამოამჟღავნეს ლიდერობისაკენ მისწრაფება, მაგრამ მათ არ აქვთ კოლონიები. ისინი შეეცადნენ მოეხდინათ მსოფლიოს ხელხალი გადანაწილება ძალის გამოყენებითაც კი. გავლენის სფეროებისათვის დაწყებული ბრძოლების შედეგად, მსოფლიოში გაჩნდა ე.წ. ცხელი წერტილები. პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ პერიფერიებში არსებული ეს „უსიამოვნებები", მსოფლიოს არ მიიყვანდა ომამდე და, საერთოდ, ევროპაში წონასწორობის დარღვევამდე. სამწუხაროდ, მაშინ, ამ წინააღმდეგობებში არ მოიძებნა გამოსავალი, რამაც დააჩქარა პირველი მსოფლიო ომის დაწყება.

პირველი მსოფლო ომის წინ საერთაშორისო ურთიერთობები გამოირჩეოდა ინტენსივობით და მკვეთრი წინააღმდეგობე-

ბით. მოახლოებული მსოფლიო ომის პირობებში, მსოფლიოში და განსაკურებით, ევროპის კონტინენტზე მიმდინარეობდა ძალთა გადაჯგუფება. ყველა სახელმწიფო ცდილობდა მისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნა და შეეძინა რაც შეიძლება მეტი მოკავშირე. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ ამ პერიოდში ცალკეულ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება, ლოკალური ომები, საერთაშორისო კრიზისები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყველაფერი კი ნათლად მეტყველებდა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხეზე. მსოფლიო პოლიტიკაში არსებული ინტერესთა კონფლიქტები, იძულებულს ხდიდა საერთაშორისო თანამეგობრობას, ებრძოლა აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილებისათვის. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა საერთაშორისო კონფერენციების მოწვევა.

XIX ს-ის უკანასკნელ წლებში, შეიარაღებული შეჯიბრის სწრაფ გაძლიერებასთან დაკავშირებით და შეიარაღებაში ახალი სახეობის იარაღების გამოჩენამ, დაბადა იდეა პირველად,საერთაშორისო კონფერენციების ისტორიაში, მოწვეულიყო საერთაშორისო კონფერენცია შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მაშინ, ასეთი ფორუმის ჩატარების ინიციატორად გამოვიდა რუსეთი. კონფერენცია შედგა 1899 წლის ივლისში, ჰააგაში. მასში მონაწილეობა მიიღო 27 ქვეყნის წარმომადგენელმა.

სამწუხაროდ, ამ კონფერენციას არანაირი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. რადგანაც არც ერთ წამყვან სახელმწიფოს არ სურდა მიეღო გადაწყვეტილება იარაღის წარმოების და შენახვის შეზღუდვის შესახებ. მართალია, კონფერენციაზე მიიღეს სამი კონვენცია, მაგრამ, მათ არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა და სულაც არ ამცირებდა ომის საშიშროებას.

აღნიშნული კონვენციები იყო: ა) საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ; ბ) ქვეითი ჯარის კანონების და წესების შესახებ; გ) საზღვაო ომში დაჭრილების და ავადმყოფების შესახებ ჟენევის კონვენციის მიღება.

დამატებით მიღებულ იქნა სამი დეკლარაცია, რომელიც მიმართული იყო სამხედრო მოქმედებების შეზღუდვისკენ.

კონვენცია – საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ შედგებოდა სამი ნაწილისაგან – 1. საყოველთაო მშვიდობის დაცვა, 2. შუამავლობა, 3. საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შესახებ. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, საუკუნის გასაყარზე, ევროპა პირველი მსოფლიო ომისკენ მიექანებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის უშედეგოდ დასრულება იმანაც განაპირობა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო კონფლიქტის მოახლოების კვალდაკვალ, სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობები ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. ევროპაში, ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების კერა იყო გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებზე და ხელი შეუწყო ძალთა ახალ კონფიგურაციას კონტინენტზე. მაშინ, სწორედ, აღნიშნული პროცესები ქმნიდა მსოფლიო პოლიტიკის თავისებურებებს.

7.1.1 გერმანია-ინგლისის დაპირისპირება და ძალთა ახალი განლაგება ევროპაში

საუკუნის დასაწყისისათვის ბრიტანეთის იმპერიამ, დიდი ძალისხმევის შედეგად, საბოლოოდ მოახერხა მიზინმიმართული და აქტიური პოლიტიკის გატარება ევროპაში. ლონდონის იარაღის და დიპლომატიის წარმატებები უდავო იყო. ამავე დროს იმპერიამ მოახერხა დაედო ინგლის-იაპონიის საზღვაო კავშირი (1902), რომელიც უზრუნველყოფდა ორი ქვეყნის ინტერესების დაცვას შორეულ აღმოსავლეთში. იმავდროულად, დასრულდა ინგლის-ბურების ომიც, რამაც მისცა შესაძლებლობა ბრიტანეთს თავი დაეღწია გერმანიასთან, ნებისმიერ ფასად, იძულებითი ორმხრივი თანამშრომლობის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის, რადგანაც ბერლინი კარგად სარგებლობდა ინგლისის გართულებუ-

ლი საერთაშორისო მდგომარეობით და თავისი ინტერესების რეალიზაციას ახდენდა. ასე მოხდა მაგალითად, აფრიკაში ინგლის-ბურების ომის მიმდინარეობის დროს.

გერმანია-ინგლისის კოლონიური ინტერესების კონფლიქტმა მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა კუნძულ სამოას და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის გარშემო განვითარებულ მოვლენებში.

ბერლინი, სამოას კუნძულის გარშემო განვითარებულ პროცესებში, დათმობას ლონდონისაგან ელოდა. უცნობია, როგორ დასრულდებოდა ეს კონფლიქტი, რომ არა ინგლის–ბურების ომი.

ბურების ოქროთი მდიდარი ქვეყნის დაპყრობას ლონდონი სამხედრო ძალის გამოყენებით ცდილობდა და სამომარი კამპანიის დაწყებისათვის შესაბამის მიზეზს ეძებდა. ამის გამო, ლონდონმა კარგად გამოიყენა ბურების ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც იგი უარს ამბობდა მიეცა სრული პოლიტიკური უფლება უცხოელებისათვის ქვეყანაში. ლონდონი შეეცადა დაეცვა უცხოელი მოქალაქების „კანონიერი უფლებები” და დაუპირისპირდა ქვეყნის ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ბურების მთავრობამ ამ კუთხით დათმობა ამჯობინა და უკან დაიხია, ლონდონი, მაინც, ღიად ემზადებოდა ომისათვის. 1899 წლის ოქტომბერში ბურების ხელისუფლებამ ინგლისს ომი გამოუცხადა.

ინგლისელებმა შეძლეს დაეკავებინათ დედაქალაქი პრეტორიის ტრანსვალია და ბლიუმოფონტენი. თუმცა, ბურებმა პარტიზანული ომი გააჩაღეს. შედეგად, ინგლისელები თავს მშვიდად იქ გრძნობდნენ, სადაც მხოლოდ მათი ჯარები იდგა. ომი ორწელიწად ნახევარი გაგრძელდა და დასრუდა მხოლოდ 1902 წლის 31 მაისს. ამ დროს მოხერხდა ზავის დადება. ზავის პირობების თანახმად, ბურებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და გახდნენ ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომები. თუმცა, შიდა ავტონომია შეინარჩუნეს.

უნდა ითქვას, რომ სამხრეთ აფრიკაში გაჭიანურებული ომის წარმოებამ, ლონდონი აიძულა გარკვეული მანევრირება

მოეხდინა და თავიდან აეცილებინა ევროპის წამყან სახელმწიფოების ჩარევა ამ კონფლიქტში. ლონდონის ეს შიში არ იყო უსაფუძვლო. კერძოდ, რუსეთი ნიადაგს სინჯავდა პარიზსა და ბერლინში, რომ მოეხდინა ერთობლივი გამოსვლა ინგლისის წინააღმდეგ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ამ წინადადებას გერმანიის და საფრანგეთის ხელისუფლება დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდნენ, პრიქით, მათ საკუთარი ინტერესების შესახებ წამოაყენეს რიგი პირობები და შესწორებები რუსეთის შეთავაზების კვალდაკვალ. თუმცა, ამ მოლაპარაკებების შესახებ ლონდონი გაღიზიანდა. ინგლისში, ასევე კარგად იცოდნენ კონტინენტური ევროპის ქვეყნების ფართო წრეების განწყობილების შესახებაც. რიგი ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან, ტრანსილვნიაში მოხალისეები ჩავიდნენ.

შექმნილი სიტუაცია გამოიყენა გერმანიამ. კერძოდ, იგი შეეცადა: პირველი, გაეფუჭებინა ინგლის-რუსეთის ურთიერთობები და მეორე, მიეღო პირდაპირი მოგება. ლონდონი დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას ბერლინის ზეწოლას, მაგრამ, ბოლოს იძულებული გახდა, 1899 წლის ნოემბერში, გერმანიასთან ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით გერმანია დაეუფლა სამოას არქიპელაგის ორ კუნძულს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც შეძლო სარგებლის მიღება შექმნილი მდგომარეობიდან და გადაეცა არქიპელაგის ორი სხვა კუნძული.

თუმცა დავის მშვიდობიანმა მოგვარებამ ვერ აღმოფხვრა ანტაგონიზმი ინგლისსა და გერმანიას შორის. პირიქით, მათ შორის უნდობლობა და წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ შემთხვევაში იგი დაკავშირებული იყო გერმანიის ახლო აღმოსავლური ინტერესების გააქტიურებასთან, კერძოდ, ბაღდადის სარკინიგზო ხაზის მშენებლობასთან.

უკვე ლონდონს, რუსეთის სახით სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდა აზიაში. ერთხანს ლონდონში, ფიქრობდნენ, რომ გერმანიის წინაშე განხორციელებული დათმობით შეძლებდნენ მასთან სამხედრო კავშირის დადებას. ამ გზით ლონდონი პე-

ტერბურგის დაშინებას ცდილობდა, რომ შეეჩერებინა ამ უკანასკნელის წინსვლა შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ გერმანელები ამ შეთანხმებაზე არ წავიდნენ. ბერლინს რუსეთთან მიმართებით საკუთარი ინტერესები გააჩნდა. იმ ეტაპზე, მას სურდა ღიად არ გაეფუჭებინა ურთიერთობები პეტერბურგთან.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში, ინგლის-გერმანიას შორის წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ბრიტანეთის პოზიციის შეცვლა გერმანულ პროექტთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებდა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობას. 1902 წლის ბოლოს და 1903 წლის დამდეგამდე დიდი ბრიტანეთი არ გამოხატავდა თავის წინააღმდეგობას ამ პროექტისადმი. პირიქით, ინგლისელ და გერმანელ საქმიან წრეებს შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის და პროექტის რეალიზაციის შესახებ. 1903 წელს მოლაპარაკებები მოულოდნელად შეწყდა და ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზომების მიღება, რომ ჩაეშალა მშენებლობა. პარალელურად, ლონდონი აწარმოებდა შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას როგორც ქვეყანაში, ასევე უცხოეთში. ბრიტანეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ გერმანული კონცერნების* შეღწევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ხელს შეუწყობდა ბერლინის გავლენის გაძლიერებას იქ და შექმნიდა, ასე ვთქვათ, თავისებურ სატარტო მოედანს გერმანიის შემდგომი ექსპანსიის განვითრებისათვის აზიაში – ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებისკენ. ბუნებრივია, ინგლისიც, შეშფოთებული იყო გერმანიის გაძლიერებით ევროპაში.

აღნიშნულმა ფაქტორებმა, დღის წესრიგში დასვა ბრიტანეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვის აუცილებლობა და საერთაშორისო არენაზე მოქმედების ისეთი ტაქტიკის შემუშავება, რომელიც არსებული პირობების ადექვატური

---

* კონცერნი - [ინგლ.concern]-კაპიტალისტური მონოპოლიის ერთ-ერთი სახე-ფორმალურად დამოუკიდებელ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა გაერთიანება, რომელსაც სათავეში უდგას ერთი ან რამდენიმე კაპიტალისტი.

იქნებოდა და ბევრად ეფექტურად უზრუნველყოფდა ბრიტანეთის სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციას. აფრიკაში ინგლისის გართულებული მდგომარეობით ისარგებლა არა მხოლოდ გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმ შტატებმა, არამედ რუსეთმაც, რომელმაც განამტკიცა პოზიციები შუა აზიაში. მან მოწესრიგა ურთიერთობები ავღანეთსა და სპარსეთთან.

ამრიგად, გერმანიის გააქტიურებამ და მისი საგარეო პოლიტიკის გაძლიერებამ გამოიწვია ლონდონ-ბერლინის ურთიერთობების გაცივება. ინგლისს არ სურდა დაეშვა კოლონიური სამფლობელოების დაკარგვა გერმანიის სასარგებლოდ. ლონდონში მიიჩნევდნენ, რომ გერმანიისათვის წაერთვათ შესაძლებობა აეგო მისი დიპლომატია ინგლისურ–რუსული და ინგლისურ-ფრანგული წინააღმდეგობების გამოყენებით. ამ გზით, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება იმედოვნებდა ბერლინისაგან მიეღო დაათმობები საგარეო პოლიტიკურ საკითხებსა და კოლონიურ სფეროებში.

ამ გარემოებამ, ბრიტანეთის ხელისუფლება აიძულა უარი ეთქვა „ბრწყინვალე იზოლაციის" პოლიტიკაზე და დაახლოებოდა თავის დიდი ხნის მოწინააღმდეგებს ევროპაში და კოლონიებში გავლენის განმტკიცებისათვის ბრძოლაში – რუსეთსა და საფრანგეთს.

7.2. ანტანტის შექმნა

XIX-XX სს. მიჯნაზე საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდებოდა ერთი მხრივ, ცალკეულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამწვავებით და მეორე მხრივ, მათი გაერთიანებით ბლოკებასა თუ კავშირებში. როგორც ცნობილია, ამ კუთხით პირველი ნაბიჯი გერმანიამ გადადგა, როცა 1879 წელს ავსტრია-უნგრეთთან კავშირი შეკრა. ხოლო ორი წლის შემდეგ, ამ გაერთიანებში იტალიის შესვლით ჩამოყალიბდა ე.წ. სამთა კავშირი. ცხადია, ცენტრალურ ევროპაში ძალთა ასეთი კონფიგუ-

რაციის ჩამოყალიბება ევროპის დანარჩენ წამყვან სახელმწიფოებს აიძულებდა გადაედგათ აქტიური ადექვატური ნაბიჯები ბერლინის გააქტიურებული საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

შედეგად, თანდათანობით დიდი სირთულეებით ყალიბდებოდა საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის ბლოკი. ამ კავშირის შექმნისკენ წინგადაგმული ნაბიჯი იყო 1893 წელს საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულება თანამშრომლობისა და დახმარების შესახებ. მოვლენების განვითარების ასეთ ფონზე, გერმანია შეეცადა ინგლისთან ვითარების მოგვარებას. ბერლინი შეეცადა გამოეყენებინა საფრანგეთსა და ინგლისს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი ზედა ნილოსზე ბატონობის გამო და შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის რუსეთთან გაუარესებული მდგომარეობა. თუმცა, გერმანიის ხელისუფლებამ ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. ვინაიდან, საკმაოდ დიდი იყო ინგლისურ-გერმანული წინააღმდეგობები, რომელმაც, თავის მხრივ, ითამაშა გადამწყვეტი როლი ინგლისის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულების ჩამოყალიბებაში.

შექმნილ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, დიდ ბრიტანეთთან დაახლოება საკუთრივ საფრანგეთისათვისაც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს იძენდა და შეიძლება ითქვას, უფრო მეტი მნიშვნელობაც ჰქონდა, ვიდრე თვით ლონდონისათვის იმდენად, რამდენადაც ომი შორეულ აღმოსავლეთში (იაპონიასთან წინააღმდეგობები) იწვევდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გადასროლას გერმანიის საზღვრებიდან ამ მიმართულებით, რასაც შეუძლებელია არ გამოეწვია გარკვეული შეშფოთება საფრანგეთის მმართველ წრეებში.

7.2.1. საფრანგეთ-იტალიის დაახლოება

ინგლისთან დაახლოების იდეის პარალელურად, საფრანგეთმა ასევე გააქტიურა თავისი საგარეო პოლიტიკა იტალიის მიმართულებით. პარიზის ასეთი ნაბიჯი მიზნად ისახავდა იტალიის ჩამოშორებას სამთა კავშირიდან. შედეგად, 1902 წელს

მხარეებს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, პარიზი და რომი ვალდებულებას ღებულობდნენ მკაცრი ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მხარე აღმოჩნდებოდა ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის ობიექტი. შეთანხმებით ასევე დადგინდა, რომ მკაცრი ნეიტრალიტეტი გავრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ერთ-ერთი მხარე პირდაპირი გამოწვევის შედეგად იძულებული აღმოჩნდება აიღოს თავის თავზე ომის გამოცხადების ინიციატივა. მთლიანობაში ეს ხელშეკრულება არ იყო წინააღმდეგობაში სამთა კავშირთან იმდენად, რამდენადც ხელშეკრულების მიხედვით იტალია გერმანიას სამხედრო დახმარებას დაჰპირდა იმ შემთხვევაში, თუკი ის აღმოჩნდებოდა საფრანგეთის თავდასხმის ობიექტი „პირდაპირი გამოწვევის გარეშე". ახლა საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებით, იტალიამ საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება დაიცვას ნეიტრალიტეტი გერმანიის მხრიდან პირდაპირი გამოწვევის არსებობის შემთხვევაში. ფაქტიურად, იტალიამ დაიტოვა უფლება განსაზღვროს კონფლიქტური მხარეების მხრიდან გამოწვევის არსებობა.

7.2.2. საფრანგეთ-ინგლისის დაახლოება და ანტანტის ჩამოყალიბება

1902 წლის შეთანხმება მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ფრანგული დიპლომატიის, თუმცა, სუსტი იტალიური არმიის ნეიტრალიტეტი, არ იყო რუსული ძალის ადექვატური შეცვლა. ამ უკანასკნელის გამოყენება, შორეულ აღმოსავლეთში სიტუაციის გაურესების გამო, სულ უფრო პრობლემატური ხდებობა. ამ პირობების გათვალისწინებით საფრანგეთმა 1903 წელს ინიცირება გაუკეთა მოლაპარაკებას ინგლისის საგარეო პოლიტიკურ უწყებასთან, რომლის მიზანი იყო მოეწესრიგებინა კოლონიური უთანხმოება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

ლონდონ-პარიზს შორის მოლაპარაკებები ხანგრძლივ და რთულ ხასიათს ატარებდა, რადგან არცერთ მხარეს ამ ორ ქვე-

ყანას შორის ურთიერთობებზე ერთიანი აზრი არ ჰქონდა. შეიძ-ლება ითქვას, ერთ-ერთი მყარი საფუძველი მათი დაახლოების იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასი.

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოების შესახებ საკითხი, მხა-რეებიის მაღალი დონის შეხვედრებზე არა ერთხელ დადგა დღ-ის წესრიგში. მართალია, ჯერ კიდევ 1903 წლის გაზაფხულზე, პარიზში ინგლისის მეფე ედუარად VII ვიზიტად ყოფნისას, მხარეებს ღიად არ გამოუხატავთ თავიანთი აზრი დაახლოების თაობაზე, თუმცა ინტენსიური ურთიერთობები კი ვითარდებოდა. კერძოდ, იმავე წლის ზაფხულში ლონდონში საპასუხო ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე. ამჯერად, უკვე ინგლის-საფრანგეთის მომავალ ურთიერთობებზე საუბარი საქმ-იან ხასიათს ატარებდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინის-ტრი დელკასი და მისი ინგლისელი კოლეგა ლორდი ლანსდ-აუნი აწარმოებდნენ სერიოზულ მოლაპარაკებებს ევროპაში ერთობლივი მოქმედების შესახებ. მათვე, განიხილეს საკითხი კოლონიურ საკითხებთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოება და მათი გადაწყვეტის გზები. აშკარა იყო, რომ ინგლის-საფრანგეთის მომავალ ხელშეკრულებაში გან-საკუთრებულ ადგილს კოლონიების საკითხი დაიკავებდა.

მოლაპარაკებების შედეგად მიაღწიეს შესაბამის შეთანხმე-ბას, რომელსაც ხელი მოეწრა 1904 წლის 8 აპრილს ლონდონში. ამ მომენტიდან ისტორიულ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ტერ-მინი, რომელიც აღნიშნავდა ანტანტის (გულითადი შეთანხმების) ისტორიის დაწყებას.

ეს შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს მხარეებმა, შედგებოდა ორი მთავარი ნაწილისაგან. პირველი, რომელიც გამოქვეყნებას ექვემდებარებოდა და მეორე, რომელიც კონფიდე-ნციალური იყო. ხელშეკრულების საჯარო ნაწილი ითავლისწი-ნებდა გავლენის სფეროების გაყოფას ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე აღიარეს ინგლისის დომინირება ეგვიპტეში, ხოლო ფრანგ-ები უფლებას ღებულობდნენ დაეპყროთ მაროკოს დიდი ნაწილი. რაც შეეხება ხელშეკრულების დახურულ ნაწილს, იგი

ითვალისწინებდა პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის შესაძ-ლებლობას როგორც ეგვიპტეში, ასევე მაროკოში. შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა გავლენის სფეროების გაყოფა სიამში. ხელშეკრულებითვე მოწესრიგდა რიგი მეორეხარისხოვა-ნი კოლონიური საკითხებიც.

ამ შეთანხმებაში განსაკუთრებით ორი მომენტია საყურად-ღებო. პირველი, ინგლისმა და საფრანგეთმა სადავო კოლონიუ-რი საკითხების მოგვარებით შექმნეს საფუძველი გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის. ამავე დროს, ისინი ერთმანეთს გავლენის სფეროებში აძლევდნენ მოქმედების სრულ თავისუფლებას. ინგლისი – ეგვიპტეში, საფრანგეთი – მარო-კოში. გარდა ამისა, ინგლისმა ვალდებულება აიღო დაეცვა თავისუფალი ნაოსნობა სუეცის არხში, ხოლო საფრანგეთმა ვალდებულება იკისრა არ განალაგებდა სიმაგრეებს მაროკოს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გიბრალტარის ახლოს. და მეორე, საიდუმლო და ღია ხელშეკრულების მუხლებს შორის იყო სხვაობებიც. კერძოდ, შეთანხმების საიდუმლო ნაწილი ითვალისწინებდა ეგვიპტესა და მაროკოში მდგომარეობის შეც-ვლას.

მთლიანობაში, დოკუმენტს წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. ის არ აღმოფხვრიდა ორ სახელმწიფოს შორის წინ-ააღმდეგობის საფუძველს, თუმცა, იმ პერიოდში პასუხობდა ორ-ივე მხარის ინტერესებს. შეთანხმებამ მათ საშუალება მისცა გაენაწილებინათ ჯერ კიდევ თავისუფალი ტერიტორიები აფრიკ-აში, მოესპოთ რიგი წინააღმდეგობები და შეექმნათ საფუძვლები ერთობლივი მოქმედებისათვის გერმანიის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ტექსტში არ იყო მითითებული, რომ იგი რაღაც ანტიგერმანული მიმართულების ხასიათს ატარებდა.

7.2.3. გერმანია-რუსეთის დაახლოების მცდელობა

საფრანგეთ-ინგლისს შორის დადებულმა აღნიშნულმა შეთანხმებამ შეშფოთება გამოიწვია ბერლინში. გერმანიის ხელმძღვანელობა შეწუხებული იყო როგორც თვით ინგლისურ – ფრანგული თანამშრომლობის ფაქტით, ასევე მათ შორის კოლონიების ტერიტორიული გაყოფის განმტკიცებით, ვინაიდან იგი გერმანიისათვის ართულებდა ახალი ტერიტორიების მოპოვებას აზიასა და აფრიკაში. შეშფოთებას კიდევ უფრო აძლიერებდა ინგლისის მიერ ხმელთაშუა ზღვის რეგიონიდან, სადაც საფრანგეთთან შეთანხმების შემდეგ ბრიტანეთის კომუნიკაციები შედარებით უსაფრთხო გახდა, აზიის აღმოსავლეთ სანაპიროებთან, დაახლოებით, 150 სამხედრო გემის გადაყვანა.

გერმანელების საპასუხო რეაქცია გამოიხატა რუსეთ-გერმანიის კავშირის შეკვრის მცდელობით, მით უფრო, რომ რუსეთმა, რომელმაც მარცხი განიცადა შორეულ აღმოსავლეთში (იაპონიასთან ომში დამარცხდა), ძალზედ სჭირდებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა. გერმანიამ გამოიყენა პეტერბურგის გართულებული მდგომარეობა და რუსეთთან დადო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ამცირებდა გადასახადს გერმანული სამრეწველო პროდუქციის რიგ სახეობებზე. თუმცა, ამ საქმიდან ამის მეტი არაფერი გამოვიდა. რუსეთის ხელისუფლებას არ სურდა ურთიერთობების გაფუჭება დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან, შესაბამისად, არც ამ ურთიერთობებისათვის რადიკალური გადახედვა. ამ მოსაზრებით მან უარყო ვილჰემ II წინადადება ორ ქვეყანას შორის საკავშირო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც ევროპაში კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში ითვალისწინებდა ურთიერთშორის სამხედრო დახმარებას. მკვლევართა აზრით, უარის თქმის მიზეზი იმალებოდა რუსეთის ფინანსური სისტემის დამოკიდებულებაში ფრანგულ სესხებზე. გერმანული ბანკების კაპიტალი ვერ ჩაენაცვლებოდა ფრანგულ სესხებს რუსეთის იმპერი-

ის ეკონომიკაში, რამაც საბოლოო განაპირობა გერმანია-რუსეთ-ის მოლაპარაკებების უშედეგობა დაახლოების შესახებ.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპის კონტინ-ენტზე აშკარად შეინიშნებოდა სამხედრო-პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება და შესაბამისი ბლოკების ჩამოყალიბება. ეს პრო-ცესი გამოწვეული იყო გავლენის სფეროებისათვის დაწყებული ბრძოლების, მხარეების მიერ გადადგმული სამხედრო-პოლიტი-კური ნაბიჯების და სხვა ნსგავს საკითხთა გააქტიურების შედე-გად. არსებულ სიტუაციაში, მხარეების დაახლოებას კონკ-რეტული მიზნებიც განაპირობებდა, რაც მთლიანობაში მათ ინ-ტერესებს პასუხობდა მოახლოებულ მსოფლიო კონფლიქტში. მაგ., ინგლის–საფრანგეთის დაახლოება ნაკარნახევი იყო საფ-რანგეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფისათვის რუსეთ-იაპ-ონიის ომში, რომელიც დაიწყო 1904 წელს. მით უფრო, რომ საფრანგეთის გამოსვლა რუსეთის მხარეზე ამ კონფლიქტში, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების მიხედვით, ავტომატურად გამოიწვევდა ინგლისის ომში ჩართვას. ხოლო ინგლისის რუსეთთან დაახლოება ნაკარნახევი იყო, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ რუსეთის დამარცხებამ იაპონიასთან ომში, რომელ-შიც ლონდონი აქტიურად ეხმარებოდა იაპონიას, შეეძლოა აეძუ-ლებინა რუსეთის იმპერია მოეწესრიგებინა ურთიერთობა გერმ-ანიასთან. თავისთავად ეს გერმანიის პოზიციებს გააძლიერებდა მსოფლიო არენაზე ინგლისის გავლენის საზიანოდ. ამრიგად, რუსეთ-იაპონიის ომმა ბევრი რამ გახადა ცხადი მსოფლიო პოლ-იტიკაში და კიდევ უფრო დააჩქარა ძალათა გადაჯგუფება ევრ-ოპის კონტინენტზე.

7.3. რუსეთ-იაპონიის ომი და მისი გავლენა საერთა-შორისო ურთიერთობებზე

XIX ს-ის დამდეგს საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთ-იაპონიის ომი, რომე-

ლიც, მართალია, ლოკალური ხასიათის იყო, მაგრამ მას გარკვეული შედეგები მოჰყვა მსოფლიო პოლიტიკაში.

7.3.1. წამყვან სახელმწიფოთა ინტერესები შორეულ აღმოსავლეთში ომის წინ

შორეულ აღმოსავლეთში წამყვან სახელმწიფოთა ინტერესების კომფლიქტის გამო, ერთ-ერთი ცხელი კერა ყალიბდებოდა. აქ ერთმანეთს დაეჯახა რუსეთის, იაპონიის, ინგლისის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების ინტერესები.

იაპონია აქტიურ კამპანიას აწარმოებდა ჩინეთსა და კორეაში ნედლეულის ბაზრების მოპოვებისათვის, რომ იაპონიის განვითარებადი მრეწველობისათვის რკინა-მადანის და ქვანახშირის საკმარისი ბაზა შეექმნა. შორეული აღმოსავლეთის რეგიონში თავისი გავლენის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის მან მზადება რუსეთ-იაპონიის ომამდე დაიწყო. იაპონიაში ფართო გაქანება მიეცა იდეას დიდი იაპონიის შექმნის შესახებ, რომელშიც უნდა შესულიყო კურილის კუნძულები, სახალინის კუნძული, კამჩატკა, ფორმოზა, კორეა, მაჯურია და აღმოსავლეთ ციმბირის დიდი ნაწილი. იაპონიამ ამ პროგრამის განხორციელებისათვის კურსი ჯერ კიდევ 1895 წელს აიღო.

იაპონია თანდათან აძლიერებდა ჩინეთში შეღწევის პოლიტიკას. ამ საქმეში მას არ ჩამორჩებოდნენ ინგლისი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი. ისინი, ცდილობდნენ საკუთარი გავლენის განმტკიცებას შორეული აღმოსავლეთის რეგიონში, რათა ჰქონოდათ გაუყინავი პორტები წყნარ ოკეანეში და გაბატონებულიყვნენ მანჯურიაში. ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მიმდინარეობდა ციმბირის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. იგი მიმდინარეობდა ორი – ჩელიაბინსკისა და ვლადივასტოკის მიმართულებით. ამ პროექტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მთავრობამ არ დაუშვა როგორც უცხოური, ასევე რუსული კაპიტალის მხრიდან მისი

დაფინანსება. თუმცა, რუსეთის გავლენა ჩინეთში თანდათანობით მტკიცდებოდა.

ამ პერიოდში ჩინეთში განვითარდა მოვლენები, რომელმაც დიდი ხნით მიიპყრო ევროპის ქვეყნების ყურადღება. კერძოდ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ჩინეთის დანაწილებისაკენ, ქვეყანაში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. XIX ს-ის ბოლოს, ჩინეთის ბევრ ქალაქში მოხდა აჯანყება. 1901 წლის გაზაფხულზე იგი გადაიზარდა ფართო მასშტაბის აჯანყებაში. ეს აჯანყება ისტორიაში ცნობილია ბოქსიორთა აჯანყების სახელწოდებით. პეკინში დაწვეს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლობები, ხოლო გერმანიის წარგზავნილი მოკლეს. უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებმა დაანგრიეს ჩინეთის სანაპირო სიმაგრეები, რომელიც შემდეგ დაკავებული იქნა დესანტების მიერ. დიდი დავის შემდეგ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და იაპონია შეთანხმდნენ ჩინეთში თავიანთი სამხედრო კონტიგენტის გაგზავნაზე ერთი საერთო მეთაურის ფედმარშალა ვალდერზიის ხელმძღვანელობით.

ვიდრე გერმანელი ფედმარშალი ჩინეთში ჩააღწევდა, საერთაშორისო საექსპედიციო კორპუსმა, რომელსაც რუსი გენერალი ლინევიცი ხელმძღვანელობდა, მოახერხა ჩინელების დამარცხება. მან გაათავისუფლა უცხოური წარმომადგენლობები პეკინში და ჩაახშო აჯანყება. აჯანყებულები როცა თავს დაესხნენ რუსეთის სარკინიგზო ხაზს მანჯურიაში, რუსეთმა ჩინეთის ამ ნაწილში თავისი სამხედრო ნაწილები შეიყვანა და მისი ოკუპაცია მოახდინა.

პეკინში უცხოური მისიების გათავისუფლების შემდეგ, რუსეთმა განაცხადა, რომ პეკინიდან თავის ჯარებს გაიყვანდა და მსგავსი ნაბიჯის გადადგმისაკენ მოუწოდა სხვა ქვეყნებსაც. პეტერბურგი მსგავს ქმედებას ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ ჩინეთის მთავრობას შესაძლებლობა ჰქონოდა დაბრუნებულიყო დედაქალაქში. ასევე რუსეთმა განაცხადა, რომ, როგორც კი აღსდგებოდა წესრიგი მანჯურიაში, მისი ჯარები ამ რეგიონსაც

დატოვებდნენ. ამგვარი პოლიტიკით პეტერბურგი ცდილობდა პეკინთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას. მაგრამ სხვა ქვეყნებმა არ გაიზიარეს რუსეთის ასეთი პოზიცია და არ დატოვეს პეკინი. ვალდერსელმა სადამსჯელო რეიდი მოაწყო ჩინეთში. ჩინეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა უცხოეთის მთავრობებს დაეწყოთ მოლაპარაკებები, რომელიც დასრულდა 1901 წელს დასკვნითი ოქმის ხელმოწერით. ჩინეთი საკმაოდ დაისაჯა. მას დიდი კონტრიბუცია დაეკისრა. ორი წლით აიკრძალა ქვეყანაში იარაღის შეტანა. გაუქმდა ფორტი დაგუ. პეკინში უცხოური დიპლომატიური მისიების კვარტალში საერთაშორისო საპოლიციო ნაწილები შეიყვანეს.

ჩინეთში აჯანყების დროს მოლაპარაკებები წარმოებდა ინგლისსა და გერმანიას შორის. ფორმალურად იგი ეხებოდა ერთობლივ გარანტიებს და „ღია კარების" პრინციპის განხორციელებას. ფაქტიურად კი, ორივე ქვეყანა ცდილობდა არ დაეშვა ჩინეთში მეორე მხარის და სხვა ქვეყნების პოზიციების განმტკიცება. ინგლისს სურდა გერმანიასთან ხელშეკრულება დაედო მაჯურიის შესახებ, მაგრამ ბერლინი არ წავიდა ამაზე, რადგან არ სურდა რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა. გერმანიის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ინგლისის და იაპონიის რუსეთთან ბრძოლაში ჩათრევას.

ჩინეთის გარშემო განვითარებულმა წამყვანი სახელმწიფოების დიპლომატიურმა ბრძოლამ დააზარალა რუსეთის სტრატეგიული ინტერესები. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესების შესუსტებას ცდილობდა იაპონია, შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანია. მიუხრდავად იმისა, რომ საფრანგეთი რუსეთის მოკავშირე იყო, პარიზი ასევე დაინტერესებული იყო რუსეთის პოზიციების შესუსტებით რეგიონში, რადგან შიშობდა, რომ ეს გამოიწვევდა რუსეთის სამხედო ძალების შორეულ აღმოსავლეთში გადასროლას ევროპული ნაწილიდან.

რუსეთი, თავის მხრივ, ცდილობდა პეკინთან ხელშეკრულების დადებას, რათა შეენარჩუნებინა თავისი პრივილეგიები მანჯურიაში და გაევრცელებინა იგი მთელი ჩინეთის მასშტაბით.

1900 წლის ნოემბერში, რუსეთმა მუკდენის პროვინციის ხელისუფლებასთან დადო დროებითი შეთანხმება მაჯურიის შესახებ, რომლის მიხედვით, ჩინეთის აღმოსავლეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ნაწილობრივ აღდგებოდა ჩინელი გუბერნატორის ხელისუფლება, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრებოდა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, იმავდროულად, პეტერბურგში, რუსეთ-ჩინეთს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სეპარატული შეთანხმების შესახებ მანჯურიის შესახებ. ხელშეკრულების პროექტი რუსულმა მხარემ შეიმუშავა 1901 წლის 26 იანვარს და დაამტკიცა ნიკოლოზ II-მ თებერვალში. სხვათა შორის, პეტერბურგში, აზრთა სხვადასხვაობა იყო მანჯურიიდან ჯარების გაყვანა არ გაყვანის შესახებ. საბოლოოდ, პროექტში, რომელიც შედგებოდა 14 მუხლისაგან, საუბარი იყო, რომ რუსული ჯარები გავიდოდნენ მანჯურიაში სტაბილურობის დამკვიდრების და ჩინეთის ხელისუფლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულების შემდეგ.

შეთანხმების მიხედვით, ჩინეთის ხელისუფლება ვალდებული იყო, რუსული მხარის მოთხოვნით, შეეცვალა ჩინეთის ხელისუფლების ადმინიისტრაციის ის მოხელეები, რომელთა მოქმედებები ხელს არ უწყობდა ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას. ასევე ჩინეთის ხელისუფლება პეტერბურგის თანხმობის გარშე, ვერ გასცემდა უცხოელებზე კონცენსიებს.

ჩინეთთან მსგავსი მოთხოვნების შემცვლელი ხელშეკრულების გაფორმება მოასწავებდა რუსეთის გავლენის გაძლიერებას ქვეყანაში. ბუნებრივია, დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები მოვლენების განვითარების მსგავს სცენარს ვერ შეეგუებოდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ინგლისის, შეერთებული შტატების, იაპონიის და სხვა ქვეყნების პროტესტის გამო რუსეთ-ჩინეთს შორის მოლაპარაკებები შეწყდა.

ამ პერიოდში ინგლისი მოლაპარაკებებს აწარმოებდა გერმანიასთან რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის შესახებ. იაპონიამ პეკინს მიანიშნა, რომ რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, იგი მას დახმარებას გაუწევდა.

რუსული დიპლომატია არ მოელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და შექმნილ პირობებში ეძებდა გზებს მოეწესრიგებინა სადავო საკითხები სხვა ქვეყნებთან და პირველ რიგში, იაპონიასთან. პეტერბურგში ფიქრობდნენ, რომ იაპონიისათვის კორეაში გარკვეული დათმობები მის ნეიტრალიზებას გამოიწვევდა მანჯურიაში.

მოვლენების ასეთი განვითარების შედეგად რუსეთი რეალურად იზოლიაციაში დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანია ამ პერიოდში რუსეთთან ორმაგ თამაშს აწარმოებდა. იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა იაპონიასთან და, ამავე დროს, რუსეთს აქეზებდა მასთან ომისაკენ, ამ უკანასკნელს პირდებოდა რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან სტაბილურობის შენარჩუნებას. გერმანია დაინტერესებული იყო, რომ რუსეთი ჩაბმულიყო შორეულ აღმოსავლეთში. ეს კი ბერლინს საშუალებას მისცემდა თავს დასხმოდა საფრანგეთს.

რუსეთის მოკავშირე საფრანგეთს არ სურდა რუსული ჯარების გადასროლა რუსეთის დასავლეთ საზღვრებიდან ქვეყნის აღმოსავლეთში. პარიზში კარგად ესმოდათ, რომ ეს იყო გერმანიის ინტერესები. მაგრამ, რეალურად არაფერს აკეთებდა, რომ აღეკვეთა რუსეთ-იაპონიის მოახლოებული ომი ან დახმარებოდა პეტერბურგს.

რუსეთ-იაპონიის ომის გაჩაღებით დაინტერესებული გერმანია იაპონიის ხელისუფლებას სრულ ნეიტრალიტეტს ჰპირდებოდა.

რუსეთ-იაპონიას შორის ომის დაწყებით არანაკლებ დაინტერესებულნი იყვნენ ლონდონშიც. ინგლისი ამ დროს იაპონიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა, რადგან იაპონიის ხელისუფლებაში აზრ-

თა სხვადასხვაობა იყო რუსეთთან ურთიერთობის კუთხით. ვიდრე ლონდონში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, იაპონიაში მოხდა სახელისუფლებო ცვლილება. ქვეყნის სათავეში მოვიდა მილიტარისტულად განწყობილი ჯგუფი კაცურიის ხელმძღვანელობით. მან შეცვალა იტოს მთავრობა, რომელიც რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმების მომხრე იყო. იაპონიის ახალმა ხელისუფლებამ დიპლომატიური მანევრი განახორციელა. მან პეტერბურგში გაგზავნა ექს-პრემიერი. პეკინის ეს ნაბიჯი რამდენიმე მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა პირველი, დაერწმუნებინა პეტერბურგი, რომ მასთან დაპირისპირებას არ აპირებდა და მეორე, რუსეთთან მოლაპარაკებებით ზეწოლა მოეხდინა ინგლისზე, რომელიც ყოყმანობდა იაპონიასთნ შეთანხმების დადებას, თუმცა, კი იყო დაინტერესებული რუსეთ-იაპონიის ომით.

პეტერბურგმა იაპონურ მხარესთან მომგებიანი წინადადებების შეთავაზების მიუხედავად, მოლაპარაკებები უშედეგოდ დაასრულა. ინგლისი კი, რომელიც შიშობდა რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულების დადებას, საბოლოოდ წავიდა იაპონიასთან შეთანხმების მიღწევაზე.

1902 წლის 30 იანვარს ხელი მოეწერა ინგლის-იაპონიის შეთანხმებას. იგი ფაქტიურად წარმოადგენდა ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს შეთანხმება ასევე მიამრთული იყო გერმანიის და შეერთებული შტატების წინააღმდეგაც. მიღწეული შეთანხმებით განსაზღვრული იყო ჩინეთში გავლენის სფეროები და იაპონიის ინტერესები კორეაში.

ხელშეკრულებაში ხაზგასმული იყო, რომ დიდი ბრიტანეთის ან იაპონიის სხვა სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარე ინარჩუნებდა მკაცრ ნეიტრალიტეტს. მაგრამ, თუკი, რომელიმე სხვა სახელმწიფო მტრულად განწყობილ ქვეყანას შეუერთდებოდა, რომელსაც ომი ჰქონდა ხელშეკრულების ერთ-ერთ მონაწილესთან, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე ვალდებული იყო ომში ჩაბმულიყო. ეს ნიშნავდა, რომ თუკი რუსეთ-იაპონიის ომის შემთხვევაში,

საფრანგეთი ან რომელიმე სხვა სახელმწიფო გამოვიდოდა რუსეთის მხარეს, ინგლისი გამოვიდოდა იაპონიის მხარეს. მხარეები ასევე კისრულობდნენ ვალდებულებას მოკავშირესთან შეთანხმების გარეშე არ ეთანამშრომლათ სხვა სახელმწიფოსთან. თუკი დიდი ბრიტანეთის ან იაპონიის ინტერესებს საფრთხე დაემუქრებოდა, მხარეები ამის შესახებ ერთმანეთს შეატყობინებდნენ.

ეს ხელშეკრულება დაიდო ხუთი წლით. ამ შეთანხმების დადების შემდეგ, ლონდონმა მოლაპარაკებები დაიწყო პეტერბურგთან. ლონდონს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა აიძულა გერმანიის ფაქტორმა, რომელიც წლიდან წლამდე ძლიერდებოდა. სწორედ, ამ დროს გერმანიაში მიიღეს მეორე საზღვაო პროგრამა. ინგლისურ-გერმანული წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც საკმაო გავლენა ჰქონდა არა მარტო ინგლისის პოლიტიკაზე, არამედ ევროპაში არსებულ ვითარებაზე.

ლონდონ-პეტერბურგს შორის მოლაპარაკებები საკმაოდ დიდხანს და რთულად მიმდინარეობდა. შორეულ აღმოსავლეთში ინგლისი დაინტერესებული იყო, რომ რუსეთი არ წასულიყო უფრო ღრმად და არ გასულიყო მანჯურიის საზღვრებიდან. სანაცვლოდ, იგი რუსეთისგან მოითხოვდა დათმობას კავკასიასა და შუა აზიაში. თუმცა, პეტერბურგში თვილიდნენ, რომ არ მიეღოთ ლონდონის წინადადება ავღანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის და სპარსეთში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ, რასაც დაჟინებით ითხოვდა ინგლისური მხარე. ვიდრე მიმდინარეობდა რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებები, იაპონია რუსეთთან ომისათვის სერიოზულად ემზადებოდა. ტოკიოში არ სურდათ არსებული მომგებიანი სიტუაციის ხელიდან გაშვება.

7.3.2. ომის მიზეზები, მსვლელობა, შედეგები და გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე

რუსეთ-იაპონიის დაპირისპირების მიზეზები სათავეს იღებდა ორი სახელმწიფოს ინტერესთა კონფლიქტში შორეულ აღმოსავლეთში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ურთიერთობების გაუარესება წამყვან სახელმწიფოებთან და მათ შორის იაპონიასთან, განსაკუთრებით გამოვლინდა აღმოსავლეთ სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დროს. რუსეთს მსგავსი ნაბიჯი საშუალებას მისცემდა განსაკუთრებული მდგომარეობა მოეპოვებინა ჩინეთში და ხელში ჩაეგდო ქვეყნის გაუყინავი პორტები.

რუსეთის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და შეერთებული შტატების ჩარევამ ჩინეთის საქმეებში და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტმა განაპირობა ის, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ქვეყანაში აბსოლუტური უპირატესობის მოპოვება, თუმცა, გაამწვავა სიტუაცია რეგიონში.

იაპონიის მისწრაფებამ, დაეკავებინა კორეა და მანჯურია და ღრმად წასულიყო ქვეყნის შიგნით, გამოიწვია სხვა სახელმწიფოების და პირველ რიგში, რუსეთის უკმაყოფილება. სწრაფად რომ ჩამოეცილებინა კონკურენტი, იაპონია შეეცადა რაც შეიძლება მალე განემტკიცებინა პოზიციები რეგიონში, რისთვისაც მან მომგებიანი ომი აწარმოა ჩინეთთან და პარალელურად, ახალი ომისათვის მოემზადა რუსეთთან.

რუსეთს, თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, შორეულ აღმოსავლეთში უნდა შეეჩერებინა იაპონია, რომლის გაძლიერებული დამპყრობლური მადა უკვე სწვდებოდა არა მარტო კორეასა და ჩინეთს, არამედ ციმბირსაც. თუმცა, იმ ეტაპზე, რუსეთი მზად არ იყო ომისათვის. მან განსაკუთრებით დაუთმო იაპონიას ზღვაზე. პეტერბურგმა ვერ შეძლო ომის თავიდან აცილება, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაპონია ამ ომისათვის მოემზადა როგორც დიპლომატიურ ფრონტზე, ასევე საბრძოლო ველზე.

ომის წინ ტოკიომ პეტერბურგთან ფორმალური დიპლომატიური მოლაპარაკებები აღადგინა. მოლაპარაკებებზე იაპონიამ შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა: რუსეთმა აღიაროს მისი პროტექტორატი კორეაზე; თანხმობა მიეცა სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე კორეასა და სამხრეთ მანჯურიას შორის; მომხდარიო რუსეთ-იაპონიის უფლებების გათანაბრება მანჯურიაში.

არსებულ ვით რებაში, რუსეთმა თითქმის ყველა საკითხზე დათმობა ამჯობინა. თუმცა, 1903 წლის 23 დეკემბერს, მოულოდნელად ტოკიომ, აღნიშნულ მოთხოვნებს ულტიმატუმის სახე მისცა. მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგმა აღნიშნული მოთხოვნები მიიღო, იაპონიამ 1904 წლის 6 თებერვალს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ხოლო ორი დღის შემდეგ, იგი ომის გამოცხადების გარეშე თავს დაესხა რუსეთის საზღვრო სამხედრო ბაზას პორტ-არტურში, ჩემულპოში. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. ომის პირველ ეტაპზე იაპონელებმა წაამატაბა მოიპოვეს ზღვაზე და დესანტი გად ასხეს კორეაში, შეადეგ ალყა შემოარტყეს პორტ-არტურს.

იაპონიის სამხედრო წარმატებებმა და რუსეთის დამარახებამ რადიკალურად შეცვალა ვითარება შორეულ აღმასაალეაში და გამოამჟღავნა ინგლისის, შეერთებული შტატების, საფრანგათის და გერმანიის კონკრეტული მიზნები. ინგლისს და შეერთებულ შტატებს არ სურდათ იაპონიის კიდევ უფრო გაძლიერება და რუსეთის უფრო დასუსტება შორეული აღმოსავლეთის რეგიონში. ვინაიდან ეს მათ ინტერესებსაც საფრთხეს უქმნიდა. საფრანგეთი ს ერთოდ წინააღმდეგი იყო რუსეთის მსხვილი სამხედრო შენაერთების რეგიონში გადასროლის . აშკარა იყო, რომ ომი უნდა დასრულებულიყო.

რუსეთსა და იაპონიას შორის, შუამავლად გამოვიდა შეერთებული შტატების პდეზიდენტი თ. რუზველტი. ორივე მხარე თანახმა იყო მოლაპარაკების დაწყების. მიუხედავად იაპონიის წარმატებებისა ზღვაში და ხმელთზე, იგი განიცდიდა ეკონომიკურ და საფინანსო სირთულეებს. მისი სამხედრო-სტრატეგი-

ული რესურსები ამოწურვის ზღვარზე იყო. ტოკიო კარგად აცნობიერებდა, რომ ომის გაგრძელება მას უკვე აღარ შეეძლო.

რუსეთმა განიცადა მძიმე დანაკარგები, თუმცა მისი ეკონომიკური და საზღვაო რესურსები იაპონიისას ბევრად აღემატებოდა. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, პეტერბურგიც დაინტერესებული იყო მისი დასრულებით. ვინაიდან ქვეყანა ეკონომიკურ და შიდაპოლიტიკურ სირთულეებს განიცდიდა, ხოლო არმიას რეფორმირება სჭირდებოდა. ეს კი ფინანსებს მოითხოვდა. პეტერბურგს ზავი იმიტომაც სჭირდებოდა, რომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სიტუაცია იძაბებოდა. რუსეთი რევოლუციის ზღვარზე იმყოფებოდა.

1905 წლის 19 აგვისტოს დაიწყო რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებები შეერთებული შტატების წყნარი ოკეანაის სანაპიროზე არსებულ საკურორტო ქალაქ პორტმუსმუტში.

1905 წლის 5 სექტემბერს ხელი მოეწერა საზაო ხელშეკრულებას იგი შედგებოდა 15 მუხლისაგან. ხელშეკრულება ორ დამატებით მუხლსაც ითვალისწინებდა, რომელიც შეთანხმების მესამე და მეათე მუხლებს ეხებოდა.

ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა აღიარა იაპონიის ინტერესები კორეაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში. აიღო ვალდებულება, რომ არ ჩაერეოდა და ხელს არ შეუშლიდა იაპონიის ნებისმიერ მოქმედებას კორეაში. მხარეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ რუსეთ-კორეის საზღვარზე თავს შეიკავებდნენ რაიმე სახის სამხედრო მოქმედებებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის ან კორეის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას.

რუსეთმა და იაპონიამ ვალდებულება იტვირთეს, რომ გაიყვანდნენ ჯარებს მანჯურიიდან იმ ტერიტორიებიის ჩათვლით, რომელზეც ვრცელდება რუსული არენდა (ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე). ასევე, ჩინეთს ხელს არ შეუშლიდნენ ეწარმოებინა სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობა მანჯურიაში.

რუსეთმა იაპონიას თანმხვედრი ტერიტორიული წყლებით დაუთმო არენდა პორტ-არტურსა და ტალმენზე. უფრო მეტიც, ჩინეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშევე ტოკიოს გადასცა სარკინიგზო ხაზი, რომელიც პორტ-არტურს აკავშირებდა ჩანჩუმის.

იაპონიამ მიიღო სახალინის სამხრეთი ნაწილი. რუსეთმა სხვა დათმობებიც განახორციელა. კერძოდ, მანჯურიაში სარკინიგზო ხაზის გაერთიანების ექსპლუატაციის და მეთევზეობის შესახებაც.

ამრიგად, რუსეთი იაპონიასთან ომში დამარცხდა, რამაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტი მკვეთრად შეარყია. მას საერთაშორისო არენაზე მოჰყვა ძალთა ახალი გადაჯგუფება. ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებამ დასრულებული სახე მიიღო.

წამყვანი სახელმწიფოები გლობალური კონფლიქტისათვის ემზადებოდნენ. სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის, ურთიერთვალდებულების მატარებელი ხელშეკრულებების გაფორმების პარალელურად, ყველა მხარე საკუთარ შესაძლებლობებს ლოკალურ ომებში ცდიდა. სახელმწიფოები დაინტერესებულნი იყვნენ მათთვის მომგებიანი მდგომარეობა მოეპოვებინათ. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ცალკეულ რეგიონში, სადაც, რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ყველა მხარე ცდილობდა მისთვის მომგებიანი პოზიცია მოეპოვებინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი იყო. ვინაიდან არცერთი მხარე არ აპირებდა მის საზიანოდ რაიმეს დათმობას. ამგვარმა სიტუაციამ საერთაშორისო საზოგადოება არაერთხელ დააყენა ლოკალურ ომების თუ კრიზისების წინაშე, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე, ვინაიდან მათში კონცენტრიდებოდა ცალკეული სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი. ცალკეულ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება, უფრო აჩქარებდა ძალების გადაჯგუფებას კონტინეტზე. რუსეთ-იაპონიის ომის შედეგებმა კიდევ უფრო გა-

აძლიერა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის დაახლოების პროცესი. ეს კარგად გამოჩნდა მაროკოს კრიზისის დროს.

7.4. მაროკოს პირველი კრიზისი

გერმანულ-ფრანგული ანტაგონიზმის მკაფიო გამოვლინება იყო ე.წ. მაროკოს კრიზისი. მაროკოს საკითხის გამწვავებით გერმანიას სურდა საფრანგეთზე გავლენა მოეხდინა, რომ მას შეესუსტებინა კავშირები როგორც რუსეთთან, ასევე ინგლისთან. თუმცა, გერმანიის ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობებში აქტიური დიპლომატიური მანევრირების წარმოების პარალელურად, გერმანიამ გააგრძელა მცდელობები რუსეთთან კავშირის დადების თაობაზე. ამ გზით ბერლინს სურდა ხელი შეეშალა ანტანტასთან მისი დაახლოებისათვის და უზრუნველეყო თავისი აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოება. გერმანიის მხარის ინიციატივით, 1905 წლის ივლისში, ფინეთთან, კუნძულ ბიურკის ახლოს, მოხდა ორი იმპერატორის – ნიკოლოზ II და ვილჰემ II შეხვედრა, სადაც მონარქებმა ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულების პროექტს. თუმცა, რუსმა დიპლომატებმა თავისი გაიტანეს იმ მხრივ, რომ ხელშეკრულება ძალში შევიდოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას საფრანგეთი მიიღებდა. პრინციპში ეს პეტერბურგის უარი იყო ბერლინთან თანამშრომლობაზე. ამის მიზეზი იყო რუსეთის ხელისუფლებას შიში, რომ ეს გამოიწვევდა პარიზის და ლონდონის გაღიზიანებას, რაც გავლენას მოახდენდა ფრანგული და ინგლისური ინვესტიციების დაბანდებაზე რუსულ ეკონომიკაში. არადა, განსახილველ პერიოდში, რუსეთს მათი ფულადი საშუალებები განსაკუთრებით სჭირდებოდა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების აღდგენისათვის. ვინაიდან რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად, მისი პოტენციალი ადრინდელათან შედარებით დაბალი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ გერმანია რუსეთთან ასეთ ნაბიჯზე მაინც მიდიოდა რუსეთ–საფრანგეთს შორის არსებული ხელშეკრულების მიუხედავად. სხვათა შორის, პეტერბურგში, სხვადასხვა ჯგუფებს შორის საკმაო წინააღმდეგობა გამოიწვია გერმანულ-რუსულმა მოლაპარაკებებმა. ნიკოლოზ II იძულებული გახდა სასახლის გავლენიანი წრეების ზეწოლით უარი ეთქვა ამ მოლაპარაკებებზე. გერმანულ-რუსულ მოლაპარაკებებზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა პარიზმა. ყოველივე ამის გამო, ბერლინის მცდელობა რუსეთს დაახლოებოდა, უშედეგოდ დასრულდა.

ბერლინის მოქმედებების კვალდაკვალ, ფრანგული დიპლომატია ძალისხმევას აძლიერებდა, რომ მომხდარიყო ინგლის-რუსეთს შორის ხელშეკრულების დადება. სხვათა შორის, ამ პერიოდში, ლონდონშიც ჩნდება ინტერესი რუსეთთან დაახლოების. ვინაიდან საფრანგეთ-ინგლისს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას რუსეთის გარეშე საფუძველი არ ჰქონდა. თავის მხრივ, ინგლისი დაინტერესებული იყო მოეწესრიგებინა თავისი ურთიერთობები რუსეთთან, რისთვისაც გარკვეული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, ლონდონმა მონაწილეობა მიიღო იმ სესხის მიცემაში, რომელიც 1906 წელს რუსეთის ხელისუფლებას გადასცა ფრანგულმა ბანკებმა. რუსულ-ინგლისური ანტაგონიზმის შესუსტება განაპირობა გერმანიის აქტიურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ექსპანსიამაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ გარემოებებმა ხელი შეუწყო ბრიტანეთის და რუსეთის პოზიციების დაახლოებას მთელ რიგ რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებთან მიმართებით. თუმცა, წინანდელი წინააღმდეგობა ინგლისსა და რუსეთს შორის, შენარჩუნდა ავღანეთსა და შუა აზიაში.

რუსეთთან მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემდეგ, გერმანული დიპლომატია კონცენტრირდება ფრანგული მიმართულებით. იგი მაროკოს საქმეში ჩარევით შეეცადა გავლენა მოეხდინა საფრანგეთის ხელისუფლებაზე. გერმანულმა დიპლომატიამ დაიწყო ანტიფრანგული განწყობილების სტიმულირება მაროკოს

სამთავრობო გარემოცვაში სულთანზე გავლენის მოხდენის მიზნით. უფრო მეტიც, 1905 წლის მარტში, ვილჰემ II, რომელიც ჩავიდა ამ ქვეყანაში, საჯაროდ მოუწოდა ინგლისს და საფარანგეთს უარი ეთქვათ თავიანთ გარიგებაზე მაროკოსთან მიმართებით. გერმანიის იმპერატორს მხედველობაში ჰქონდა 1903 წელს საფრანგეთსა და ინგლის შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ასევე მაროკოს ეხებოდა. ცოტა მოგვიანებით, გერმანიის კანცლერი ბიულოვი, რომელიც თავის მხრივ გერმანიის კაიზერის აზრს ავითარებდა, წამოაყენა წინადადება მაროკოს საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კონფერენცია მოეწვიათ.

ცნობილია, რომ მადრიდის 1880 წლის კონვენციით დადგენილი იყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური თანასწორობა ამ ქვეყანაში. გერმანიის წინადადებით კონფერენციას უნდა დაედასტურებინა ის პრინციპები, რომელიც მოცემული იყო აღნიშნულ კონვენციაში და დაეშალა შექმნილი ფრანგულ-ინგლისური კავშირი. ბიულოვის წინადადებას თან სდევდა მუქარა ომის დაწყების შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუკი საფრანგეთი უარს იტყოდა კონფერენციის მოწვევაზე. გერმანულ-ფრანგული წინააღმდეგობების გაუარესების შედეგად წარმოქმნილმა სიტუაციამ მაროკოს საკითხის ირგვლივ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო „მაროკოს კრიზისის" სახელწოდება. აღნიშნული კრიზისი თითქმის ერთი წელი გაგრძელდა.

საბოლოოდ, გერმანიის დიპლომატიამ შეძლო თავისი გაეტანა და მოიწვიეს კონფერენცია. თავისთავად, ეს იყო ამ კრიზისის ფინალური აკორდი. კონფერენცია გაიხსნა 1906 წლის იანვარს ქალაქ ალხერისაში (ესპანეთი). კონფერენციაზე მიმდინარე კამათია საკმაოდ მწვავე იყო. გერმანიის მოლოდინი, რომ მოხდებოდა ანტანტის პოზიციების დასუსტება, არ გამართლდა. მან გამოავლინა გერმანიის საგარეო პოლიტიკური პოზიციის სისუსტე. ინგლისმა, იტალიამ, აშშ და რუსეთმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთს. მაშინ როდესაც გერმანიის ინტერესებს საკუ-

თრივ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი იცავდენენ. ასეთ პირობებში, გერმანიის მმართველმა წრეებმა ვერ გაბედეს სიტუაციის შემდგომი გამწვავება. მაროკოს გამო ომის დაწყება საკმაოდ არაპოპულალური იყო გერმანიაში.

ალხერისის კონფერენცია დასრულდა 1906 წლის 7 აპრილს. ხელი მოეწერა ტრაქტატს, რომელიც განსაზღვრავდა მაროკოს მდგომარეობას. დოკუმენტი ადასტურებდა მაროკოს სასულთნოს დამოუკიდებლობას და მთლიანობას. ასევე აღიარებდა ეკონომიკური შესაძლებლობების თანასწორობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის ან ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი ამ ქვეყანაში თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა. ტრაქტატი ასევე ითვალისწინებდა მაროკოს სახელმწიფო ბანკის შექმნას ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის და საფრანგეთის სახელმწიფო ბანკების მეთვალყურეობით. ალხესირის ტრაქტატითვე საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ახლად ჩამოყალიბებული მაროკოს პოლიციური ნაწილები და საბაჟო სამსახური. თუმცა, ფაქტიურად, ეს ფუნქცია ფრანგი და ესპანელი წარმომადგენლების ხელში მოექცა.

ამრიგად, მიუხედავად ორ პოლიტიკურ ბლოკს შორის ფორმალური კომპრომისისა, მაროკოს კრიზისი ანტანტის სასარგებლოდ გადაწყდა. გერმანიის გათვლა ჩავარდა. მისი მცდელობა რომ ამ კრიზისით იზოლაციაში აღმოჩენილიყო საფრანგეთი, არ გამართლდა, თავად გერმანია აღმოჩნდა იზოლაციის მსხვერპლი.

7.5. ანტანტის გაფართოება

აღნიშნული კონფერენციის შემდეგაც გაგრძელდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობების გაძლიერება სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. დაიწყო ორი ქვეყნის სამხედრო გენერალურ შტაბებს შორის მოლაპარაკებები. როგორც საფრანგეთი, ასევე ინგლისი დაინტერესებული იყო რუსული არმიის ბრძო-

ლის უნარიანობის გაძლიერებით. რუსეთის იაპონიასთან დამარცხება, 1905 წლის რევოლუცია და გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის გეგმები აიძულებდა ლონდონს რუსეთთან დაახლოება გაეძლიერებინა და პირიქით. სხვათ შორის, რუსეთ-ინგლისის დაახლოებას ხელი შეუწყო რუსეთში მომხდარმა საკადრო ცვლილებამ – თანამდებობა დატოვა ინგლისის პოლიტიკის მოწინააღმდეგე მინისტრმა ვ. ლამსდროფმა და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ინგლის-რუსეთის კავშირის მომხრე ა. იზვოლსკი.

ჯერ კიდევ ალხესირის კონფერენციაზე ინგლისის დიპლომატებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება რუსეთთან პოლიტიკური შეთანხმების დასადებად. ფაქტობრივად, ამ შეთანხმებას უნდა შეევსო ინგლის-საფრანგეთს შორის 1903 წელს დადებული კავშირი. ასეთი შეთანხმების მიღწევისათვის ნაბიჯი გადადგა ინგლისურმა მხარემ. კერძოდ, როცა მან შეასრულა შუამავლის ფუნქცია რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების მოწესრიგებისათვის. ინგლისი დაინტერესებული იყო აღმოსავლეთში რუსული საზღვრები უცვლელად დარჩენილიყო, რადგან საჭიროების შემთხვევაში რუსეთს, სრულად გამოეყენებინა მისი პოტენციალი გერმანიის წინააღმდეგ. ლონდონის დიპლომატიური ძალისხმევის და შუამდგომლობის შედეგად, 1907 წელს რუსეთ-იაპონიამ ხელი მოაწერეს პოლიტიკურ შეთანხმებას და თევზის რეწვასთან დაკავშირებულ ერთობლივ კონვენციას. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მხარეებმა გაიყვეს საკუთარი ინტერესების სფერო შორეულ აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, ამ შეთანხმებამდე, ადრე ხელი მოეწერა მსგავს ხელშეკრულებას საფრანგეთსა და იაპონიას შორის. ჩვენის აზრით, ეს ფაქტობრივად ნიშნავდა იაპონიის ანტანტაში ჩართვას.

ინგლისი კი რუსეთ-იაპონიის წინააღმდეგობის მოგვარების პარალელურად, აქტიურად ავითარებდა ორმხრივ ურთიერთობებს საკუთრივ იაპონიასთან. აღსდგა ინგლის-იაპონიის საზღვაო კავშირის ხელშეკრულება და იაპონიის საკავშირო ვალდებულებები უკვე გავრცელდა ინდოეთთან მიმართებითაც. იმ

შემთხვევაში, თუ მოხდებოდა რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმა ინდოეთზე, იაპონია ინგლისს დაუჭერდა მხარს და პირიქით, თავის მხრივ, ინგლისმა აღიარა იაპონიის პროტექორატი კორეაზე. ამრიგად, იაპონიასთან მიღწეული შეთანხმებით, ინგლისის დიპლომატიამ შეძლო საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა იგი გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგაც კი.

საფრანგეთის ძალისხმევით, რომელიც ცდილობდა რუსეთ-ინგლისის დაახლოებას და მათ შორის ხელშეკრულების დადებას, დაიწყო მოლაპარაკებები ლონდონსა და პეტერბურგს შორის. მათ შორის არსებული უნდობლობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ორივე სახელმწიფო საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დაახლოების გზებს ეძებდა. ინგლისი საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ ცდილობს ანალოგიური ხელშეკრულება დადოს რუსეთთან. ეს მას სჭირდებოდა გერმანიასათან მოახლოებული ომისა და აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცებისთვის. რუსეთის ინტერესები იყო ინგლისთან დაახლოება. ამ გარემოებებმა ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების ინტენსიფიკაციას, რომელიც ეხებოდა მათ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას შუა აღმოსავლეთში.

რუსეთის ანტანტასთან ორიენტაციის განმტკიცების შემდეგი ნაბიჯი გახდა 1907 წელს დადებული ინგლის-რუსეთის შეთანხმება. პეტერბურგში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუსეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იზვოლსკიმ და დიდი ბრიტანეთის მხრიდან ელჩმა ა. ნიკოლსონმა. იგი ეხებოდა სადავო საკითხების მოწესრიგებას ავღანეთში, ტიბეტსა და სპარსეთში. ეს უკანასკნელი გაიყო სამ ნაწილად. აქედან ჩრდილოეთი ზონა რუსეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული, სამხრეთ-აღმოსავლეთი–ინგლისის და შუა ნეიტრალურად გამოცხადდა. თითოეული მხარე ვალდებულებას ღებულობდა არ დაეშვა ეკონომიკური ან პოლიტიკური ხასიათის კონცესიები მეორე მხარის გავლენის ზონის საზღვრებში და არ შეეფერ-

ხებინა პარტნიორი კონცესიების საქმიანობა. ნეიტრალურ ზონაში თითოეული მხარე იტოვებდა კონცესიების ყოფნის უფლებას.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა სპარსეთის ხელისუფლების შემოსავლებზე კონტროლის უფლებას რუსულ და ინგლისურ ზონებში. მასში იგულისხმებოდა სპარსეთის სახელმწიფოს ფულადი სახსრების დაკავება რუსული სააღრიცხვო-საკრედიტო და ინგლისური შაჰინშაჰის ბანკების მიერ. თუმცა, ზომები იყო ასეთი კონტროლისათვის, გათვალისწინებული უნდა შეთანხმებულიყო მხარეებს შორის.

ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, რუსეთმა ავღანეთი აღიარა ინგლისის გავლენის სფეროს ნაწილად და აიღო ვალდებულება გამოეყენებინა ბრიტანეთი შუამავლად ამ ქვეყანასთან კონტაქტებისათვის. რაც შეეხება ტიბეტს, ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებულებას ღებულობდნენ არ დაერღვიათ მისი ტერიტორიული მთლიანობა და მასთან კონტაქტს დაამყარებდნენ მხოლოდ ჩინეთის ხელისუფლების მეშვეობით.

ფაქტობრივად, ინგლის-რუსეთის 1907 წლის შეთანხმებამ განამტკიცა ანტიგერმანული კოალიცია, რომელიც გახდა საფუძველი ე.წ. „სამთა თანხმობის" (სამთა ანტანტა). ეს იყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და რუსეთის შემადგენლობა, რომელმაც გამოვიდა გერმანიის მიერ შექმნილი „სამთა კავშირის" – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია - წინააღმდეგ. ამასთან ერთად, იტალია ფაქტობრივად ნეიტრალიზებული იქნა 1902 წლის საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებით, ხოლო იაპონია მიბმული აღმოჩნდა ინგლისთან, რუსეთსა და საფრანგეთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამრიგად, 1907 წლისათვის გერმანია აღმოჩნდა განსაზღვრულ საერთაშორისო პოლიტიკურ იზოლაციაში. იგი ინარჩუნებდა საკავშირო ურთიერთობებს მხოლოდ სუსტ ავსტრია-უნგრეთთან. ასეთ სიტუაციაში ანტანტის ყველა წევრის შეთანხმებამ იაპონიასთან საფრთხე შუქმნა გერმანიის ინტერესებს შორეული აღმოსავლეთის რეგიონში და უზრუნველყოფდა სამთა თანხმობის მონაწილე ქვეყნების უსაფრთხოებას.

ხელშეკრულებათა სისტემამ მაინც ვერ გადაწყვიტა ის წინააღმდეგობები, რომელიც არსებობდა მსოფლიო პოლიტიკაში. პირიქით, ხელი შეუწყო დაპირისპირებულ ბლოკებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესებას. თუმცა ანტანტის ფარგლებში შექმნილმა შეთანხმენის სისტემამ საბოლოოდ ვერ აღმოფხვრა ის წინააღმდეგობები, რომელიც არსებობდა ამ ბლოკის წევრებს შორისაც (განსაკუთრებით, ინგლისს და რუსეთს, იაპონიას და რუსეთს შორის), რამაც მოგვიანებით გერმანიას მისცა დიპლომატიური ბრძოლის მცდელობის საშუალება ჩამოეშორებინა რუსეთი ანტანტიდან, რაც ვერ მოახერხა.

ევროპის ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად გაყოფა, აშკარად მეტყველებდა, რომ მსოფლიო მიდიოდა ომისკენ. ფრონტის ერთ მხარეს ანტანტა (საფრანგეთ, ინგლისი, რუსეთი), ხოლო მეორე მხარეს სამთა კავშირი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი (ეს უკანასკენელი მოგვიანებით შეუერთდა მათ) იდგა.

7.6. ინგლისურ-გერმანული წინააღმდეგობის გამწვავება

ევროპაში ორი სამხედრო პოლიტიკური ბლოკის შექმნამ არა თუ აღმოფხვრა, ან შეანელა მანამადე არსებული სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობები, არამედ კიდევ უფრო გაზარდა. კონტინენტზე უფრო ფართო მასშტაბური ხასიათი მიიღო შეიარაღებულმა შეჯიბრმა. მხარეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მომგებიანი პოზიცია დაეკავებინათ მოახლოებული ომის პირობებში. ასეთ ფონზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ინგლის–გერმანიის წინააღმდეგობა, განსაკუთრებით, სამხედრო-საზღვაო ძალებში უპირატესობის მოპოვებისათვის. გერმანია შეუდგა ახალი ტიპის სამხედრო გემების „დრედნოუტის" ტიპის მშენებლობას, რათა გაეზარდა მისი სამხედრო საზღვაო ძლი-

ერება. ინგლისს ამ პერიოდში ორჯერ მეტი სამხედრო გემი ჰყავდა ვიდრე გერმანიას.

ინგლისის ყველა მცდელობა, რომ მოეხდინა სამხედრო შეაიარაღების შეზღუდვა ზღვაზე, გერმანიის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ ლონდონში გადაწყვიტეს თითო ახალი გერმანული სამხედრო ხომალდის გამოშვების სანაცვლოდ აეგოთ ორი ახალი სამხდერო გემი.

ორ სახელმწიფოს შორის ბრძოლა, მხოლოდ ზღვაზე უპირატესობის მოპოვებისათვის არ წარმოებდა. შესაბამისი მზადება მიმდინარეობდა ასევე, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. გერმანიამ გამოამჟღავნა ის გეგმები, რომელიც ითვალისწინებდა თავისი გავლენის ქვეშ თურქეთის ხელისუფლების მოქცევას. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიიღო კონცესია ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე. სულთანი თანახმა იყო ასეთი გავლენის გაძლიერების, რადგან ამ გზით ფიქრობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას ქვეყანაში.

პარალელურად, გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი ცდილობს რუსეთის გამოძევებას ბალკანეთიდან, კერძოდ, სერბიიდან და ბულგარეთიდან.

ამრიგად, ბერლინი და ვენა ისწრაფვიან ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში თავიანთი აბსოლუტური ბატონობის დამყარებას.

ბერლინ-ვენის მიზნები და მოქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს, რადგან იგი საფრთხეს უქმნიდა მის ბატონობას ინდოეთში. ამიტომ ლონდონი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბერლინის მოქმედებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ინგლისურმა ბანკებმა უარი განაცხადეს ბაღდადის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დაფინანსებაზე. ლონდონი აძლიერებს ზეწოლას სულთნის ხელისუფლებაზე მაკედონიის საკითხით, ანუ ისე გადაწყდებოდა მაკედონიის პრობლემა, რომ სულთანი ჩამოშორდებოდა მაკედონიის ხელისუფლებას. ამ საკითხში, სხვათა შორის, ინგლისი რუსეთის მხარდაჭერას ღებულობდა, მიუხედავად მათ შორის არსებული

წინააღმდეგობებისა. ამ და სხვა საკითხებზე მოლაპარაკებები რუსეთის იმპერატორს ნიკოლზ II და ინგლისის მეფე ედუარდ VII შორის მიმდინარეობდა 1908 წელს რეველში, გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ მხარებმა ყველა საერთაშორისო საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას. რუსეთ-იაპონიის ომში დასუსტება და რევოლუციური მოძრაობა ქვეყნაში რუსეთს აშინებდა პირდაპირ დაპირისპირებოდა გერმანიას. თუმცა, პეტერბურგი კი საკუთრივ დაინტერესებული იყო თავისი გავლენის გაძლიერებით ბალკანეთზე.

ამრიგად, ინგლისურ-გერმანული წინააღმდეგობა ნათლად აჩვენებდა, რომ მოახლოებულ გლობალურ კონფლიქტში მხარეები ცდილობდნენ მაქსიმალურად მომგებიან მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მიუხედავად კონტინენტის ორ ბლოკად გაყოფისა, დაპირისპირებული მხარეები ურთიერთობებს ბოლომდე არ წყვეტდნენ და ცდილობდნენ მეორე მხარესთან მომგებიანი შეთანხმება დაედო. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის ურთიერთობები.

7.7. რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობები და შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შეცვლის საკითხი ევროპულ პოლიტიკაში

ავსტრია-უნგრეთი სარგებლობდა რუსეთის გართულებული მდგომარეობით და ყოველწიურად აძლიერებდა თავის გავლენას ბალკანეთის ქვეყნებზე. მისი მიზანი იყო გაეფართოვებინა თავისი გავლენა რეგიონზე და გასულიყო ეგეოსის ზღვაზე.

1908 წლის დასაწყისში, ცნობილი გახდა იმ პროექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა რკინიგზის ხაზის მშენებლობას სალონიკისკენ. ცხადი იყო, რომ ავსტრია-უნგრეთის გაძლიერება, საბოლოოდ დასრულდებოდა მაკედონიის მიტაცებით. ასეთ პირობებში რუსეთი პასიურ პოზიციას ვეღარ დაიჭერდა. პეტერბურგში თვილიდნენ, რომ აუცილებელი იყო ინგლისთან

ხელშეკრულების დადება ერთობლივი მოქმედების შესახებ და იმ თავდაცვითი პოლიტიკის დასრულება, რომელსაც რუსეთი ბოლო წლებში ატარებდა ქვეყანაში. თუმცა, მინისტრთა კაბინეტში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო.

რუსეთი, რომელიც ცდილობდა სერბებისათვის დახმარებას, რათა თავი დაეღწიათ ავსტრია-უნგრეთის გავლენისაგან, გამოვიდა წინადადებით დუნაიდან ადრიატიკის ზღვის სანაპირომდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ. რაც მათ ადრიატიკის ზღვის პორტებთან გასვლის საშუალებას მისცემდა. ვენა ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა, რადგა ეს ავსტრიისათვის არ იქნებოდა მომგებიანი. სამაგიეროდ, ინგლისი თანახმა გახდა მხარი დაეჭირა ამ პროექტისათვის, თუკი რუსეთი მხარს დაუჭერდა ლონდონს მაკედონიაში რეფორმების გატარებაში.

სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე გავლენა მოახდინა იმ მოვლენებმა, რომელიც ამ პერიოდში თურქეთში მოხდა. კერძოდ, პროინგლისური ორიენტაციის ოფიცრის ქემალ-ფაშას აჯანყების შედეგად, ის გახდა პირველი ვეზირი და მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია. თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი პროგერმანულიდან პროინგლისურად შეიცვალა.

საკუთარი გეგმების მქონე ავსტრია-უნგრეთი, ცდილობს რუსეთთან დაახლოებას. ვენაში თვლიდნენ, რომ თუკი ავსტრია-უნგრეთი მხარს დაუჭერდა შავი ზღვის ყურეების რეჟიმის შეცვლას, მაშინ რუსეთი, სანაცვლოდ მხარს დაუჭერდა ავსტრიასთან ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთების საკითხს. 1908 წლის სექტემბერში, ამ საკითხზე, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღწეული იქნა შეთანხმება ავსტრიის ციხე-სიმაგრეში ბუხლაუში. შეთანხმების დადების შემდეგ, აქედან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი გაემართა პარიზსა და ლონდონში, რათა თანხმობა მიეღო ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებისაგანაც.

ბუხლაუს შეთანხმება წინასწარ ხასიათს ატარებდა და მოითხოვდა კიდევ ღრმა განხილვას. თუმცა, 1908 წლის 6 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა ხელი მოაწერა რესკრიპტს, რითაც გამოცხადდა ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსია. არც იზვოლსკის ლონდონურ და პარიზულ ვოიაჟს მოჰყვა სასურველი შედეგი პეტერბურგისათვის. მართალია, პარიზში რუსეთის წინადადებას დადებითად გამოეხმაურნენ და მხარდაჭერა აღუთქვეს, მაგრამ რეალურად არაფერი გაუკეთებიათ რუსთის მხარდასაჭერად. უფრო მეტიც, ლონდონში პირდაპირ განაცხადეს, რომ ამჟამად ისინი ვერ ხედავენ საჭიროებას ყურეების სტატუსის საკითხის გადახედვის თაობაზე. ამის მიუხედავდ, ინგლისს არ სურდა ვენის პოზიციების გაძლიერება ბალკანეთში. მართალია, ლონდონმა ვენას აცნობა, რომ წინააღმდეგია ბერლინის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შეცვლისა, მასზე ხელმომწერი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე მეორეს მხრივ, ლონდონმა, პეტერბურგს მხარი დაუჭირა ბერლინის კონგრესის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევის წინადადებაზე ის იმედოვნებდა, რომ განიხილავდნენ ავსტრია-უნგრეთის მოქმედებას ბალკანეთში.

ამრიგად, რუსული დიპლომატიის მცდელობა, გადაეხედათ შავი ზღვის სრუტეების რეჟიმისათვის, ავსტრის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიის სანაცვლოდ, უშედეგოდ დასრულდ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში არ შესუსტებულა ავსტრი-უნგრეთის და რუსეთის წინააღმდეგობები რეგიონში.

7.8. გერმანიის მიერ ანტანტის დაშლის მცდელობა

1910-1911 წლებში გერმანული დიპლომატია, რომელმაც გამოიყენა ინგლისურ-რუსული წინააღმდეგობები სპარსეთში, შეეცადა დაეშლა ანტანტის ბანაკი. 1910 წლის ბოლოს ნიკოლოზ II და ვილჰემ II შეხვედრის დროს პოტსდამში, კანცლერმა ბეტ-

მან-ჰოლვეგიმ და საგარეო საქმეებში სახელმწიფო მდივანმა კი-დერლენ-ვეხტერიმ მოლაპარაკება გამართეს რუსეთის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრთან საზონოვთან. გერმანია შეეცადა დაერწმუნებინა რუსეთი მეგობრულ ურთიერთობებში. გერმანია თითქოსდა პირობას დებდა, რომ აღარ გააგრძელებდა ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკის მხარდაჭერას ბალკანეთში. უფრო მეტიც, გერმანიის მხარის მიერ თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პროექტიც კი იქნა მომზადებული. დამახასიათებლი იყო, რომ გარდა იმ საკითხებისა, რომელიც დაკავშირებული იყო ბაღდადის სარკნიგზო ხაზის მშენებლობასთან, ხელშეკრულების პროექტში მოცემული იყო პუნქტი, რომელიც ორივე მხარეს ავალდებულებდა არ მიეღოთ რაიმე მტრულად განწყობილ ბლოკებში მონაწილეობა, რომელიც მიმართული იქნებოდა რომელიმე მათგანის წინააღმდეგ. არსებითად კი, ეს ნიშნავდა რუსეთის ანტანტიდან გამოსვლას. ასევე გერმანიის მთავრობამ რუსეთს შესთავაზა წინადადება, რომ იგი აღიარებდა ჩრდილოეთ ირანს რუსეთის გავლენის სფეროდ.

ამრიგად, გერმანიას ამ ყველაფრით სურდა მიეღწია, რომ რუსეთს არ დაებრკოლებინა მაგისტრალის მშენებლობა ბაღდადიდან ჰანეკენისკენ, რომელიც მდებარეობდა ირან-თურქეთის საზღვარზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ორივე მხარეს აეღო ვალდებულება არ შესულიყვნენ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ბანაკებში.

რუსეთის ხელისუფლება დროის მოგებას ცდილობდა გადაიარაღებისათვის და ამიტომ სურდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა გერმანიასთან. თუმცა, ხელშეკრულების შემოთავაზებული ვარიანტი არსებითად ნიშნავდა ინგლისთან კავშირის გაწყვეტას, რაც საბოლოო ჯამში არ შედიოდა რუსეთის გეგმებში. შეთანხმებამ, რომელმაც პოტსდამიის სახელწოდება მიიღო, რუსეთის მხრივ 1911 წელს ხელმოწრილი იქნა საზონოვის მიერ, თუმცა შეცვლილი ვარიანტით (იგი ეხებოდა მხოლოდ თურქეთის და სპარსეთის საკითხებს; ხოლო ის პუნქტი, რომელიც ეხებოდა რუსეთის და გერმანიის ვალდებულებას მონაწილეობა,

არ მიეღოთ ერთმანეთის მტრულად განწყობილ ბანაკებში მონაწილეობა ამოღებულ იქნა). გერმანიის დიპლომატიის მცდელობამ ამჯერადაც ვერ მიაღწია წარმატებას. ასეთ შემთხვევაში, გერმანიამ ახლა ისევ საფრანგეთზე მოსინჯა გავლენის მოხდენა. ამისათვის მან მაროკოს მეორე კრიზისის გამოყენება სცადა.

7.9 მაროკოს მეორე კრიზისი

აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთის მონაცვლეობით ვითარდებოდა კრიზისები ბალკანეთსა და მაროკოში. ამ კონფლიქტებში აშკარად იკვეთებოდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესები.

ამჯერადაც, გერმანია-საფრანგეთის ინტერესთა კომფლიქტმა, როგორც პირველი კრიზისის დროს, გამოიწვია მაროკოს საკითხის გააქტიურება ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში. გერმანია ვერ გუობდა მაროკოში პარიზის პოზიციების განმტკიცებას. მორიგი კრიზისის გამწვავებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ 1908 წლის აგვისტოში, მაროკოში უწესრიგობის დროს, რომელიც გამოიწვია სულთან მულაი-გაფიდას მკვლელობამ მისი ძმის მიერ, დაიღუპნენ საფრანგეთის მოქალაქეები. ეს ფაქტი კარგად გამოიყენა ფრანგულმა მხარემ და მოახდინა ალჟირის მოსაზღვრე პორტის კასაბლანკას ოკუპაცია.

ბერლინმა ამ ფაქტზე დაუყონებლივ მოახდინა რეაგირება. თუმცა, იმ ეტაპზე არავინ არ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები მაროკოს გარშემო, რომ არ გამწვავებულიყო მორიგი კრიზისი ბალკანეთში.

კერძოდ, ვენის დამპყრობლურმა პოლიტიკამ ბალკანეთში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია სერბულ მოსახლეობაში. ეს უკანასკნელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ანტიავსტრიული განწყობილებით. რუსეთში საზოგადოებრივი აზრი სერბების მხარეზე იყო. ვენაში საჭიროდ ჩათვალეს, რომ ასეთ შემთხვევაში

რუსეთზე ზემოქმდებისათვის გამოეყენებინათ თავისი მოკავშირის გერმანიის გავლენა.

1909 წლის მარტში პეტერბურგში გერმანიის ელჩმა პურტალემ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იზვოლსკის გადასცა ნოტა, რომელიც ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა. ბერლინი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე პასუხს ითხოვდა პეტერბურგისაგან სერბეთის გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ე.ი. უჭერდა თუ არა მხარს რუსეთი სერბებს, რომლებიც არ სცნობდნენ ვენის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიას. თუკი რუსეთი გადაწყვეტდა, რომ მხარი დაეჭირა სერბებისათვის, მაშინ გერმანია ავსტრია-უნგრეთს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემდა ბალკანეთში. ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, ავსტრია-უნგრეთს და სერბეთს შორის ომს ნიშნავდა. ნიკოლოზ II ვილჰემ II აცნობა, რომ ის ღებულობდა გერმანული მხარის პირობას. რამდენიმე დღის შემდეგ სერბეთიც დაეთანხმა ავსტრიის ანექსიას. ფაქტია, რომ რუსეთმა ადვილად დაუთმო გერმანიას. საინტერესოა, თუ ვინ დარჩა ამ ნაბიჯით გამარჯვებული.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იაპონიასთან ომის შემდეგ, რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის სრულყოფილი აღდგენა იგი არ იყო მზად ახალი ომისთვის. ამიტომ პეტერბურგმა დათმობა ამჯობინა. რაც შეეხება საკითხს თუ ვინ დარჩა მოგებული, მართალია, რუსეთმა ამ ნაბიჯით მორალური მარცხი განიცადა, მაგრამ ბერლინმა ვერ შეძლო შეერყია ბალკანეთში რუსეთის ავტორიტეტი. გერმანიამ ვერც ანტანტისაგან რუსეთის ჩამოცილება მოახერხა. ბერლინის მოქმედებებმა ბალკანეთში კიდევ უფრო გაამწვავა ინგლის-გერმანიის ურთიერთობები და მნიშვნელოვანად გააფუჭა რუსეთ-გერმანიის კავშირი. ამრიგად, გერმანია კვლავ აღმოჩნდა პოლიტიკურ იზოლაციაში. ეს მაროკოს მეორე კრიზის დროსაც გამოჩნდა.

მაროკოს გარშემო სიტუაცია კვლავ დაიძაბა და იგი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. კერძოდ, 1911 წელს

ისევ გამწვავდა მაროკოს კრიზისი, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში. გაზაფხულზე მაროკოს დედაქალაქ ფეცის ერთ-ერთ რაიონში მოხდა აჯანყება და საფრანგეთის არმიამ მოსახლეობის აჯანყების საბაბით იგი დაიკავა. მაროკო კი საფრანგეთის კოლონიად გადაიქცა. გერმანია ყურადღებით აკვირდებოდა რეგიონში მოვლენების განვითარებას, რაზეც დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. ბერლინში გადაწყვიტეს, რომ საფრანგეთისათვის მოეთხოვათ მაროკოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ან სანაცვლოდ მიეღოთ სხვაგან კომპენსაცია. შემდეგ გერმანიამ რატომღაც გადაიფიქრა მსგავსი სცენარით მოქმედება და საპასუხოდ განახორციელა საკუთარი სამხედრო მოქმედებები მაროკოში.

1911 წლის 1 ივლისს გერმანიის სამხედრო ხომალდმა „პანტერამ" გაუკეთა მაროკოს ჰავანას – აგადირას და მაგოდარას. ამგვარი ქმედების სანაცვლოდ, გერმანიის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ საფრანგეთის მხრიდან მიიღებდნენ მსხვილ კომპენსაციას. ბერლინმა პარიზზე გავლენის მოხდენისათვის, მაროკოს ზღვის სანაპიროებისკენ მსუბუქი კრეისერებიც გაგზავნა. გერმანელ და ფრანგ დიპლომატებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ ანტანტამ ისევ გამოავლინა სიცოცხლისუნარიანობა. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ არ დაუშვებდა გერმანიის პოზიციების გაძლიერებას მაროკოში და მზად იყო საფრანგეთის მხარდამხარ ებრძოლა. პარალელურად, ლონდონმა მიიღო ზომები და სამხედრო ხომალდები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა.

მოვლენების ასეთი განვითარების ფონზე, გერმანიამაც ვერ გაბედა ომის დაწყება. მისი ფლოტი არ იყო საკმარისად ძლიერი, რომ ჩაბმულიყო ბრძოლაში ინგლისელებთან.

მაროკოს გარშემო მხარეებს შორის ხანგრძლივი და გაჭიანურებული მოლაპარაკებები დასრულდა 1911 წლის ნოემბრის შეთანხმებით. რომლის მიხედვით გერმანიის ხელისუფლებამ სცნო საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე, სანაცვლოდ კი მიიღო კონგოს ნაწილი, რომელსაც საფრანგეთი აკონტრო-

ლებდა და იგი მდებარეობდა გერმანიის კოლონიის კამერუნის ახლოს.

მაროკოს კრიზისმა კიდევ უფრო გაართულა ურთიერთობები საფრანგეთ–გერმანია და ერმანია–ინგლისს შორის. ინგლისსა და საფრანგეთში გაიზარდა ანტიგერმანული განწყობილება.

ინგლისურ–გერმანული ურთიერთობების გამწვავებისა მიუხედავად 1912 წლის თებერვალში ინგლისის სამხედრო მინისტრი ჰოლდენი მოულოდნელად ბერლინში ჩავიდა. ამ ვიზიტმა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, რუსეთსა და საფრანგეთში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. რომ ეს ვიზიტი ინიცირებული იყო ლონდონის მიერ და მიზნად ისახავდა, პირველი, რომ დაეწყნარებინა საზოგადოების ის მცირე ნაწილი, რომლის აზრი გერმანიის სასარგებლოდ იყო მომართული ქვეყანაში, და მეორე, დაემალა ლონდონის ჭეშმარიტი გეგმები და განზრახვები. მთლიანობაში ამ ვიზიტის მიზანი იყო დაეწია გავარვარებული სამხედრო-პოლიტიკური ტემპერატურა ევროპაში. გათვალისწინებული იყო რომ ბერლინში ვიზიტად გამგზავრებულიყო ე. გრეი, მაგრამ ლონდონში ჩათვალეს, რომ პარტნიორების მიერ ეს აღიქმებოდა ინგლისის პოლიტიკის შეცვლად. გრეიმ, უფრო ადრე გააფრთხილა პარიზი, რომ ეს ვიზიტი არავითარ შემთხვევაში არ შეცვლიდა ინგლისის საგარეო პოლიტიკურ კურსს და ბერლინში არ დაიდებოდა არანაირი შეთანხმება. ბერლინში კი სხვანაირად ფიქრობდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეტმან-ჰოლვეგი ცდილობდა გამოეყენებინა მოლაპარაკების პროცესი ჰოლდენთან და აღმოეფხვრა უნდობლობა, ერთი მხრივ, გერმანიასა და ინგლისს, ხოლო, მეორე მხრივ გერმანიასა და საფრანგეთ-რუსეთს შორის. მან ვიზიტის დროს შესთავაზა ინგლისურ მხარეს დაედოთ შეთანხმება ნეიტრალიტეტის შესახებ თუნდაც იმ შემთხვევისათვის, თუ ერთ-ერთი ხელისმომწერი მხარე ჩათრეული აღმოჩნდებოდა ომში. მაგრამ ლონდონს არ სურდა წერილობით დაფიქსირებულიყო თითოეუ-

ლი მხარის მიერ რაიმე ვალდებულების აღება, მეორე მხარეზე თავდასხმაში მონაწილეობის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

ამდენად, მხარეებს შორის ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულება არ დადებულა. უშედეგოდ დასრულდა მოლაპარაკება სახაზო გემების მშენებლობის შეწყვეტის შესახებაც. ბერლინში ჰოლდენის ვიზიტმა დაადასტურა, რომ ინგლისი და გერმანია სხვადასხვა პოზიციებზე იდგენენ, რომელთა დაახლოება შეუძლებელი იყო. გერმანიას და ინგლისს შორის არსებული დაპირისპირება აშკარად მეტყველებდა ანტანტას დ სამთა კავშირს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. შექმნილი საერთაშორისო სიტუაცის გამოყენება რომმა საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის გამოიყენა.

7.10. იტალია-თუქეთის ომი

ევროპაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაუარესების კვალდაკვალ წინააღმდეგობები არ ცხრებოდა ახლო აღმოსავლეთში.

ამ დროის განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობების გაუარესებამ სასურველი პირობები შეუქმნა იტალიას აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის. 1911 წლის სექტემბერში იტალიამ თურქეთს, რომელიც ამ დროს ღრმა შიდა პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, ულტიმატუმი წაუყენა და დაიწყო ომი მის წინააღმდეგ.

იტალიის მოქმედების მიზანი ორი აფრიკული პროვინციის – ტრიპოლისა და კირენეიკის მიტაცება იყო. სამთა კავშირმა და ანტანტამ, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ იტალიასთან კავშირით, ხელი არ შეუშალეს მისი გეგმების განხორციელებას.

1911 წლის სექტემბერში თურქეთსა და იტალიას შორის დაწყებული ომი დამთავრდა თურქეთის დამარცხებით. 1912 წლის 15 ოქტომბერს ლოზანაში მხარეებს შორის ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით სულთანმა იტა-

ლიას გადასცა ზემოთ ხსენებული ორი პროვინცია. ასე რომ, იტალიამ მიიღო ახალი კოლონია – ლიბია.

იტალია–თურქეთს შორის ომი და თურქეთის დამარცხება გამოიყენა რუსეთმა და ოქტომბერში, კონსტანტინეპოლში მისი ელჩის ჩარიკოვის ხელით თურქეთის დიდ ვეზირს საიდი ფაშას გადასცა ორ ქვეყანას შორის შეთანხმების პროექტი. რუსეთი იმედოვნებდა, რომ თურქეთის ხელისუფლებისაგან მიიღებდა რუსული სამხედრო გემების ყურეებში თავისუფლად გატარების შესახებ თანხმობას. ვეზირმა პასუხი გააჭიანურა. ხოლო ლონდონმა და პარიზმა მოკრძალებული ფორმით რუსეთის წინადადებაზე საერთოდ უარი თქვეს. პეტერბურგს სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ ჩარიკოვი გამოეწვია.

ყურეების საკითხთან დაკავშირებით მანამდე რუსეთმა მანამდე ავსტრია–უნგრეთთან სცადა გარიგება, მაგრამ ვერც პარიზიდან და ვერც ლონდონიდან მან ამ საკითხში შესაბამისი მხარდაჭერა ვერ მიიღო. ამჯერად, რუსეთს ამ საკითხის გადაწყვეტის იმედი იმიტომაც ჰქონდა, რომ 1909 წელს იტალიასთან დადო შეთანხმება ბალკანეთში სტატუს ქვოს შენარჩუნების თაობაზე. შეთანხმება ითვალისწინებდა მხარეების ერთობლივ მოქმედებას არსებული სიტუაციის დარღვევის წინააღმდეგ.

1909 წლის 24 ოქტომბერს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იზვოლსკიმ და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტონიმ. მინისტრები ხუთ პუნქტზე შეთანხმდნენ. კერძოდ, ბალკანეთში სტატუს ქვოს შენარჩუნება, დიპლომატიური ზომებით ერთობლივ მოქმედებაზე რეგიონში უცხო ძალების გაბატონების წინააღმდეგ და აღმოსავლეთ ევროპის მესამე ქვეყანასთან ახალი შეთანხმებების დადება უნდა მომხდარიყო მხოლოდ ხელმომწერ მხარესთან შეთანხმების შემდეგ.

იტალიამ აიღო ვალდებულება, რომ მას ექნებოდა დადებითი დამოკიდებულება რუსეთის ყურეებთან დაკავშირებულ ინტერესებთან, ხოლო რუსეთმა–იტალიის ინტერესებზე ტრიპოლისა და კირენეიკაში.

ამრიგად, იტალიამ შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გარკვეული მოგება მიიღო. სამთა კავშირის და ანტანტის დაპირისპირება მას მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის.

თავი VIII

ბალკანური ომების გავლენა ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებზე

8.1. ორი მტრული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის პოლიტიკა ბალკანეთში და პირველი ბალკანური ომი

ბალკანეთში შექმნილი ვითარება, ავსტრია-უნგრეთის აგრესიული მოქმედება და იტალია-თურქეთის ომი აიძულებდა ბალკანეთის სახელმწიფოებს შეექმნათ ანტითურქული კავშირი.

თურქეთის იტალიასთან ომში დამარცხება იყო ამ ქვეყნის სისუსტის ერთ-ერთი მანიშნებელი, რომელმაც სტიმული მისცა ბალკანეთის ქვეყნებს გაეაქტიურებინათ საგარეო პოლიტიკური კურსი. მათვე ჰქონდათ მისწრაფება გაეფართოვებინათ საკუთარი ტერიტორიული სამფლობელო ოსმალეთის იმპერიის ევროპული სამფლობელოს ხარჯზე.

თურქეთის დამარცხებამ ასევე სტიმული მისცა წამყვან სახელმწიფოებს გაეაქტიურებინათ საკუთარი პოლიტიკა ბალკანეთში. ეს პოლიტიკა ძირითადად მიმართული იყო მტრულად განწყობილ ბლოკებში ახალი მოკავშირეების ჩართვით.

ანტანტის წევრ-სახელმწიფოთა გავლენით ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებმა დაიწყეს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჩამოყალიბება. იგი ძირითადად მიმართული იყო თურქეთის წინააღმდეგ. განსაკუთრებული როლი ბალკანური ბლოკის ჩამოყალიბებაში მიიღო რუსეთმა. ეს უკანასკნელი, ტრადიციულად კარგად იყენებდა მის ავტორიტეტს ამ ქვეყნებში და ცდილობდა მოცემული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი გამოეყენებინა არა მარტო თურქეთის, არამედ ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის წინააღმდეგაც კი.

ბალკანურ ქვეყნებს შორის, ბულგარეთი და საბერძნეთი ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ თურქეთზე გამარჯვებით,

რადგანაც მათი ქვეყნების სრულად გათავისუფლების შემდეგ შესაძლებლი იქნებოდა საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელება. სერბეთი კი მიზნად ისახავდა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც მუდმივად უქმნიდა საფრთხეს და ცდილობდა მოეპოვებინა ზღვაზე გასასვლელი.

1911 წლის აპრილში, სერბეთის ინიციატივით დაიწყო ბალკანური ბლოკის ჩამოყალიბებაზე მოლაპარაკებები. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მოლოვანოვიჩმა ბულგარეთის ხელმძღვანელობას შესთავაზა დაედოთ შეთანხმება მაკედონიაში გავლენის სფეროების გამიჯვნის შესახებ. სერბეთის მმართველი წრეების აზრით, მოცემული შეთანხმება შეიძლება გამხდარიყო საფუძველი ორი ქვეყნის ერთობლივი მოქმედებისაც თურქეთის წინააღმდეგ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მთლიანობაში მოიწონა სერბეთ-ბულგარეთის ბლოკის შექმნის იდეა, ვინაიდან მასში დაინახა ბევრად მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა ბულგარეთთან და ამ ქვეყნის ჩამოშორებას ავსტრია-გერმანიის ბლოკიდან. საფრანგეთის მთავრობამაც დადებითად შეაფასა სერბეთის მოქმედებები.

არც ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის იყო აზრთა ერთიანობა. სერბეთი გამოდიოდა მაკედონიის გაყოფის წინადადებით, ხოლო ბულგარეთი მოითხოვდა მის შეერთებას. მოლაპარაკებები გაჭიანურდა. საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში ბულგარეთი და სერბეთი საბოლოოდ შეთანხმდნენ და 1912 წლის 13 მარტს ხელი მოეწერა სერბეთ-ბულგარეთის კავშირის ხელშეკრულებას. იგი შედგებოდა შვიდი მუხლის და საიდუმლო ნაწილისაგან.

ხელშეკრულების თანახმად, მხარეები საკუთარი ტერიტორიების მთლიანობის და ჩაურევლობის შესახებ გარანტიას აძლევდნენ ერთმანეთს, ვალდებულებას ღებულობდნენ დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში.

ხელშეკრულებას თან ახლდა საიდუმლო დანართი, რომელიც ითვალისწინებდა აქტიურ მოქმედებას ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ (რუსეთის თანხმობით) იმ შემთხვევაში, თუკი ამ ქვეყანაში შეიქმნებოდა შიდა და საგარეო პოლიტიკური პრობლემები და რომელიც დაარღვევდა სტატუს ქვოს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. დანართი ასევე შეიცავდა იმ ტერიტორიების სასურველი დაყოფის ჩამონათვალს, რომელიც იგეგმებოდა რომ წაერთვათ თურქეთისათვის. ასევე, ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამხედრო კონვენციის დადებას.

ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ორი თვის შემდეგ, 1912 წლის მაისში სერბეთმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციას. იგი აწესრიგებდა ორი სახელმწიფოს მოქმედებებს ავსტრიასა და თურქეთთან ომის შემთხვევაში. იმავე წლის აგვისტოსა და სექტემბერში, სერბეთის და ბულგარეთის გენერალურ შტაბებს შორის დაიდო შეთანხმება. მართალია, მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ.

პარალელურად, ბულგარეთი და სერბეთი მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ საბერძნეთსა და ჩერნოგორიასთან. შეთანხმების მიხედვით სერბეთს გამოჰყავდა 150 ათასიანი არმია, ხოლო ბულგარეთს 200 ათასიანი.

პრაქტიკულად, სერბულ-ბულგარული მოლაპარაკების პარალელურად მიმდინარეობდა საბერძნეთ-ბულგარეთის მოლაპარაკებებიც. იგი დასრულდა 1912 წლის მაისში საკავშირო ხელშეკრულების დადებით.

ხელშეკრულების თანახმად მხარეები ვალდებულებას ღებულობდნენ სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის თურქეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. ან კიდევ, თუკი თურქები დაარღვევდნენ მათ უფლებებს, რომელიც გამომდინარეობდა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და მთლიანობაში, საერთაშორისო სამართლიდან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეთა ურთიერთთანხმობას ზავის დადების თა-

ობაზე თურქეთთან. აღნიშნული ხელშეკრულება საიდუმლო ხასიათს ატარებდა.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, თურქეთის წინააღმდეგ ომში ბალკანური ქვეყნების გამოსვლის პირობა, რომელიც აღნიშნულია სერბულ-ბულგარულ და საბერძნეთ-ბულგარეთის ხელშეკრულებებში, საკმაოდ ცხადად იყო აღნიშნული, ვინაიდან ფაქტიურად, უშვებდა შეუზღუდავ არჩევანს ომის დაწყებისათვის.

ბალკანური ბლოკის შექმნაში აქტიურად მონაწილე რუსეთი და საფრანგეთი მიიჩნევდნენ, რომ საკმაოდ მკაცრად გაეკონტროლებინათ სიტუაცია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. თუმცა, სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

1912 წლის 9 ოქტომბერს ჩერნიგორიის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა ხელი შეუწყო პირველი ბალკანური ომის დაწყებას. რამდენიმე დღის შემდეგ ბალკანური ბლოკის მონაწილე ქვეყნებმა – სერბეთმა, ბულგარეთმა და საბერძნეთმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთის არმიამ სასტიკი დამარცხება განიცადა.

ბლოკის ჯარებმა დაიკავეს იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც თურქეთს ევროპის კონტინენტზე ეკუთვნოდა.

ბულგარეთის არმია კონსტანტინეპოლს მიუახლოვდა. ასეთ პირობებში, თურქეთის ხელისუფლებამ შეაფასა რა სიტუაცია, 1912 წლის 3 ნოემბერს მიმართა წამყვან სახელმწიფოებს და თხოვა საზავო მოლაპარაკების შუამავლობის დაწყება სამხრეთ სლავების სახელმწიფოებთან და საბერძნეთთან. ამ წინადადებას იმთავითვე გამოეხმაურა რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებსაც ბალკანური ქვეყნების წარმატებები უკვე აფრთხობდათ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ამას მოჰყვებოდა ძალთა განლაგების ცვლილება ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, რაც ბუნებრივია, მათ სახელმწიფო ინტერესებში არ შედიოდა. ვენამ, ბალკანური სახელმწიფოების წარამტებების კვალობაზე, გააძლიერა სამხედრო ნაწილები და ქვეყანაში ნაწილობრივ მობილიზაციაც კი გამოაცხადა.

რუსეთი გამოვიდა წინადადებით და მოუწოდა მებრძოლ მხარეებს მოწვეულიყო საერთაშორისო კონფერენცია. რუსი დიპლომატების აზრით, კონფერენციაზე შეიძლება განხილულიყო ყველა სადავო საკითხი და გადაეწყვიტათ არსებული სამხედრო კონფლიქტი. რუსეთის წინადადება მიიღეს.

ბალკანური ქვეყნების და თურქეთის კონფერენცია მოიწვიეს 1912 წლის დეკემბერში ლონდონში. პარალელურად, ლონდონში ასევე მიმდინარეობდა წამყვანი სახელმწიფოების წამომადგენელთა სხდომაც, სადაც განიხილავდნენ ბალკანეთის საკითხსაც. თურქეთი და მისი მოწინააღმდეგენიც ამ კონფერენციაზე სარგებლობდნენ ამა თუ იმ ბლოკის წამყვანი ევროპული სახელმწიფოების მფარველობით.

თურქეთის ინტერესების დამცველად გამოვიდა გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, ხოლო ბალკანეთის ქვეყნებისა – ანტანტა. ორივე ორთავე ბლოკის წარმომადგენლები რატომღაც გამოდიოდნენ ბულგარეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრეტენზიით. ვინაიდან ბულგარეთი ანტანტასა და სამთა კავშირს შორის ცილობის საგანი იყო. ორივე ბლოკი დაინტერესებული იყო ბულგარეთის მიმხრობით.

საზავო ხელშეკრულება, რომელიც იყო დამამთავრებელი აქტი ბალკანური ომებისა, დაიდო 1913 წლის 30 მაისს ლონდონში. ხელშეკრულების თანახმად, თურქეთის, პრაქტიკულად ყველა ევროპული ტერიტორია, კონსტანტინეპოლის და ყურეების სანაპიროების გარდა, გადავიდა ბალკანეთის სახელმწიფოების ხელში. ხოლო რიგი სადავო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ვერ მოხერხდა კონფერნციაზე, გადაეცა წამყვან სახელმწიფოებს განსახილველად.

8.2. მეორე ბალკანური ომი და ძალთა ახალი კონფიგურაცია რეგიონში

ბალკანეთის პირველი ომის შედეგებმა, დაასუსტა ავსტრია-გერმანიის დაჯგუფების პოზიციები რეგიონში იმდენად, რანდენადაც სერბეთის მნიშვნელოვანი გაძლიერება, ავსტრია-უნგრეთის უნებლიედ აიძულებდა ევროპაში მსხვილმაშტაბიანი კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, მთელი ყურადღება მიექცია ბალკანეთის ფრონტისადმი. ეს კი თავისთავად ნიშნავდა, რომ მოხდებოდა ყურადღებს შესუსტება რუსეთის ფრონტზე. რაც მთლიანობაში ვენას წარმატებული სამხედრო მოქმედებების ჩატარების საშუალებას არ მისცემდა. ვენაში იმასაც კარგად აცნობიერებდნენ, რომ თურქეთი, რომელსაც გერმანია-ავსტრიის ბლოკი განიხილავდა როგორც მოკავშირეს მოახლოებულ გლობალურ კონფლიქტში, საკამაოდ დასუსტებული იყო განცდილი დამარცხებებით და უკვე აღარ შეეძლო ეფექტურად ემოქმედა რუსეთის ფრონტზე.

შექმნილ ვითარებაში ავსტრია-გერმანიის ბლოკის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო ბალკანეთის ბლოკის დაშლისკენ. ამავე დროს იგი ძალას არ იშურებდა ბულგარეთის თავის მხარეზე გადასაყვანად. ამ დროს ბულგარეთის ხელისუფლების სათავეში გერმანული დინასტია იდგა.

ბულგარეთმა ვერ მოახდინა ყველა მისი გეგმის რეალიზაცია, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებდა თურქეთის ევროპული ნაწილის ტერიტორიების მითვისებას, რის გამოც გართულდა სერბეთ–ბულგარეთის ურთიერთობებიც.

გერმანელი და ავსტრიელი დიპლომატების მოქმედებისათვის ბალკანეთზე სხვა მხრივაც საკმაოდ კარგი პირობა იყო შექმნილი იმდენად, რამდენადაც ბალკანური ბლოკის ნაწილი (საბერძნეთი, სერბია, ჩერნიგორია, ასევე მასში ჩართული რუმინეთი) ცდილობდნენ ტერიტორიულ დათმობებს ბულგარეთის მხრიდან, რაც გერმანია-ავსტრიის ბლოკისათვის დამატებით შესაძ-

ლებლობას წარმოადგენდა ბულგარეთის საგარეო პოლიტიკური კურსის თავისკენ შემობრუნებისთვის. სხვათა შორის, ავსტრია-უნგრეთი დაპირდა ბულგარეთის ხელისუფლებას სესხს, ასევე მისცა გარანტია მისი ტერიტორიული მთლიანობისა. გარდა ამისა, გაუწევდა სამხედრო დახმარებას ალბანეთის მხრიდან თუკი ბულგარეთი ომს გამოუცხადებდა სერბეთს, რომელიც იყო ბულგარეთის მთავარი მოწინააღმდეგე ბალკანეთში.

ვენის დიპლომატიის ძალისხმევა წარმატებით დასრულდა და 1913 წლის 29 ივნისს ბულგარეთის ჯარებმა, რომელიც დარწმუნებულმა ავსტრიის მხარდაჭერაში, დაიწყო სამხედრო მოქმედებები სერბეთის და საბერძნეთის წინააღმდეგ. დაიწყო ბალკანეთის მეორე ომი. თუმცა, ავსტრიის დაპირების მიუხედავად მან არ აღმოუჩინა სამხედრო დახმარება ბულგარეთს, რაც გახდა ბულგარეთის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზიც. საფიქრებელია, რომ ვენამ ბულგარეთი შეგნებულად ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში, რაც მიზანმიმართულად მოხდა ამ ქვეყნის ავსტრია-გერმანიის ბლოკში შეყვანისათვის. დამარცხებულ ბულგარეთს მკვეთრად გაუუარესდა მდგომარეობა ბალკანეთში. მისი დაცვა მხოლოდ „სამთა კავშირში" შესვლით მოხერხდებოდა.

ბულგარეთმა ზავი ითხოვა და საზავო კონფერენციაც გაგრძელდა ლონდონში.

საბოლოოდ, 1913 წლის 10 აგვისტოს ბუქარესტში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ბულგარეთმა დაკარგა არა მარტო პირველი ბალკანური ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორიები, არამედ ის ნაწილიც, რომელიც მანამდე ეკუთვნოდა. მეორე ბალკანურ ომში ბულგარეთის დამარცხებამ და მისი ტერიტორიის ნაწილის გადასვლამ ანტანტის ბალკანელი მოკავშირეების ხელში, გამოიწვია ბულგარეთის ხელისუფლებაში პროგერმანული ორიენტაციის გაძლიერება.

ამრიგად, მეორე ბალკანური ომის შედეგად მოხდა ძალთა განლაგებაში ცვლილებები. ერთიანი ბალკანური ბლოკის ნაცვლად, რომელიც შეიქმნა ანტანტის აქტიური მონაწილეობით თავისი გავლენის გასაძლიერებლად და ავსტრია-გერმანიის ბლო-

კის საწინააღმდეგოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ორი დაჯგუფება: ერთი მხრივ –სერბია, საბერძნეთი და რუმინეთი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ანტანტას და მეორე მხრივ, ბულგარეთი, რომელიც მალე თურქეთთან მოლაპარაკებებს იწყებს, უახლოვდება ავსტრია-გერმანიის ბლოკს.

მთლიანობაში კი, შექმნილი სიტუაცია იყო წამყვანი სახელმწიფოების მტრულად განწყობილ ბლოკებს შორის წინააღმდეგობის გამოხატულება. ეს სახელმწიფოები იყვნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი. ისინი ატარებდნენ აქტიურ დიპლომატიურ მოქმედებებს, რომ უფრო მეტი მოკავშირე შეეყვანათ თავიანთ ბლოკში.

თავი IX

საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში

9.1. წინააღმდეგობების გამწვავება ევროპულ სახელმწიფოებს შორის ომის წინ

XX საუკუნის დასაწყისში ევროპა იყო მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი, აღმოსავლეთით მდებარეობდა უზარმაზარი რუსეთის იმპერია, დასავლეთით პრუსიასთან ომის შედეგად დაკნინებული ავსტრო-უნგრეთი და საფრანგეთთან ომში გამარჯვებული და გაძლიერებული გერმანიის იმპერია. გერმანიის და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ძალიან ძლიერი იყო, გერმანიას სურდა მზარდი ამბიციების დაკმაყოფილება, ხოლო საფრანგეთი ოცნებობდა ელსაზის და ლოტარინგიის დაბრუნებაზე. მიუხედავად ამისა, ევროპის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მაინც ბრიტანეთი რჩებოდა. ბრიტანეთის იმპერიას ეკავა დედამიწის მეექვსედი ნაწილი. ასეთი დიდი იმპერიის შესანარჩუნებლად ბრიტანელებს მსოფლიოში საუკეთესო ფლოტი ჰყავდათ.

ევროპის გარეთ არსებობდა ორი ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას; ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია. ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ-ს ეკონომიკა საგრძნობლად წინ წავიდა და ქვეყანაში არ წყდებოდა ემიგრანტების დინება. იაპონია კი, რომელიც XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ახლა ცდილობდა დაწეოდა სამხედრო და ტექნოლოგიურ სფეროში დასავლეთ ევროპას. ჩინეთთან და რუსეთთან ომებში მათ გამარჯვება მოიპოვეს, რამაც უბიძგა მათი ამბიციების ზრდას.

გერმანიას XX საუკუნის დასაწყისიდან სურდა სხვა ევროპული ქვეყნებისავით მოეპოვებინა აფრიკასა და აზიაში კოლონიები. რიგ კოლონიალურ კონფლიქტებში გერმანელები ეხმარებოდნენ აჯანყებულ ერებს, საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ, რის გამოც გერმანიის ურთიერთობები ინგლისთან და საფრანგეთთან სერიოზულად დაიძაბა

ომის წინა ათწლეულში საერთშორისო კრიზისებმა და ომებმა ბალკანეთში ხელი შეუწყო წინააღმდეგობების მკვეთრ გამწვავებას მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის (ინგლისი–გერმანია, საფრანგეთი–გერმანია, რუსეთი–გერმანია და რუსეთი–ავსტრია).

ბალკანურმა ომებმა კიდევ უფრო გააუარესა საერთაშორისო ვითარება ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ თურქთა ბატონობა ბალკანეთში დასრულდა, ვითარება რეგიონში, როგორც მთლიანად ევროპაში, წინაღმდეგობრივი იყო. საკუთრივ ბალკანეთის ქვეყნებს შორისაც გამწვავდა დაპირისპირება.

შექმნილ პირობებში, ავსტრია-უნგრეთი და თურქეთი ელოდებოდნენ შესაფერის მომენტს, რომ განეხორციელებინათ საკუთარი გეგმები. ავსტრიას სურდა დაერტყა სერბეთზე, ხოლო თურქეთი, დაინტერესებული იყო ეგეოსის კუნძულების დაბრუნებით. მოვლენების განვითარებას კი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბერლინი და პეტერბურგი. გერმანია ელოდა შესაფერის მომენტს, რომ დაეწყო ბრძოლა მსოფლიოს გაყოფისათვის. ასეთ პირობებში, ვერც რუსეთი მიატოვებდა სერბეთს მარტო, რადგან იგი მას სტრატეგიულ მოკავშირედ თვლიდა.

ყველაფერი ის, რაც მსოფლიო პოლიტიკაში ხდებოდა, თავისთავად ეხებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. პარიზში კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის დამარცხება არა მარტო დაასუსტებდა მას, არამედ შექმნიდა შესაძლებლობას გერმანიის მხრიდან საფრანგეთზე თავდასხმისათვის. ინგლისი, რომელიც ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული საფრანგეთთან, მოახლოებული ომის პირობებში არ შეეძლო დაეშვა მისი მოკავშირის და საერთოდ, ანტანტის დასუსტება.

ომის დაწყებამდე ინგლისური დიპლომატია მალავდა საკუთარ მიზნებს. უფრო მეტიც, კოლონიურ სკითხებზე იგი მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებდა გერმანულ მხარესთან. ამ მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმებები აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების გაყოფის (1913) და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ (1914). სპარსეთის ყურეში ინგლისის „განსაკუთრებული ინტერესების" აღიარებით გერმანიის ხელისუფლებას სურდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მიეღო ბაღდადიდან ბასრამდე, გზის მშენებლობის კონცესია (ნებართვა, უფლება).

ამ გარიგების მიღწევის შემდეგ, ინგლისელებმა შეწყვიტეს გერმანიისთვის დაბრკოლების შექმნა ბაღდადის გზის მშენებლობისათვის. ბრიტანეთის დიპლომატიას ეს მოლაპარაკებები სურდა იმისათვის, რომ შეენიღბა ინგლის-გერმანიის მწვავე ანტაგონიზმი და ამ გზით გაეჭიანურებინა გერმანიასთან შეტაკება. რეალურად კი, ლონდონის ეს პოლიტიკა ემსახურებოდა გერმანიის წაქეზებას, მსოფლიოს ხელახლა გადანაწილების სურვილის გაძლიერებას და ბერლინისათვის იმის ილუზიის შექმნას, რომ ინგლისი ომში არ ჩაებმებოდა. პარალელურად, ინგლისი საფანგეთთან მეგობრობის დემონსტრირებას ახდენდა, რაზეც მეტყველებდა ინგლისის მეფის, ჯორჯ V ვიზიტი პარიზში, 1914 წლის გაზაფხულზე.

1913 წლის ბოლოს და 1914 წლის დასაწყისში მკვეთრად გაუარესდა ურთიერთობა რუსეთსა და გერმანიას შორის. 1913 წლის ნოემბერში გერმანიამ თურქეთში მორიგი სამხედრო მისია გააგზავნა ლიმან ფონ სანდერსონის ხელმძღვანელობით. მალე ცნობილი გახდა, რომ იგი უხელმძღვანელებდა არმიის კორპუსს სტამბულში, რაც ბერლინს შესაძლებლობას აძლევდა გაეკონტროლებინა სრუტეები. ამან კი ევროპის წამყვანი სახელმწიფოების შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მწვავე მოლაპარაკებების შემდეგ ლიმან ფონ სანდერსი გადადგა თანამდებობიდან, გერმანიამ მაინც შეინარჩუნა გარკვეული გავლენის მოხდენა სრუტეების რეჟიმზე. ლიმან ფონ სანდერსის მისიის

გარშემო განვითარებული მოვლენები გაგრძელდა 1914 წელსაც, რამაც არანაკლები როლი ითამაშა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების გაუარესების საქმეში. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთი ძლიერ მგრძნობიარე იყო შავი ზღვის სრუტეების საკითხზე, ხოლო გერმანული მისიის საქმიანობაში იგი, სამომავლოდ, მათზე კონტროლის დამყარებას ხედავდა.

ამ პერიოდში საფრანგეთის ინიციატივით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რუსეთსა და ინგლისს შორის საიდუმლო სამხედრო-საზღვაო კონვენციის დადების თაობაზე. საქმე წინ ნელა მიიწევდა. ლონდონმა, რომელმაც იცოდა რუსული ფლოტის სისუსტე, პეტერბურგისაგან მეტის დათმობას მოითხოვდა, რაზეც რუსეთი არ თანხმდებოდა. მიუხედვად იმისა, რომ ორივე მხარეს კარგად ესმოდა ამ კონვენციის დადების განსაკუთრებული მნიშვნელობა. მოახლოებული ომის პირობებში, შეთანხმება მაინც ვერ იქნა მიღწეული. ეს ფაქტიც კარგად მეტყველებდა, რომ ანტანტის შიგნითაც კი არ იყო ბოლომდე ერთიანობა.

1914 წლის დასაწყისისათვის შეიარაღებულმა შეჯიბრმა დაპირისპირებულ ბანაკებს შორის არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ამ საქმეში ლიდერობდა გერმანია. ომის წინ რეიხსტაგმა სამჯერ მიიღო კანონი არმიის გაზრდის შესახებ მშვიდობიანობის დროს. ერმანია, რომელიც ფლობდა ეკონომიკური განვითარების მაღალ ტემპებს მსხვილ წამყვან სახელმწიფოებს შორის შეეძლო ომისათვის სწრაფი მომზადება

9.2. პირველი მსოფლიო ომის დაწყება და საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ევროპაში

1914 წლის ზაფხულში სამთა კავშირი და ანტანტა უკვე მზად იყვნენ ომის დასაწყებად.

მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის 1 აგვისტოს და გაგრძელდა 1918 წლის 11 ნოემბრამდე. ხოლო 1917 წლის ბოლოსათვის მისი მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა.

ომის გაჩაღების საბაბად ფატობრივად იქცა ავსტრიის ტახტის მემკვიდრის პრინც ფრანს ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში 1914 წლის 28 ივნისს. ამის გამო სერბიასთან ომის დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვეს ავსტრიის სამხედო მარალჩინოსნებმა. მათ მხარი დაუჭირა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. თუმცა, ომის დაწყების წინააღმდეგ გამოვიდა ქვეყნის პრემიერი გრაფი ტისა, რომელიც ეროვნებით უნგრელი იყო.

რეალურად კი, ყველაფერი დამოკიდებული იყო ბერლინის პოზიციაზე. თუკი ადრე გერმანიის ხელისუფლება ვენას საომარი მოქმედებებისაგან თავშეკავებას ურჩევდა, ამჯერად, ბერლინმა მკვეთრად განსხვავებული პოზიცია დაიკავა. გერმანიის ხელისუფლება თვლიდა, რომ ამ ომში, მართალია, რუსეთი მტრულ პოზიციას დაიკავებდა, მაგრამ ომში ვერ ჩაებმებოდა. ვილჰემ II, რომელმაც მიიღო ავსტრიის ელჩი ბერლინში სეგენი, მისცა მითითება, რომ ვენას ემოქმედა სწრაფად და ეფექტურად.

ბერლინის ღია მხარდაჭერამ, ვენაში ომის მომხრე პარტიის კიდევ უფრო გააქტიურება გამოიწვია. 23 ივლისს, ვენამ ულტიმატუმი წაუყენა ბელგრადს, რომლის თანახმად, სერბეთის ხელისუფლებას არ უნდა დაეშვა არანაირი პუბლიკაციის გამოქვეყნება, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებდა მტრულ განწყობილებას ავსტრია-უნგრეთის მონარქიისადმი სერბეთში, ასევე სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობებიდან გაეთავისუფლებინა ანტიავსტრიულად განწყობილი პირები, სერბეთის ტერიტორიაზე დაშვა ვენის მთავრობის წარმომადგენლები რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად, რომელიც მიმართული იყო ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. პრინიცის მკვლელობის გამოძიების პროცესში მონაწილეობა უნდა მიეღო ავსტრიის მხარესაც. ულტიმატუმის დაკმაყოფილებისათვის ბელგრადს 48 საათი მიეცა. ულტიმატუმის შინაარსი ვენამ ასევ გააგზავნა პარიზში, ლონდონსა და პეტერბურგში.

ულტიმატუმს შეშფოთებით შეხვდნენ პეტერბურგში. ვინაიდან მოსალოდნელ ომში რუსეთი ნეიტრალიტეტს ვერ შეინარ-

ჩუნებდა, ხოლო ომისათვის კი რუსეთი იმ ეტაპზე, არც სამხედრო და არც ეკონომიკური კუთხით მზად არ იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთში მინისტრთა საბჭოს სხდომა გაიმართა. პეტერბურგში საჭიროდ ჩათვალეს, რომ თავიდან აეცილებინათ სამხედრო შეჯახება და სერბეთის ელჩს ურჩიეს მაქსიმალური დათმობა განეხორციელებინათ ვენის მიმართ. მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ ხელისუფლება ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სერბეთ-ავსტრიის კონფლიქტს და იქვე მიუთითებდა, რომ რუსეთი ვერ იქნებოდა გულგრილი ამ საკითხისადმი.

თავის მხრივ, ნიკოლოზ II ცდილობდა ვილჰემ II-თან პირადი კონტაქტებით შეენელებინა წინააღმდეგობა ბალკანეთში. ბერლინმა კი ღიად აცნობა, რომ იგი მხარს უჭერდა ავსტრიის ყველა რადიკალურ მოქმედებას. მიუხედავად იმის, რომ რუსეთი მოახლოებულ ომში მზად არ იყო, პეტერბურგში თვლიდნენ, რომ ომი გარდაუვალი იყო და აუცილებელი იყო მობილიზაცია და მომზადება.

პარზიში, პირიქით, ელოდნენ ომს და რუსეთზე გავლენასაც კი ახდენდნენ, რომ ის მზად ყოფილიყო ომისათვის. რუსეთთან კავშირის განმტკიცების და პეტერბურგის გაბედული და გადამწყვეტი მოქმედების მიზნით, პარიზი დემონსტრირებას უკეთებდა ორ ქვეყანს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას. კერძოდ, 20 ივლისს პეტერბურგს ეწვია საფრანგეთის პრეზიდენტი რ. პუანკარე. მის ვიზიტს თვალყურს ადევნებდნენ ვენიდან და ბერლინიდან. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ სწორედ პუანკარეს რუსეთიდან გამგზავრების შემდეგ წაუყენა ულტიმატუმი ვენამ ბელგრადს.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში პაციფისტური ჯგუფები არსებობდნენ, მთავრობა და, განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა მინისტრი ყველაფერს აკეთებდნენ საბრძოლო მზადყოფნისათვის. ამავე დროს არც გრეი და არც მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები არ ახმოვანებდნენ ლონდონის გეგმებს. გრეის მთვრობაშიც და პარლამენტშიც მნიშვნელოვანი ოპოზიცია ჰყავდა.

1914 წლის 3 აგვისტოს ინგლისმა მიიღო გადაწყვეტილება ომში ჩაბმის შესახებ. ამ დროს გრეი გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე და შეეცადა აეხსნა ის მიზეზები, რამაც აიძულა ქვეყანა ომში ჩაბმის გადაწყვეტილება მიეღო გერმანიის წინააღმდეგ. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საფრანგეთის დაცვის აუცილებლობას, ვისთან ერთადაც უდნა გამოსულიყო ომში.

გრეის ამ გადაწყვეტილების მიღებაში საკუთრივ გერმანიის მოქმედებები დაეხმარა, როცა ბერლინმა დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი. ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი გარანტი ინგლისიც იყო. ლონდონმა გერმანიის მხარეს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა დაეცვა ბელგიის დამოუკიდებლობა.

გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა, უკვე 1914 წლის ზაფხულში თვლიდა აუცილებლად ომის დაწყებას იმის გამო, რომ გერმანიის არმია ყველაზე საუკეთესოდ იყო მომზადებული, ვიდრე სხვა ქვეყნების სამხედრო ნაწილები. ბერლინში ფიქრობდნენ, რომ რუსული არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იქნებოდა. ამიტომ თვლიდნენ, რომ გერმანიისათვის ყველაზე საუკეთესო დრო იყო საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად. მაგრამ აუცილებელი იყო ინგლისის მოქმედებების განჭვრეტაც მაშინ, როდესაც ლონდონი კვლავ სიჩუმეს ამჯობინებდა.

ვენის მიერ სერბებისადმი წაყენებული ულტიმატუმის კვალდაკვალ, ლონდონმა ბერლინს ურჩია გავლენა მოეხდინა ავსტრიაზე, საქმე ომამდე რომ არ მისულიყო. თუმცა, ეს არ ხსნიდა ინგლისის ხელისუფლების პოზიციას ბოლომდე, რაც დამაფიქრებელი იყო არა მარტო ბერლინისთვის, არამედ პარიზისა და პეტერბურგისათვისაც.

ომში მტრულად განწყობილ კოალიციებსაც ესაჭიროებოდათ მოკავშირეები. განსაკუთრებით კი ევროპის ცენტრალური სახელმწიფოების ბლოკს და აქაც გერმანიამ წარმატებას მიაღწია. თურქეთის არმია ომის დაწყებამდე შეიარაღდა გერმანული იარაღით, ამავე დროს იგი გაწვრთნილი იყო გერმანელი ინსტრუქტორების მიერ. 1914 წლის 2 აგვისტოს თურქეთის ხელისუფ-

ლებამ ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას გერმანიასთან. სტამბოლი თვლიდა, რომ გერმანიის დახმარებით შეძლებდა თურქეთის ძლიერების აღდგენას და მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცებას.

სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის არსებული წინააღმდეგობის ფონზე, შექმნილ ვითარებაში ავსტრია-სერბეთის ომი ყოველ წუთს შეიძლება გადაზრდილიყო გლობალურ ომში ავსტრია-უნგრეთ-გერმანიას და საფრანგეთ–რუსეთ შორის ომად.

ამრიგად, ბალკანეთის ლოკალური ომი შეიძლება გადაქცეულიყო მსოფლიო ომად. მით უფრო, რომ მებრძოლი მხარეების გლობალური ინტერესები სცილდებოდა ევროპის კონტინენტის ფარგლებს.

მოვლენები სწრაფად განვითარდა. 28 ივლის ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს და დაიწყო სამხედრო მოქმედებები. 29 ივლისს ცნობილი გახდა, რომ ბრიტანეთის ფლოტი სამხედრო-საზღვაო ბაზის სკაპა-ფლოუშისკენ გაემართა. იმავე დღეს, გრეიმ ლონდონში, გერმანიის ელჩს ლიხნოვსკის განუცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას სურს შემდეგშიც შეინარჩუნოს გერმანიასთან მეგობრული ურთიერთობები. მან ასევ განაცხადა, რომ ლონდონი არ ჩაებმებოდა ომში, თუკი სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობას მიიღებდნენ ავსტრია და რუსეთი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ომში ჩაებმებოდნენ საფრანგეთი და გერმანია, მაშინ ლონდონი სასწრაფო ზომებს მიიღებდა. ლიხნოვსკიმ ყველაფერი ძალიან კარგად გაიგო და ბერლინს აცნობა ლონდონის პოზიცია. ბერლინში ჩათვალეს, რომ ინგლისმა მაშინ გახსნა კარტი, როცა თითქოს გერმანია ჩიხში მოექცა და გამოსავალი არ ჰქონდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1 აგვისტოს, როცა გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა, გრეიმ ბერლინს აცნობა, რომ ინგლისის ნეიტრალიტეტი შესაძლებელია იმ პირობით თუ გერმანია თავს არ დაესხმოდა საფრანგეთს და არ დაარღვევდა ბელგიის ნეიტრალიტეტს. არაპირდაპირად კი ეს გერმანიისათვის ნიშნავდა იმას, რომ უარი ეთქვა შლიფენის გეგმაზე და ვერ გა-

ნეხორციელებინა მისი მთავარი მიზნი – საფრანგეთის განადგურება. საინტერესოა, რისი მიღწევა სურდა გრეის თავისი წინადადებით ან რისი განხორციელება სურდა მას თავისი მზაკვრული ჩანაფიქრით მოკავშირეებთან მიმართებით, ძირითადად კი, რუსეთთან. მას სურდა მოეგო დრო და ჰქონოდა საკუთარი კოზირი, რომ პარლამენტში დაესაბუთებინა ინგლისის ომში მონაწილეობა. შეიძლება მართალი იყო ვილჰემ II, რომელმაც განაცხადა, რომ გრეის არ სურდა ღიად გამოსულიყო გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ ცდილობდა იგი აეძულებინა გამოსულიყო მის წინააღმდეგ.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, თუკი ინგლისი ფარულად არ მოემზადებოდა ომისათვის და ღიად განაცხადებდა მისი პოზიციის შესახებ, მაშინ ომი არ დაიწყებოდა 1914 წლის აგვისტოში, ან ნებისმიერ სხვა შემთხვევაში იგი არ მიიღებდა ფართო მასშტაბებს.

ბერლინს სხვა კუთხითაც ელოდა იმედების გაცრუება. ცნობილი გახდა, რომ რუმინეთი ანტანტას მიეკედლა. არც იტალია არ აპირებდა სამთა კავშირის მხარეზე გამოსვლას. ყველაფერი ეს ბერლინმა გვიან გაიგო, უკანასკნელ მომენტში. ასეთ პირობებში, ბერლინი შეეცადა ვენის შეჩერებას, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ავსტრიას უკვე ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული სერბეთის წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში, უკან რომ ჩამოეტოვებინათ მოწინააღმდეგეები, ბერლინში გადაწყვიტეს სწრაფად ემოქმედათ. გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა რუსეთის სიფრთხილეს და იმედოვნება, რომ სანამ იქ მიმდინარეობდა მობილიზაცია, და რომელიც ნახევარი თვე კიდევ გაგრძელდებოდა, გერმანია შეძლებდა საფრანგეთის ჯარების დამარცხებას. იმისათვის რომ შეეჩერებინა რუსული არმიის სწრაფი გაშლა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეტმან-ჰოლვეგმა პეტერბურგისაგნ მოითხოვა ნებისმიერი სამხედრო მზდყოფნის შეჩერება წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიაც მობილიზაციას გამოაცხადებდა.

ნიკოლოზ II მერყეობდა. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა იანუშკევიჩმა, მართალია მოახერხა და 29 ივლისს ნიკოლოზ II ხელი მოაწერინა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ ბრძანებაზე, მაგრამ ვილჰემ მეორისგან ახალი შეტყობინების მიღების შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა გააუქმა თავისი ბრძანება. თუმცა, მეორე დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. საზონოვმა შეძლო ნიკოლოზ II დარწმუნება საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ. 30 ივლისს რუსეთში საყოველთაო მობილიზაცია მაინც გამოცხადდა.

31 ივლისს საზონოვმა მიიღო გერმანიის ელჩი პურტალესი, რომელმაც განაცხადა, რომ თუკი რუსეთის ხელისუფლება არ შეაჩერებდა მობილიზაციის პროგრამას, მაშინ გერმანია ანალოგიურად მობილიზაციას გამოაცხადებდა. 1 აგვისტოს გერმანიაშიც საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. ბერლინმა რუსეთს ომი გამოუცხადა.

გერმანელები შესანიშნავად აცნობიერებდნენ რომ ერთდროულად ომი საფრანგეთთანაც და რუსეთთანაც ძალიან რთული იქნებოდა. ისიც ცნობილი იყო, რომ საფრანგეთი ბევრად სწრაფად ჩაატარებდა მობილიზაციას. ამიტომ გადაწყდა, რომ საფრანგეთისთვის რაც შეიძლება მალე უნდა მიეყენებინათ ძლიერი დარტყმა, რათა რუსეთთან უფრო თავისუფლად ეომათ. მიიჩნეოდა, რომ ფრანგები პირველ რიგში ეცდებოდნენ 1870 წელს დაკარგული ელზასის და ლოტარინგიის დაბრუნებას, ამიტომ გერმანელებმა ჯარები ჩრდილოეთიდან, ბელგიიდან შეიყვანეს და განიზრახეს ფრანგებისთვის ზურგიდან დაერტყათ. ეს გეგმა ეკუთვნოდა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს გრაფ ალფრედ ფონ შლიფენს. ეს გეგმა არ მოიწონა ახალმა მეთაურმა ჰელმუტ ფონ მოლტკემ და შეცვალა გეგმა, მის მიხედვით ბელგიით საფრანგეთში შეჭრის შემდეგ ჯარები ელზასსა და ლოტარინგიაში უნდა გაემაგრებინათ. მოგვიანებით ეს ცვლილება ძალიან ძვირად დაუჯდა გერმანიას.

გერმანია ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეწყო სამხედრო მოქმედებები საფრანგეთის წინაღმდეგ და ნებისმიერი

საშუალებით შეეჩერებინა რუსული არმიის გაშლა ფრონტებზე. სასაზღვრო ინციდენტების თავიდნ აცილების მიზნით, 30 ივლისს საფრანგეთმა საკუთარი ჯარი გაიყვანა საზღვრებიდან 10 კილომეტრის დაშორებით. 31 ივლისს, საფრანგეთში გერმანიის ელჩმა შენმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა წერილი, რომელშიც იგი ატყობინებდა რუსეთის მიმართ ულტიმატუმის წაყენების თაობაზე მობილიზაციის შეჩერების შესახებ და სვამდა საკითხს, რომ საფრანგეთს ამ კონფლიქტში დაეცვა ნეიტრალიტეტი. თავის მხრივ, საფრანგეთმა უარი თქვა პასუხის გაცემაზე და განაცხადა, რომ იტოვებდა თავისუფალი მოქმედების უფლებას. 1 აგვისტოს, საფრანგეთშიც გამოცხადდა მობილიზაცია. 3 აგვისტოს გერმანიამ საფრანგეთს ომი გამოუცხადა.

გერმანიის ჯარი იყო ძალიან კარგად გაწვრთნილი და მათი არტილერია იმდროინდელ მსოფლიოში საუკეთესო იყო, ხოლო საფრანგეთის ჯარის უპირატესობად მათი საბრძოლო ჟინი მიიჩნეოდა. ამიტომ ფრანგებმა გადაწყვიტეს თავიდანვე ინიციატივის საკუთარ ხელში აღება და მთავარი დარტყმის სწორედ ელზასსა და ლოტარინგიაზე განხორციალება.

ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ბრიტანული არმია მხოლოდ მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული, ამიტომ იგი შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად მომზადებული. ამის გათვალისწინებით ფრანგებს მათი ფლოტის იმედი უფრო ჰქონდათ. თან ბრიტანულ არმიას არ ჰყავდა კარგად მომზადებული რეზერვები. ომის დაწყებისთანავე, შეთანხმების თანახმად, ბრიტანელებმა გადასხეს საფრანგეთში ოთხი დივიზია და რამდენიმე კავალერისტული დანაყოფი.

ბრიტანეთის სამხედრო მინისტრმა ლორდ კიტჩენერმა, გამოაცხადა მოხალისეთა მიღება ჯარში, მიუხედავად იმისა რომ მსურველი ბევრი იყო, მათ გაწვრთნას არაერთი თვე დასჭირდა. ამ ჯარს კიტჩენერის "ახალი ჯარი" უწოდეს.

14 აგვისტოს გერმანელებმა ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი დაიკავეს. იმავე დღეს ფრანგები შევიდნენ ელზასსა და ლოტარინ-

გიაში, სადაც თავდაპირველად უკან დახიეს გერმანელები, მაგრამ შემდეგ გერმანული არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მიწოლით თვითონ დაიხიეს უკან. უკან დახევისას ფრანგებმა ორ კვირაში 300 000 კაცი დაკარგეს. ჩრდილო დასავლეთით კი გერმანელებს ეწინააღმდეგებოდა ერთი ფრანგული არმია და ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი. ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიხიეს პარიზისკენ.

პარიზის ტაქსისტებს გადაჰყავთ ახლად ჩამოყალიბებული მეექვსე არმია ფრონტზე, რომლებმაც უნდა დაარტყან გერმანულ ჯარებს მდინარე მარნაზე. ასეთი ხერხით ტაქსით 60 000 ჯარისკაცი ჩავიდა ფრონტზე

ბრძოლა არმიებს შორის მოხდა არა პარიზიდან დასავლეთით, როგორც ეს იყო თავდაპირველად ჩაფიქრებული გერმანელების მიერ, არამედ აღმოსავლეთით. ფრანგების არმიას კიდევ ერთი ჯარი შეემატა, რომელიც ფრონტზე პარიზელმა ტაქსისტებმა მოიყვანეს. მდინარე მარნასთან მომხდარმა ბრძოლამ კი საბოლოოდ დაასამარა ფონ შლიფენის გეგმები. გერმანელებმა დაიხიეს მდინარე ენისკენ, სადაც გამაგრდნენ.

აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანიის მცირერიცხოვანი ჯარები იდგნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, სადაც მათ თავი უნდა დაეცვათ ახალი დანამატების მიღებამდე. ავსტრიელები ჯერ კიდევ იბრძოდნენ სერბეთში, როდესაც ავსტრიის გენშტაბის უფროსმა კონრად ფონ გეტცენდორმა დაიწყო რუსულ პოლონეთზე თავდასხმის გეგმის შემუშავება. მას ჩრდილოეთიდან გერმანელების დახმარების იმედი ჰქონდა.

ავსტრიის შეიარაღებულ ძალებს ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა, მიუხედავად კარგი გაწვრთნისა და შეიარაღებისა, იგი ეთნიკურად ძალიან არაერთფეროვანი იყო და მისი ჯარისკაცები ათამდე სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. თან ყოველთვის იყო საშიშროება რომ ბრძოლისას ისინი თავიანთი ეთნიკური მოძმეების წინააღმდეგ აღმოჩნდებოდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინება უწევდა სარდლობას.

რუსეთის გეგმაში კი შედიოდა პოლონეთიდან შეტევა, აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელების ალყაში მოქცევა და ბერლინისკენ გალაშქრება. ამავდროულად უნდა შეჭრილიყვნენ ავსტრიულ გალიციაში და კარპატებთან გამაგრებული ავსტრიელები გაენადგურებინათ. რუსულ არმიას შეეძლო 6 მილიონი ადამიანის მობილიზაცია და იგი ყველაზე დიდი იყო ევროპაში, მაგრამ ამავდროულად ყველაზე არამობილურიც. რკინიგზების ძალიან მცირე რაოდენობა არ აძლევდა რუსეთს სწრაფი მობილიზაციის ჩატარების საშუალებას.

ავსტრიის შეჭრა სერბიაში არ ვითარდებოდა გეგმისამებრ, სერბები კარგად იყენებდნენ მთიან რელიეფს რაც მათ თავდაცვაში უპირატესობას ანიჭებდა. თვენახევრის მანძილზე ავსტროუნგრეთმა ვერავითარ წარმატებებს ვერ მიაღწია, ხოლო დანაკარგები უკვე 40 000 კაცი ჰყავდა. გალიციაშიც არ მიდიოდა საქმე კარგად, ქალაქ ლემბერგთან (ლვოვი) ავსტრიის და რუსეთის ჯარებმა ბრძოლა გამართეს, ორივე მხარეს ძალიან მძიმე დანაკარგები ჰქონდა. თან ავსტრიელებს 100 კმ-ით დასავლეთით მოუწიათ დახევა.

აღმოსავლეთ პრუსიაში სიტუაცია ბევრად უფრო დრამატულად განვითარდა. 17 აგვისტოს რუსულმა კავალერიამ რენენკამპფის მეთაურობით გადაკვეთა საზღვარი და სამ დღეში შეუტია გერმანიის მერვე არმიას გუმბინემთან. მარჯვენა ფლანგზე რუსების შეტევა შეაჩერეს, მაგრამ ცენტრალურ ნაწილში რუსებმა მიაღწიეს წარმატებას. გერმანელებს დაეწყოთ პანიკა და არმიის მხედართმთავარმა ფონ პრიტვიცმა უკან დახევა დაიწყო.

23 აგვისტოს პრიტვიცი შეცვალეს პაულ ფონ ჰინდენბურგით, ხოლო შტაბის უფროსად დაინიშნა ერიხ ფონ ლუდენდორფი. გერმანელებმა შესანიშნავად იცოდნენ რუსების ყველა გეგმები, რადგან რუსები ატარებდნენ დაუშიფრავ მოლაპარაკებებს პრიმიტიული აპარატურით. 26 აგვისტოს გერმანელებმა შეუტიეს რუსებს და ოთხ დღიანი ბრძოლის შედეგად გაანადგურეს სამსონოვის მეორე არმია. ამის შემდეგ რენენკამპფის პირველ არმიას შეუტიეს და მაზურიის

ტბებთან ბრძოლის შემდეგ ნემანს იქეთ განდევნეს. რუსებმა 60 000 ადამიანი დაკარგეს.

ამრიგად, ომის დაწყებიდან თვენახევრის შემდეგ ვერცერთ ფრონტზე ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია სერიოზულ წარმატებას. თან გერმანელებს კარგად ესმოდათ, რომ რუსები თავისი ჯარების მცირე ნაწილს იყენებენ. იმავდროულად, იაპონიამ შესთავაზა ინგლისს ჩინეთში გერმანული ბაზის ცინდაოს დაკავება. ინგლისურ-იაპონურმა ჯარებმა შეუტიეს და ნოემბრის დასაწყისში ცინდაო დაეცა და გერმანიამ დაკარგა შორეულ აღმოსავლეთში კოლონიები, მხოლოდ გერმანული ფლოტი გადარჩა, რომელმაც სამხრეთ ატლანტიკის ოკეანეში გაქცევა მოახერხა. გერმანელებმა სამხრეთ დასავლეთ აფრიკის კოლონიაც დაკარგეს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები ვითარდებოდა ევროპაში, კონფლიქტმა უფრო და უფრო გლობალური ხასიათი მიიღო. ყველა მხარის თავდაპირველი გეგმები მალევე ჩაიშალა და გასაგები გახდა რომ ომის წლის ბოლომდე დამთავრება შეუძლებელია.

ბელგიაზე გერმანელების თავდასხმას, 4 აგვისტოს მოჰყვა ლონდონის ულტიმატუმი გერმანიისადმი, სადაც ლონდონი კატეგორიულად მოითხოვდა ბერლინისაგან, დაეცვა ბელგიის ნეიტარლიტეტი. ფაქტობრივად, ამ დღიდან გერმანია და ინგლისი საომარი მოქმედებების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ინგლისის ომში ჩაბმა კი ნიშნავდა დიდი ბრტანეთის ომში ჩაბმას თავისი კოლონიებით.

ომმა დიპლომატიური მოქმედებები კიდევ უფრო გააქტიურა. მთელი საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას მოლაპარაკებები წარმოებდა როგორც სამთა კავშირის, ასევე ანტანტის წევრების მიერ ბალკანეთის, ახლო და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან მათ მხარეზე გადაყვანისათვის. ასევე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ბლოკების შიგნით და ბლოკებს შორის წევრ-სახელმწიფოებს შორის. მებრძოლი მხარეები ცდილობდნენ ერთმანეთში შეთანხმებას მომავალ მსოფლიოზე.

თითოეული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ცდილობდა ახალი მოკავშირეების შეძენას და, პირველყოვლისა, ეს ეხებოდა ბალკანეთის რეგიონს. გერმანიამ, ჯერ კიდევ ომის წინ, გააძლიერა თავის გავლენა თურქეთში. 1914 წლის 2 აგვისტოს მათ შორის ხელი მოეწერა თურქეთ-გერმანიის საკავშირო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, თურქეთის არმია თითქმის გერმანიის გენერალურ შტაბს დაექვემდებარა. გერმანული სამხედრო მისია მუდმივად იმყოფებოდა თურქეთში. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ თუკი რუსეთი ჩაერეოდა ავსტრია-უნგრეთის და სერბეთის კონფლიქტში და გერმანია შეასრულებდა თავის ვალდებულებას მოკავშირესთან მიმართებით, თურქეთს ამ შემთხვევაში უნდა გამოეცხადებინა ომი რუსეთისათვის.

11 აგვისტოს კონსტანტინეპოლში შევიდა ორი გერმანული კრეისერი. მათი მიზანი იყო თურქეთის სანაპირო ზოლის დაცვა, რომელსაც საფრთხე რუსეთის მხრიდან ემუქრებოდა.

გერმანიის ხელისუფლებამ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტს პროვოცირებაც კი გაუკეთა. ამ მიზნით მოისყიდა სულთნის გამყიდველი მოხელეები, რომლებმაც თავის მხრივ, ორგანიზება გაუკეთეს გერმანია-თურქეთის ესკადრილის ყაჩაღურ თავდასხმებს რუსულ პორტებზე (ნოვოროსიისკზე და ფეოდოსიაზე). შედეგად, 1914 წლის 4 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს, ხოლო 5 და 6 ნოემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა.

დაპირისპირებულ ბლოკებს შორის დიპლომატიური ბრძოლა გაჩაღდა იტალიის გამო. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანელების აქტიური მოქმედებები ბელგიაში და საფრანგეთში, მათი წარმატებები ომის საწყის ეტაპზე გავლენას ახდენდა იტალიის მთავრობზე. აქედან გამომდინარე, ომის საწყის ეტაპზე გაურკვეველი იყო ამ ქვეყნის პოზიცია თუ რომელლ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს უჭერდა მხარს.

ომმა იტალიას მოუსწრო მძიმე შიდა მღელვარებისა და სერიოზული ეკონომიკური სირთულეების მდგომარეობაში. ნეიტრალიტეტის მომხრეები აპელირებდნენ გერმანულ კაპიტალით, რომელიც აკონტროლებდა მსხვილ „ბანკ კომერციალს” და ასევ

სხვა ბანკებს და ფირმებს. ნეიტრალიტეტის მომხრეებს მეთაურობდა გმოცდილი პოლიტიკოსი, ყოფილი პრემიერი ჯოლიტი. ის მიიჩნევდა, რომ იტალიას ომში ჩაუბმელადაც შეუძლია მიაღწიოს მნიშვნელოვან შედეგებსო.

ანტანტასთან შეერთების მომხრედ გამოდიოდნენ „ინტერვენტისტები", რომლებიც მიისწრფოდნენ ავსტრია-უნგრეთთთან დაშორებას და ტერიტორიების დაპყრობას ადრიატიკის სანაპიროსა და მცირე აზიაში. ამ საქმეში არანაკლებ როლს თამაშობდა ის გარემოებაც, რომ ფრანგულ კაპიტალსაც საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდა იტალიის მრეწვლობაში, ხოლო დიდი ბრიტანეთი ეფექტურად მოქმედებდა ვაჭრობის სფეროში. მთავრობის მეთაური სალანდრო ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა შექმნილი „ოქროს შემთხვევა".

იტალიის პრემიერი ღიად აცხადებდა, რომ მისი კაბინეტი იხელმძღვანელებდა „წმინდა ეგოიზმით". ის ერთდროულად მოლაპარაკებებს აწარმოებდა როგორც ანტანტასთან, ასევე გერმანია-ავსტრიის ბლოკთან. ამ გზით იგი შანტაჟირებას უწევდა ორივე დაპირისპირებულ ბანაკს. ამ ეშმაკურ ტაქტიკას თავისი წარმატებებიც ჰქონდა.

1915 წლის დასაწყისისათვის მსოფლიო საზოგადოება, რომელსაც ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა იტალიის ჭეშმარიტ ძალაზე, დაძაბული ყურადღებით ელოდებოდა რომის შემდგომ ნაბიჯებს. იტალიის იმპერიალიზმი ცდილობდა დაემყარებინა თავისი კონტროლი ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილზე, რომ ჰაბსბურგების მონარქიის დაშლის შემთხვევაში, არ დაეშვა ერთიანი და სიცოცხლისუნარიანი სამხრეთ სლავების სახელმწიფოს შექმნა.

იტალიის მსგავსი მისწრაფებები შეგულიანებული იყო ლონდონიდან. იმისათვის, რომ იტალია ანტანტის მხარეზე გამოსულიყო, ინგლისი და საფრანგეთი იტალიას დაჰპირდნენ ტრენტის, ტრიესტის და ბალკანეთზე ექსპანიის სხვა სფეროებს. ასევე, გორცის და გრადისკის საგრაფოებს, მთელ ისტრიას კვარიერთან ერთად, ვოლოსკის და ისტრიის კუნძულების ჩათვლით, რიგ

პატარა კუნძულებს. მას შეუერთდებოდა დალმაციაც. იტალიას ასევე დაჰპირდნენ რიგ უფლებებს და შედავათებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.

გერმანიამ, თავის მხრივ, მას შესთავაზა ტერიტორიები საფრანგეთის, ჩრდილოეთ აფრიკის და ხმელთაშუა ზღვის სანპიროების ხარჯზე. საბოლოოდ, იტალია მაინც ანტანტის მხარეზე გამოვიდა

ამრიგად, გერმანიის ხელისუფლების მცდელობა არ დაეშვა იტალიის დაახლოება ანტანტასტან, რომელსაც თითქმის ვერაფერს ვერ ჰპირდებოდა, უშედეგოდ დასრულდა.

1915 წლის გაზაფხულზე, იტალიის მოლაპარაკებები ინგლისთან დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა. ინგლისმა და საფრანგეთმა მოახერხეს რუსი დიპლომატების წინააღმდეგობის დაძლევა, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ სლავური მიწების იტალიისათვის გადაცემას. 26 აპრილს ლონდონში ხელი მოეწერა საიდუმლო ხელშეკრულებას, რომლითაც იტალია ომის შემდეგ მიიღებდა ჰაბსბურგების სახელმწიფოს, ალაბანეთის და თურქეთის რიგ ტერიტორიებს. 1915 წლის 3 მაისს, იტალიამ, საბოლოოდ გაწყვიტა ხელშეკრულება სამთა კავშირთან.

თავის მხრივ, იტალია ვალდებულებას კისრულობდა, რომ გამოიყენებდა ყველა საშუალებას და ერთობლივ სამხედრო მოქმედებებს აწარმოებდა მოკავშირეებთან ერთად.

ფანგულ და ინგლისურ ფლოტს აქტიური და მუდმივი დახმარება უნდა გაეწია იტალიისათვის ავსტრიის ფლოტის გასანადგურებლად.

1915 წლის 23 მაისს, იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრიას. ხოლო მოგვიანებით, 1916 წლის აგვისტოში – გერმანიასაც.

იმ დროს, როცა იტალია გამოვიდა სამთა კავშირიდან და ჩაერთო ანტანტის გაერთიანებაში, ორივე ბლოკის ბრძოლა ბულგარეთისათვის კვლავ გრძელდებოდა.

ბალკანეთში, ბულგარეთს, სებეთის შემდეგ, რომელიც ებრძოდა ავსტრია-უნგრეთს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბალკანეთის ქვეყნები-

დან სერბეთის მიმართ საინტერესო პოზიცია ეჭირა ბულგარეთს. ეს ორი ქვეყანა სხვადასხვა მებრძოლ მხარეზე იმყოფებოდნენ. თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა კულისებს მიღმა ვაჭრობა გერმანიის და ანტანტის ქვეყნების მთავრობებთან ბულგარეთის ხელისუფლების მიერ.

ბულგარეთის მეფე ფერდინად კაბურგსკის მთავრობა და ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ნაციონალური წრეები ოცნებობდნენ რევანშის აღებაზე, რომელიც დამარცხების გამო, მათ განიცადეს მეორე ბალკანური ომის დროს. ასევე სურდათ ბულგარეთის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობაც.

გერმანელი და ავსტრიელი დიპლომატები ყოველთვის ამწვავებდნენ ბულგარეთ–სერბეთის წინააღმდეგობას, რაც მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ბულგარეთს. შექმნილ ვითარებაში ბულგარეთმა თავისი მიზნების განხორციელება გერმანია-ავსტრიის ბლოკს დაუკავშირა და საბოლოოდ, 1915 წლის სექტემბერში იგი ოფიციალურად შეურთდა აღნიშნულ ბლოკს.

ჯერ კიდევ 1915 წლის დასაწყისში, რუსეთის გენერალურმა შტაბმა წამოაყენა წინადადება, რომ ანტანტის ყველა სახელმწიფოს განეხორცილებენია დიდი ოპერაცია ბალკანეთში. წარმატების შემთხვევაში მოხერხდებოდა თურქეთის სრული იზოლაცია, რაც შეამსუბუქებდა სერბიის და ჩერნოგორიის მდგომარეობას. თუმცა, დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები ისევ არაფერს აკეთებდნენ მათ გადასარჩენად. რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, პოლონეთში კატასტროფული მარცხის შემდეგ, იგი უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო და ვერ შეძლებდა რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმას.

1915 წლის 1 ოქტომბერს ბულგარეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა. სულ მალე ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და გერმანიის სამხედრო ნაწილებმა, რომელთა რაოდენობა 500 000 აღწევდა, სწარფად მოახერხა სერბიის არმიის განადგურება, რომელთა რიცხვი დაახლოებით 250 000 ათას აღწევდა. ეს მაშინ, როცა სალონიკში მოხდა რამდენიმე ფრანგული და ბრიტანული დივიზიის გადასხმა. თუმცა, სალონიკის ფრონტმა ვერ უშველა

სერბეთს. მთელი მისი ტერიტორია მტერმა დაიკავა. სერბული არმიის ნარჩენები, რომელთაც ზამთრის მძიმე პირობებში გადალახეს მთები, მიაღწიეს ადრიატიკის ზღვამდე, საიდანაც ანტანტის გემებით გადაიყვანეს ბერძნულ კუნძულ კორფუზე.

შექმნილ ვითარებაში, 1916 წლის დასაწყისისათვის ჩერნიგორიის მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. სერბეთის დამარცხებამ გერმანიას საშუალება მისცა პირდაპირ დაკავშირებოდა თურქეთს.

ამრიგად, ანტანტის მოლაპარაკებები ბულგარეთთან უშედეგოდ დასრულდა. იგი სამთა კავშირს შეუერთდა. 1915 წლის ოქტომბერში მან ხელი მოაწერა შეთანხმებას თურქეთთანაც. იმავე წელს ხელშეკრულება დაიდო ბულგარეთს, თურქეთს და ავსტრიას შორის. ამრიგად, გერმანიამ ბულგარეთის გავლითაც მიიღო პირდაპირი კავშირი თურქეთთან.

თუკი, ანტანტამ ბულგარეთთან მიმართებით წააგო, რუმინეთში საქმე სხვაგვარად იყო. 1916 წლის 17 აგვისტოს, ერთის მხრივ, რუმინეთს და რუსეთს შორის და მეორეს მხრივ, რუმინეთსა და საფრანგეთ-ინგლისს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით რუმინეთი ვალდებული იყო ომი გამოეცხადებინა ავსტრია-უნგრეთისათვის. 28 აგვისტოს რუმინეთმა ომი გამოუცხადა ვენას. ანტანტა რუმინეთს დაჰპირდა ტრანსილვანიას, ბუკოვინიის ნაწილს და ბანატას. მათგნ მიიღო ავსტრია-უნგრეთიის გარკვეული ტერიტორიების ანექსიის უფლებაზე თანხმობაც.

ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან რუსეთის და საფრანგეთის ხელისუფლების შეშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ დარჩებოდნენ თუ არა ბოლომდე ანტანტის წევრები საიმედო მეგობრებად. ამ შიშის დაძლევის სურვილით და საიმედო გარანტიების შექმნით იყო ნაკარნახევი 1915 წლის 5 სექტემბერს რუსეთს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმება, რომლის მიხედვით, ომის მსვლელობის მანძილზე მხარეები არ დადებდნენ სეპარატისტულ ზავს მოწინააღმდეგე ბანაკთან. სამი ქვეყანა ვალდებულებას ღებულობდა,

რომ საზავო პირობების შემუშავების დროს ისინი ერთმანეთს შეუთანხმდებოდნენ.

აქტიური დიპლომატიური მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებებიც.

1914 წლის ბოლოს თურქეთმა გააქტიურა მისი მოქმედებები. მათ შეტევა განახორციელეს კავკასიის ფრონტზე რუსების წინააღმდეგ, თუმცა საირყამიშის ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადეს. ასევე ჩავარდა თურქების თავდასხმა სუეცის არხზე 1915 წელს.

ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა 1914 წლის ბოლოს დაიკავეს კვიპროსი და ეგვიპტე და თვალი დაადგეს პალესტინას, მესოპოტამიას და სხვა მიწებს. ახლო და შუა აღმოსავლეთში დამპყრობლური მიზნები სხვა სახელმწიფოებსაც ჰქონდათ. ხანგრძლივი მოლაპარაკებები თურქეთის აზიური ნაწილის გაყოფის შესახებ დასრულდა მათ შორის რამდენიმე საიდუმლო ხელშეკრულების დადებით. თუმცა ამ გარიგებამ მათ შორის ურთიერთუნდობლობა მაინც ვერ მოხსნა.

1915 წლის გაზაფხულზე ინგლისი და საფრანგეთი რუსეთს დაჰპირდნენ განსაკუთრებული უფლების მოპოვებას შავი ზღვის ყურეების ზონებზე. ამავე დროს, 1915 წლის თებერვლიდან ინგლისურმა ესკადრამ, რომლებსაც მხარს ფარანგები უჭერდნენ, რამდენჯერმე სცადეს ამაოდ გადაელახათ დარდანელი. გალიპოლის რაიონში ბრიტანული არმიის ნაწილების დესანტმა დიდი დანაკარგები განიცადა და იძულებული გახდნენ საექსპედიციო ნაწილების ევაკუირება მოეხდინათ. 1916 წლის გაზაფხულზე, ბრიტანეთის არმიის იმ ნაწილმა, რომელიც ალყაში მოაქციეს თურქებმა მესოპოტამიაში კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამრიგად, ანტანტამ ვერ შეძლო სწრაფად მორეოდა საკმაოდ სუსტ მოწინააღმდეგეს. ასევე გამოვლინდა გარკვეული წინააღმდეგობები ამ გაერთიანებაში კოორდინირებული მოქმედების კუთხით, ეს მაშინ, როცა გერმანულ ბლოკში ერთობლივი მოქმედებისათვის უმაღლესი ხელმძღვანელობის კუთხით, დომინირებული მდგომარეობა გერმანულ მხარეს ეკუთვნოდა. ავსტრია-

უნგრეთის, თურქეთის, ბულგარეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო დამორჩილებოდა ბერლინიდან მიღებულ პირდაპირ მითითებებს.

გერამანიის უმაღლესი ხელისუფლება კი ცდილობდა მოკავშირე და ოკუპირებული ქვეყნების რესურსები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ მიზნით, 1915 წლიდან დაიწყო პროპაგანდა დიდი საბაჟო ბლოკის შექმნის შესახებ გერმანიის ხელმძღვანელობის ქვეშ. გახმაურებულ პამფლეტში „შუა ევროპა" პუბლიცისტი ნაუმანი ახსენებდა იმას, რომ თურქეთიც შევიდოდა ამ ევროპაში. მალე გერმანიამ ის დაასახელა თავის პარტნიორად ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

ამრიგად, 1915 წელს სამთა კავშირი გარდაიქმნა ოთხთა კავშირად. იტალია საბოლოოდ გადავიდა ანტანტის მხარეზე, ხოლო ცენტრალური ღერძის სახელმწიფოებმა (გერმანია და ავსტრია-უნგრეთი) შეიერთეს ბულგარეთი და თურქეთი. თუმცა, ავსტრია-გერმანიის ბლოკის გაფართოებამ ვერ შეძლო უზრუნველეყო ამ ბლოკის უპირატესობა ომში. ჯამში ანტანტის ქვეყნების სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე სამთა კავშირის. ეკონომიკურად და სამხედრო კუთხით სუსტი ბულგარეთი, ასევე ავსტრია-უნგრეთის და თურქეთის დაუძლურებული იმპერიები, რომლებიც განიცდიდნენ შიდა კრიზისს და დასუსტებას მათ ტერიტორიებზე მიმდინარე დაპყრობილი ხალხების მხრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არ შეიძლება ყოფილიყვნენ გერმანიის საიმდეო მოკავშირეები მისი გეგმების განხორციელებაში მსოფლიო გადანაწილების პროცესში. ასეთ ფონზე ბევრად რეალური იყო ანტანტის ქვეყნების კონკრეტული გეგმების განხორციელება.

9.2.1. მებრძოლი მხარეების მიზნები და გეგმები

აღნიშნული მიზნები და გეგმები იკვეთებოდა ანტანტის ქვეყნების მიერ გერმანიის ბლოკის ქვეყნებისადმი წაყენებულ მოთ-

ხოვნებში, რომლებიც ძირითადად ეხებოდა თითოეული მათგანის და მათ მიერ მფარველობაში მყოფი ევროპის მცირე სახელმწიფოების (ბელგიის, დანიის, სებიის) ტერიტორიების შეძენის, სხვადსხვა სავაჭრო-ეკონომიკური სარგებლობის უზრუნველყოფის და მიყენებული ზარალის გამო კომპენსაციის მიღების საკითხებს.

ომის დაწყების მომენტიდან წამყვანმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს ის მიზნები, რომელთა განხორციელება მათ წინაშე იდგა.

საფრანგეთის მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საფრანგეთის მთავარი მიზანი იყო, დაებრუნებინა ელზასი და ლოთარინგია, რომლებიც გერმანიის იმპერიის ნაწილი იყო; რევანში გერმანიაზე 1870–1871 წლებში პრუსიასთან განცდილი მარცხის გამო. უნდა დამთავრებულიყო პრუსიის ჰეგემონია ცენტრალურ ევროპაში. საფრანგეთს სურდა ანექსია მოეხდინა რაინის მიწებისა, ბელგია და ლუქსემბურგი შეუერთდებოდა საფრანგეთს. განახორციელებდა ზაარლანდის ანექსიას. გაიზრდებოდა საფრანგეთის პოზიცია ახლო აღმოსავლეთში.

1914 წლის 1 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საზონოვმა საფრანგეთის და ინგლისის ელჩებთან შეხვედრაზე ჩამოაყალიბა თავის ხედვა მომავალ მსოფლიოზე. მისი პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის შემადგენლობაში გალიციის და ნემანის ქვედა დინების შეყვანას, რუსეთზე დამოკიდებული პოლონეთის ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენას მისი გერმანული და ავსტრიული ტერიტორიების ნაწილებით, ე.ი. მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო პოზნანი, სილეზია და დასავლეთ გალიცია. უნდა მომხდარიყო თურქეთის იმ აზიური ტერიტორიების ანექსია, რომელიც დასახლებული იყო სომხებით და ქურთებით. ასევე, სერბიის ტერიტორიის გაფართოება ავსტრი-უნგრეთის ტერიტორიის ხარჯზე. ამრიგად, ომთან მიმართებით რუსეთის მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი იაპონიასთან მარცხის შემდეგ, კონცენტრაციას ახდენდა ბალკანე-

თის ნახევარკუნძულზე, სადაც მის ინტერესებს ავსტრია–უნგრეთი ეღობებოდა. რუსეთი იმედოვნებდა კონსტანტინეპოლის აღებას, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. რუსეთის გავლენა გაიზრდებოდა ეგეოსის ზღვასა და შავ ზღვაზე.

საზონოვის განცხადებით საფრანგეთს უნდა დაბრუნებოდა ელზასი და ლოტარენგია და მისი საკუთარი გადაწყვეტილებით უნდა შეერთებინა რეინის პროვინციების ნაწილი, ბელგიას გადაეცემოდა ააჰენის მიდამოები, ბელგიის ტერიტორია უნდა გაზრდილიყო გერმანიის მიწების ხარჯზე. დანიას უნდა დაბრუნებოდა შლეზვინგი და ჰოლშტაინი. გათვალისწინებული იყო ჰანოვერის სამეფოს აღდგენა. ავსტრია და ორი სამეფო-უნგრეთი და ჩეხეთი სამთა მონარქიად უნდა გარდაქმნილიყო. სერბიას უნდა შეერთებოდა ბოსნია, ჰერცოგოვინა, დალმაცია და ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილი. ბულგარეთს უნდა მიეღო კომპენსაცია მაკედონიაში. ხოლო საბერძნეთს ალბანეთის სამხრეთი ნაწილი. გერმანიის იმპერიის კოლონიები გადანაწილდებოდა საფრანგეთზე, ინგლისსა და იაპონიაზე.

რუსული მხარე ეთანხმებოდა პარიზსს გერმანიის კარდინალური დასუსტების საკითხში, თუმცა, პეტერბურგი ამ კუთხით საკმაოდ თავშეკავებულ პოზიციას აწყდებოდა ლონდონიში. ეს უკანასკნელი უფრო გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძლიერების ლიკვიდაციით იყო დაინტერესებული. შესაბამისად, გერმანული ფლოტის განადგურებით და აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მისი კოლონიების განაწილებით. რაც შეეხება ევროპას, აქ ბრიტანელები მიიჩნევდნენ, რომ გერმანიის პირენეის ოლქები უნდა შეერთებოდა ბელგიას და ლუქსემბურგს და არავითარ შემთხვევაში მის მოკავშირე საფრანგეთს. ამრიგად, დიდი ბრიტანეთის მთავარი მიზანი იყო, დაესუსტებინა გერმანიის იმპერია ეკონომიურად. დამთავრებულიყო პრუსიის მილიტარიზაცია. აღდგენილიყო ჰანოვერის სამეფო. ახლო აღმოსავლეთს გაიყოფდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, მესოპოტამიას მიიღებდა გაერთ-

იანებული სამეფო. გერმანიის იმპერიას ჩამოერთმეოდა კოლონიები აფრიკაში.

რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი იყო ყურების პრობლემა. საზონოვი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ინგლისსა და საფრანგეთთან იმისათვის, რომ რუსეთს მიეღო შავი ზღვის სრუტეები. თუმცა, არც პარიზი და არც ლონდონი არ ჩქარობდნენ მოკავშირის მოთხოვნებზე თანხმობის მიცემას. მით უფრო, ამ კუთხით რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულების აღებას. საბოლოოდ, პარიზის უარყოფითი დამოკიდებულება რუსების მიერ ბოსფორის და დარდანელის სრუტეების დაკავების გეგმებთან დაკავშირებით თნდათანობით რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალა. ამ კუთხით საზონოვმა განაცხადა, რომ პარიზსს ფორმალურად უნდა აეღო ვალდებულება. ხოლო უარის შემთხვევაში მან გადადგომით დაიმუქრა და ორაზროვნად მიანიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მის ადგილზე მოვიდოდა ადამიანი, რომელიც სამი იმპერატორის კავშირის მომხრე იყო. ლონდონი და პარიზი შეშფოთდნენ. 1915 წლის 12 აპრილს ინგლისმა ოფიციალური ნოტით განაცხადა, რომ ქალაქი კონსტანტინოპოლი ბოსფორის და მარმარილოს ზღვების სანაპიროების გარკვეული ტერიტორიული ნაწილით და რიგი კუნძულებით, ომის დასრულების შემდეგ გახდებოდა რუსეთის. მალე საფრანგეთიც შეუერთდა ინგლის-რუსეთის ამ შეთანხმებას.

ასევე, ცხადი იყო უთანხმოება ლონდონსა და პარიზს შორის მდ. რეინის მარცხენა სანპიროს საკითხზე. ამ ტერიტორიაზე საფრანგეთი მოითხოვდა, სულ მცირე ბუფერული ზონის შექმნას მისი შეუზღუდავი გავლენით, ხოლო დიდი ბრიტანეთი მიიჩნევდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვევდა გერმანიის სრულ დასუსტებას, რაც საფრანგეთს საშუალებას მისცემდა გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა კონტინენტზე. ლონდონის ამგვარი პოზიციის კვალდაკვალ, საფრანგეთს და რუსეთს შორის ფაქტობრივად, შეიქმნა არაფორმალური ბლოკი, რომელიც განმტკიცდა პეტერბურგსა და პარიზს შორის 1917 წლის

14 თებერვლის და 26 თებერვლის წერილების გაცვლით. კონფიდენციალური შეთანხმების შესაბამისად, ორივე სახელმწიფო განახორციელებდა ურთიერთმხარდაჭერას მომავალში გერმანიასთან საზღვრების მოწყობის საკითხის შესახებ ისე, რომ ამის შესახებ არ შეატყობინებდნენ ლონდონს.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდგომ მსოფლიო მოწყობაზე, ანტანტის შიგნით დაძაბულ მოლაპარაკებებზე საკმაოდ მწვავედ განიხილებოდა ახლო და შორეულ აღმოსავლეთში სიტუაციის მოწესრიგების შესახებ საკითხი. კერძოდ, საქმე ეხებოდა „თურქეთის მემკვიდრეობის" გაყოფის და ჩინეთში გერმანიის სამფლობელოების საკითხს, რომელიც იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში.

პეტერბურგსა და ლონდონში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა საფრანგეთის პრეტენზიები სირიაზე და იაპონიის ჩინეთში. ლონდონი პარიზისაგან განსხვავებით საეჭვოდ უყურებდა 1916 წლის 3 ივლისს გაფორმებულ რუსეთ-იაპონიის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომელშიც სამართლიანად ხედავდა 1902 წლის იაპონია-ინგლისი კავშირის დაკნინებას. ვინაიდან იაპონია იყო დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ერთ-ერთი დასაყრდენი აღმოსავლეთ აზიაში. საბოლოოდ, მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთის აზიური ნაწილის განაწილებაზე.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამ საკითხებზე ხელშეკრულებაც კი დაიდო 1916 წლის მაისში (ე.წ. საიქს-პიკოს შეთანხმება). ამ შეთანხმების საფუძველზე, ინგლისს უნდა მიეღო მესოპოტამია, ხოლო საფრანგეთს სირია, მცირე სომხეთი, ქურთებით დასახლებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთს კი უნდა მიეღო ტრაპიზონის ოლქი, ერზრუმი, ბაიზეთი, ქურთისტანის ნაწილი. ხოლო იტალიას ანტანტის მხარეზე გამოსვლის შემდეგ გამოეყო ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი. პალესტინაზე იგეგმებოდა საერთაშორისო კონტროლის დამყარება. ჰაიფის და აკრაჟის პორტები ინგლისს გადაეცემოდა. საკუთრივ თურქეთის განკარგულებაში კი რჩებოდა მხოლოდ ანატოლიის ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები.

ანტანტის გარდა გერმანიის ბლოკსაც თავისი ფართო გეგმები ჰქონდა. გერმანიის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ საფრანგეთს უნდა ჩამორთმეოდა ქალაქი ბრიე (ლოთრინგენის პროვინციაში), ეს ქვეყანა გახდებოდა ეკონომიურად გერმანიის იმპერიაზე დამოკიდებული. უნდა მომხდარიყო ბელგიის პოლიტიკურ–ეკონომიკური კონტროლი მის მიერ, ანუ ბელგიის ანექსია–ლუთიხის, ანტვერპენის დაპყრობა, ფლანდრიის სანაპიროს დაქვემდებარება. ლუქსემბურგი უნდა გამხდარიყო იმპერიის ნაწილი. ასევე უნდა მომხადიყო კოლონიზაციის გაფართოება აფრიკაში. ბერლინის გეგმით ნიდერლანდებს ექნებოდა ახლო ურთიერთობა გერმანიის იმპერიასთან.

მთლიანობაში, გერმანია ცდილობდა ევროპის ცენტრში შეექმნა დიდი ეკონომიკური კავშირი, რომელიც დაექვემდებარებოდა გერმანიას და რომელშიც შევიდოდა ავსტრია-უნგრეთი, ჰოლანდია, დანია, პოლონეთი და საფრანგეთის ნაწილი. შემდეგ იგეგმებოდა მასში იტალიის, შვეციის, ნორვეგიის შეყვანა. ამრიგად, სამთა კავშირის გამარჯვების შემთხვევაში, ევროპაში ახალი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნებოდა, რომელიც არსით მილიტარისტული იმპერია იქნებოდა. ომის პირველ წლებში გერმანიის წარმატებებმა, მას დამპყრობლური გემო იმდენად გაუზარდა, რომ გეგმავდა ფინეთის, ბალტიისპირეთის ოლქების, უკრაინის, ბელორუსიის, ყირიმის და კავკასიის შეერთებასაც კი.

გერმანიის გეგმების შესახებ სათანადო სურათს ქმნის 1914 წლის 29 ოქტომბერს ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ფ. ფონ ლობელიას მიერ შედგენილი მემორანდუმი „ომების მიზნების შესახებ". მასში ნათქვამია, რომ გერმანიამ, რაც არ უნდა გამოსადეგარი იყოს, უარი არ უნდა თქვას იმაზე, რისი მონელებაც არ შეუძლია. გერმანიამ უნდა მიიღოს ყველაფერი, ისიც კი რაც უშუალოდ არ სჭირდება, იმისათვის, რომ მომავალში მოწინააღმდეგეები გერმანიასთან ბრძოლაში სუსტები იყვნენ.

როგორც ფომ ლებელი მიჩნევდა, გერმანიას დასჭირდებოდა საუკეთესო პორტები და სანაპიროები ფართო გასასვლელებით მსოფლიო ოკეანეებში, ბევრად უფრო ძლიერი კონტინენტური პოზიციების მქონე ინგლისთან ურთიერთობებისათვის. გერმანიისათვის აუცილებელი იყო თავისუფლება ზღვებზე კოლონიებში მოსახერხებელ ნავსაყუდელებთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფდა მისი პოზიციების დაცვას კოლონიებში და რომლებიც იქნებოდნენ ნედლეულით მომარაგების და მისი ნაწარმის გასაღების ბაზრები.

მემორანდუმში ასევე აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთი არის გერმანიის ისტორიული მტერი და აუცილებელია მისი იმ ტერიტორიების შეერთება, რომლებიც მდიდარია ქვანახშირით და რკინით. რაც შეეხება ინგლისს, იგი შეიძლება დარჩენილიყო გერმანიის გვერდით მთავარი მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკაში. თუმცა ეს, მათ შორის, სულაც არ გამორიცხავდა მტრობას.

რუსეთისაგან, როგორც ლებელი მიიჩნევდა, გერმანიას უნდა მოეთხოვა ბევრად მეტი, რომ მიეღო ის, რაც სურდათ გერმანელებს და რომ რუსეთს ბევრად მეტი ტერიტორიული მსხვერპლი უნდა გაეღო.

გერმანიის ამ გეგმების განხორციელება დაფუძნებული იყო იმაზე, რომ გერმანია ადვილად მოიპოვებდა გამარჯვებას და შეძლებდა თავისი პირობების კარნახს მოწინააღმდეგეზე, ასევე მისივე სურვილის მიხედვით მოხდებოდა ევროპის რუკის შეცვლა. მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ბერლინში ფიქრობდნენ. ომი გაჭიანურდა და დასამარდა გერმანიის სწრაფი გამარჯვების მოპოვების იმედებიც.

რაც შეეხება ავსტრია–უნგრეთის მიზნებს. იგი აპირებდა სერბეთის, მონტენეგროს, რუმინეთისა და პოლონეთის ნაწილის შეერთებას. ვენას დიდი როლი უნდა ეთამაშა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებში.

იტალია კი იმედოვნებდა, რომ მიიღებდა ტრენტინოს,სამხრეთ ტიროლს, გორცს, გრადისკას, მთლიან ისტრიენს, სხვადასხვა პატარა კუნძულებს ადრიატიკის ზღვაში, პროვინცია დალმაციას. ხო-

ლო ოსმალეთის იმპერიის გაყოფისას იტალია მიისაკუთრებდა ანატოლიის სამხრეთ ნაწილს.

თურქეთს სურდა პირველ რიგში შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზის კონტროლი. მას უნდა მოეხდინა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკუპაცია. თურქები გაიმაგრებდნენ პოზიციებს კავკასიაში, შეეცდებოდნენ ყველა თურქი ხალხის გაერთიანებას.

მოუხედავად იმისა, რომ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები ვითარდებოდა ევროპაში, კონფლიქტმა უფრო და უფრო გლობალური ხასიათი მიიღო. ყველა მხარის თავდაპირველი გეგმები მალევე ჩაიშალა და გასაგები გახდა, რომ ომის წლის ბოლომდე დამთავრება შეუძლებელია.

მიუხედავად აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონტებზე რიგი ბრწყინვალე გამარჯვებებისა, 1917 წლისათვის გერმანიის მდგომარეობა მაქსიმალურად გაუარესდა და გერმანია-ავსტრიის ბლოკის გამარჯვება, საერთოდ ეჭვქვეშაც კი დადგა. უფრო მეტიც, ომის გაჭიანურებამ მებრძოლი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. შექმნილ სიტუაციაში მებრძოლი მხარეები იწყებენ ომიდან გამოსვლის გზების ძიებას და ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე ფიქრს. თუმცა ომის შეჩერება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც მისი დაწყება.

ომმა მოიცვა არა მარტო ევროპის, არამედ აზიის და აფრიკის რეგიონებიც. ამერიკის შეერთებულმა შა\ტატებმა ანტანტის მხარე დაიჭირა, თუმცა, ომში უშუალოდ ჩაბმისაგან საწყის ეტაპზე თავი შეიკავა. იგი დახმარებას უწევდა საფრანგეთს და ინგლისს. ასეთ პირობებში ანტანტის რესურსები კიდევ უფრო იზრდებოდა მაშინ, როცა გერმანიისა მცირდებოდა.

იაპონიას თავისი მიზნები ჰქონდა ამ ომში. მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა შორეული აღმოსავლეთის რეგიონში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სამხედრო მოქმედებები რეგიონში, რომელმაც ანტანტის შეშფოთებაც კი გამოიწვია.

1914 წლის 23 აგვისტოს იაპონიამ ომი გამოუცხადა გერმანიას. ტოკიოს საკუთარი დამპყრობლური გეგმები ჰქონდა. მან წყნარ ოკეანეში მოახდინა იმ ორი კუნძულის ოკუპაცია, რომელიც გერმანიას ეკუთვნოდა და წინსვლა განაგრძო ჩინეთის მიმართულებით. ასევე დაიკავა კია-ჩაო და განაცხადა, რომ მას ჩინეთს უბრუნებდა., მაგრამ, იაპონიის რეალური ზრახვები გამოჩნდა მაშინ, როცა მან ჩინეთის ხელისუფლებას, 1915 წლის 18 იანვარს, 21 პუნქტიანი მოთხოვნა წაუყენა. იაპონიამ ჩინეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. პეკინი თაანხმა გახდა მხოლოდ იმაზე, რომ იაპონიას მიეღო ის უფლებები, რაც გერმანიას ჰქონდა შანდუნის პროვინციაში. იაპონიის აგრესიის შედეგად, მონღოლეთის აღმოსავლეთი და შუა ნაწილი, სამხრეთ მანჯურია მთლიანად მის დაქვემდებარებაში მოექცა. ამრიგად, პეკინმა 21 პუნქტიანი მოთხოვნების მიღებით, ფაქტობრივად, აღიარა იაპონიის პროტექტორატი ჩინეთზე.

ჩინეთში იაპონიის მოქმედებებმა შეშფოთება გამოიწვია ანტანტის ქვეყნებში. ვაშინგტონში, ლონდონში და პეტერბურგში უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ იაპონია უკონტროლოდ ამაგრებდა თავის პოზიციებს შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ, რამდენადაც მან გერმანიას გამოუცხადა ომი და მისი სამფლობელოების ოკუპაცია მოახდინა, ანტანტა და განსაკუთრებით კი რუსეთი, არ ახდენდა ჩინეთში მის ქმედებებზე დია რეაგირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ანტანტის ქვეყნებს შორის გარკვეული წინააღმდეგობები არსებობდა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე, მაინც საკავშირო არმიის წარმომადგენლების კონფერენციაზე ჯერ შანტილში (1916 წლის ნოემბერი), ხოლო შემდეგ პეტერბურგში (1917 წლის იანვარ-თებერვალი) მაინც ოპტიმიზმის სული ტრიალებდა.

ანტანტის ქვეყნების ლიდერების განწყობილება ვერ გააფუჭა ვერც ანტისამთავრობო გამოსვლებმა ქვეყანაში, ვერც პაციფისტების გააქტიურებამ, ვერც კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამ, ვერც უზარმაზარმა სულიერმა და მატერიალურმა დანაკარგებმა. პირიქით, მათ

მიიღეს გადაწყვეტილება საერთო–საყოველთაო შეტევაზე გადასვლისა ფრონტის ყველა მიმართულებით 1917 წლის გაზაფხულისათვის. მათ განკარგულებაში იყო 425 დივიზია მოწინააღმდეგის 331 დივიზიაზე. ასეთი დიდი უპირატესობა გამოწვეული იყო იმით, რომ იაპონიის და შეერთებული შტატების (1917) გამოსვლამ ანტანტის მხარეზე ბლოკის რესურსები რამდენადმე გაზარდა და გადააჭარბა გერმანიის შესაძლებლობებს. ცხადია, სიტუაციის ამგვარმა განვითარებამ გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე.

9.3. საერთაშორისო ურთიერთობები ომის დამამთავრებელ ეტაპზე

9.3.1. სტრატეგიული სიტუაცია და ძალთა განლაგება

მსოფლიო ომის დამამთავრებელი ეტაპი ხასიათდებოდა სამი ძირითადი სპეციფიკური ნიშნით..

პირველი, ფრონტის ორივე მხარეზე მებრძოლ ქვეყნებში იგრძნობოდა ეკონომიკური დაუძლურება. დაპირისპირებული ბანაკების მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსები ამოწურვის ზღვარზე იყო. ეს ძირითადად ეხებოდა გერმნიას და რუსეთს, ქვეყნებს, რომელთა მხრიდანაც ფართო ხასიათი ჰქონდა საბრძოლო რესურსების გასავალს.

მეორე, როგორც ავსტრია-გერმანიის ბლოკში, ისე ანტანტის ქვეყნებში საკმაოდ სერიოზული განწყობილება იყო ომის შეწყვეტისათვის, რამაც რეალური შესაძლებლობა შექმნა სეპარატული ზავის დადებისათვის ამა თუ იმ კონფიგურაციით. ერთიანი საკავშირო ფრონტის დარღვევის პრობლემა იმდენად მწვავე იყო, რომ 1914 წლის 5 სექტემბერს ლონდონში საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს სპეციალურ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მხარეები სეპარატულ ზავს არ დადებდნენ მოწინააღმდეგე მხარესთან. 1915 წლის 30 იანვ-

არს მსგავსი შინაარსის დეკლარაცია იქნა მიღებული მხარეების მიერ, რომელსაც ასევე შეუერთდა იტალია და იაპონია. მიუხედავად ამგვარი დიპლომატიური ნაბიჯებისა, ამის შემდეგაც კი, რუსეთის ომში მონაწილედ დარჩენის პრობლემა იყო ანტანტის ბლოკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო–პოლიტიკური საკითხი, რამდენადაც, ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ მარტო დასავლეთ ევროპული წამყვანი სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფდნენ სამხედრო-ძალოვან უპირატესობას ოთხთა კავშირზე.

მესამე, რუსეთში, ნაწილობრივ ასევე გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში, მსოფლიო ომის მსვლელობის დროს მოხდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი გამწვავება. მოსახლეობის დაბალი ფენები, ეროვნული უმცირესობები, ასევე ზედაფენების გარკვეული ნაწილი სამხედრო სირთულეების გავლენით, საერთოდ გამოვიდნენ ომის და საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელები აშკარად ავლენდნენ თავიანთ უმწეობას გამარჯვების მიღწევის საქმეში.

ამ ქვეყნებში ანტისამთავრობო განწყობილების გაძლიერება არსებითად გავლენას ახდენდა არა მარტო მათ საგარეო პოლიტიკაზე, არამედ საერთაშორისო ვითარებაზეც. მებრძოლი ქვეყნების ეკონომიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემებისათვის ომს მოჰქონდა საკმაოდ უარყოფითი შედეგები. აშკარა იყო, რომ მათი მმართველი წრეები რეალურად ვერც კი აფასებდნენ სოციალური აფეთქების საშიშროებას.

1916 წლის ბოლოს და 1917 წლის დასაწყისისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ომმა ორწლინახევრის განმავლობაში ევროპის, აზიის და აფრიკის ხალხებიდან საკმაოდ დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსები შთანთქა, ომის დამთავრების პერსპექტივა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო.

ანტანტა, რომლის მთავარი სამხედრო–პოლიტიკური ძალა წარმოდგენილი იყო ძირითადად ხუთი წამყვანი სახელმწიფოს – რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიის და იტალიის სახით, მათი ცოცხალი და მატერიალურ-ტექნიკური რესუ-

რსებით ბევრად აღემატებოდა ევროპის ცენტრალური სახელმწიფოების ბლოკის – გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და თურქეთის ანალოგიურ შესაძლებლობებს. ეს უპირატესობა გარკვეული სახით კომპენსირდებოდა იმით, რომ ავსტრია-გერმანიის ბლოკს საკმაო ტერიტორიები ჰქონდათ დაპყრობილი, გააჩნდათ კარგად ფუნქციონირებადი სატრანსპორტო კომუნიკაციები და ჰქონდათ ბლოკის შიგნით ერთობლივი მოქმედების საუკეთესო კოორდინაცია.

მოკავშირეებს შორის კონფერენციების სერიამ, რომელსაც ანტანტის ქვეყნები აწარმოებდნენ 1915-1916 წლების განმავლობაში, ხელი შეუწყო პეტერბურგის, პარიზის და ლონდონის ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესებას, რასაც უნდა უზრუნველეყო გერმანიის და მისი მოკავშირეების ბლოკის საბოლოო დამარცხება.

ანტიგერმანული ბლოკის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები, რომელიც გამოვლინდა ჯერ კიდევ ომის დაწყების მომენტში და დაკავშირებული იყო მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკურ კურსთან, უარყოფით გავლენას ახდენდა ანტანტის შიგნით ერთიანი სიმტკიცის მიღწევაზე.

9.4. ცვლილებები ომის მსვლელობაში და გერმანიის მცდელობები სეპარატული ზავის დასადებად

ომის დამამთავრებელ ეტაპზე ანტანტის ქვეყნებმა გადაწყვიტეს საბოლოო დარტყმა მიეყენებინათ გერმანია-ავსტრიის ბლოკისათვის. პარიზის, ლონდონის და პეტერბურგის იმედები განპირობებული იყო მოწინააღმდეგე მხარის სამეურნეო დაუძლურების შესახებ ცნობებით.

როგორც ცნობილია, ომის საწყის ეტაპზე წარმატებები სამთა კავშირის მხარეზე იყო, თუმცა, საბრძოლო მოქმედებების გაჭიანურებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გერმანია, რადგან მისი სამხედრო გეგმები მოკლევადიანი ომის წარმოებაზე იყო

გათვლილი. შესაბამისად, მას არც რესურსები გააჩნდა ომიის გასაგრძელებლად.

1917 წლის გაზაფხულიდან გერმანიამ პრაქტიკულად დაკარგა სტრატეგიული ინიციატივა. ქვეყანაში იზრდებოდა მწვავე სოციალ-ეკონომიკური კრიზისი. მოვლენების განვითარების ასეთ ფონზე, გერმანია გამოსავალს ეძებს. იგი ცდილობს სეპარატისტული ზავის დადებას. დიპლომატიური მოქმედებები ყველა მიმართულებით წარმოებდა. პირველი, 1916 წლის დეკემბერში ბუქარესტის დაკავების შემდეგ ბერლინმა სპეციალური ნოტით მიმართა ნეიტრალურ ქვეყნებს ორგანიზება გაეკეთებინათ სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის. ბუნებრივია იბადება კითხვა, მაინც რისი მიღწევა სურდა ბერლინს ამ მოლაპარაკებებით? გერმანიაში ფიქრობდნენ, რომ ანტანტის ქვეყნებიდან მოლაპარაკებებზე თანხმობის შემთხვევაში შეძლებდნენ უთანხმოების შეტანას მათ რიგებში და თუ ყველასთან ვერა, მათ ნაწილთან მაინც მოახერხებდნენ ჩანაფიქრის განხორციელებას მსოფლიო რუკის შეცვლასთან დაკავშირებით. ან კიდევ, ანტანტის მხრიდან უარის შემთხვევაში სამთავრობო პროპაგანდა გერმანელ ხალხს დაარწმუნებდა, რომ ომის გაგრძელება ანტანტის ქვეყნების სურვილი იყო. ამავე დროს, ვენა და ბერლინი თვლიდნენ, რომ დიალოგი მოწინააღმდეგე მხარესთან მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიების აღიარების საფუძველზე უნდა წარმართულიყო. ამის საფუძველს საომარ ფრონტებზე არსებული მდგომარეობა აძლევდათ მათ, ვინაიდან 1916 წლის ბოლოსათვის ფრონტებზე ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ბლოკს მომგებიანი პოზიციები ეკავათ. კერძოდ, სერბეთის და რუმინეთის დამარცხების შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძული ოთხთა კავშირის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც გერმანულ არმიას გზა გაუხსნა ახლო აღმოსავლეთისკენ. ანტანტის ქვეყნებში სასურსათო კრიზისი დაიწყო, რაც მოუსავლიანობის და კოლონიებიდან ნედლეულის შეტანის შემცირებამ გამოიწვია. მეორე მხრივ, ლონდონის და პარიზის თავშეკავებულმა დამოკიდებულებამ შეერთებული შტატების მცდელობაზე თავს მოეხვია ევროპელებისათვ-

ის ომების მიზნების და ამოცანების შესახებ საკუთარი ხედვები, რომელიც დაფუძნებული იყო „ძალთა ბალანსის" კონცეფციაზე უარის თქმასა და საერთაშორისო წესრიგის კრიტერიუმებად დემოკრატიის, კოლექტიური უსაფრთხოების და ერთა თვით-გამორკვევის დასახელებაზე, ბერლინს საშუალება მისცა გამოეყენებინა ჩიხური სიტუაცია ფრანგულ და რუსულ ფრონტებზე საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებისათვის.

რეალურად კი, გერმანიის ჩანაფიქრის განხორციელებით ხორცი შეესხმებოდა პანგერმანულ გეგმებს, რომლის მიხედვით შუა ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი უნდა შექმნილიყო გერმანიის ეგიდით, მაგრამ გერმანიის გათვლა ჩავარდა. რადგან ბერლინის ამ განცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ანტანტამ განაცხადა, რომ ზავზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აღდგება ხალხთა დარღვეული უფლება და თავისუფლება, ხოლო პატარა სახელმწიფოები შეძლებდნენ არსებობას და არ აღმოჩნდებოდნენ საფრთხის ქვეშ.

ბერლინში ყველაზე მეტად იმედოვნებდნენ, რომ სეპარატულ ზავს რუსეთთან დადებდნენ. კრაპეტებში და კავაკსიის ფრონტზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, რუსული არმია თავდაცვით პოზიციებზე გადავიდა, ხოლო შემდეგ იძულებულიც კი გახდა ზოგან უკან დახევაც განეხორციელებინა. რუსულ ფრონტზე რეზერვები ჩართული იქნა ზურგიდან და საფრანგეთიდან. რუსეთში შიდა ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდა. სამხედრო მრეწველობაში კრიზისი გაჩნდა, ვითარდებოდა რევოლუციური სიტუაცია. უმაღლეს ხელისუფლებაში არ იყო ერთსულოვნება. მთავრობაში ძლიერდებოდა მათი გავლენა, ვინც სეპარატული ზავის დადების მომხრე იყო. მათ შორის იყო ახლად დანიშნული მთავრობის მეთაური ბ. შტიურმერი, რომელიც მხარს უჭერდა გ. რასპუტინს. ამ ჯგუფმა მოახერხა გადაეყენებინა საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი, რომლის ადგილზე დაინიშნა შტიურმერი.

სახელისუფლებო ცვლილებები განხორციელდა ინგლისშიც. 1916 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრი გახდა ლ. ჯორ-

ჯი. ხელისუფლებაში მისი მოსვლა დაემთხვა ომში ინგლისის მონაწილეობის გაძლიერებას. ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად ვ. ვილსონი. კონკრეტული საზავო პირობების ჩამოყალიბების შესახებ ვილსონის მოწოდებაზე, გერმანიამ განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკებები შეიძლება აწარმოონ მხოლოდ მებრძოლმა მხარეებმა. თავდაპირველად, ამერიკა ძალიან უარყოფითად იყო ევროპული ომის მიმართ განწყობილი და მკაცრ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ვუდრო ვილსონმა არაერთხელ სცადა დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დაესვა, მაგრამ უშედეგოდ. ამერიკის პაციფისტურ განწყობაზე ძალიან იმოქმედეს გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა, რომლებიც 1917 წლისთვის უკვე დროშის განურჩევლად ყველა გემს ძირავდნენ. ამერიკელთა მოთმინების ფიალა კი აავსო გერმანიის მცდელობამ ამერიკის ნეიტრალიზაციისთვის მექსიკაში ანტიამერიკული მოძრაობის გასააქტიურებლად.

1917 წლის 3 თებერვალს შეერთებულმა შტატებმა დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა გერმანიასთან და იმავე წლის 6 აპრილს ომი გამოუცხადა. 1916 წლის ბოლოსათვის ფრონტებზე სიტუაცია ანტანტის სასარგებლოდ შეიცვალა.

9.5. პოლიტიკური კრიზისი რუსეთში

1917 წელს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა გადამწყვეტი ფაქტორი მსოფლიო წესრიგის კარდინალური ტრანსფორმაციისათვის, რომელმაც ცოტა მოგვიანებით იურიდიული ასახვა ჰპოვა პარიზის 1919-1920 წლების კონფერენციის დოკუმენტებში. ეს იყო რევოლუციური მოძრაობა რუსეთში და შეერთებული შტატების ჩაბმა ომში.

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმამ ომში, ანტანტის სასარგებლოდ შეცვალა ფრონტზე სიტუაცია, თუმცა რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული საფიქრალი გაუჩინა ანტანტას.

რუსეთის იმპერია ანტანტის ყველაზე სუსტი წერტილი აღმოჩნდა როგორც ეკონომიკურად, ასევე სამხედრო-პოლიტიკური კუთხით. ფონტებზე დამარცხებამ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ ქვეყანაში ბიძგი მისცა ანტისაომარი და ანტისამთავრობო მოძრაობის გაძლიერებას.

1916 ბოლოს ომის შედეგები ძალიან მძიმედ აისახა რუსეთზე, ქვეყანა პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე იყო. კომუნისტების გამოსვლები კიდევ უფრო ამწვავებდნენ სიტუაციას. ომის გარდა ქვეყანაში სერიოზული შინაგანი არეულობა დაიწყო. ქვეყნის საგარეო და საშინაოპოლიტიკის საკითხთან საკავშირებით უკმაყოფილება იზრდებოდა არა მარტო მოსახლეობის დაბალ ფენებში, არამედ მმართველ წრეებშიც. რუსეთის რევოლუციური მოძრაობისაგან დაცვის მიზნით, მმართველი წრეები მზად იყვნენ ნიკოლოზ II მისი ძმით მიხაილით შეეცვალათ. მათი ზეწოლით, 1917 წლის 15 მარტს ნიკოლოზ II იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე. მაგრამ უკვე გვიანი იყო. ვერც ნიკოლზ II გადადგომამ და ვერც მიხეილის უარმა ტახტის დაკავებაზე ვედარ უშველა მონარქიას რუსეთში. თებერვლის რევოლუციამ ქვეყანაში ცარიზმს ბოლო მოუღო, შეიქმნა დროებითი მთავრობა. თავადაპირველად მას თავადი გ. ლივოვი ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ ა. კერენსკი. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დროებით მთავრობაში ჯერ პ. მილიუკოვმა დაიკავა, ხოლო შემდეგ ი. ტერეშენკომ.

1917 წლის თებერვალში გაიმართა ანტანტის ქვეყნების წარმომადგენელთა მორიგი კონფერენცია, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ომი მიეყვანათ ბოლომდე. ამ კონფერენციაზე საფრანგეთმა და რუსეთმა დადეს საიდუმლო ხელშეკრულება, რითაც გამიჯნეს მათი საზღვრები გერმანიასთან. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მშვიდობის მიღწევა გერმანიაზე გამარჯვების გარეშე შეუძლებელია. მთლიანობობაში, რუსეთი საგარეო პოლიტიკაში წინანდელი მთავრობის პოლიტიკურ კურსს ატარებდა, ზოგიერთ მიმართულე-

ბაში მცირეოდენი სახეცვლილებით. ახალმა მთავრობამ დაადასტურა წინა მთავრობის ვალდებულებები, სანაცვლოდ კი მიიღო ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა და აღიარება. 1917 წლის მარტ-აპრილში ახალი მთავრობის იურიდიული უფლებამოსილება ცნო თითქმის ყველა სახელწიფომ. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეერთებულმა შტატებმა შეასრულა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო, დროებითმა მთავრობამ წინადადებით მიმართა მოკავშირეებს, რომ გერმანიის წინააღმდეგ საყოველთაო შეტევა განეხორციელებინათ გაზაფხულიდან ზაფხულის მანძილზე ერთდროულად ორივე ფრონტზე. მაგრამ ინგლისი და საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვდნენ ოპერაციების დაწყებას აღმოსავლეთის ფრონტზე.

რუსეთის ახალი მთავარობა ბევრად უფრო დამოკიდებული აღმოჩნდა ანტანტაზე, ვიდრე წინა ხელისუფლება. ანტანტის მოთხოვნით, კერენსკის მთავრობამ დაიწყო სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთის ფრონტზე. სამხედრო მინისტრი ალექსანდრე კერენსკი ცდილობდა მოეგვარებინა დემორალიზებულ არმიაში სიტუაცია. მან გალიციაში დიდი შეტევის გეგმა დაამუშავა, ბრუსილოვი კი მთავარსარდლად დანიშნა. შეტევა 1 ივლისს დაიწყო, რომელსაც ორდღიანი საარტილერიო მომზადება უძღვოდა წინ. რუსებმა მოახერხეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ისევ და ისევ ცუდი მომარაგების გამო ვერ შეძლეს შეტევის გაგრძელება ავსტრიელებმა კი მოკლე ხანში მოაგროვეს რეზერვები. 16 ივლისს რუსები ფრონტის მთელ ხაზზე შეაჩერეს, ხოლო 3 დღეში გერმანელებმა და ავსტრიელებმა კონტრშეტევა დაიწყეს. რუსულ არმიაში დაიწყო მასიური დეზერტირობა. რუსეთში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, გერმანელებმა ამით ისარგებლეს და სექტემბერში აიღეს რიგა.

ამრიგად, გერმანელებმა ზოგიერთ ადგილას ფრონტის ხაზის გარღვევაც კი შეძლეს და რუსულმა არმიამ ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ უბნებზე უკანდახევაც განახორციელა. ქვეყანში პოლიტიკური კრიზისი გამწვავდა.

გერმანელებმა კარგად იცოდნენ რუსეთში არსებული სიტუაციის შესახებ და როგორც კი შეეძლოთ ხელი შეუწყეს ბოლშევიკებს. დააბრუნეს რუსეთში მათი ლიდერი ლენინი, რომელმაც დააჩქარა ოქტომბრის რევოლუცია.

რუსეთში განხორციელებულმა სახელისუფლებო ცვლილებამ რუსეთის პრესტიჟი და წონა მოკავშირების თვალში კიდევ უფრო დასცა. ლონდონი და პარიზი ცდილობდნენ თავიანთი კონტროლის ქვეშ მოექციათ სიტუაცია რუსეთში და არ დაეშვათ მისი გასვლა ომიდან.

გერმანიის რეიხსტაგის მიერ მიღებულ რეზოლუციას ზავის მიღების შესახებ, ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობისაგან წინააღმდეგობა შეხვდა.

ომი გაგრძელდა. ინგლისი და საფრანგეთი შეერთებულ შტატებთან ერთად შეთანხმდნენ რუსეთის შიდა საქმეებში ეკონომიკური და სამხედრო ჩარევის თაობაზე. შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული ქვეყნები გავლენის სფეროებს იყოფდნენ რკინიგზის, სამხედრო, საზღვაო ფლოტის და ეკონომიკის ცალკეული მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთის მთავრობამ შეთანხმება გააფორმა შეერთებულ შტატებთან სარკინიგზო ხაზების რეორგანიზაციის შესახებ, ინგლისმა საკუთარ თავზე აირო რუსული ფლოტი, ხოლო საფრანგეთი უნდა დაკვებულიყო არმიის რეორგანიზა-მოდერნიზაციით.

დასავლეთის ქვეყნების აღნიშნული გეგმები ბევრს მეტყველებდა. ცხადი იყო, რომ საქმე ეხებოდა არა მარტო რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევას, არამედ ქვეყნის გავლენის სფეროებად განაწილებას. თუმცა, მოვლენები ის არ განვითარდა, როგორც ამას ლონდონში, პარიზსა და ვაშინგტონში მოელოდნენ. რუსეთი ახალმა რევოლუციურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც კარდინალურად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიური პროცესები.

ნოემბერში კი მოხდა რევოლუცია და რუსეთი პრაქტიკულად გამოეთიშა ომს. 1918 წლის 3 მარტს კი რუსებმა ბრესტ-ლიტოვსკში ზავს მოაწერეს ხელი, რომლითად დაკარგეს ბალტიისპირეთი, ფი-

ნეთი, ამიერკავკასიის სამხრეთი და უკრაინის დიდი ნაწილი. გერმანიამ კი მთელი ძალები დასავლეთ ფრონტზე გადაისროლა.

აღმოსავლეთ ფრონტზე ომის შეწყვეტა პირველ რიგში იტალიელებმა იგრძნეს. ოქტომბრიდან გერმანელებმა და ავსტრიელებმა ერთად შეუტიეს იტალიის ჩრდილო დასავლეთს და უკან დაახიეს იტალიელები. დახევა მდინარე პიავესთან შეწყდა. ინგლისელები და ფრანგები იძულებულნი გახდნენ იტალიაში 11 დივიზია გადაესროლათ სიტუაციის გამოსასწორებლად.

9.6. პოლიტიკური სიტუაცია ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში

სერიოზული მოვლენები ვითარდებოდა ანტანტის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც. განსაკუთრებით რთული სიტუაცია იყო ავსტრია-უნგრეთში. ომმა ეკონომიკური სირთულეები გამოიწვია ქვეყანაში. გაძლიერდა დაპყრობილი ერების წინააღმდეგობა რეჟიმისადმი. კარლ I, რომელმაც ტახტი ფანც იოსებ II გარდაცვალების შემდეგ დაიკავა, ეშინოდა მოვლენების შემდგომი განვითარების და ცდილობდა სეპარატული ზავის დადებას. საფრანგეთის გულის მოგების მიზნით, მან განაცხადა ელზასის და ლოტარენგის მისთვის დაბრუნების შესახებ. მას საკმარისად მიაჩნდა ავსტრია-უნგრეთისათვის ომამდელი საზღვრების აღდგენა. თუმცა, ვენის ასეთი გეგმები დაასამარა იტალიის მკვეთრმა მოქმედებებმა, რომელიც ცდილობდა ტრიესტის, დალმაციის და ტრენტინოს შეერთებას.

მართალია, შედარებით კარგი მდგომარეობა იყო გერმანიაში, ვინაიდან მასზე გავლენა მოახდინა რუსეთში განხორციელებულმა თებერვლის რევოლუციამ., მაგრამ, აქაც გახშირდა გაფიცვები, ფრონტზე გაჩნდა მღელვარების ნიშნები. ყველაფერი ეს მოასწავებდა პოლიტიკური კრიზისი დწყებას ქვეყანში.

9.7. სახელისუფლებო ვერტიკალის ცვლილება რუსეთში და მისი გავლენა საომარ კამპანიაზე. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და მისი შედეგები

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში განხორციელდა სოციალისტური რევოლუცია. მაშინ, ჯერ კიდევ ვერავინ აცნობიერებდა თუ რა სერიოზული ძვრების მომტანი იქნებოდა იგი საერთაშორისო ურთიერთობებში. ვერც რუსეთის დროებითმა მთავრობამ და ვერც ანტანტის ქვეყნების ხელისუფლებამ ვერ გაიგო ის, რაც რუსეთში მოხდა. ისინი სტრატეგიულ გათვლას აკეთებდნენ ომის გაგრძელებასა და გერმანიის საბოლოოდ დამარცხებაზე.

ამ პოლიტიკას ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნა. მათ ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღესვე მიიღეს დეკრეტი ზავის შესახებ.

8 ნოემბერს რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ მიმართა მებრძოლ მხარეებს დაზავების შესახებ. ამ დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში დაიბარეს ყველა ელჩი, რომლებიც რუსეთში იყვნენ აკრედიტირებულნი და შესთავაზეს დაზავების შესახებ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება. თუმცა, იგი უყურადღებოდ დატოვეს. ინგლისმა და საფრანგეთმა საომარი მოქმედებების გაგრძელება მოითხოვეს. მაგრამ რუსეთის ეკონომიკა გაკოტრებული იყო, ხოლო არმია დასუსტებული და კრიზისს განიცდიდა. ასეთ შეცვლილ პირობებში რუსეთის მხრიდან ომის გაგრძელება იმთავითვე გამორიცხული იყო.

მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა ასევე გერმანია. ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში თანდათან განმტკიცდა აზრი ზავის დადების აუცილებლობის შესახებ რუსეთთან. თუმცა, მისი სამხედრო ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ მან მოახერხა და გაანადგურა რუსული არმია და

საბჭოთა მთავრობა დააააყენა ფაქტის წინაშე, რომ უკარნახოს ზავის პირობები.

საბჭოთა რუსეთის წინადადებამ ზავის შესახებ, გერმანიაში გაამწვავა სხვადასხვა წრეებს შორის ბრძოლა. ამავე დროს მან შექმნა შესაძლებლობა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისათვის ორ ქვეყანას შორის. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკამ სხვა მებრძოლ მხარეებთან ზავის დადების თაობაზე კი წარუმატებლობა განიცადა.

1917 წლის 3 დეკემბერს ბრეს-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკებები ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთის და მეორე მხრივ, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთის წარმომადგენლებს შორის.

საბჭოთა დელეგაციამ მხარეებს შესთავაზა ამოსულიყვნენ იმ პირობებიდან, რომელიც გაცხადებული იყო დეკრეტში ზავის შესახებ, მაგრამ გერმანულმა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი საზავო მოლაპარაკებებს დათანხმდა იმიტომ, რომ კონკრეტულ საკითხებზე ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და უარი თქვა განეხილათ შემოთავაზებული წინადადება. გერმანულმა მხარემ ასევე უარი განაცხადა ისეთი კონკრეტული საკითხების განხილვაზე, როგორიც იყო აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანული ჯარის ნაწილების გადმოსხმის შეჩერება და ომის დროს დაკავებული რუსული ტერიტორიების გათავისუფლება.

შემდგომში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას გერმანიის ბლოკს და რუსეთს შორის დროებითი დაზავების თაობაზე 15 დეკემბრიდან 28 დღის ვადით. საბჭოთა მთავრობამ აცნობა შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, რუმინეთის, ბელგიის და სერბიის ელჩებს ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ და წინადადებით მიმართა მონაწილეობა მიეღოთ საზავო მოლაპარაკებებში. ეს მიმართვაც უყურადღებოდ დატოვეს აღნიშნულმა ქვეყნებმა.

რუსეთის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა რუმინეთმა და 1917 წლის დეკემბერში რუმინულმა ჯარებმა დაიკავეს ბესარაბია, რომელიც 1918 წელს შეუერთდა მას.

1917 წლის 22 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკებები ზავის დადების შესახებ რუსეთსა და გერმანიის ბლოკის ქვეყნებს შორის. იგი სამ ეტაპად წარიმართა: 1917 წლის 2 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე, 9 იანვრიდან 10 თებერვლამდე, და 1918 წლის 1 მარტიდან 3 მარტამდე. გერმანული მხარე სარგებლობდა რა რუსეთის მძიმე მდგომარეობით საკუთარ პირობებს სთავაზობდა რუსულ მხარეს დაზავების საფუძვლად. გერმანული მხარე ისევ აგრძელებდა საომარ კამპანიას საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის დროსაც, რომ რაც შეიძლება ბევრი დათმობა განეხორციელებინა რუსულ მხარეს.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო საზავო ხელშეკრულება რუსეთს და გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) შორის. რუსეთისათვის ზავის პირობები ძალიან მძიმე იყო. რუსეთმა დაკარგა პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია, ლიფლანდია, ესტონეთი და სხვა ოლქები, რომლებიც გერმანულ ჯარებს ჰქონდათ დაკავებული. კავკასიაში თურქეთს გადაეცა ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქები. უკრაინა და ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდა. გათვალისწინებული იყო ტყვეების გაცვლა. ბრესტ-ლიტოვსკში ასევე ხელი მოეწერა საბაჟო ბეგარა-გადასახადების შესახებ დასკვნით ოქმსა და რუსეთ-გერმანიას, რუსეთ-ავსტრიას და რუსეთ-თურქეთს შორის დამათებით ხელშეკრულებებს.

ხელშეკრულების რატიფიკაცია ორი კვირის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. რუსულმა მხარემ უკვე 15 მარტისათვის მოახდინა რატიფიცირება. გერმანიამ გამოიყენა რუსეთის მძიმე მდგომარეობა და აგრძელებდა მის მთავრობაზე ზეწოლას. 1918 წლის აგვისტოში ბერლინმა რუსეთი აიძულა ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებისათვის, რომელიც ადგენდა ახალ სადემარკაციო ხაზს გერმანიის სასარგებლოდ. როგორც აღვნიშნეთ, ბრესტის ზავით ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1917 წლის

31 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლებამ ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მიუხედავად, რომელიც გერმანული დიპლომატიისა და სამხედრო ძლიერების წარამატების შედეგი იყო, საომარ ფრონტებზე სიტუაცია მაინც შეიცვალა. ომში შეერთებული შტატების ჩართვამ რადიკალურად შეიცვლა ძალთა განლაგება.

1918 წლისთვის დასავლეთ ფრონტზე გერმანელებიც, ფრანგებიც და ინგლისელებიც დასუსტებულები იყვნენ სანგრებში სამწლიანი ჯდომის შემდეგ. რუსეთის ომიდან გასვლის შემდეგ, გერმანელებმა აღმოსავლეთიდან ძალები დასავლეთ ფრონტზე გადაისროლეს, რამაც ცოტა ხნის მანძილზე შეამსუბუქა მათი მდგომარეობა, მაგრამ მოკავშირეებს ხელთ უკეთესი კოზირი ჰქონდათ. გაზაფხულზე კონტინენტზე უკვე 300 000 ამერიკელი ჯარისკაცი იყო, მათი რაოდენობა კი თვეში 250 000-ით იზრდებოდა. ამერიკის ომში ჩართვა გამოფიტული ინგლისელებისა და ფრანგებისათვის გადამრჩენელი იყო. სხვა ყველაფერთან ერთად გერმანულ არმიაში საკვები პროდუქტის ნაკლებობაც იყო.

ამერიკა ომში 1917 წლის გაზაფხულზე ჩაერთო, თუმცა ამერიკელებმა აქტიურად ბრძოლებში მონაწილეობა მხოლოდ 1918 წლის გაზაფხულზე მიიღეს, რადგან ამერიკული ჯარი სრულიად არ იყო მზად ისეთი ომისათვის, როგორიც დასავლეთ ფრონტზე განვითარდა. ამერიკულ კორპუსს ჯონ პერშინგი ხელმძღვანელობდა. მან ჩამოაყალიბა პირველი ამერიკული არმია, რომელშიც 14 დივიზია შედიოდა. ახალი ამერიკული არმია საბრძოლველად პირველად 1918 წლის 24 ივლისს შამპანში გავიდა.

სხვა ფრონტებზეც ინიციატივა ანტანტის ქვეყნებისკენ გადავიდა. ოქტომბერში მოკავშირეებმა გადალახეს მდინარე პიავა და შეუტიეს ავსტრიელებს, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელნი იძულებულები იყვნენ სწრაფად დაეხიათ. ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ, ავსტრიელებმა მოითხოვეს დაზავება. ისევ შეუტიეს ბულგარელებ-

საც სალონიკებში. 3 ნოემბერს ავსტრო-უნგრეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

ინგლისელებმა ახლო აღმოსავლეთშიც მოიპოვეს მთელი რიგი გამარჯვებები. მათ აიღეს ბაღდადი, შემდეგ დაიკავეს ბაქო, 1917 წლის ბოლოს - იერუსალიმი. იმავდროულად თურქების ზურგს უკან ბრიტანელი ოფიცერი თომას ლოურენსი აწარმოებდა პროპაგანდულ მუშაობას არაბებში და მიაღწია მათ აჯანყებას. თურქები მიხვდნენ, რომ აჯანყებას ვერ ჩაახშობენ ომის მსვლელობისას და 30 ოქტომბერს კაპიტულაცია გამოაცხადეს.

1918 წლის 8 იანვარს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაქვეყნა 14 პუნქტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სიტუაციიდან გამოსვლის პრაქტიკული და პრინციპული ამოცანები და განსაზღვრული იყო გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ზავის დადების პირობები. ვილსონის 14 პუნქტი ასახავდა ღია საზავო მოლაპარაკებების წარმოებას და უარის თქმას საიდუმლო ხელშეკრულებების დადებაზე, ყველა კოლონიური და სადავო საკითხების თავისუფალ, მოლაპარაკების რეჟიმში გადაწყვეტის სურვილს და ა.შ.

გადამწყვეტი ბრძოლები დასავლეთ ფრონტზე ვითარდებოდა. 1918 წლის ზაფხულში გერმანიამ კიდევ ერთი ახალი მსხვილი სამხედრო ოპერაცია დაგეგმა, მაგრამ ამჯერად უკანასკნელად. მან პარიზის აღება გადაწყვიტა, მაგრამ ფრანგული და ინგლისური არმიის ნაწილებმა შეძლეს გერმანიის ჩანაფიქრის ჩაგდება. ფრანგებმა შეუტიეს გერმანელებს შამპანში, შემდეგ ბრიტანელებმა 8 აგვისტოს, ამენში. გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა ლუდენდორფმა ამ დღეს გერმანიის არმიის შავი დღე უწოდა. გერმანელებმა შეძლეს ამ შეტევის შეჩერება. სექტემბერში სენ-მიშელთან ამერიკელებმა შეუტიეს გერმანელებს. რის შემდეგაც ბრიტანელებმა და ბელგიელებმა შეუტიეს იპრთან, ამერიკელებმა და ფრანგებმა კი – არგონზე. ბრძოლები ძალიან სასტიკი იყო. გერმანელები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მოკავშირეებს ყოველი მეტრი მიწისთვის რაც შეიძლება მეტი სისხლი დაეღვარათ.

ოქტომბრის დასაწყისში ბრიტანელებმა მოახერხეს გინდენბურგის ხაზის გარღვევა. სანგრებში ომი დასრულდა და ისევ მობილური ომი დაიწყო. გერმანული არმია კარგად იბრძოდა, მაგრამ გერმანიაში სიტუაცია უფრო მეტად იძაბებოდა. ბლოკადის გამო ქვეყანაში საკვების და პირველადი საჭიროების ნივთების დეფიციტი იყო. კიდევ უფრო ძლიერდებოდა პაციფისტური განწყობები. ფრონტის ხაზზეც კი ჯარისკაცებს საშინელი საკვები ჰქონდათ. ამის გარდა გერმანიაში ჯარისკაცთა კატასტროფული დეფიციტიც დაიწყო. ჯარში უკვე 16-17 წლის ბიჭებს იწვევდნენ. ოქტომბრის ბოლოსთვის ცხადი იყო, რომ გერმანია დამარცხების ზღვარზეა. ლუდენდორფმა გადაწყვიტა ჯარების გერმანიის დასავლეთ საზღვართან გადაყვანა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება.

1918 წლის შემოდგომაზე სამთა კავშირის ქვეყნები ერთმანეთის მიყოლებით დაზავებას ითხოვდნენ., პირველად ბულგარეთმა გამოაცხადა კაპიტულაცია. 1918 წლის 3 ოქტომბერს. ბულგარეთის მეფე ფერდინადი ტახტიდან გადადგა. მას მიჰყვა თურქეთი. ამრიგად, გერმანიის კავშირი დაიშალა. 1918 წლის ოქტომბერში დაემხო ჰაბსბურგების მონარქია. 3 ნოემბერს ავსტრიის სამხედრო ხელმძღვანელობამ დროებით ზავს მოაწერა ხელი.

საკუთრივ გერმანიაში მწვავე რევოლუციური კრიზისი იყო. 1918 წლის ოქტომბერში გერმანელი მეზღვაურები აჯანყდნენ, რომლებმაც უარი განაცხადეს ბრძანების შესრულებასა საბრძოლო ოპერაციის განხორციელბაზე. მათ დაიკავეს კრილი, აჯანყებამ ჰამბურგი მოიცვა და გერმანიაში სწრაფად გავრცელდა.

ანტანტის ქვეყნების ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს ფრონტის ხაზები და გერმანიის ცენტრისკენ დაიძრნენ, გერმანიაში ახალი მთავრობა ჩამოყალბიდა პრინც მ. ბადენის ხელმძღვანელობით, რომელმაც 4 ოქტომბერს, საღამოს, შვეიცარიის მთავრობის მეშვეობით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს დროებითი დაზავების შესახებ. ვაშინგტონმაც მოითხოვა გერმანიის მხრიდან ვილსონის 14 პუნქტის დადასტურება, ასევე წყალქვეშა ომების შეწყვეტა და გერმანელი ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება.

მოლაპარაკებები ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყო, თუმცა დასავლეთ ფრონტზე ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. ვილსონის 14 პუნქტი გერმანიისთვის მისაღები იყო, მაგრამ მოკავშირეთა სამხედრო მეთაურები არ თანხმდებოდნენ ამაზე, მათ სურდათ გერმანიისგან სრული კაპიტულაცია.

მოკავშირეები შეთანხმდნენ იმაში, რომ გერმანიასთან მოლაპარაკებების წარმოება მანამ არ მოხდებოდა, ვიდრე გერმანიის ხელისუფლებას ყველა ის დამნაშავე არ დატოვებდა, ვინც ხელი შეუწყო ომის გაჩაღებას. საუბარი იყო ვილჰემ II გადაყენებაზე. ვაშინგტონმა გააფრთხილა ბერლინი, რომ თუ ეს არ მოხდებოდა, დადგებოდა საკითხი გერმანიის სრული კაპიტულაციის მოთხოვნაზე.

1918 წლის 15 ოქტომბერს მოკავშირეები შეიკრიბნენ, რომ განეხილათ დაზავების პირობები. აზრთა უთანხმოება გამოვლინდა ინგლისურ და ფრანგულ მხარეებს შორის. ინგლისი ზომიერი მოთხოვნებით გამოვიდა: საფრანგეთის და ბელგიის ტერიტორიების გათავისუფლება, ელზასის და ლოტარენგიის დაბრუნება. საფრანგეთი კი მოითხოვდა გერმანიისათვის მძიმე შეიარაღებული ტექნიკის ჩამორთმევას, მდ. რეინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიის დაკავებას 50 კილომეტრის სიღრმით, ასევე წამოაყენა სხვა მოთხოვნებიც. საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე. იგი ითვალისწინებდა: საფრანგეთის, ბელგიის და ლუქსემბურგის დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლებას, ელზასის და ლოტარენგიიდან ჯარების გაყვანას, მდ. რეინის მარცხენა სანაპიროს გათავისუფლებას, მოკავშირეებისათვის კონტრიბუციის გადახდას 5 ათასი ორთქმავალის, 5 ათასი მძიმე და საბრძოლო იარაღის, 150 ათასი ვაგონის, 1700 თვითმფრინავის და სხვა სახით.

ავსტრიის კაპიტულაციის შემდეგ გერმანია იზოლაციაში აღმოჩნდა. ქვეყანაში არეულობა სუფევდა და მძლავრობდა რევოლუციური მოძრაობა. მემარცხენეებმა მოითხოვეს ომის სასწრაფოდ შეწყვეტა და ბერლინში საყოველთაო გაფიცვა მოაწყეს.

7 ნოემბერს გერმანელებმა ფოშთან გაგზავნეს მოსალაპარაკებლად ხალხი. ფოშმა დაუყენა პირობა, რომ გერმანელებს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ ოკუპირებული ტერიტორიები და გადაეცათ მთელი ტექნიკა მოკავშირეებისთვის, რომლებიც დაიკავებდნენ რეინის დასავლეთ ნაპირს. გერმანელები იძულებულები იყვნენ დათანხმებოდნენ.

9 ნოემბერს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ მოაწყო გადატრიალება კაიზერის ვილჰელმ II წინააღმდეგ, რომელსაც აიძულეს ტახტზე უარის თქმა და გერმანიის დატოვება

სამშვიდობო მოლაპარაკებებს საფუძვლად ვილსონის 14 პუნქტი ედო, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში იყო შემუშავებული. ამ დოკუმენტის თანახმად გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს ომის მსვლელობისას დაპყრობილი ტერიტორიები უნდა დაეთმოთ, ავსტრო-უნგრეთის და თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებერებს ეძლეოდათ საკუთარი ეთნიკური სახელმწიფოების ჩამოყალიბების საშუალება, ხოლო გერმანიას უნდა დაებრუნებინა საფრანგეთისთვის ელზასი და ლოტარინგია. პოლონეთმა დამოუკიდებლობა მიიღო.

საზავო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა საფრანგეთში, კომპიენის ტყეში, ვაგონში, 1918 წლს 11 ნოემბერს.

კომპეინის ტყეში ხელმოწერილი დოკუმენტი ადგენდა დროებითი ზავის მოქმედების ვადას 36 დღით გაგრძელების უფლებით. ამ პერიოდის განმავლობაში უნდა მომხადარიყო საომარი მოქმედებების შეწყვეტა ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში და დაუყონებლივ უნდა მომხდარიყო ცენტრალური ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების ევაკუაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ტერიტორიების ჩათვლით, სადაც ისინი რჩებოდნენ მოკავშირეთა განსაკუთრებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

შეთანხმება ითვალისწინებდა გერმანული არმიის ნაწილების ევაკუაციას მდ. რეინის მარცხენა სანაპიროდან, სადაც შეიქმნებოდა 10 კილომეტრიანი ნეიტრალური ზოლი. გერმანიამ

ვალდებულება აიღო ანტანტისათვის გადაეცა მძიმე ტექნიკის დიდი ნაწილი, რომელშიც შედიოდა წყალქვეშა გემები და აერ-ოპლანები. ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებიდან გამომდინა-რე, უნდა მომხდარიყო ყველა ტყვის დაუყოვნებლივ გათავისუფ-ლება. შეთანხმების ფინანსური ნაწილი ითვალისწინებდა გერმ-ანიის მიერ მოკავშირეებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღა-ურებას, ასევე გერმანელების მიერ რუსული და რუმინული ოქ-როების გადაცემას მოკავშირეებისათვის, რომლებიც მათ ამ ქვე-ყნებიდან გაიტანეს კონტრიბუციის სახით, რომელიც ორივე ქვეყანამ გადაიხადა გერმანიის სასარგებლოდ ბრესტ-ლიტო-ვსკის და ბუქარესტის ზავების თანახმად.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გერმანული მხარე შეეცადა გამოეყენებინა გარკვეული წინააღმდეგობების არსებო-ბა საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და შეერთებულ შტატებს შო-რის და სცადა ანტანტის თითოეულ წევრთან შედარებით სასუ-რველი შეთანხმება დაედო. ამ მიზნით ებერტის მთავრობამ 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმართა ყოფილ მოწინააღმდეგეებს დაედოთ წინასწარი ზავი ვილსონის 14 პუნქტის საფუძველზე. თუმცა არც კლემანსონი და არც ლოიდ ჯორჯი არ აპირებდნენ გერმანულ მხარესთან დათმობზე წასვლას, ხოლო ვილსონს მათგან განსხვავებით, სხვა მიზანი ჰქონდა. შეერთებული შტა-ტების მთელი დიპლომატიური ძალისხმევა წარიმართა სამშვი-დობო კონფერენციის მომზადებისკენ, რომელიც უნდა გამხადა-რიყო Pan amerikan-ის ეპოქალური ათვლის წერტილი.

კომპიენის ზავის ხელმოწერამ მთლიანად შეცვალა მანა-მადე არსებული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხაზი. „დიდი დიპლომატიური თამაშის" ყოფილი თანასწორუფ-ლებიანი წევრები – გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტები, გარდაიქმნენ ობიექტებად.

კომპიენის ზავმა პირდაპირ გააუქმა გერმანიის და ავსტრი-უნგრეთის მიერ მანამდე დადებული შეთანხმებები. სხვათა შო-რის, ეს ეხებოდა გერმანიის ბლოკის ქვეყნებს და საბჭოთა რუსეთს შორის დადებულ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება-

საც. ამიტომაც კომპიენის ზავის ხელმოწერიდან ორ დღეში საბჭოთა რუსეთმა დენონსაცია გაუკეთა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას.

პირველმა მსოფლიო ომმა კორექტივები შეიტანა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. გერმანიამ დაკარგა აფრიკის და აზიის კოლონიები, ასევე ელზასი და ლოტარინგია. მძლავრ გერმანიის იმპერიას ჩაენაცვლა არასტაბილური, ღატაკი ვაიმარის რესპუბლიკა, რომელმაც 1933 წლამდე იარსება. გერმანიის მოსახლეობა დაიტანჯა შიმშილით და სიღატაკით, ომის შემდეგ კი მოხდა ეკონომიკის სრული კრახი, რასაც 20-იანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაცია მოჰყვა. კომუნისტები ყველა ხერხით ცდილობდნენ სახელმწიფოს სათავეში მოსვლას. მათ კი დაუპირისპირდნენ ნაციონალ-სოციალისტები, რომლებმაც საბოლოო ჯამში მოიპოვეს გამარჯვება.

დაიშალა ავსტრო-უნგრეთი. წარმოიქმნა დამოუკიდებელი ავსტრიის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკები. უნგრეთში კომუნისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში. იგივე ბედი ეწია ოტომანთა იმპერიასაც. არაბებმა თავისი ფსევდო დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს, რომლებიც ინგლისის და საფრანგეთის კონტროლის სფეროებად იქცნენ.

იტალიაშიც პოლიტიკური არასტაბილურობა სუფევდა, სანამ ხელისუფლებაში დიქტატორი ბენიტო მუსოლინი არ მოვიდა. დიდ ბრიტანეთში ძალიან მძიმე ეკონომიკური კრიზისი სუფევდა, არ წყდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლები. გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საფრანგეთი იყო. ოთხი წლის მანძილზე სწორედ მის ტერიტორიაზე გადიოდა ფრონტის ხაზი. ეკონომიკა დანგრეული იყო, ფრანგი მამაკაცების 27% კი ომში დაიღუპა.

რუსეთის იმპერია დაემხო და 20-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში საშინელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 1922 წელს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და დეკემბერში ახალი სახელმწიფო სსრკ ჩამოაყალიბეს.

ამრიგად, XIX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბებულმა ვენის საერთაშორისო სისტემამ, მართალია, გარკვეული ხნით შეძლო იმ ძირითადი ამოცანების შესრულება, რომელიც მან დააკისრა წმინდა კავშირს, მაგრამ ამ უკანასკნელის ფუნქციის განხორციელება რეალურად იყო ისტორიის ჩარხის უკუდმა დატრიალება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ სწორედ ვენის სისტემის ფარგლებში მოხდა იმ წინააღმდეგობრივი კვანძების ფორმირება, რომელმაც ევროპა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნამდე მიიყვანა და შესაბამისად, პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი. რამაც მთლიანობაში ამ სისტემის დამსხვრევა გამოიწვია.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ვენის სისტემამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, რომლის შედეგად ევროპა მტრულად განწყობილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებისკენ წავიდა.

ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ძალთა ბალანსის სისტემამ. თუკი ადრე, იგი ემყარებოდა ერთჯერად, დროებით, ვითარების შესაბამისად მოწყობილ კოალიციურ წარმონაქმნს (ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება), ახლა ძალთა ბალანსის სისტემამ თავისი გამოხატულება ხელშეკრულების პრინციპზე დაფუძნებულ სამხედრო-პოლიტიკური ბანაკების ჩამოყალიბებაში ჰპოვა, რაც ერთგვარ ინსტიტუციონალურ ხასიათს ატარებდა.

ვენის სისტემის კრიზისის მიზეზებია ევროპის ნაციონალური სახელმწიფოების მიზანმიმართული პოლიტიკა საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის, ევროპაში ახალი ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მორიგი ფაზა, როცა მან გლობალური სისტემური სახე შეიძიენა, საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი პოლიტიკური მოთამაშეების ასპარეზზე გამოსვლა და მათი დაპირისპირება მსოფლიო პოლიტიკის ძველ მოთამაშეებთა მსოფლიოში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის. ყველა ეს ასპექტი თავის გამოხატულებას სხვადასხვა კუთხით თავის

გამოხატულებას პოულობდა ლოკალური თუ გლობალური მასშტაბის კონფლიქტებსა თუ კრიზისებში, რაც საბოლოოდ დასრულდა ორი ურთიერთდაპირსპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჩამოყალიბებით, რაც ფაქტობრივად იყო მომზადება მსოფლიო ომისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ვენის სისტემის არსებობის განამვლობაში მსოფლიო წესრიგი გარკვეულწილად დაეფუძნა ინსტიტუციონალურ საფუძვლებს, კერძოდ, თავდაპირველად ეს იყო წმინდა კავშირი, ხოლო შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები. ორივე შემთხვევაში მხარეებს იურიდიულ-სახელშეკრულებო ნორმებზე ჰქონდათ პასუხისმგებლობა აღებული საერთო თამაშის წესების დაცვასა და განხორციელებაზე. თუმცა, საერთაშორისო სისტემის კრიზისის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკის არსებობა, რომელიც თითქოსად გარკვეული ბალანსის პრინციპს უნდა დაფუძნებოდა გახდა მიზეზი ახალი გლობალური კონფლიქტის გაჩაღებისა საერთაშორისო არენაზე. ეს კი თავის მხრივ განპირობებული იყო სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით, რაც მთლიანობაში დაკავშირებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების სისტემურ ხასიათთან.

Ираклии Манвелидзе

Генезис и эволюция системных международных отношений

Система международных отношений существует уже почти пятьсот лет. Однако, еще в античные времена, люди жили в интегрированных политических объединениях смешанного типа (города-государства, империи, феодальные княжества).

Вестфальский мир 1648 года ввел в употребление термин суверенитет и, в тоже время, стал точкой отсчета формирования и развития системы международных отношений.

Необходимо отметить, что Вестфальская система была переходным периодом между средневековыми (феодальными) международными отношениями и международными отношениями новой эпохой (капиталистическими). Она также была первой хрупкой системой, в которой были выражены принципы, характеризующие международные отношения древнего мира (напр. династические) и системные международные отношения (напр., принцип государственных интересов).

Главным субъектом системных международных отношений стали национальные государства со своими национально-государственными интересами. Именно эти интересы становятся основной причиной образования противостоящих лагерей в мировой политике. Тем более, что формирование системных международных отношений в Европе совпало с началом развития капитализма, а экономический меркантилизм усилил противостояние между европейскими государствами.

Эпоха Великой французской революции и наполеоновских войн закончила неустойчивое развитие баланса сил в Европе, который основывался на принципе создания одноразовых коалиций. Однако, основной причиной падения «старого режима» была устаревшая система европейского равноправия

Ни Луи XIV, ни наполеоновская Франция не смогли достичь полного континентального доминирования. Продолжительные и кровопролитные войны ослабили старый континент.

Победа над наполеоновской Францией привела ведущие государства Европы к мысли о том, что единственным оптимальным вариантом, сложившейся в послевоенной Европе ситуации, является созыв всеобщего конгресса, на котором будут рассмотрены все проблемы и разработан вариант консенсуса послевоенного урегулирования.

Россия, которая нанесла поражение наполеоновской армии и сыграла решающую роль в уничтожении Наполеона, стала сильным европейским государством. Австрия, Пруссия и Франция были побеждены и серьезно ослаблены. В Австрии, Пруссии, Англии и Франции не желали усиления влияния России в Европе. Они стремились за счет России решить часть своих проблем.

В ведущих европейских государствах появилось стремление к проявлению политического равновесия на основе баланса интересов России, Пруссии, Британии, Австрии и других государств. Дипломаты, монархи и политические деятели Европы стали свидетелями тектонических и геополитических сдвигов на европейской арене. Ведущие крупные государства Европы осознали необходимость создания общеевропейского баланса сил, который, в свою очередь, опирался бы на невозможность случайности игры.

Впервые в мировой политике, для установления международного порядка, началось целенаправленное проведение курса по созданию институциональных механизмов, которые в итоге бы обеспечили равноправие среди ведущих европейских государств и которые узаконили бы для конкретных моментов сложившийся status qvo.

Решение этой проблемы заняло важное место в Венской системе, которая существовала в трансформационном режиме до первой мировой войны.

На начальном этапе формирования данной системы европейские государства выработали и приняли жесткий контроль международного правопорядка, который стал новым витком в международных отношениях. Институтом охраны международного порядка предстает Священный союз. Однако создание Священного союза не решило те проблемы, которые существовали между европейскими государствами.

Новые силы, которые появились на европейской арене в процессе «индустриальной революции», еще не в силах были расшатать гегемонию старой элиты на континенте. Но, ясным стало одно, что после событий 1847-1848 гг. не было того, что было во время процветания Венской системы. Развитие европейской цивилизации создало новые проблемы, а поиск путей их решения становился все трудней в рамках существующего международного порядка. Это стало сутью кризиса данной системы.

Крымская война стала индикатором серийных локальных войн, которые охватили весь мир. Как правило, они были не продолжительными, но в их ведении происходило решение спутанных проблем, которые появились в данной системе на начальном этапе ее развития. После завершения Крымской войны восточный вопрос временно перешел на задний план, однако, на арене европейской политики появляются проблемы, которые были связаны с объединением Германии и Италии – вопрос национализма. В международных отношениях национализм занимает важное место. В это же время в Европе наблюдается новая перегруппировка сил, которые после кризиса Венской системы представляли серьезные предпосылки трансформации и в дальнейшем завершились созданием в Европе военно-политических блоков.

Таким образом, сформированная к началу XIX века Венская международная система, на определенное время смогла решить поставленные перед Священным союзом задачи, однако впоследствии стала тормозом в развитии международных отношениий. Поэтому не был случайным тот факт, что именно в рамках Венской системы начали формироваться узлы противостояния. Венская система привела Европу к созданию военно-политических блоков и, следовательно, способствовала развязыванию первой мировой войны.

К середине XIX века Венская система испытала серьезную трнсформацию, итогом которой стало формирование в Европе враждебно настроенных военно-политических блоков.

В итоге, система баланса сил в Европе испытала серьезные изменения. Если раньше она опиралась на одноразовые, временные коалиционные формирования (объединение нескольких государств против одн-

ого государства), то теперь система баланса сил нашла свое выражение в создании военно-политических блоков, которые носили институциональный характер.

Irakli Manvelidze

The Genesis and Evolution of Systemic International Relations

summary

System of the international relations exists already almost five hundred years. However, during antique times, people lived in the integrated political associations of the mixed type (a city-state, empire, feudal princedoms). The Westphalia world of 1648 has put into practice the term the sovereignty and, during too time, became a reference point of formation and development of system of the international relations.

It is necessary to notice that the Westphalian system was a transition period between medieval (feudal) international relations and the international relations a new epoch (capitalist). It also was the first fragile system in which the principles characterising the international relations of the ancient world (for them. dynastic) and system international relations (for them a principle of the state interests have been expressed).

The national states with the national-state interests became the main subject of system international relations. These interests become a principal cause of formation of resisting camps in world politics. As formation of system international relations in Europe has coincided with the beginning of development of capitalism, and the economic mercantilism has strengthened opposition between the European states.

The epoch of Great French revolution and Napoleonic wars has finished unstable development of balance of forces in Europe which was based on a principle of creation of disposable coalitions. However, the out-of-date system of the European equality was a principal cause of falling of "ancient regime".

Neither Lui XIV, nor Napoleonic France could not reach full continental domination. Long and bloody wars have weakened old continent. The victory over Napoleonic France has led the leading states of Europe of thought that the unique optimum variant, the situation which have developed in post-war Europe, convocation of the general congress on which all problems will be considered is and the variant of a consensus of post-war settlement is developed.

Russia which has inflicted defeat of Napoleonic army and has played a pivotal role in Napoleon's destruction, became the strong European state. Austria, Prussia and France have been won and seriously weakened. In Austria, Prussia, and France did not wish England strengthening of influence of Russia in Europe. They aspired to solve a part of the problems at the expense of Russia.

In the leading European states there was an aspiration to display of political balance on the basis of balance of interests of Russia, Prussia, Britain, Austria and other states. Diplomats, monarchs and politicians of Europe became witnesses of tectonic and geopolitical shifts on the European arena. The leading large states of Europe have realised necessity of creation of the all-European balance of forces which, in turn, would lean against impossibility of accident of game.

For the first time in world politics, for an establishment of the international order, purposeful carrying out of a course on creation institutable mechanisms which as a result would provide equality among the leading European states and which would legalization for the concrete moments developed status qvo has begun. The decision of this problem has taken the important place in the Viennese system which existed in transformation a mode to the First World War. At the initial stage of formation of the given system the European states have developed and have accepted the rigid control of the international law and order which became a new coil in the international relations. As institute of protection of the international order the Holy Alliance appears. However creation of a Holy Alliance has not solved those problems which existed between the European states.

New forces which have appeared on the European arena in process of "industrial revolution», yet in forces were to loosen hegemony of old elite on continent. But, one became clear that after events 1847-1848 there was no that was during prosperity of the Viennese system. Western civilization development has created new problems, and search of ways of their decision all became more difficult within the limits of an existing international order. It became an essence of crisis of the given system.

The Crimean war became the indicator of serial local wars which have captured all world. As a rule, they were not long, but in their conducting there was a decision of the confused problems which have appeared in the given system at the initial stage of its development. After end of the Crimean war east question has temporarily passed to a background, however, on arena of the European policy there are problems which have been connected with association of Germany and Italy – a nationalism question. In the international relations the nationalism takes the important place. During the same time in Europe the new regrouping of forces which after crisis of the Viennese system represented serious preconditions of transformation is observed and further have come to the end with creation in Europe military-political blocks.

Thus, generated to the XIX-th century beginning the Viennese international system, for a certain time could solve the problems put before a Holy Alliance, however subsequently became a brake in development international relations. Therefore there was no casual that fact what exactly within the limits of the Viennese system opposition knots have started to be formed. The Viennese system has led Europe to creation of military-political blocks and, hence, promoted development the First World War. To the XIX-th century middle the Viennese system has tested the serious transformation formation in Europe with hostility adjusted military-political blocks became which result. As a result, the system of balance of forces in Europe has tested serious changes. If earlier she leant against disposable, time coalition formations (association of the several states against one state) now the system of balance of forces has found the expression in creation of military-political blocks which carried institutable character.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ლომსაძე დ, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-1870, თბ.,1998

მენთეშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799 წლიდან 1918 წლამდე, თბ., 2002

Аветян А.С. Русско-германские дипломатические отношения накануне первой мировой войны. 1910-1914. – М., 1985.

Антюхина - Московченко В.И. Третья республика во Франции, 1870-1918. - М., 1986.

Айрапетов О.Р. Балканы. Стратегия Антанты в 1916 году // Вопросы истории. – 1997. – №9.

Богатуров А.Д. Системный подход и изучение международных отношений // Мир между войнами. Избранные документы по истории международных отношений 1910-1940-х годов. - М., 1997.

Бахтурина А.Ю. Зарождение и сущность идеи Священного Союза // Вопросы истории. – 1997. – №4.

Болховитинов Н.Н. Россия и начало гражданской войны в США // Новая и новейшая история. – 1994. – №2.

Борисов Ю.В. Шарль Морис Талейран. – М., 1989.

Бисмарк О., фон. Мысли и воспоминания: Пер. с нем. – В 3-х т. – М., 1940-1941.

Бьюкенен Дж. Мемуары дипломата: Пер. с англ. – 2-е изд. – М., 1991.

Витте С.Ю. Воспоминания. – В 3-х т. – М., 1960.

Виноградов В.Н. Великобритания и Балканы: от Венского конгресса до Крымской войны. – М., 1985.

Виноградов В.Н. Николай I в “крымской ловушке” // Новая и новейшая история. – 1992. – №4.

Виноградов В.Н. О “крымском синдроме”, британском морском могуществе и угрозе австрийского нападения с фланга: от Екатерины II до Александра II // Славяноведение. – 1998. – №2.

Виноградов В.Н. Первая мировая война. Великодержавная дипломатия в “пороховом погребе” Европы // Славяноведение. – 1998. – №5.

Виноградов В.Н. Русско-турецкая война 1877-1878 гг. и освобождение Болгарии. – М., 1978.

Виноградов К.Б. Боснийский кризис 1908-1909 гг. - Л., 1964.

Внешняя политика России XIX и начала XX века. Документы Российского министерства иностранных дел. – Серия первая. 1801-1815 гг. – В 8-ми т. – М., 1960-1972.

Внешняя политика России XIX и начала XX века. Документы Российского министерства иностранных дел. – Серия вторая. 1815-1830 гг. – Т.9-16. Ноябрь 1815 г. – июль 1830 г. – М., 1974-1995.

Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII – начало XX вв.). – М., 1970.

Гримм Э.Д. Сборник договоров и других документов по истории международных отношений на Дальнем Востоке (1842-1925). – М., 1927.

Дебидур А. Дипломатическая история Европы. От Венского до Берлинского конгресса (1814-1878.): Пер. с фр. – 2-е изд.. – М., 1994.

Дегоев В.В. Кавказский вопрос в международных отношениях, 30-60-е гг. XIX в. – Владикавказ, 1992.

Джеймс Дж. Истоки первой мировой войны: Пер. с англ. - 2-е изд. – Ростов-на Дону, 1998.

Дегоев В.В. Россия, Великобритания и происхождение Крымской войны // Россия XXI. – 1996. – № 9 – 10.

Додолев М.А. Венский конгресс 1815 г. в современной зарубежной историографии // Новая и новейшая история. – 1994. – № 3.

Дурново П.Н. Записка 1914 г. // Родина. – 1993. –№ 8,9.

Дулина Н.А. Османская империя в международных отношениях (30-40-е годы XIX в.). – М., 1980.

Емец В.А. Очерки внешней политики России в период первой мировой войны. Взаимоотношения с союзниками по вопросам ведения войны. – М., 1977.

Ерофеев Н.А. Английский колониализм в середине XIX в. – М., 1977.

Ерофеев Н.А. Империя создавалась так... Английский колониализм в XVIII в. – М., 1964.

Золотухин М.Ю. Россия, западноевропейские державы и Османская империя в период международных кризисов на Балканах (1885-1888 гг.). – М., 1996.

Зотова М.В. Россия в системе международных отношений XIX в. – М., 1996.

Игнатьев А.В. Англо-русские отношения накануне первой мировой войны. – М., 1983.

Игнатьев А.В. Своеобразие российской внешней политики на рубеже XIX – XX веков // Новая и новейшая история. – 1998. – №8.

Игнатьев А.В. Сергей Дмитриевич Сазонов // Вопросы истории. – 1996. – № 9.

Игнатьев А.В. Внешняя политика России в 1905- 1907 гг. – М., 1989.

Извольский А.П. Воспоминания: Пер. с англ. – 2-е изд. – М., 1989.

История внешней политики и дипломатии США. 1867-1918 / Отв. ред. Г.П.Куропятник. – М., 1997.

История первой мировой войны. 1914-1918. – В 2-х т. – М., 1975.

История внешней политики России. Первая половина XIX века (От войн России против Наполеона до Парижского мира 1856 г.). – М., 1995.

История внешней политики России. Вторая половина XIX века (от Парижского мира 1856 г. до русско-французского союза). – М., 1997.

История внешней политики России. Конец XIX – начало XX века (от русско-французского союза до Октябрьской революции). – М., 1997.

Канцлер А.М.Горчаков. 200 лет со дня рождения. – М., 1998.

Киняпина Н.С. Внешняя политика России. Вторая половина XIX в. Учебное пособие. – М., 1974.

Киняпина Н.С., Блиев М.М., Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России (вторая половина XVIII в. – 80-е годы XIX в.). – М., 1974.

Кириллов В. История стран Восточной Европы. М.: МГИМО, 1991

Киняпина Н.С. Александр Михайлович Горчаков // Вопросы истории. – 1997. – № 12.

Кошкин А.А. Первая мировая война и Восток // Новая и новейшая история. – 1998. – № 5.

Кожевников В.В. Русско-японские отношения в XVIII-XIX веках. Учебное пособие. - Владивосток, 1997.

Козьменко В.М., Протопопов А.С. История международных отношений и внешней политики России. Учебное пособие. – Ч.1. XIX век. – М., 1998.

Лаврова Т.В. Черноморские проливы. Исторический очерк. – Ростов-на-Дону, 1997.

Ламздорф В.Н. Дневник (1886-1890). - М., 1926.

Ламздорф В.Н. Дневник (1891-1892). - М-Л., 1934.

Ламздорф В.Н. Дневник, 1894-1896. – М., 1991.

Людвиг Э. Бисмарк. Биография: Пер. с нем. - М., 1999.

Манфред А.З. Образование русско-французского союза. – М., 1975.

Масаев М.В. Присоединение Крыма к России. - Симферополь, 1997.

Международные отношения на Балканах. 1815-1830 гг./Отв. ред. В.Н.Виноградов. – М., 1983.

Международные отношения на Балканах. 1830-1856 гг./Отв. ред. В.Н.Виноградов. – М., 1990.

Международные отношения на Балканах. 1856-1878 гг./Отв. ред. В.Н.Виноградов. – М., 1986.

Международные отношения на Дальнем Востоке. – В 2-х кн. – Книга 1. С конца XVI в. до 1917 г. – М., 1973.

Милюков П.Н. Воспоминания – В 2-х т. – М., 1990.

Молчанов Н.Н. Дипломатия Петра I. – М., 1974.

Мясников В.С. Договорными статьями утвердили. Дипломатическая история русско-китайской границы. – М., 1996.

Мартенс Ф.Ф. Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами. – В 15-ти т. – Спб., 1874-1909.

Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и Временного правительств. 1878-1917 гг. – Серия 1-2. 1878-1913 гг. – В 20-ти т. – Серия 3. 1914-1917 гг. – В 10-ти т. – Л., 1931-1940.

Международные отношения и внешняя политика СССР. (Сборник документов). (1870-1957 гг.)/Сост. Л.А.Харламова. – М., 1958.

На путях к Югославии: за и против. Очерки истории национальных идеологий балканских народов. Конец XVIII - начало XX вв. - М., 1997.

Нарочницкая Л.И. Россия и отмена нейтрализации Черного моря 1856-1871 гг. - М., 1989.

Никитина И.А. Захват бурских республик Англией. 1889-1902. – М., 1970.

Орлик О.В. Россия в международных отношениях, 1815-1829 гг. От Венского конгресса до Адрианопольского мира. – М., 1998.

Орлик О.В. “Европейская идея” Александра I // Новая и новейшая история. – 1997. – № 4.

Освобождение Болгарии от турецкого ига. Документы. - В 3-х т. - М., 1961-1967.

Парфенов И.Д. Колониальная экспансия Великобритании в последней трети XIX века. (Движущие силы, формы, методы). - М., 1991.

Павлович М.П. (Мих. Вельтман). Дипломатическая история канала // Латинская Америка. – 1999. – № 12.

Писарев Ю.А. Новые подходы к изучению истории первой мировой войны // Новая и новейшая история. – 1993. – № 3

Писарев Ю.А. Великие державы и Балканы накануне первой мировой войны. – М., 1985.

Палеолог М. Царская Россия во время мировой войны: Пер. с фр. – М., 1991.

Понятовский С. Мемуары: Пер. с фр. – М., 1999.

Россия и Франция: XVIII-XX века. – М., 1995.

Россия и черноморские проливы (XVIII-XX столетия)/Отв. ред. А.В.Игнатьев, Л.Н.Нежинский. – М., 1999.

Раздел Азиатской Турции. По секретным документам бывшего Министерства иностранных дел./Под ред. Е.А.Адамова. – М., 1924.

Рыбаченок И.С. Министр иностранных дел России А.Б.Лобанов - Ростовский // Новая и новейшая история. – 1992. – № 3.

Рыбаченок И.С. Россия и Гаагская конференция по разоружению 1899 г. // Новая и новейшая история. – 1996. – № 4.

Русско-китайские отношения в XIX веке: материалы и документы / Сост. М.Б.Давыдова и др. - М., 1995.

Сахаров А.Н. Александр I. - М., 1998.

Сазонов С.Д. Воспоминания. – М., 1991.

Сборник договоров России с другими государствами (1856-1917 гг.)/Сост. И.В.Козьменко. – М., 1952.

Сергеев Е.Ю. Политика Великобритании и Германии на Дальнем Востоке 1897-1903 гг. - М., 1998.

Серова О.В. Горчаков, Кавур и объединение Италии. – М., 1997.

Серова О.В. От Тройственного союза к Антанте. Итальянская политика и дипломатия в конце XIX - начале XX века. - М., 1983.

Сироткин В.Г. Дуэль двух дипломатий. Россия и Франция в 1801-1812 гг. – М., 1966.

Сказкин С.Д. Конец австро-русско-германского союза. – М., 1974.

Соколов А.Б. Навстречу друг другу: Россия и Англия в XVI-XVIII вв. - Ярославль, 1992.

Серова О.В. Россия и объединение Италии // Новая и новейшая история. – 1994. – № 3.

Степанов А. Россия в первой мировой войне // Свободная мысль. – 1994. – № 9.

Станиславская А.М. Русско-английские отношения и проблемы Средиземноморья (1798-1807 гг.). – М., 1962.

Талейран Ш.-М. Мемуары. – Екатеринбург, 1997.

Тарле Е.В. Крымская война. – В 2-х т. 2-е изд., испр. и доп. – М., 1950.

Тарле Е.В Очерки истории колониальной политики западноевропейских государств (конец XV– начало XIX вв.). – М., – Л. 1965.

Тарле Е.В. Талейран. – М., 1992.

Тейлор А. Борьба за господство в Европе. 1848-1918: Пер. с англ. – М., 1958.

Туполев Б.М. Фридрих II, Россия и первый раздел Польши // Новая и новейшая история. – 1997. – № 5, 6.

Трухановский В.Г. Бенджамин Дизраэли, или история одной невероятной карьеры. – М.,1993.

Туполев Б.М. Германский империализм в борьбе за “место под солнцем”. Германская экспансия на Ближнем Востоке, в Восточной Африке и в районе Индийского океана в конце XIX – начале XX вв. – М., 1991.

Улунян А.А. Россия и освобождение Болгарии от османского ига, 1877-1878. - М., 1994.

Уткин А.И. Дипломатия Вудро Вильсона. – М., 1989.

Хильгрубер А., Берглар П. Выдающиеся политики. Отто фон Бисмарк. Меттерних: Пер. с нем. - Ростов-на Дону, 1998.

Хрестоматия по истории международных отношений / Сост. В.И.Киселева и др. - Вып. 1-2. - М., 1963-1972.

Чепелкин М.А. Российская дипломатия и итальянский вопрос, 1856-1861. - М., 1995.

Чубинский ВВ. Бисмарк. Биография. – М., 1997.

Шацилло В.К. Расчет и безрассудство: германо-американские отношения в 1898-1917 гг. - М., 1998.

Шеремет В.И. Босфор. Россия и Турция в эпоху первой мировой войны. – М., 1995.

Шеремет В.И. Империя в огне. Сто лет войн и реформ Блистательной Порты на Балканах и Ближнем Востоке. – М., 1994.

Шнеерсон Л.М. На перепутье европейской политики. Австро-русско-германские отношения (1871-1875 гг.).– Минск, 1984.

Benno Teschke, The Myth of 1648: Class, Geopolitics and the Making of Modern International Relations, London/New York: Verso, 2003.

Congress Of Vienna. Encyclopedia Title: The Columbia Encyclopedia, Sixth Edition. Publisher: Columbia University Press. Place of Publication: New York. Publication Year: 2007

C. K. Webster, The Congress of Vienna, 1814-1815. Publisher: Humphrey Milford; Oxford University Press. Place of Publication: London. Publication Year: 1919.

Edward Raymond Turner, Europe since 1789. Contributors: Publisher: Doubleday, Page. Place of Publication: Garden City, NY. Publication Year: 1924

Events That Changed the World in the Nineteenth Century. Contributors: Frank W. Thackeray - editor, John E. Findling - editor. Publisher: Greenwood Press. Place of Publication: Westport, CT. Publication Year: 1996.

H. Nicolson, The Congress of Vienna, 1970;

H. Kissinger, A World Restored, 1964;

H. Spiel, ed., The Congress of Vienna: An Eyewitness Account, 1968.

James Caporaso, The Westphalian System in Historical Perspective (International Studies Review Presidential Series), 2000

Lancelot Finn, Nation-States and the Globalization of the Westphalian System, 2003

L. C. B. Seaman, From Vienna to Versailles. Contributors: Publisher: Harper & Row. Place of Publication: New York. Publication Year: 1963

M. G. Pallain, The Correspondence of Prince Talleyrand and King Louis XVIII during the Congress of Vienna. Contributors:, Charles Maurice de Talleyrand-Paerigord - author. Publisher: Harper & Brothers. Place of Publication: New York. Publication Year: 1881.

Paul W. Schroeder, The Transformation of European Politics, 1763-1848. Contributors, Publisher: Clarendon Press. Place of Publication: Oxford. Publication Year: 1996

შინაარსი

შესავალი..... 3

ნაწილი I
ვენის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფორმირება..... 6

თავი I
საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ
1.1. ვენის კონგრესი და ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესები..... 6

თავი II
საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში ვენის სისტემის პერიოდში
2.1. წინააღმდეგობები წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის..... 17
2.2. წმინდა კავშირი და ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები..... 18
2.3. აღმოსავლეთის საკითხი ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში..... 26
2.4. რევოლუციური რყევები ევროპაში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე XIX ს-ის 30-იან წლების პირველ ნახევარში..... 32
2.5. აღმოსავლეთის საკითხის მორიგი გამწვავება საერთაშორისო ურთიერთობებში..... 37
2.6. ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგობები და ძალთა ახალი კონფიგურცია..... 40
2.7. თურქეთ-ეგვიპტის მეორე კრიზისი და ევროპული სახელმწიფოების პოზიციები..... 42

2.8 1848 წლის რევოლუციური მოძრაობა ევროპაში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე..... 49
2.9. ნაციონალიზმის საკითხი და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე..... 54

თავი III

ვენის სისტემის კრიზისი და საერთაშორისო ურთიერთობები XIX 50-70-იან წლებში
3. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება და ვენის სისტემის კრიზისი..... 62
3.1. ვენის სისტემის კრიზისის არსი..... 62
3.2. პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება კონტინტზე. ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნა და მათი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე..... 77
3.3 საფრანგეთის ბრძოლა კოლონიებისათვის..... 96
3.4. პოლონეთის საკითხი ევროპულ დიპლომატიაში..... 99
3.5. სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე..... 103
3.6. საფრანგეთ-პრუსიის ომი და მისი გავლენა ევროპულ პოლიტიკაზე..... 111

ნაწილი II

ვენის სისტემის ტრანსფორმაცია – წამყვანი ევროპული სახელმწიფოების მიერ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა..... 126

თავი IV
ცვლილებები საერთაშორისო არენაზე – ძალთა ახალი კონფიგურაცია ევროპაში
4.1. ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებები XIX ს-ის მეორე ნახევარში..... 126
4.2. სამთა (ოთხთა) კავშირი..... 128
4.3. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობები..... 131

თავი V
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე
5.1. ომის მიზეზები..... 135
5.2. აღმოსავლეთის კრიზისის მორიგი გამწვავება და ევროპული სახელმწიფოების პოზიციები..... 139
5.3. ომი, შედეგები და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე..... 151

თავი VI
წინააღმდეგობები ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის XIX-XX ს-ის მიჯნაზე და ძალთა ახალი კონფიგურაცია კონტინენტზე
6.1. წინააღმდეგობები ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის..... 160
6.2 კოლონიური წინააღმდეგობები საერთაშორისო ურთიერთობებში..... 173
6.3. წინააღმდეგობათა ახალი კერის ფორმირება შორეულ აღმოსავლეთში..... 178
6.4. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა..... 180

თავი VII
საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფ-
ლიო ომის წინ
7.1. მსოფლიო პოლიტიკის თავისებურებები ომის
წინ..... 184
7.2. ანტანტის შექმნა..... 190
7.3. რუსეთ-იაპონიის ომი და მისი გავლენა სა-
ერთაშორისო ურთიერთობებზე..... 196
7.4. მაროკოს პირველი კრიზისი..... 208
7.5. ანტანტის გაფართოება..... 211
7.6. ინგლისურ-გერმანული წინაარმდეგობის გა-
მწვავება..... 215
7.7. რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობები და შავი
ზღვის სრუტეების რეჟიმის შეცვლის საკითხი
ევროპულ პოლიტიკაში..... 217
7.8. გერმანიის მიერ ანტანტის დაშლის მცდე-
ლობა..... 219
7.9 მაროკოს მეორე კრიზისი..... 221
7.10. იტალია-თუქეთის ომი..... 225

თავი VIII
ბალკანური ომების გავლენა ევროპის საერთა-
შორისო ურთიერთობებზე
8.1. ორი მტრული სამხედრო-პოლიტიკური ბლო-
კის პოლიტიკა ბალკანეთში და პირველი ბალ-
კანური ომი..... 228
8.2. მეორე ბალკანური ომი და ძალთა ახალი
კონფიგურაცია რეგიონში..... 233

თავი IX
საერთაშორისო ურთიერთობები პირველი
მსოფლიო ომის პერიოდში

9.1. წინააღმდეგობების გამწვავება ევროპულ სახელმწიფოებს შორის ომის წინ..... 236
9.2. პირველი მსოფლიო ომის დაწყება და საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ევროპაში..... 239
9.3. საერთაშორისო ურთიერთობები ომის დამამთავრებელ ეტაპზე..... 265
9.4. ცვლილებები ომის მსვლელობაში და გერმანიის მცდელობები სეპარატული ზავის დასადებად..... 267
9.5. პოლიტიკური კრიზისი რუსეთში..... 270
9.6. პოლიტიკური სიტუაცია ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში..... 274
9.7. სახელისუფლებო ვერტიკალის ცვლილება რუსეთში და მისი გავლენა საომარ კამპანიაზე. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და მისი შედეგები..... 275

რეზიუმე რუსულ ენაზე..... 287
რეზიუმე ინგლისურ ენაზე..... 291
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა..... 294